

ივ. ჯავახიშვილი

ქართული სამართლის

ისტორია

წიგნი პირველი

ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა

ტფილისი
1928

დაიბეჭდა ტფილისის უნივერსიტეტის პედაგოგიური
ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით.

მდივანი: დოც. ს. ყაუხჩიშვილი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა V

კარი პირველი: ზოგადი ცნობები

თავი პირველი: სამართლისა და სამართლის ძეგლების აღმნიშვნელი ტერმინები 2

კარი მეორე: ქართული სამართლის წყაროები

თავი პირველი: საერკესიო სამართლის ძეგლები 19

§1. მსოფლიო კრებების კანონმდებლობა (19 – 30). – § 2. ევთვიმე მთაწმინდელის ნაშრომები და სარედაქციო მუშაობა ამ სფეროში (30 – 38). – § 3. საქართველოს ადგილობრივი კრებების ძეგლები: A. რუის-უზნისის 1103 წ. კრების ძეგლის წერა (39 – 46); B. 1236 წ. ახლო დროის საქართველოს საეკლესიო კრების მოხსენება და დადგენილება (46 – 50); C. „სამართალი კათალიკოზთა და კრებისა მიერ“ (50 – 57); D. 1767 – 8 წ. განჩინება (57 – 58). – § 4. საქართველოს ეკლესიის უპირატესობათა სიმტკიცის წიგნები (58 – 60). – § 5. მონასტრების წესები და განგებანი (60 – 62).

თავი მეორე: საერო კანონმდებლობის ძეგლები 62

ნაწილი I. ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა მ ა რ თ ლ ი ს ძ ე გ ლ ე ბ ი: A. „გარიგება ჳელმწიფისა კარისა“ (62 – 68); B. „წესი და განგებად მეფეთა კურთხევისა“ (68 – 73); C. დასტურლამალი (73 – 81).
ნაწილი II. ს ი ს ხ ლ ი ს ა და ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ყ ა რ ო ე ბ ი: § 1. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტი (82 – 93). – § 2. „ძეგლის დადება“ გიორგი ბრწყინვალისა (93 – 104). – § 3. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი (104 – 112). – § 4. ვახტანგ VI-ის კოდიკოში ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოში შეცდომით დართული კანონების შესახებ (112 – 116). – § 5. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი და კოდიკო (116 – 124). – § 6. ერეკლე მეფისა და გიორგი XII-ის დროის სახელმწიფო, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ძეგლები (124 – 130). – § 7. ზოგადი მოძღვრება ადამიანის ბუნებასა და კანონმდებლობაზე (130 – 133).

VI

კარი მესამე: საქართველოს სახელმწიფო და სოციალური წესწყობილება (I ს. ქ. წ. – VII ს. ქ. შ.)

თავი პირველი: წყაროების ზოგადი დახასიათება 134

§1. ლეონტი მროველის თხზულების და სხვა წყაროების
ღირსება (134 – 137). – § 2. სტრაბონის ცნობა (137 – 138).

თავი მეორე: მიწა-წყლის ერთეულები	139
თავი მესამე: მოსახლეობის ერთეულები	143
თავი მეოთხე: გვაროვნული წესწყობილება	147

§1. საგვარეულო წესწყობილება I ს. ქ. წ. (147 – 150). – § 2.
სოფლების დასახლებულობა გვაროვნებათა მიხედვით (150 – 151).
– § 3. საქართველოს იმდროინდელი საგვარეულო წესწყობილების
პირველადობის საკითხი (152 – 157). – § 4. ცოლქმრობისა და ქორ-
წინების წესები საქართველოში (158 – 170).

თავი მეხუთე: სახელმწიფო წყობილება	170
------------------------------------------------	-----

§1. მეფე და მეფის ხელისუფლების საფუძველი (170 – 174).
– § 2. მეფის ხელისუფლების უხუცესობით დამკვიდრების წესის და-
მადასტურებელი ცნობები (174 – 183). – § 3. მთავარსარდალი და
უზენაესი მსაჯული (183 – 188). § 4. საქვეყნოდ გამგე ხელის-
უფალნი (184 – 188).

თავი მეექვსე: წოდებანი. სოციალური თანასწორობა	188
სამიებლები	199

პირთა-სახელების სამიებელი (199 – 204). გეოგრაფიული სახე-
ლების სამიებელი (204 – 207). – ტერმინების და გამონათქვამთა სა-
მიებელი (207 – 220).

შემჩნეული კორექტურული შეცდომების გასწორება	221
---------------------------------------------------------	-----

წინასიტყვაობა.

ქართული სამართლის ისტორიის ერთად ერთი მკვლევარი ნ.
ურბნელი (ხიზანიშვილი) იყო, რომელსაც წარსული საუკუნის
ოთხმოციანი წლებითგან მოყოლებული არა ერთი ქვევით თავ-თა-
ვის ადგილას მოხსენებული მონოგრაფია ჰქონდა გამოქვეყნებული.
მისი ღვაწლი ამ მხრივ თვალსაჩინოა. ნ. ურბნელი ნიჭიერი დამ-
კვირვებელი იყო და მის ნაშრომებში ბევრი საგულისხმო გარემოება
იყო გამორკვეული. მაგრამ ამ სფეროში მას არც მიმდევარი და არც
გამგრძელებელი არ აღმოსჩენია.

ნ. ურბნელი იმ დროს რუსულსა და ევროპულ მწერლო-
ბაში გაბატონებული სოციოლოგიური და შედარებითი სკოლისა და
მეთოდის მიმდევარი გახლდათ, რომლის საუკეთესო წარმომადგენლე-

ზადაც რუსეთში პროფ. მაქსიმე კოვალევსკი და პროფ.

ლეონტოვიჩი იყვნენ. ამ ორ მეცნიერს თავიანთი კვლევა-ძიების საგნად სხვათა შორის კავკასია და ჩვენი ქვეყანაც ჰქონდათ აღებული და მათი შრომების საერთო მიმართულების გავლენა ემჩნევა კიდევ ქართული სამართლის ისტორიის პირველ მკვლევარს.

რათგან ზემოდასახელებული ორივე რუსი მეცნიერი კავკასიელთა თანამედროვე ზნეჩვეულებებში პირველყოფილი სოციალური ცხოვრების კვალს ეძებდნენ, მთელი კვლევა-ძიების უუდიდესი ენერგია ამ პირველყოფილობის ძებნაში ილეოდა. ამის წყალობითვე მათი მიმდევარი ნ. ურბნელის ნაშრომებსაც ყურადღება ქართველ მთიელთა დაბალი უფლებრივი მდგომარეობისაკენ ჰქონდა მიპყრობილი და პირველყოფილობის ძიებისადმი მიდრეკილება ემჩნევა.

მაგრამ რამდენადაც „უკულტურო“ და უმწერლობო ტომთა და ერთა სამართლის შესასწავლად კვლევის ასეთი მეთოდი ერთად-ერთი შესაძლებელი გზა არის, იმდენად მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და მწერლობის მქონეხელი ერის სოციალური ისტორიის შესწავლა მარტო ამ გზით უტყუარსა და ნაყოფიერ შედეგს ვერ მოგვცემს. ერის თანამედროვე ზნეჩვეულებათა სათანადოდ გამოყენებისათვის წინასწარ მათი ქრონოლოგიური განსაზღვრა არის აუცილებლად საჭირო და მარტო თვით იურიდიულ ძეგლებში დაცული ცნობებით დაკმაყოფილება არ შეიძლება. რა-კი სამართლის წერილობითი

VI

ძეგლები ყოველთვის შედარებით უფრო გვიან ჩნდება ხოლმე, ამიტომ მხოლოდ მათი საშუალებით უძველესი ხანის მდგომარეობის გამორკვევა შეუძლებელია. სამართლის ისტორიის მკვლევარი ამის გამოვალდებულია ყოველგვარი მასალებით ისარგებლოს, მათ შორის რასაკვირველია უპირველესად საისტორიო ძეგლებითა და საბუთებით. მ. კოვალევსკისა და ნ. ურბნელის ნაშრომების უმთავრესა და თითქმის ერთად-ერთ წყაროს კი სწორედ ვახტანგ VI-ის კოდიკოში დაცული სამართლის ძეგლები და სოციოლოგიური მასალები შეადგენენ. იმ საგულისხმო და უხვი ცნობების გამოყენება კი, რომელიც საისტორიო თხზულებებსა და სიგელ-გუჯრებში მოიპოვება, ფიქრად არ მოსვლიათ. ამასთანავე სათანადო ისტორიული და ფილოლოგიური მეთოდოლოგიის უცოდნელობის გამო ნ. ურბნელს ქართული იურიდიული ძეგლების ტექსტის კრიტიკული განხილვისა და აღდგენის საჭიროებისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ძველი ქართულის უცოდინარობა მას ზოგჯერ ძეგლის ტექსტის დედააზრის სწორედ გაგებას უძნელებდა. ამასთანავე ევროპულ ენებზე სათანადო სამეცნიერო მწერლობის მისთვის მიუწოდომელობის გამო, ნ. ურბნელი იძულებული იყო ამ დარგის ღარიბი რუსული სამეცნიერო ლიტერატურით დაკმაყოფილებულიყო. ამის გამო რომისა, დასავლეთ ევროპისა, ბიზანტიისა და აღმოსავლეთ სოციალური წესწყობილებისა და სამართლის შესახებ მას სათანადო წყაროებით სარგებლობა არ შეეძლო, რომ ამ გზით ქართულ იურიდიულ დაწესებულებათა ჯეროვანი შეფასება შესძლებოდა. დასასრულ ნ. ურბნელის ნაშრომებს სათანადო ისტორიული პერსპექტივაც აკლდა: ქართული სამართლის ისტორიის კვლევა-ძიება უძველესი ხანიდან კი არა, არამედ მე-XIV

ს.-ითგან, დაქვეითების ხანის ძეგლებით დაიწყო და ეს გარემოება მას სწორე გეზის აღებას უძნელებდა.

მაგრამ ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი ს მოღვაწეობის შეფასების დროს უნდა კარგად გვახსოვდეს, რომ მამინ ქართული საისტორიო კვლევა-ძიებაც მეთოდოლოგიურად ძალიან დაქვეითებული იყო და არც წყაროების კრიტიკული შესწავლის და არც ტექსტის აღდგენისა და წესიერად გამოცემისა და ფილოლოგიური თარგმანების აუცილებლობის შეგნება არსებობდა. ისეთი საისტორიო სამეცნიერო დისციპლინების, როგორც ქართული პალეოგრაფია, ანუ დამწერლობათა-მცოდნეობა და დიპლომატიკა, ანუ სიგელთამცოდნეობა, და სხვების ხსენება არ იყო. საქართველოს ისტორია იმ დროს უმეტესად ქართლის ცხოვრების მოთხრობის გამეორებითა და ზოგიერთ უცხო მწერალთა ცნობების დართვით კმაყოფილდებოდა. ასეთ პი-

VII

რობებში სამართლის ისტორიის მკვლევარს რასაკვირველია იმაზე მეტი ვერც მოეთხოვება, რაც ნ. უ რ ბ ნ ე ლ მ ა შესძლო. პირიქით უნდა აღინიშნოს მისი ღვაწლი, რომ ასეთ მძიმე პირობებში და ხელშემწყობ გარემოებათა უქონლობისა და მიუხედავად თავისი სამსახურის მოვალეობით, ვითარცა სასამართლოს გამომძიებელს, პრაქტიკული საქმიანობით დატვირთულს, მას ქართული სამართლის ისტორიის მონოგრაფიული კვლევა ძიების ხალისიც ჰქონდა და ქართულ მაშინდელ ღარიბ საისტორიო მწერლობაში მანამდე ხელუხლებელი, სრულებით ახალი ასპარეზის შესწავლით ძვირფასი წვლილიც შეჰქონდა. ეს სხვებისათვისაც საუკეთესო მაგალითი უნდა ყოფილიყო და ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი ს საქმეს ქართველ იურისტთა შორის გამგრძელებელნი უნდა გამოსჩენოდნენ, რომელთაც თანდათანობით ყველა ამ ზემოაღნიშნული ნაკლის გასწორება და შევსება შეეძლოთ. მაგრამ ეს იმედეები არ გამართლებულა: უ რ ბ ნ ე ლ ი ს გარდა არცერთ იურისტს ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა თავის სპეციალობად არ აურჩევია. შესაძლებელია ეს გარემოება იმითაც აიხსნებოდეს, რომ სამართლის ისტორიკოსი უნდა ერთსადაიმავე დროს იურისტიცა და ფილოლოგოს-ისტორიკოსი იყოს, რაც რასაკვირველია იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს ხოლმე.

იმ ნაკლის თავითგან ასაცილებლად, რომელიც ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი ს ნაშრომებს თანსდევდა, ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა უნდა უძველესი დროითგან დაწყებულიყო ყველა ამისთვის გამოსადეგი მასალების გამოყენებით, სამართლის ძეგლების ტექსტის წინასწარი კრიტიკული შესწავლითა და პირვანდელი სახის აღდგენით, იურიდიული ძველი ქართული ტერმინოლოგიის ზედმიწევნითი მნიშვნელობის გამორკვევითა და ქართულ იურიდიულ დაწესებულებათა ბუნების გამორკვევის შემდგომ სხვა მეზობელ, გინდა შორეულ, მაგრამ ოდესმე საქართველოსთან დაკავშირებულ ერთა ასეთსავე დაწესებულებათა შედარებითი შესწავლით, ქართველი ამა თუ იმ ინსტიტუტის წარმოშობილობის გასაგებადა და ღირებულების დასაფასებლად.

ამ მიზნის მისაღწევად ხანგრძლივი გულდასმითი მუშაობა იყო საჭირო ზემოდასახელებული გეგმისა და მიხედვით. წინამდებარე

ნაშრომი „ქართული სამართლის ისტორია“-ც სწორედ ასეთ ხან-გრძლივი მეთოდური მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს, რომლის ზოგიერთი ნაწილები ამ სტრიქონის ავტორს წინათაც ჰქონდა გამოქვეყნებული, მაგ. სოციალური ბრძოლისა და დემოკრატიული რეფორმების შესახებ მე-IX – XI ს. ქართულ ეკლესიაში 1904 წ. იყო

VIII

დაბეჭდილი (იხ. Журн. Мин. Нар. Прос. 1904 წ. № 2, განყ. 2, გვ. 358 – 372). 1905 წ. გამოვიდა პეტერბურგში მონოგრაფია „ძველი საქართველოს და ძველი სომხეთის სახელმწიფო წესყობილება“ (ტ. I. რუს.), რომელიც უძველეს ხანს ეხებოდა, და ტბილისში „საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია“, რომელიც ჯერ გაზეთ „ცნობის ფურცელ“-ში იბეჭდებოდა (1905 წ. №№ 28, 56, 60, 62 და 66), ხოლო იმავე 1905 წ. ცალკე ამონაბეჭდად გამოიცა ქართულ სამონასტრო ცხოვრებაში სოციალ-ეკონომიური იდეალების გამო ატეხილ ბრძოლას ეხებოდა მონოგრაფია, რომელიც 1906 წ. გაზ. „ივერია“-ში დაიბეჭდა და ეწოდებოდა „ზნეობრივი მოძღვრების ისტორია საქართველოში“ (№ 1013).

1907 წლისათვის უკვე დაწერილი მქონდა „ქართული სამართლის ისტორია“ უძველესი დროითგან მოყოლებული მე-XIII ს. დამდეგამდის, რომლის ბეჭდვა დაიწყო კიდეც 1909 წ. ალმანახში „ერი“ და მის გაგრძელებაში, მაგრამ ცენზურისაგან ორგანოს შეჩერების გამო შეწყდა. მოესწრო მხოლოდ ქართული იურიდიული ტერმინოლოგიისა და სამართლის წყაროების ისტორიული მიმოხილვისა და კრიტიკული გარჩევის შემცველი თავების დაბეჭდვა. შემდგომაც ამ დარგში მუშაობა შეუწყვეტილად გრძელდებოდა და ახალ-ახალი საკითხების შესწავლით „ქართული სამართლის ისტორიის“ შინაარსიც ვრცელდებოდა და შემაღებულბაგ იზრდებოდა. ამ ახალმოპოვებული შედეგების შედეგად 18 იანვარს 1915 წ. წაკითხული მქონდა ტფილისში ლექცია „ქართული სამართლის ისტორიითგან“. 1917 წელს ქუთაისში კვლავ დაიწყო „ქართული სამართლის ისტორიის“ ბეჭდვა, რომელიც 1919 წ. შეცდომით I წიგნის სახელით გამოვიდა იმ დროს, როდესაც გამოცემული ნაწილი ამ ისტორიის II წიგნის მხოლოდ პირველს, IX-XIII სს. საქართველოს სახელმწიფო სამართლის მოსახლეობისა და მოხელეობის შესახებ ცნობების შემცველ ნაწილს შეადგენდა. ფინანსური კრიზისისა და უქალაქობის გამო ამ შემთხვევაშიაც „ქართული სამართლის ისტორიის“ ბეჭდვა კვლავ შეწყდა. საქართველოში ტფილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნის შემდგომ ამ საგნის უნივერსიტეტში სავალდებულოდ ქცევის გამო ამ დარგში მუშაობა, რასაკვირველია, უნდა გაცხოველებულიყო, რათგან ქართული სამართლის ზოგადი კურსის წასაკითხავად ყველა საკითხები წინასწარ სათანადო სისრულით უნდა საფუძვლიანად შესწავლილი ყოფილიყო. ამის წყალობით ბევრი საკითხი, რომელიც წინათ, ან სრულე-ბით არ ყოფილა, ან მეტად მოკლედ იყო განხილული, გულდასმით

IX

უნდა ყოფილიყო გამოკვლეული. ამით „ქართული სამართლის ის-

ტორია“ შეივსო და საგრძნობლად გაიზარდა კიდეც.

ასეთ ხანგრძლივი დროისა, სხვაგან და სხვადასხვა პირობებში გაწეულ კვლევა მიეხსნება, რა თქმა უნდა, სრული ერთგვარობა არ ექნება იმისდა მიუხედავად, რომ მისი ავტორი ყოველნაირად ცდილობდა ასეთი ერთგვარობა დაეცვა.

რამდენიმე წიგნად განზრახული „ქართული სამართლის ისტორია“-ითგან ამ ჟამად მხოლოდ პირველი ორი წიგნი იბეჭდება, რომელთაგან პირველი წყაროების განხილვასა და უძველესი ხანის ისტორიის შეიცავს არაბთა შემოსევამდე, ანუ მე-VII ს. შუა წლებამდის. მეორე წიგნი - კიდეც ქართული სამართლის ისტორიის IX – XIII სს-ს ეხება და სახელმწიფო სამართალს, სისხლის სამართალს, სამოქალაქო სამართალსა და სასამართლოს წარმოებასაც შეიცავს.

ხოლო „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ წიგნში მთავარი ყურადღება წყაროების განხილვასა და ტერმინოლოგიაზეა მიქცეული, რათგან იგი დანარჩენი მოთხრობისა და თვით სამართლის ისტორიისათვის ნამდვილ საფუძველს წარმოადგენს: აქ გამორკვეულია ყოველი ძეგლის შედგენის დრო, პირობები, მიზნები და მოქმედების ასპარეზი, პირვანდელი ტექსტის სახე და დანაწილების წესები. სამართლის წიგნების ასეთმა დაწვრილებითმა შესწავლამ ცხადჰყო, რომ ჩვენში იურიდიული ძეგლების შედგენისა და წერის ერთგვარი წესები ყოფილა, რომელთა ცოდნა ამიერითგან ამ ძეგლების დამახინჯებული ადგილების აღდგენას შეგვაძლებინებს.

თვით ქართული სამართალი ისტორიის უძველესი ხანა 1905 წ. დაბეჭდილთან შედარებით ახალი მასალების მიხედვით ხელახლად არის დამუშავებული. მაგრამ ამ დროისათვის მასალების მეტი სიმცირის გამო, ბევრი საკითხი გამოურკვეველი რჩება.

თავდაპირველად განზრახული მქონდა, რომ პირველი და მეორე წიგნისათვის ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის ლექსიკონიც დამერთო ლათინური, ბერძნული, ფრანგული და გერმანული შესატყვისობით, მაგრამ რაკი დანარჩენ წიგნებშიც ასეთი მასალა ბლომად იქნება, ამიტომ ამგვარი ლექსიკონის სულ ბოლოში დართვა ვამჯობინე. ამასთანავე პირველსა და მეორე წიგნს დართული აქვთ იმდენად ვრცელი სარჩევი და ტერმინთა და სახელების საძიებლები, რომ მკითხველს ნაწილობრივ ლექსიკონისა და საგნობრივი საძიებლის მაგიერობასაც გაუწევინებს.

დაკვირვებული მკითხველი, რომელიც ამ ორ წიგნს გულდასმით გადაშინჯავს, დარწმუნდება, თუ რაოდენი შემოქმედებითი მუ-

X

შაობა გაუწევია ქართველ ერს საუკუნის განმავლობაში სოციალური ცხოვრების ასპარეზზე, სამართლის სფეროშიაც. ამ ისტორიის მეორე წიგნი, მეტადრე მის მეორე ნაწილში, რომელიც ამ ჟამად ჯერ კიდეც იბეჭდება, იგი თავისი თვალთ დაინახავს იმ გაცხოველებულ მუშაობასა და შეუწყვეტელ ბრძოლას, რომელიც სახელმწიფოებრივ წესწყობილებაში და სოციალურ ცხოვრებაში წარმატებისა და სამართლიანობის მოსაპოვებლად სწარმოებდა. ქართული სამართლის ისტორია მეცნიერსაც და ჩვეულებრივ განათლებულ მკითხველსაც ბევრ საგულისხმოსა და საყურადღებო გარემოებას უშლის იგი

თვალეზ წინ. რასაკვირველია, მომავალში, როდესაც საქართველოში ამ დარგშიაც სხვა მკვლევარნიც აღმოჩნდებიან და ეხლანდელის მსგავსად მკვლევარს ყველაფრის მართო თითონ გამორკვევა არ მოუხდება, მაშინ ინტენსიური და უფრო გაღრმავებული მუშაობის წყალობით ამ სურათს უფრო მეტი მკაფიოებაც, ფერადოვნებაც და მეტი მიმზიდველობაც მიენიჭება. ამ ჟამად ისიც კარგი იქნება, თუ ეს ორი წიგნი მკითხველს ქართული სამართლის ისტორიის, ადამიანის შემოქმედების ამ საყურადღებო დარგის, შესწავლას გაუადვილებს. ყოველ მკითხველს უნდა ახსოვდეს მხოლოდ, რომ „ქართული სამართლის ისტორია“ ჰგულისხმობს, რომ მკითხველმა ქართველი ერის ზოგადი ისტორია უკვე იცის. ამას გარდა, თუ მას საისტორიო წყაროების შესახები ცნობები დასჭირდა უნდა მიჰმართოს ჩემ მონოგრაფიის („ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“) I წიგნს, „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“.

ჩემ თავს მოვალედ ვრაცხ გულითადი მადლობა მოვახსენოდოც. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ს ა და ლექტ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს იმ დიდი დახმარებისათვის, რომელიც ამ წიგნის ბეჭდვისათვის თვალყურისდევნებითა და კორექტურის გასწორებით გამიწიეს. საკუთარ და საგეოგრაფიო სახელების სარჩევი შედგენილია უნივერსიტეტთან დატოვებული ს. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა, ლევ. მ ე ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს ა, იასე ც ი ნ ც ა მ ი ს ა და გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, რომელთაც იმ გვარადვე, როგორც უნივერსიტეტის გამოცემათა კორექტორს გათ ა ნ ე ლ ი შ ვ ი ლ ს აგრეთვე დიდად ვმადლობ.

ივ. ჯავახიშვილი

ტბილისს
1927 წლის 11 დეკემბერს.

კარი პირველი.

ზოგადი ცნობები.

ქართული სამართლისა და საქართველოს სოციალური ისტორიის შესასწავლად საისტორიო ძეგლების გარდა, რომელთა მიმოხილვას მკითხველი ჩემს გამოკვლევაში „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ (იხ. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი I) იპოვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა სამართლის ძეგლებს აქვთ. ამიტომ, სანამ საქართველოს სოციალური ისტორიის მოთხრობას შევეუდგებოდეთ, უნდა წინასწარ ქართული სამართლის წყაროები განვიხილოთ, გამოვარკვიოთ თვითოეული მათგანის დაწერილობის თარიღი, შემდგენელისა, თუ შემდგენელთა ვინაობა, ძეგლების საერთო ხასიათი და პირვანდელი სახის გარეგანი, ტექნიკური თვისებები.

ხოლო რათგან სამართლის სფეროში, იმგვარადვე როგორც სახელმწიფოს ყოფა-ცხოვრებაში, ორი მთავარი უწყება მოქმედებდა, ერთის მხრით თვით სახელმწიფოს ხელისუფლება, მეორეს

მხრით ეკლესია, ამიტომ სამართლის ძეგლებიც ორნაირი იყო, საეკლესიო და საერო კანონმდებლის ძეგლები არსებობდა. რამდენადაც მაშინ ეკლესია სახელმწიფო ყოფა-ცხოვრების ძლიერ ფაქტორად ითვლებოდა და ერის მთელ აზროვნებაზე დიდი გავლენა ჰქონდა, განსაუთრებული უფლებრივი უპირატესობით იყო მოსილი, თანაც საეკლესიო წესწყობილებას სახელმწიფო და სოციალურ წესწყობილებაზეც ხშირად თვალსაჩინო კვალი დაუმჩნევია, ამიტომ და ამდენად საეკლესიო სამართლის ძეგლების ცოდნაც საქართველოს სოციალური ისტორიის მკვლევარისა და მკითხველისათვის აუცილებლად საჭიროა. ამასთანავე საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლებს როგორც მსოფლიო ეკლესიისას, თარგმანებს, ისევე ადგილობრივ შემოქმედებასაც, ქართული სამართლის ისტორიისა და ტერმინოლოგიის შესასწავლადაც აქვთ მნიშვნელობა.

მრავალი ქართული იურიდიული ტერმინის სრული ზედმიწევნილობითი მნიშვნელობის გამორკვევაც სწორედ ამ ნათარგმნი ძეგლების ენის დედნებთან შედარებითი შესწავლითაა შესაძლებელი.

- 2 -

რაკი ეკლესია თავის წერილობით ძეგლებს უკეთესად ინახავდა და იცავდა, ამიტომ ქართული სამართლის უძველესი ძეგლებიც სწორედ საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლებია და წყაროების განხილვა მათგანვე უნდა დავიწყოთ.

თავი I.

სამართლისა და სამართლის ძეგლის აღმნიშვნელი ტერმინები.

საერო და საეკლესიო სამართლის ძეგლების შესწავლა რომ შემდგომში უფრო გაადვილდეს და თვით საგანი გასაგები გახდეს, სანამ ქართულად არსებული ძეგლების ჩამოთვლასა და დახასიათებას შევუდგებოდეთ, ჯერ საკანონმდებლო ძეგლებისათვის მიღებული ტერმინოლოგიის გამორკვევას უნდა მივყოთ ხელი.

სამართლის აღსანიშნავად ძველ ქართულ მწერლობაშიაც იხმარებოდა და ეხლაც არის შერჩენილი სიტყვა „კ ა ნ ო ნ ი“. გრიგორ ხანძთელი რომ გვარამ მამფალს შეება და საეკლესიო მართვა-გამგეობის საქმეებში მის ჩარევას წინააღმდეგა, საპასუხო სიტყვაში მოაგონა თურმე: „წმიდათა მოციქულთა და ღირსთა მათ მღდელო-მოდპუართაგანისაჲ, ვითარმცა... შჯულის მოძღურებასა და იკადრებდა“-ო (გ ~ ი მ ე რ რ უ ლ ი, ც ~ ე გ ~ ლ ხ ნ ~ ძ თ ე, მ ზ). ამ მაგალითითგანა ჩანს, რომ აქ და მაშინ კ ა ნ ო ნ ს ზ ო გ ა დ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ჰ ქ ო ნ დ ა და ს ა მ ა რ თ ა ლ ს უ დ რ ი დ ა.

მაგრამ თუ უფრო მეტად არა, მაინდამაინც იმგვარადვე ხშირად ეს ტერმინი ქართულში სამართლის წიგნის თვითოეულ მუხლსაც ჰნიშნავდა. რუის-ურბნისის 1103 წ. კრების ძეგლის წერაში მაგ. ნათქვამია: „ქმნილ იყვნეს სხუანიცა ადგილობრითნი კრებანი – პირველი ანკურიას, რომელსაცა დაესხნეს კ ა ნ ო ნ ნ ი ო ც დ ა ო თ ხ ნ ი, მეორე ნეოკესარიას, დამსხმელი კ ა ნ ო ნ თ ა ო ც დ ა ა თ ო თ ხ მ ე ტ თ ა ე... ამისა შემდგომად მეორე წმიდაჲ და მსოფლიოდ კრებაჲ კონსტანტინოპოლისა ასერგასისთა წმიდათა

მამათად, რომელთა კ ა ნ ო ნ ი ა რ ი ა ნ რიცხვთ შუდ“ (ქკბი II, 59). ყველა ზემომოყვანილ შემთხვევებში, როგორც ეს განსაკუთრებით ნათლად უკანასკნელი სიტყვებითგან ჩანს, „კანონი“ სამართლის ძეგლის მუხლსა ჰნიშნავს.

ასეთივე მნიშვნელობა ამ სიტყვას ბერძნულშიაც ჰქონდა და ბერძნული დიდი სჯულის კანონის წიგნიც შესატყვის ადგილებში ამგვარადვე ნახმარი ეს ტერმინი. საფიქრებელია, რომ კ ა ნ ო ნ ს ქ ა რ თ უ ლ შ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ი გ ნ ი ს მ უ ხ ლ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო -

- 3 -

ბ ა ჰ ქ ო ნ დ ა ს ა ზ ო გ ა დ ო დ ს უ ლ ე რ თ ი ა, ს ა ე რ ო ი ყ ო, თ უ ს ა ს უ ლ ი ე რ ო ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი ს ძ ე გ ლ ი, რომლითგანაც მუხლია ამოღებული. ეს იქითგანა ჩანს, რომ რუის-ურბნისის ძეგლის წერაში ნათქვამია „კ ა ნ ო ნ ი ს ა ე კ ლ ე ს ი ო ნ ი“-ო (ქკბი II, 58). კანონი რომ მართო საეკლესიო სამართლის ძეგლის მუხლსა ჰქრმოდა, მაშინ სიტყვა „საეკლესიონი“ დამატებული არ იქნებოდა.

რაკი სამართლის ძეგლის თვითოეულ მუხლში დამნაშავეთათვის განსაზღვრული სასჯელია აღნიშნული, ამიტომ ქართულად სიტყვას „კანონი“ ს ა ს ჯ ე ლ ი ს მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ც მიეცა და ზოგჯერ ბერძნულს „ეპიტიმიას“ სასჯელს უდრიდა ხოლმე, მაგ.: მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილების ქართულ თარგმანში, რომელიც ე ფ თ ვ მ ე მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ს ეკუთვნის, მ`გ მუხლში ნათქვამია: „მონაზონი უკეთუ სიძვითა დაეცეს და მონაზონებისა ოდენ კურთხევა აქუნდეს, ს ი ძ ვ ი ს ა კ ა ნ ო ნ ი აღასრულოს“-ო (იხ. ДВ Т. 2, в. III, გვ. 109). ბერძნულ დედანში, § მდ ნათქვამია „τοις τὰς πορνευόντων επιτίσις... ὑποβληθήσεται“ „ტომს ტონ პორნეუონტონ ეპიტომიოს... ჰვპობლეფეზეტაჲ (იხ. ამგვარივე შემთხვევა იმავე ძეგლში მუხ. მ`ვ., ibid. გვ 110 = ბერძნულ დედანს § მჟ). იმავე თარგმანში მუხ. ოზ ნათქვამია: „რ`ლნი მისცემენ დედათა წამალსა, შვილის მკვლელსა საშოსა შინა... კ ა ც ი ს კ ვ ლ ი ს ა კ ა ნ ო ნ ს ა ქვეშე არიან“-ო (იქვე, გვ. 124), ხოლო ბერძნულ დედანში შეს. § სწერია „τὰς τὰ ἀμύλαθρῖδιὰ δῖδοισαὶς φαρμαχᾶ... τῶ τ ὀ σ ῶ ὄ ν ἔ α ῶ ἔ π ἰ τ ἰ μ ἰ ὡ χ α θ ὑ π ὀ β ἄ λ λ ὀ μ ῶ ν“ „ტას ტა ამბლოთრიდია დიდუზას ფარმაკა ტო ტუ ჭონეოს ეპიტიმო კათვპობალლომენ“. ამისდა მიხედვით ჩვენ ძველ მწერლობაში ზმნას „გ ა ნ კ ა ნ ო ნ ე ბ ა“-ს ხშირად დასჯას მაგიერ ხმარობდნენ. „განკანონებას“-ს ისეთს დასჯას ეძახდნენ, რომელიც სამართლის შესაფერისს კანონზე იყო დამყარებული. გ ი ო რ გ ი მ თ ა - წ მ ი ნ დ ე ლ ი მოგვითხრობს, მაგ. რომ ათონის ქართველთა მონასტერში ეფთვმე „უკუეთუ ვინმე არა მოვიდის დაწესებულთა ზედა ცისკრისა, გ ა ნ კ ა ნ ო ნ ი ს ჯეროვნად ვ ო თ ა რ ც ა გ ა ნ ე წ ე ს ა მამასა“-ო (ც`დ ო ო`ე და ეფ`მესი 36). შემდეგ იგივე ავტორი გვიამბობს, რომ ეფთვმეს „უკუეთუ ტყუვილით რადმე მოახსენიან, მ მ ი მ ე დ გ ა ნ კ ა ნ ო ნ ი ს და მის მიზეზისათვის მრავალნი ძმანი მონასტრისაგან გაასხნა“-ო (იქვე 42). ხოლო როცა იგი ეკლესიაში წირვის დროს მძინარე მონაზონს შეამჩნევდა, აფრთხილებდა თურმე: „აქა ნუ დაიძნებ, თუ არა მ მ ი მ ე დ გ ა გ კ ა ნ ო ნ ე ბ ს“-ო (იქვე 49).

მაგრამ „კ ა ნ ო ნ ი“ მართო სასამართლოს წიგნის ერთერთს მუხლს-კი არა ნ ი შ ნ ა ვ დ ა, არამედ თვით ი მ კ ა ნ ო ნ ე ბ ი ს კ რ ე -

ბულს, თვით სასამართლო წიგნსა, ან ძეგლსაც, სადაც კანონები მოიპოვება, მაგალითად:

იოანე მმარხველის სამართლის წიგნს ქართულად ჰქვია „რჩულის კანონი წმიდისა იოანე მმარხველისა“ (იქვე 29), ცნობილს საეკლესიო სასამართლო კრებულსაც „შჯულის კანონი“ ეწოდება.

ქართული „კანონი“ ბერძნულ *κανών* „კანონ“-ისაგან არის წარმომდგარი. ბერძნულში კი ეს სიტყვა შემოხიზნულია ძველისძველ დროსავე, უკვე ჰომიროსის წინათ, ერთ-ერთი სემიური ენითგან (T h. Z a h n. Grundriss d. Geschichte d. Neatest. Kanons, 1901 წ., გვ, 2), სადაც იგი ლერწამსა ჰნიშნავდა, ლელის მუხლებს. ბერძნულად „კანონ“ს თავდაპირველად ხუროს ერთს ხის იარაღს ეძახდნენ, რომელსაც ოსტატები მუშაობის დროს თარაზოს მაგიერ სისწორეს გასაგებად ხმარობდნენ ხოლმე (იქვე 2). შემდეგ საბერძნეთშიაც სამართლის წიგნებსაც „კანონს“ ეძახდნენ, იმიტომ რომ იგი სათნოებისა და ბოროტმოქმედების საზომად ითვლებოდა (იქვე 4)., მე II-ე საუკუნის ნახევრითგან მოყოლებული „კანონი სარწმუნოებისა“ (*ὁ κανὼν τῆς πίστεως*) იმ მცნებასა და წესსა ჰნიშნავდა, რომელიც ყველა მაშინდელ საქრისტიანო ეკლესიაში მიღებული იყო, ხოლო მსოფლიო კრებების გადაწყვეტილებას ეძახდნენ, სადაც განსაზღვრული იყო „მართალი სარწმუნოება“, საეკლესიო წესწყობილება და ის სასჯელი, რომელიც უნდა გადაეხადა სამღვდელოებასა და მრევლს სხვადასხვა დანაშაულობისათვის სარწმუნოებისა, წესიერებისა და სინილისის წინაშე (იქვე, 5).

სხვებისათვის ქართული საეკლესიო სამართალიც უმთავრესად მსოფლიო ეკლესიის კანონმდებლობას ემყარებოდა. ამიტომ მსოფლიო ეკლესიის მიერ შემუშავებული ძეგლები სავალდებულო იყო მისთვისაც და მისი შედგენილობის უდიდეს ნაწილს წარმოადგენდა. როგორც ცნობილია მსოფლიო ეკლესიის სამართალის მთავარ წყაროდ საეკლესიო კრებები იყო, რომელთა დადგენილებანიც ყველასაგან უცილებელ ჭეშმარიტებად იყო ხოლმე მიჩნეული, თუმცა არა ერთხელ მოწინააღმდეგენიც გამოჩენილან.

საეკლესიო კრებები-კი ორგვარი იყო. რუის-ურბნისის ძეგლის წერაშიც არის ნათქვამი: „მეფემან კონსტანტინე შეკრიბა პირველი და მსოფლიო დკრება დნიკეას..., რომლისა პირველად ქმნილ იყვეს სხუანიცა ადგილო ბითნი კრებანი“ ანკურიას და ნეოკესარიას და „შემდგომად დიდისა და მის მსოფლიოდსა კრებისა სხუანიცა იქმნნეს ადგილო ბითნი კრებანი“-ო (ქკბი II, 59).

დიდი სჯულის კანონის ქართულ თარგმანში ნათქვამია; მსოფლიოსა კრებასა და სხუათა ადგილო ბითთა კრებათა განწესებანი“-ო (ტფილ. უნივ. ხელთნ. № 741, XB II 356).

მსოფლიო ეკლესიას 7 მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება მიაჩნდა სავალდებულოდ: პირველი ნიკეის (325 წ.), მეორე კონსტანტინოპოლის (381 წ.), მესამე ეფესოს (431 წ.), მეოთხე ქალკიდო-

ნის (451 წ.), მეხუთე კოსტანტინეპოლისა (553 წ.), მეექვსე კოსტანტინოპოლისავე (680 წ.), და მეშვიდე ნიკეის (787 წ.).

მაშასადამე საეკლესიო კანონმდებლობის სათავედ ერთის მხრით „მ ს ო ფ ლ ი ო ე კ რ ე ბ ა ე“, მეორეს მხრით „ა დ გ ი ლ ო ბ ი თ ნ ი კ რ ე ბ ა ნ ი“ იყო. ტერმინი „მსოფლიოდ კრებად“ ბერძნულს „ή οίχουμεινιχρή σύνδοις“-ს (იხ. სჯულისკ. XB, II, 368) უდრის.

მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებათა დადგენილების გარდა ძველად ქრისტიანეთა წრეში რასაკვირველია განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდენ ყველაფერს, რაც მოციქულთაგან ნაანდერძეად თუ დაწერილად იყო მიჩნეული. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ ისეთი ძეგლები, როგორც მოციქულთა კანონები, მსოფლიო ეკლესიის სამართლის წიგნს, ე. წ. სჯულისკანონს შეეთვისებინა. მოციქულთა კანონებს, რომელთაც ბერძნულად ეწოდებოდა Διαταγαί των Αποστόλων, ლათინურად Constitutiones apostolicae, ან apostolorum, ქართულად ერქვა „გ ა ნ წ ე ს ე ბ ა ნ ი წ ო თ ა მ ო ც ი ქ უ ლ თ ა ნ ი“. მაგ. დიდი სჯულისკანონის ქართული თარგმანის „განწესებანი... მოციქულისა პავლესნი საეკლესიოთა კანონთათჳს“, „განწესებანი წთა მოციქულთა პეტრე და პავლესნი“, „ნაწილნი კ ა ნ ო ნ ე ბ რ ი ვ თ ა გ ა ნ წ ე ს ე ბ ა თ ა ნ ი“ უდრის ბერძნული დედნის „Παύλου του... αποστόλου διατάξεις περί χανόνων ἑχχλησιαστικῶν“ „Πετροῦ καί Παύλων τῶν ἀγίων ἀποστόλων διατάξεις“, „τίτλοι του χανονικῶς συνταγματικῶς“ (სჯულისკ. XB. II, 359, 365). მაშასადამე „გ ა ნ წ ე ს ე ბ ა ე“ ბერძნულს η δίαταξις ჰე დიატაქსის-სა და ლათინურს constitutio-ს უდრის.

საეკლესიო სამართალმა შეითვისა აგრეთვე ზოგიერთი განთქმულ მღვდელმთავართა თუმცა კერძო, გარკვეული შემთხვევით გამოწვეული, წერილები ანუ ეპისტოლეები, მაგრამ რომელთა შინაარსი საეკლესიო ცხოვრების რომელსამე მოუწესრიგებელ მხარეს ეხებოდა და მათ ავტორთა განსაკუთრებული გავლენიანობის წყალობით საყოველთაოდ მოწოდებული იყო. ასეთ ეპისტოლეებს ბერძნულად ეძახდნენ „ἐπιστολή χανονική“ როცა ერთი იყო, ხოლო კრებულს – „ἐπιστολαί χανονικά“, ლათინურად epistolae canonicae. ქართულად

ამის გამოსახატავად მიღებული იყო „ე პ ი ს ტ ო ლ ე კ ა ნ ო ნ ი ა ნ ი“. რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში მაგ. ნათქვამია: „გრიგოლ ეპისკოპოსისა ნეოკესარიელისა საკვრველთმოქმედისა ე პ ი ს ტ ო ლ ე კ ა ნ ო ნ ი ა ნ ი¹, დიდისა ბასილის... ე პ ი ს ტ ო ლ ე კ ა ნ ო ნ ი ა ნ ი გრიგოლის მიმართ, მისივე ე პ ი ს ტ ო ლ ე კ ა ნ ო ნ ი ა ნ ი გრიგოლის მიმართ ხუცისა, მისივე ე პ ი ს ტ ო ლ ე კ ა ნ ო ნ ი ა ნ ი ხორეპისკოპოსთა მიმართ, მისივე ე პ ი ს ტ ო ლ ე კ ა ნ ო ნ ი ა ნ ი მის ქუეშეთთა ეპისკოპოსთა მიმართ“ (ქკბი II, 59 60). ყველა ამ ძეგლების ქართული სათაური დიდი სჯულის კანონის თარგმანში „ეპისტოლე კანონიანი“ ბერძნული დედნის „ἐπιστολή χανονική“-ს უდრის (XB. II, 362-363).

გარკვეული მისამართითა და პირისადმი მიმართულ კანონიან ეპისტოლეებს გარდა არსებობდნენ ეპისტოლეები, რომელნიც ყველასათვის იყო განკუთვნილი წასაკითხავად და სახელმძღვანელოდ.

ასეთს ძეგლს ბერძნები ეძახდნენ „εϋχέλιοϋ ἐπιτολή“ ფრანგ. encyclique. ქართულად ამ ცნებისათვის ორი განსხვავებული ტერმინი მოიპოვება ძეგლს მწერლობაში: ერთი მათგანი „საყოველთაოდ ეპისტოლე“ ამ ცნების აზრის გადმომცემია, ხოლო მეორე „მრგული ვმოსავლელი ეპისტოლე“ სიტყვასიტყვითი თარგმანია. რადგან ეს ორი ტერმინი ერთისა და იმავე ძეგლის სათაურში გვხვდება, აქ უნებლიეთ აზრი იბადება, რომ სხვადასხვაობა შესაძლებელია მთარგმნელთა სხვადასხვაობით აიხსნებოდეს. დიდი სჯულის კანონში ნათქვამია: გენადი წისა პატრიარქისა კოსტანტინუპოლისისა... საყოველთაოდ ეპისტოლე“ (XB, II, 365), „მრგული ვმოსავლელი ეპისტოლე გენადი წისა ეპისკოპოსისა კსტინუპოლისისა“ (იქვე II, 376). ბერძნულად ორთავე შემთხვევაში სწერია „εϋχέλιοϋ ἐπιτολή“ (იხ. იქვე). თანამედროვე სამეცნიერო იურიდიულს მწერლობაში შეიძლება ორივე ტერმინი გამოყენებულ იქმნეს ისე-კი, რომ თვითოეულს მისთვის უფრო შესატყვისი მნიშვნელობა მიენიჭოს.

საკვლესიო სამართლის ერთ-ერთ წყაროდ აგრეთვე მწერლობის ის დარგი იქცა, რომელიც სახელგანთქმულ მოძღვართადმი მიმართული კითხვების საპასუხოდ დაწერილ ნაწარმოებს წარმოადგენდა და თითოეულ წამოყენებულ კითხვაზე შესატყვის პასუხს შეიცავდა. ამგვარ ძეგლებს ლათინურად ეწოდებოდა *responsa* –

1) თ. ჟორდანისას ასე აქვს დაბეჭდილი „კანონი ანი (ე. ი. ერთი)“-ო. მაგრამ აქ „ანი“ დაბოლოებაა და არა რიცხვითი ნიშანი.

onica“ ბერძნულად ἡ ἐρωταπὸχρῖσις“, ქართულად-კი „კითხვა მიგებაა“. დიდი სჯულის კანონის ქართული თარგმანის „ტიმოთე მთავარეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა... მის მიერ აღწერილთა კითხვამიგებათაგან კანონნი იე“ ბერძნული დედნისას უდრის: „ἐχτὸν παρὰ Τψοθέου ἀρχιεπισκόπου Ἀλεξανδρείας τοῦ... γραφεισὸν ἐρωταποχρῖσεων χανόνες ἰε“ (XB, II, 364). როდესაც საპასუხო ეპისტოლე კითხვა-პასუხის სახით-კი არ იყო დაწერილი, არამედ მხოლოდ პასუხს შეიცავდა, ბერძნულად ერქვა „ἀπόχρῖσις χανονική“, ლათინურად „*responsa canonica*“, ხოლო ქართულად „მიგება კანონებრივი“. სჯულის კანონში ნათქვამია: „მიგება კანონებრივი ტიმოთე... ალექსანდრიელისა“, რაც უდრის ბერძნული დედნის „ἀπόχρῖσις χανονική Τψοθέου... τοῦ... Ἀλεξανδρείας“ (XB, II, 375)

იმას, რაც თვითოეულ ერს კაცთა საზოგადო ყოფა-ცხოვრებისა და მოქმედებადამოკიდებულებათა უზენაეს და ჭეშმარიტ გამსაზღვრელ მცნებად მიაჩნია, იმას რასაც რომაული სამართალი „*norma agendi*“ს, ხოლო გერმანელნი „*das objective Recht*“ ფრანგები „*droit positif*“, რუსები „*объективное право*“-ს ეძახიან, – იმას ქართულად „სამართალი“ ჰქვია (ცმ გვლ ხმთა გვ. ლბ. მზ; ბაგრატ კურაპალატის სასამართლო წიგნი). ეს სიტყვა „მართალი“-საგან არის წარმომდგარი, რაც თავდაპირველად „სწორესა“ ნიშნავდა. ამისდა მიხედვით „სამართალი“ც სისწორესა, სწორობასა აღნი-

შნავს და ამ მხრივაც ფრანგულს droit-ს, რომელიც ლათინურ „directu“ (= სწორეს)ისაგან არის წარმომდგარი, და გერმანულს Recht-ს უდრის. უძველეს დროს „სამართალ“საც სწორედ ეს მნიშვნელობა ჰქონდა, მაგ. იოანეს სახარებაში ნათქვამია: „ნუ თუალხუმით შჯით, არამედ ს ა შ ჯ ე ლ ი ს ა მ ა რ თ ა ლ ი ს ა ჯ ე თ“-ო. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიაც გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ს უწერია: „ს ა მ ა რ თ ა ლ არს სიტყუად შენი“, „ს ა მ ა რ თ ა ლ იყო სიტყვსგებად იგი“ო (ც~დ გგ~ლ ხნძ~თდ გვ. ლ, მე) ესე იგი „შენი სიტყვა ს წ ო რ ე ა, კამათი სწორე იყოო“. დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი ს ი ს ტ ო რ ი კ ო ს ი ც ამ აზრის გამოსათქმელად, რომ რუის-ურზნისი საეკლესიო კრებამ ყოველგვარი შეცდომა და კანონის შელახვა გაასწორა, შემდეგს წინადადადება-სა ხმარობს: „ყოველი ცთომილი გ ა ნ მ ა რ თ ე ს“-ო (*გვ. 291).

თუ უძველეს ხანაში ტერმინი „სამართალი“ სწორესა ჰქონდა, შემდეგში მას სწორედ norma agendi-ს მნიშვნელობა მიენიჭა. უეჭველია ამაზე უწინარესაც უნდა ჰქონოდა ამ ტერმინს ასეთი განყენებული ცნების მნიშვნელობა, მაგრამ ძეგლების გამოუქვეყნებლო-

- 8 -

ბისა და შეუსწავლელობის გამო ამ ჟამად პირველ საკანონმდებლო ძეგლად, სადაც „სამართალს“ უკვე სრულებით გარკვევით norma agendi-ს მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ მე-XIV ს. ბექა-აღბუდას სამართლის წიგნის სათაური „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე“ და სვიმონ მეფის 1590 წლის განწესება მეკობრეთმძებნელებზე შემოძლიან დავასახელო. იქ მეფეს ნათქვამი აქვს: „ვისაც სასისხარი საქმე ჰქონდეს, ჩუენს კარზედ მოვიდეს და რა რიგადცა კ ა რ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა ს ა მ ა რ თ ა ლ ი იყოს, ისრე გარდასწყვიტონ“-ო (ს~ქს სძვ~ლნი II, 24). ამით სვიმონ მეფეს უნდოდა ეთქვა: სისხლის სამართლის საჩივარი სახელმწიფო კანონების მიხედვით გადასწყვიტონო. მე-XVII-XVIII ს. ს-ში ეს სიტყვა ერთად-ერთი ტერმინია ამ განყენებული ცნების გამოსახატავად, მაგ.: ვახტანგ VI კანონების კრებულში დასავლეთი საქართველოს მე-XVI ს. საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლს სათაურად აქვს „ს ა მ ა რ თ ა ლ ი კ ა თ ო ლ ი კ ო ზ თ ა“ გიორგი V ბრწყინვალის ძეგლის დადებას „ს ა მ ა რ თ ა ლ ი მეფისა გიორგისა“ ეწოდება, ათაბაგ ბექას და აღბუდას კანონებს ქვიან „ს ა მ ა რ თ ა ლ ი აღბუდასი, ვახტანგ VI საკანონმდებლო ძეგლსაც თავში აწერია „ს ა მ ა რ თ ა ლ ი ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ნ ა ბ რ მ ა ნ ე ბ ი“, დასასრულ სომხურითგან და ბერძნულითგან ნათარგმნ საკანონმდებლო ძეგლებსაც ხომ „სამართალი სომხური“ და „სამართალი ბერძნული“ ეწოდება. თუმცა ყველა ამ ზემომოყვანილ შემთხვევებში „სამართალი“ შემოკლებულ გამონათქვამს წარმოადგენს „ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ი გ ნ ი“-ს მაგიერ და ვახტანგ VI კრებულში სომხური კანონების თარგმანის პირველ წინადადებაში ნათქვამია კიდევ: „ესე წიგნი არს დიდის სომხეთისა ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ი გ ნ თ ა ზ ე დ ა ნ გა დ მ ო თ ა რ გ მ ა ნ ე ბ უ ლ ი“-ო, მაგრამ როგორც „ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ი გ ნ ი“ აგებულობითაცა და მნიშვნელობითაც გერმანულს Rechtsbuch-ს უდრის, ისევე „სამართალი“ ყველა ასეთ შემთხვევებში ლათინურს jus-ს, ფრანგულს droit-სა და გერმანულს Recht-ს ეთანასწორება.

იმავე მნიშვნელობით, რაც „სამართალსა“ ქონდა, ძველ ქართულ მწერლობაში სიტყვა „ს ჯ უ ლ ი“, ანუ „შჯული“-ც იხმარებოდა (ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, გ. მ ე რ ჩ უ ლ ი ს ც ო გ ო ლ ხ ნ ძ თ ლ ს ა გვ. მვ, მთ და „ძეგლის წერა რუის ურბნისის 1103 წ. კრებისა ქ კ ბ II, 61). ბერძნულითაგან ნათარგმნ თქმულებებში ὁ νόμος ჰო ნომოს-ს უდრიდა, რაც კანონს, სამართალს ჰნიშნავდა. ეს სიტყვა ზმნა „სჯა“-სგან არის ნაწარმოები და თავდაპირველად ნაბჭობის, გადაწყვეტილის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ძველ ქართულ მწერლობა-

- 9 -

ში „სჯულს“, ან „შჯულს“ მაინც უფრო სარწმუნოებრივი, საეკლესიო სამართლის მნიშვნელობის ელფერი ედვა და ამით იგი ტერმინისაგან „სამართალი“ განსხვავდებოდა.

ის, რასაც რომაულს სამართალში *facultas agendi*, გერმანულად *das subjective Recht*, რუსულად *право субъективного смысла* ერქვა, ქართულად „უ ფ ლ ე ბ ა“ ეწოდებოდა (ყველგან ძველს ნაწერებში, დაბადებისა და სახარების თარგმანშიაც).

სამართალი ან ერის საზოგადოებრივი ცხოვრებით შექმნილი ჩვეულება და წესია, ან სახელმწიფოს მთავრობისა და კანონმდებელი კრების გაჩენილია ხოლმე. უუძველეს ხანაში რასაკვირველია სამართალი და ერის ზნე-ჩვეულება ერთიდაიგივე იყო, შემდეგ, როცა კაცობრიობა განვითარდა და წარმატებული მოქალაქეობრივი ცხოვრება შექმნა, მაშინ სამართალი ზნე-ჩვეულებას დამორდა, დაწინაურდა და კანონდებულ სამართლდა გადაიქცა. რაკი იმ ხანაში, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს, კანონებს საქართველოში ჩვეულებრივ მეფის მიერ მოწვეული სამღვდელოებისა, მაღალ წოდებისა და მოხელეობის წარმომადგენელთა და „საბჭოთა საქმეთა მეცნიერთა“ კრება, ან სახელმწიფო დარბაზი ადგენდა ხოლმე, ამიტომ სამართალს იმ დროს „გ ა ჩ ე ნ ი ლ ი“ სამართალი ერქვა (ზაგრატი კურაპალატის სასამართლო წიგნი), ხოლო თვით მოქმედებას „გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა“ ეწოდებოდა, – „გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა“ სარწმუნოებისა და დ ე ბ უ ლ ი ს ა ი ნ ე ს ლ თ ის მე ტ ყ ვ ე ლ ის ა (სჯულისკანონი, XB, IV, 115 – 116), რაც ბერძნულ *ἐχθεσις*-ს უდრის, – ანუ „გ ა ნ ა ჩ ე ნ ი“ (გიორგი V-ის ძეგლის დადება, შესავალი).

კანონმდებელი კრება სასამართლო წიგნს ადგენდა ხოლმე, ეს იყო მისი ბჭობისა და შრომის ნაყოფი და ნაშთი, ამის გამო ამისთანა კრების ნაღვაწსა და დადებულს „მ ე გ ლ ი“ ეწოდებოდა ხოლმე. მაგ. ე ფ თ ვ ი მ ე მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი მე-VI-ე მსოფლიო კრების კანონების ქართული თარგმანის შესავალში ამბობს: წევრებმა „ა ლ წ ე რ ი ლ ი ი გი მართლისა სარწმუნოებისა მ ე გ ლ ი და საეკლესიო იგი კანონნი წინაშე ღთისმსახურისა კონსტანტინე მეფისა წარიკითხეს“-ო (იხ. *ДВ. т. 2, в. III, 1903 წ.*, გვ. 78). ბერძნულითაგან ქართულად ნათარგმნ თხზულებებში „მ ე გ ლ ი ს წ ე რ ა“ ბერძნულ *ἐκθεσις* ექთეზისს უდრის (სჯულისკანონი, XB IV, 117), რუის-ურბნისის საეკლესიო კრების შედგენილი კანონებიც ხომ „მ ე გ ლ ი ს წ ე რ ა“-დ იწოდება თვით დედანში. გიორგი მე-V-ე ბრწყინვალის სამართლის წიგნსაც „მ ე გ ლ ი ს და დ ე ბ ა“

ჩენილიყო „ძეგლითა, განაჩენითა და დადებითა“ (მეგლის დადება, შესავალი). კანონმდებელი კრების განაჩენი, რომელიც კრების „ძეგლად“ უნდა ჩათვლილიყო, სამეფოს სამართლად მიეცემოდა, „და ედებოდა“, ის „დადებულ იყო“. გიორგი ბრწყინვალის მიერ მოწვეული კანონმდებელი კრების შედგენილ სასამართლო წიგნს ამიტომ ჰქვიან „ძეგლის დადება“. უძველეს ხანაში დადების მაგიერ „დასხმა“ და „დადებულის“ მაგივრადაც „დასხმული“ იხმარებოდა, მაგ. ამბობდნენ „კანონი დასხმული“, რაც ბერძნულ $\chi\alpha\nu\acute{o}\nu\epsilon\varsigma \acute{\epsilon}\chi\tau\epsilon\mu\acute{\epsilon}\nu\tau\epsilon\varsigma \pi\rho\omicron\upsilon\gamma\epsilon\nu\acute{\epsilon}\sigma\tau\epsilon\rho\iota$ -ს უდრიდა (სჯულის კანონი XB II, 371, 367).

როგორც ტერმინი „სამართალი“-ს განმარტებისათვის მოყვანილი მაგალითებითგანა ჩანს, საკანონმდებლო ძეგლს მე-XIV- XVIII ს. ს-ში „სამართლის წიგნი“-ც ეწოდებოდა და მე-XVII – XVIII ს ს-ში უფრო ხშირად სწორედ ეს ტერმინი იხმარებოდა.

განცალკევებული საკანონმდებლო ძეგლის გარდა, რასაკვრველია, ამნაირი ძეგლების კრებულებაც არსებობდა ხოლმე როგორც საეკლესიო უწყებაში, ისევე სახელმწიფო სამოსამართლო დაწესებულებაში. ბერძნები კანონების ამგვარ კრებულს უწოდებდნენ $\Sigma\upsilon\alpha\gamma\alpha\chi\eta \chi\alpha\nu\acute{o}\nu\alpha\nu$. არსენი იყალთოელს ამის შესატყვის ტერმინად ნახმარი აქვს „შეკრებაჲ კანონთაჲ“ (სჯულისკანონი, XB. II, 360).

ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება აგრეთვე ტერმინები „კოდიკო“ და „დიგესტნი“. ტბ. სახ. უნივ. N 9 ხელთნაწერში პირველი ამ ტერმინთაგანის მნიშვნელობის განსამარტავად ნათქვამია: „კოდიკოჲ არს სახელი ჰრომაული და ეწოდების გუჯარსა განვრცელებით მქონებელსა სამეფოთა რათამეპირთა დასჯულდებათასა“-ო (XB II, 357). ეს სიტყვა ლათინურია და, როგორც „ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“-ში განმარტებული მაქვს, „კოდექს“-ი შეკვრას და წიგნსა ჰნიშნავდა (გვ. 31). ზემომოყვანილი ქართული განმარტების მიხედვით „კოდიკოჲ“ საკანონმდებლო ძეგლების ვრცლად, ანუ მრავლად მქონებელ კრებულს წარმოადგენდა და არსებითად ეს ახსნა სწორეა. ჩვენი „კოდიკოჲ“ კოდექსის ნასესხებ ბერძნულ ფორმას წარმოადგენს და საფიქრებელია, რომ ზეპირად შეთვისებული სიტყვა უნდა იყოს. თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში ეს ტერმინი აღდგენილი უნდა იყოს კოდექსის აღსანიშნავად. „კოდიკოჲ“ სხვადასხვა საკანონმდებლო ძეგლების უბრალო მექანიკურ გროვასა და შენაკრებს-კი არ ეწოდება, არამედ შინაარსის მხრით შეთანხმებულ კანონების კრებულს, რომელშიაც სხვადასხვა-დროინ-

დელი ძეგლების ურთიერთმორისი შეუთანხმებლობა და წინააღმდეგობა მოსპობილია და ამ გზით მთლიანობა დამყარებული იყო.

იმავე ხელნაწერის განმარტებით „დიგესტნი კულა ეწოდების ჰრომაულად წიგნსა ყოველთამეპირატესთა

ბ რ ძ ე ნ თ ა ს ა, ვითარ სოლონისა, სოკრატისა, პლატონისა, არისტოტელისა და ეგვიპტისა ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო თ ა წ ე ს თ ა ზ ე და გ ა ნ ვ რ ც ე ლ ე ბ ი თ თ ქ მ უ ლ თ ა წ ი გ ნ თ ა შ ე მ ო კ ლ ე ბ ი თ მ ქ ო ნ ე ბ ე ლ ს ა წ ი გ ნ ს ა მ რ ა ვ ა ლ ნ ა წ ი ლ [ე დ] ს ა „-ო (XB II, 357). „დიგესტი“ ლათინური სიტყვაა. იუსტინიანე კეისარმა 530 წ. ქ. შ. შექმნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც გამოჩენილი რომაელი იურისკონსულტების სამართლის შესახებ დებულებათა ამონაწერების შეთანხმებული კრებულის შედგენა დაავალა. ეს დავალება 529 წ. შესრულებულ იქნა კიდევ: კომისიამ ამგვარი კრებული შეადგინა და მას სახელად ლათინურად *digesta* ეწოდა, ბერძნულად-კი *πανδέκται* „პანდექტა“. ქართული განმარტებაც სწორედ ამიტომ ამბობს, რომ დიგესტნი რომაულად ერქვა წიგნს, რომელიც ყველა საუკეთესო ბრძენთაგან „სამოქალაქო წესთა ზედა“ ვრცლად თქმული წიგნების დებულებათა „შემოკლებით მქონებელი“ იყო, ე. ი. სხვადასხვა ვრცელ ნაწარმოების მოკლე ამონაწერებს შეიცავდა. გამონათქვამი „სამოქალაქო წესნი“ აქ სამოქალაქო სამართალს-კი არ უნდა გულისხმობდეს, არამედ მოქალაქეობრივ, კულტურულ ცხოვრებას. ქართული განმარტებით დიგესტნი, ანუ პანდექტები მრავალნაწილედ წიგნს წარმოადგენს.

სამართლის წიგნის „ნ ა წ ი ლ ი“ ქართულ იურიდიულ ნათარგმნ მწერლობაში ბერძნული ტერმინის *ὁ τίτλος* ჰო ტიტლოს-ისა და ლათინური *titulus* ტიტულუს-ის შესატყვისობას წარმოადგენს: დიდი სჯულისკანონის წინადადება *συναγαγή χαρίων ἐχχλησιαστικῶν εἰς ἰο-τίτλους* დიოქიმენი ქართულად მაგ. ნათარგმნია „შეკრება კანონთა საეკლესიოთა განყოფილი ათოთხმეტ ნაწილად“ (XB II, 360). ტიტულუსი, ან ტიტლოსი თავდაპირველად წარწერას, ზედაწერილსა ჰნიშნავდა. ეს ჩვენ წინაპრებსაც სცოდნიათ. ტფ. სახ. უნივ. N 9 ხელნაწერის განმმარტებელს მაგ. შემდეგი ცნობა მოეპოვება: „ჩვეულება რომთა იყო... შეტყუებულთა ფიცართა ზედა სჯულთა¹ პირთა სხუათა მათ თქმულთა და დაჰკიდებდნენ ურაკპარაკთა ზედა (მოედნებზე) ქალაქისათა, რათა არავინ იყოს უმეცარ სჯულისა. ამ ჩუეუ-

¹) დაბეჭდილია „სასჯელთა“ მაგრამ შემდეგითგან ირკვევა, რომ სამართალზე საუბარი და „სასჯელთა“ აქ შეცდომა უნდა იყოს.

ლების მკობელმან პილატე დაწერა ტიტლოსი ფიცარსა იესოს-თვის სამწილად მაუწყებელი“-ო. ხოლო „ტიტლოსნი, რომელთა ჩუენ უწოდთ ნაწილებად პირთათჳს, ნივთნი არიან, ჰრომაულად ტიტლოსად წოდებულნი, ესე იგი არს პირთა რათმე მქონებელნი ფიცარნი, გინა განსაგებელთა, გინა საქებელთა, ანუ საგიობელთა“ (XB, II, 358).

განმარტება მთლად მკაფიო არ არის. *Titulus* ჰნიშნავდა წარწერას, სათაურს წიგნისას, ან თავისას, ფიცარზე იქმნებოდა იგი გამოყვანილი, თუ სხვა რაიმე ნივთიერებაზე. საკანონმდებლო ძეგლების კრებულში ტიტლოსი ამ კრებულის ნაწილს აღნიშნავდა, რათგან თვითოეულ ნაწილს თავისი საკუთარი სათაური ჰქონდა. ეს ტერმინი ფრანგულ იურიდიულ მწერლობაშიაც არის შესული და

იქაც le titre კადიკოსს ნაწილს აღნიშნავს.

რაკი მე-XIV ს-ზე უწინარესი ქართული საერო კანონმდებლობის ძეგლები დაკარგულია, ან ჯერ აღმოჩენილი არ არის, არა ვიცით რა დანამდვილებით, იხმარებოდა თუ არა ტიტლოსი, ან ნაწილი იმდროინდელ ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში. ვახტანგ VI სამართლის წიგნშიც-კი არც ერთი ამ ორ ტერმინთაგანი არ გვხვდება, თუმცა თვით ძეგლი მართლაც ნაწილებად არის დაყოფილი. ამ სამართლის წიგნში ნაწილების აღმნიშვნელ ტერმინად ნახმარია სიტყვა „კარი“ და იქ სწერია მაგ.: „კარი თეთრის გარიგებისა“, „კარი გაყრისა და ერთმანერთის დამორებისა“, „კარი ვალისა“ და სხვა.

როგორც აღნიშნული იყო უმძველეს ხანაში სამართალი დამყარებული იყო ზნე-ჩვეულებაზე. „ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა ე“ ადამიანის ისეთს ქცევას ჰქვია, რომელსაც იგი უნებლიეთ მისდევს, რომელსაც იგი ჩვეულია. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ავტორი მოგვითხრობს მაგალითად, რომ „ესრწთ იყო ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა ე ც ა მის ჟამისა წინამძღუართა მამათა, რამეთუ თვნიერ დედისა ფებროიასგან ხრავისა საქმე არაჲ ველყვიან“-ო (ც~ა გ~ლ ხ~ძე, ნზ). იგივე ავტორი ფიქრობს, რომ როცა აშოტ კურაპალატმა სხვა ქალი შეიყვარა, ეს ეშმაკის ბრალი იყო, იმიტომ რომ „პირველ არა აქუნდა ეგე ვითარი ჩუეულება (ibid ნვ.). გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი ც მოგვითხრობს, რომ „ესე ვითარი ჩ უ ე უ ლ ე ბ ა ე აქუნდა წმიდასა მამასა ჩუენსა ეფთჳმეს, რამეთუ სამთა დღეთა შჯდულისათა – ორშაბათსა, ოთხშაბათსა და პარასკევსა-სენაკსა თჳსსა მზის დასვლასა პური და წყალი იკმარის“-ო (ც~ი ი ე და ე~ფსი, 39, იხ. აგრეთვე გვ. 22). მაგრამ „ჩ უ ე უ ლ ე ბ ა ე მ ა რ ტ ო კ ე რ ძ ო, თ ვ ი თ ო ე უ ლ ი ა დ ა -

მ ი ა ნ ი ს ქ ც ე ვ ა ს - კ ი ა რ ე რ ქ ვ ა, ა რ ა მ ე დ ა დ ა მ ი ა ნ თ ა მ თ ე ლ ი ჯ გ უ ფ ი ს, გ ვ ა რ ო ვ ნ ო ბ ი ს, წ ო დ ე ბ ი ს, და ს ი ს, ა ნ მ თ ე ლ ი ე რ ი ს ზ ნ ე ს ა და ქ ც ე ვ ა ს ა ც: მატიაზე ქართლისაჲ მაგ. ამბობს, რომ ქართლის აზნაურობამ ბაგრატ III-ის დროს ისევ ზაკვას მიჰყვეს ხელი „ვითარცა არს ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა ქართლისა აზნაურთა“-ო (გვ. 238), ხოლო „ძეგლის წერის“ დამწერნი აღიარებენ, რომ „წარმომადგენლობითი“ გვირგვინის კურთხევისა და ქორწინების წესი საქართველოში „კ ა ც ო ბ რ ი ვ ი ს ა ქ ც ე ვ ი ს ა და ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი ს ა“ ნაყოფიარო (ქ~კები II, 66). ამიტომაც არის, რომ ე ფ თ ჳ მ ე მ თ ა წ მ ი - დ ე ლ ი მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილების ბერძნული დედნის XI კანონში სიტყვას εθις „ეთოს“ ქართულად „ჩვეულება“-დ სთარგმნის (იხ. მუხ. კთ).

სიტყვა „წ ე ს ი“ სხვებზე უფრო ხშირად გვხვდება ძველ ქართულ მწერლობაში და არც გასაკვირველია. „წ ე ს ი“ აღნიშნავს ისეთს ცნებას, რომელიც საზოგადოებრივს, სახელმწიფოსა და საეკლესიო ცხოვრებაში მუდმივ მოქმედობს. მნიშვნელობით სიტყვა „წესი“ არც სამართალს, არც შჯულს და არც კანონს არ უდრის და არ ეთანასწორება. პირიქით ძველ მწერლობაში „წესი“ და „შჯული“ თითქმის ყოველთვის გარკვეული, განსაკუთრებული მნიშვნელობით იხმარება და ერთიმეორის მაგიერ არ ზის ხოლმე. „წ ე ს ი“ ყ ვ ე ლ ა -

ზე უწინარესად ჩვეულ ებას ერქვა. გიორგი მთაწმინდელი, მაგალითად მოგვითხრობს: „წესი იყო მამისა ჩუენისაჲ (ეფთამესი), რომელ ტრაპეზსა ზედა ყოვლადვე არა უბნობენ“-ო (ც^დ ი^ე და ე^ფსი, 40), ან კიდევ „წესი იყო მამისა ჩუენისაჲ, რომელ უკუეთუ დიდი რაჲმე საქმე არნ, გინა სამეფოდ, გინა ბჭისაჲ, ეკლესიას დაიუბნის ძმანი“ო (იქვე 41). ამ ორსავე წინადადებაში ავტორი ეფთჳმე მთაწმინდელი ჩვეულ ებებზე ლაპარაკობს და აქსიტყვა „წესი“ გარკვეული რიგისა და წესიერების დამამყარებელ ჩვეულ ებას ჰნიშნავს, ისეთს ჩვეულ ებას, რომლის აღსრულებაც მონასტრის სხვა ბერებისათვისაც სავალდებულო იყო და გახდა. ამიტომაც არის, რომ მეექვსე მსოფლიო კრების დადგენილების ბერძნულ დედნის § 17-ის სიტყვები „*ἰοὺδαῖχιδι ἐθετοῦ ἐπιμένων*“ „იუდაეკომს ეთეზინ ჰეპომენონ“ (ებრაელ ჩვეულ ებათა მიხედვით) თვით ეფთჳმემ ქართულად გადასთარგმნა „ეს წესი ებრაული არს“ (მუხ. ლ^დ). ამიტომვეა, რომ დიდი რჯულისკანონის ქართული თარგმანის „წესი“ ბერძნული დედნის ἡ δὲ ἀρχὴ „ჰე დიატაქსის“-ს უდრის (იხ. XB II, 366) ამნაირად „წესი“ გერმნულ Anordnung-ს ეთანასწორება.

ამნაირივე მნიშვნელობა აქვს „წესს“ გუარამ მამფალის სიტყვაში, რომლითაც მან გრიგოლ ხანძთელს მიჰმართა: „უკუეთუ ქუეყანისა ჩუენისა ერიკაცი ვინმე... მიიწიოს იერუსალჳმად ანუ სხუათა წმიდათა ადგილთა და იხილოს რაჲმე კეთილი წესი, რომელ ქრისტიანობასა შუენოდის და ჩვენ შორის არ იყოს“, შეიძლება, თუ არა ჩვენშიც თავისნებით შემოიღოსო (გრ^გლ ხ^ნძთლს ც^დ, მ^წ). აქ გუარამს სარწმუნოების სიმბოლო, დოგმატები და კანონები-კი არ აქვს მხედველობაში, არამედ კეთილი ჩვეულება, წესრიგი. ქრისტიანობაც ხომ ორი უმთავრესი ნაწილისაგან შესდგებოდა: თვითოეულს კეთილმორწმუნეს ჰქონდა „ტვრთი შჯულისაჲ და წესი ქრისტიანობისაჲ“ (გრ^გლ ხ^ნძს ც^დ, მ^წ). ამისდაგვარად თვითოეულ მართლმადიდებელს უნდა სცოდნოდა „წესი და შჯული“ (იქვე მთ): შჯული სარწმუნოების აღსარებას, სიმბოლოს და საეკლესიო სამართალს, კანონებს შეიცავდა, წესი კიდევ ცხოვრებისა და ქცევვის რიგს, საქრისტიანო და საეკლესიო ჩვეულ ებას. ეფთჳმე მთაწმინდელიც მეექვსე კრების დადგენილების § 4 ბერძნული დედნის წინადადებას „*τὰς ἀρχαίς πάντες ἀρχιμένον*“ ქართულად სთარგმნის „წესი კეთილ არს ყ^ნისავე რ^ი იწყებოდეს“ (§ ბ, 84). ამ გვარი გარკვეული ყოფა-ცხოვრებისა და ქცევვის რიგი, აღწერილი იყო იგი თუ დაუწერელი, მაინც წესად იწოდებოდა.

რაკი მონაზონების ყოველდღიური ცხოვრება სამუდამოდ გარკვეულ რიგზე იყო დამყარებული, დილითგან დაწყებული მეორე დღემდე მათი თვითოეული მოქმედების დრო და ხასიათი წინდაწინვე განსაზღვრული იყო: დილით ერთ დროს დგებოდნენ, ერთ დროს ლოცულობდნენ ეკლესიაში, ერთად, ერთსა და იმავე დროს იძინებდნენ ხოლმე, ამიტომ ამ გარკვეულს სამონასტრო ცხოვრების რიგსაც „წესი“ ერქვა. უფრო ხშირად იგი დაწერილი ინახე-

ბოდა ხოლმე თვითოეულ მონასტერში, მაგრამ შეიძლება დაუწერელიც ყოფილიყო და მხოლოდ ზეპირი გარდმოცემითა და ჩვეულებით სცოდნოდათ. გიორგი მთაწმინდელის შესახებ მაგალითად ნათქვამია, რომ მან ქართველ საზოგადოებასა და სამღვდელოებას „წ ე ს ნ ი დაუსხნა წ ე რ ი თ და უწერელად“ (ც~დ გ~ი მ~თწ~დ, გვ. 328)

სამონასტრო ცხოვრებისათვის სახელმძღვანელო და სავალდებულო დებულებას ან დამფუძნებელი ადგენდა ხოლმე, ან თვით ძმობა ერთობლივ. მაგალითად ხანძთაში თვით გრიგოლ დამაარსებელმავე „განაწესა წ ე ს ი თვისისა ეკლესიისა და მონასტრისა“ (ც~დ გრ~გლ ხნ~დ, კ). დავით აღმაშენებელი კიდევ მოგვითხრობს, რომ შიო-

- 15 -

მღვიმის მონასტრისათვის ჩემის მოძღვრის რჩევით „წ ე ს ს ა ზ ე და ს ჯ მ ო ნ-წ მ ი ნ დ ი ს ა დავსხენ მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ა მღვიმისა წ ე ს ი“ (შმ~დ საბ. 16). ეს იყო მონასტრისათვის სავალდებულო წ ე ს დ ე ბ ა, სადაც წევრების მიღების შესახებ, შინაურ და საეკლესიო („წ ე ს ი ლ ო ც ვ ი ს ა“, ც~დ ი~ე და ე~ფი, 53) ყოფაქცევაზე, მონასტრისა და მის ქონების გამგეობაზე („ს ა კ ე ლ ა რ ო დ ს ა წ ე ს ი“ იქვე, 49) ეწერა და თვითოეული წესდების მუხლის დარღვევისათვის გარკვეული სასჯელი იყო დაწესებული¹. გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი მოგვითხრობს, რომ იოანე მთაწმინდელმა სიკვდილის წინ „უფლებად მამას ეფთჳემს მისცა, რათა, რ ო მ ე ლ ი ც ა განგებად და წ ე ს ი ე ნ ე ბ ო ს, ი გ ი ც ა და უ დ ვ ა ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ს ა და მ ა ს ზ ე და გ ა ნ კ ა ნ ო ნ ო ს“ (ც~დ ი~ე და ე~ფესი, 22). როცა გრიგოლ ხანძთელმა სამონასტრო წესდების წინააღმდეგ თავის მონასტერში ორი უწვერული ჭაბუკი შემოიყვანა, ბერებმა იუცხოვეს და თავიანთ სულიერ მამას უსაყვედურეს: „წ ე ს ს ა შ ე ნ გ ა ნ და მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ს ა“ შენვე არღვევ, შენი საქციელი სამონასტრო წესდებას ეწინააღმდეგება, „გ ა რ ე შ ე წ ე ს ი ს ა არც საქმე ეს“ (ც~დ გრ~გლ ხნ~დ, კზ).

ხოლო რაკი სამღვდელოება და მონაზონები საეკლესიო წესის მიმდევარნი და მსახურნი იყვნენ, ამიტომ სასულიერო პირს ზოგჯერ „მ ო წ ე ს ე“-ს უმახდნენ: „მოწესენი და ერისკაცნი“ (ძეგლის წერა, ქ~კები II, 68).

„წ ე ს ი“ მ ა რ ტ ო ს ა მ ო ნ ა ს ტ რ ო-ს ა ე კ ლ ე ს ი ო წ ე ს დ ე ბ ა ს, დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა და ჩ ვ ე უ ლ ე ბ ა ს-კ ი ა რ ე რ ქ ვ ა ა რ ა მ ე დ, ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ს და ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა ც. მაგალითად იმ გარკვეულს ჩვეულებებსა და რიგსა, რომელსაც ქართველი მეფეების დარბაზობის დროს მისდევდნენ და ასრულებდნენ, ექვა „წ ე ს ი ს ა ხ ლ ი ს ა ს ა ჯ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა“ (ისტორიანი და აზმანი *643, გვ. 426) და დ ა რ ბ ა ზ ო ბ ი ს წესი (ისტორიანი და აზმანი *669, გვ. 459). დარბაზობის დროს მხოლოდ განსაზღვრულს დიდებულ მოხელეთა ჯგუფს შეეძლო მეფის წინაშე მჯდარიყო, სხვები უნდა მდგარიყვნენ. ამას გარდა ამათ შორისაც, ვისაც ჯდომა შეეძლოთ, ზოგს სასთაულის უფლებაც ჰქონდა, ზოგნი-კი უსასთაულოდ უნდა მსხდარიყვნენ. ამის შესახებ გარკვეული, მტკიცე დებულება არსებობდა, რომელსაც ერქვა „წ ე ს ი ჯ დ ო მ ი ს ა და დ გ ო მ ი ს ა“ (ისტორიანი და აზმანი *677, გვ. 470). იმ ჩვეულებებს, რომლითაც სტუმარი და მასპინძელი

1) იხ. ხანძთის მონასტრისა (ც~დ გ~ლ ხნ~ძთი გვ. კ – კბ), ათონისა (ც~დ ი~ე და ეფ~სი 35 – 53) და ვაჰანის მონასტრის ტიბიკონები (შ~მლ~ს სბთ~ზი 30 – 43).

ერთი ერთმანეთს დარბაზობის დროს მიესალმებოდნენ ხოლმე „მოკითხვის წესი“ ერქვა (ისტორიანი და აზმანი *643 და 677, გვ. 459 და 470). დასასრულ, იმ ჩვეულებებს, რომელთაც მიცვალებული მეფის დატირებისა და გლოვის დროს მისდევდნენ და ასრულებდნენ, „გლოვის წესი“ ეწოდებოდა (იქვე, *618 – 619, გვ. 393). ზოგი წესი ჩვეულებაზე იყო დამყარებული, ზოგი კიდეც „მეფეთა განწესებულ“ იყო. თავის დალოცვაში გრიგოლ ხანძთელმა აღნიშნა ბაგრატ კურაპალატის ღვაწლი და სთქვა „გლახაკთა ნაწილი (საქველმოქმედო) თქუენ მიერ განწესებულ არს“-ო (ც~დ გრ~გლ ხნ~ძი, ლბ). ერთი სიტყვით „წესი“ საზოგადოებრივი ცხოვრებისა და დაწესებულების მართვა-გამგეობის მომავვარებელ ჩვეულებას, რიგსა და დებულებას ერქვა და არა სასამართლო კანონს.

სიტყვა „განგება“ს თითქმის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც „წეს“ს, მაგ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში საბაწიღური სამონასტრო წესი იწოდება „საბაწმიდისა განგება“დ (იხ. გვ. კ). როცა ამ ცხოვრების ავტორი ხანძთის სამონასტრო წესის აღწერას იწყებს, აღნიშნული აქვს, „განგებად ყოველი ვერ დაიწერა წიგნსა მას, არამედ თითო სიტყუად ყოვლისაგან“ (იქვე, კ), შემოკლებული შინაარსი წესდებისაო. გიორგი მთაწმინდელის თხზულებითგანაც ჩანს, რომ სამონასტრო წესი, ანუ ტიბიკონი „განგება“-დაც იწოდებოდა. იგი რომაულ ეკლესიაში განთქმულ ბენედიკტეს სამონასტრო წესდებას „განგება“-ს უძახის და მოგვითხრობს, რომ ქართველების მეგობარი რომაელი ბერები ათონის მთაზე „ცხოვნდებიანკანონსა და განგებასა ზედა წმიდისა ბენედიკტესსა“-ო (ც~დ ი~ე და ე~ფსი, 31).

მარტო სამონასტრო ტიბიკონი-კი არა, საეპისკოპოსოს წესსა და რიგს, სარგოსი და შემოსავლის განჩინებასაც „განგება“-ს ეძახდენ. ისტორიკოსი, მაგალითად, მოგვითხრობს, რომ როცა ლეონ აფხაზთა მეფემ მოქვის ეკლესია ააშენა და საეპისკოპოზო საყდრად გახადა, „განასრულა ყოვლითა განგებობითა“-ო (მატიანე ქ~დ *457, გვ. 233).

„განგება“ საზოგადოდ გამართვას, მოწყობასა კნიშნავდა: როცა მაგალითად გიორგი მთაწმინდელი გვამცნებს, რამდენად მძიმე იყო ათონელი ქართველი ბერებისათვის ვენახში მუშაობა, აღნიშნავს, რომ ახალნერგი ვენახი ჰქონდათ და ვაზებს „ყოველთა სარითა განგებად უნდა“-ო (ც~დ ი~ე და ეფ~სი, 47), სარის შედგმა სჭირდებოდაო. საზოგადო, საეკლესიო, ან

სახელმწიფო საქმეების მოწესრიგებასა და გამართვასაც „განგება“ ეწოდებოდა. მაგ. როცა გუარამ მამფალმა დაინახა, რომ ქართველ სამღვდელოებს ეწყინა და იუკადრი-

სა მისი ჩარევა კათალიკოზის არჩევანის საქმეში, ფიცხლავ უკან დაიხია და დაუთმო: „თქუნებან ჯერ არს განსაგებელი განგებად“-ო (ც~დ გრ~გლ ხმ~დ, მზ). გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი ც მოგვითხრობს, რომ იოანე ათონელმა სამონასტრო საქმეების მართვა თავის შვილს ეფთჳმეს უანდერძა: „შინა და გარე, ვითარცა ენებოს, ეგრეთ განაგოს“-ო (ც~დ ი~ე და ე~ფსი, 22), ხოლო მამის სიცოცხლის დროსაც ეფთჳმე „გ ა ნ ა გ ე ბ დ ა ს ა ქ მ ე თ ა მონასტრისათა, ვითარცა იკონომოსი“ (იქვე, 21). სახელმწიფო მართვა-გამგეობასაც „განგება“ ერქვა. მემატიაზე მოგვითხრობს მაგ., რომ გიორგი აფხაზთა მეფემ „გ ა ნ ა გ ნ ა და განაწყუნა ყოველნი ს ა ქ მ ე ნ ი კეთილნი მამულსა და ს ა მ ე ფ ო ს ა თ ჯ ს ს ა“ (მ~ტნე ქ~დ *452, გვ. 229), ხოლო როცა ბაგრატ მე-III-ე ქართლისა და აფხაზთა მეფედაც დასვეს, იმავე მემატიაზე სიტყვით იგი „გარდამოვიდა ქართლს, რათა გ ა ნ ა გ ნ ე ს ს ა ქ მ ე ნ ი დაშლილნი ქართლისანი“. მაგრამ ქართლის აზნაურებს მისი მოსვლა არაფრად მოეწონათ, „რამეთუ თუთეულად გ ა ნ ა გ ე ბ დ ე ს ს ა ქ მ ე - თ ა ქართლისათა“ (იქვე, *664, გვ. 239). ამისდა მიხედვით ყ ვ ე ლ ა ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო მ ა რ თ ვ ა - გ ა მ გ ე ო ბ ი ს ს ა ქ მ ე ე ბ ს „გ ა ნ ს ა გ ე - ბ ე ლ ი“ ეწოდებოდა. გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი სწერს, რომ, როცა ბასილი და კონსტანტინე მცირეწლოვანები იყვნენ, „ყოველი გ ა ნ ს ა გ ე ბ ე ლ ი დედოფალსა ეპყრა და პარაკიმენონსა“-ო (ც~დ ი~ე და ეფ~სი, 10).

ამ გვარად თუმცა მნიშვნელობით „გ ა ნ გ ე ბ ა“ „წეს“-ს მიაგავს, მაგრამ განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ „წესი“ განსაკუთრებით საზოგადოებრივი ცხოვრებისა და დაწესებულების მართვა-გამგეობის დებულებასა და რიგს ერქვა, „გ ა ნ გ ე ბ ა“-კი ამას გარდა თვით მართვისა და მოწესრიგების მოქმედებასაც აღნიშნავდა.

კანონებისა და წესის შემოღებას ბევრი სხვადასხვანაირი სახელი აქვს ქართულად, მაგალითად: „დასხმა კანონთა“ (მეგლისწერა, ქკბი II, 59) „გ ა ნ წ ე ს ე ბ ა“ (იქვე, 59, 65, ც~დ გგ~ლ ხმ~დ მთ, ც~დ ი~ე და ე~ფსი 22), რომელიც მეექვსე მსოფლიო კრების ეფთჳმეს თარგმანში ბერძნულ დედნის ῥαίჯα“ და „διαγορεῖα“ „ჰორიძო“, „დიაგორეუო“-ს უდრის (შეადარე მუხ. ზ~=ჯ, მ~ა=ჟ; კ~ზ=ჯე) „გ ა ნ ს ა ზ - დ ვ რ ა“ (მეგლისწერა, ქკბი II, 64) და „გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა“ (იქვე 64, 59).

კ ა რ ი მ ე ო რ ე .

ქ ა რ თ უ ლ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ყ ა რ ო ე ბ ი .

როგორც აღნიშნული გვექონდა საქართველოს სოციალური ისტორიის შესასწავლად კანონმდებლობის ყოველგვარი მეგლები უნდა იქნეს გამოყენებული. რადგან ქართული საეკლესიო სამართლის, როგორც მოცულობა ისევე მისი მოქმედების ასპარეზი მარტო წმინდა საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებით არ განისაზღვებოდა, არამედ გაცილებით უფრო ფართო დანიშნულება და სარბიელი ჰქონდა, რაკი ეკლესიას საქართველოში თავისი დროშა და საკუთა-

რი ჯარი ჰყავდა, თავისი ყმები და სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესებზე მოწყობილი მოხელეობა მოეპოვებოდა, თავისი ეკონომიკური პოლიტიკა ჰქონდა და თავისივე სასამართლო, ამიტომ ქართულ ეკლესიას ბევრის მხრით სახელმწიფოებრივი სხეულის თვისებები ეტყობა. ამის გამო შეუწყნარებელი შეცდომა იქმნებოდა, თუ ჩვენ ქართული საეკლესიო სამართლის შესასწავლად მარტო მსოფლიო და ადგილობრივი საეკლესიო კრებების ძეგლისწერით დავკმაყოფილდებით. ასე რომ მოვიქცეთ, მაშინ არც ერთ ზემოჩამოთვლილ საყურადღებო საკითხთაგანისთვის საჭირო ცნობები არ გვექნებოდა, რათგან, ვითარცა პატრონყმობის ნიადაგზე აღმოცენებულთ, ამ დაწესებულებებს მსოფლიო ეკლესიის კანონმდებლობასთან ძალიან მცირე კავშირი ჰქონდათ, ზოგჯერ-კი სრულებით არავითარი დამოკიდებულება-კი არ იყო მათ შორის. ამგვარად ცხადი ხდება, რომ ქართული საეკლესიო სამართალი საეკლესიო სამართლად მარტო იმ მნიშვნელობით-კი არ უნდა იწოდებოდეს, რომ მისი შინაარსი მხოლოდ ეკლესიას, ვითარცა სარწმუნოებრივს დაწესებულებას, ეხებოდა, არამედ იმ მნიშვნელობითაც, რომ იგი ეკლესიის როგორც სახელმწიფოებრივი ცხეულის ყოფა-ცხოვრების წარმონაშობი იყო. მაშასადამე, ქართული საეკლესიო სამართალი მარტო შინაარსით-კი არ იყო საეკლესიო, არამედ წარმომდინარეობით. ამ მხრივ ქართული საეკლესიო სამართალი უფრო რომის კათოლიკეთა ეკლესიის „Corpus juris canonici“-ს მიაგავს, ვიდრე აღმოსავლეთის ეკლესიის, ბერძენთა და რუსთა საეკლესიო სამართალს იმგვარადვე, როგორც ქარ-

– 19 –

თული ეკლესია თავისი წესწყობილებით ბევრი თვისებებით უფრო რომის საშუალო საუკუნეების ეკლესიას მიაგავდა, ვიდრე ერთმორწმუნე ბერძენთა და რუსთა ეკლესიებს.

ქართული საეკლესიო სამართალი ჩვენ ამ ჟამად გვანტერესებს თავისი წმინდა საეკლესიო თვისებით-კი არა, არა ვითარცა საეკლესიო სამართალი, *jus canonicum*, არამედ როგორც საეკლესიო წესწყობილების მომწესრიგებელი ერთის მხრით და მეორეს მხრით ვითარცა სახელმწიფოებრივი სხეულისა და ეკლესიის და დაწესებულებათა პატრონი, ამასთანავე რამდენადაც საეკლესიო სამართლის მოძღვრებას სისხლისა და სამოქალაქო სამართალზე გავლენა ჰქონდათ. წმინდა საეკლესიო სამართალი, მისი საიდუმლოებათა და შეცოდებულთა შესახები კანონმდებლობა ჩვენი კვლევის სფეროს გარეშე დარჩება.

თავი I.

საეკლესიო სამართლის ძეგლები.

§ 1. მსოფლიო კრებების კანონმდებლობა.

ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა მეტადრე ადგილობრივ, ქართული საეკლესიო სჯულდებუ-

ლებას აქვს, მაგრამ მსოფლიო ეკლესიის კრებების დადგენილებანი და ბერძნული სჯულისკანონიც ძვირფასია მკვლევარისათვის ჯერ ერთი იმიტომ, რომ კანონმდებლობის ეს ძეგლებიც მოქმედ სამართლად იყვნენ საქართველოში, მაშასადამე, მათი ქართული თარგმანის ცოდნა ქართ. სამართლის ისტორიის მკვლევართათვის აუცილებლად არის საჭირო. მეორეც იმიტომ, რომ ამ თარგმანში მეცნიერი უხვ მასალას იპოვის ქლი იურიდიული ტერმინოლოგიის შესასწავლად. სჯულის კანონის წიგნები საბერძნეთში იყო შედგენილი. ამგვარი მოღვაწეობით მეტადრე კონსტანტინეპოლის საპატრიარქო იყო განთქმული. უკვე ძველი დროითგან ცნობილია და უადრესი პატივისცემა დამსახურებული ჰქონდა ერთ კრებულს, რომელიც 14 თავად ანუ ტიტლოსად იყოფებოდა და თავისი მრავალი უპირატესობს გამო „დიდ სჯულის-კანონად“ იწოდებოდა. მის უმთავრეს ღირსებად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ იგი შინაარსისდა მიხედვით სისტემურად და ქნოლოგიურადაც არის დალაგებული. ამასთანავე იქ სამოქალაქო კანონმდებლობითგანაც მეტია შეტანილი და სხვადასხვა ძვირფასი ძეგლებითგან ნაკვეთებიც არის ამოღებული.

– 20 –

ეს „დიდი სჯულის-კანონი“ უცნობი კერძო პირის მიერ შედგენილი პირველად მე-VI-ე საუკ. ჩნდება და იმთავითვე სხვა კრებულებს სჯობნის ისე, რომ თანდათან თითქმის განსაკუთრებით მხოლოდ იმასლა ხმარობენ, მეტადრე მე-VII-ე საუკ.-ითგან მოყოლებული კონსტანტინეპოლის სამწყსოს ეკლესიებში (В. Н. Б е н е ш е – в и ч. Грузинский Великий номоканон. ХВ. წ. IV, გვ. 349350). თუ ამ კრებულის დიდ მნიშვნელობას გავიხსენებთ ცხოვრებისათვის და მეტადრე საეკლესიო მართლმსაჯულებისათვის, შეიძლება დავასკვნათ, რომ „დიდი სჯულის-კანონი“ ალბად IX – X სს.-ში ქართულადაც უნდა ყოფილიყო ნათარგმნი, მეტადრე მას შემდგომ, რაც სამცხისა და უფრო-კი ტაო-კლარჯეთ-შავშეთის ქართულ სამონასტრო ცენტროებში სამწერლობო მოღვაწეობა გაჩაღდა და ბიზანტიის განათლების უმთავრეს სავანეებთან მჭიდრო სულიერი კავშირი შეიქმნა.

მაგრამ უცნაურია, რომ ამ ხანაში „დიდი სჯულის კანონი“-ს ქართული თარგმანის არც არსებობის შესახებ მოგვეპოვება ცნობები და ამ დროითგან არც თვით ამგვარი ძეგლებია შერჩენილი. ისეთი ცნობა, რომელიც უნებლიეთ „დიდი სჯულის კანონი“-ს თარგმანის ქართულად არსებობას გვაფიქრებინებს, პირველად ე ფ თ ჯ მ ე მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი ს შრომაში გვხვდება, რომელიც მე-VI-ე მსოფლიო კრების კანონების თავისს თარგმანს „მ ც ი რ ე ს ა... რჩულის კანონსა“ უწოდებს (ვ. ბ ე ნ ე შ ე ვ ი ჩ. იქვე, 350). მისი სიტყვებითგან შეიძლება დავასკვნათ, რომ „დიდი რჩულის-კანონი“-ც არსებობდა¹. ამ აზრს არ ეთანხმება კორნელი კ ე კ ე ლ ი ძ ე, რომელსაც შესწავლილი აქვს ამ ძეგლის შემცველი ქართული ხელთნაწერები. ერთს მათგანში, გელათის მონასტრის XII – XIII სს. ხელთნაწერში შენახულია ანდერძი, რომელიც ამ საკამათო საკითხს ეხება და აშუქებს. მისი გადამწერი გრიგოლ ჩახრუხაძემ თავის თავზე ამბობს: „დიდის გულმოდგინებითა გარდაწერე თვისითა ჳელითა ქრისტიანეთა წინამძღუარი დ ი დ ი

ესე სჯულის კანონი საუკუნოდ მოვსენებულისა და ჩუენ ქართულთა თჳს ფრიად ჭირთათავს მდებელისა არსენი იყალთოელისა თარგმნილი: საუკუნო ყოს ღთნ ვსენებად მისი“-ო (იქვე იხ. ვ. ბენეშევიჩის ზემოაღნიშნულ გამოკვლევა, სადაც მოყვანილია კორ. კეკელიძის მიერ მისადმი მიწოდებული ყველა ცნობები და თვით მისი პირადი მოსაზრებაც ქართ. დიდი სჯულის კანონის თარგმანის შესახებ XB. წ. V.

¹⁾ შუად. კორ. კეკელიძის აზრს (იქვე, 1917 წ. წ. V, 125 – 126).

1917 წ. გვ. 120 – 121) რაკი რუის-ურბნისის 1103 წ. საეკლესიო კრების ძეგლისწერას ქართული დიდი სჯულის კანონის არსებობა ნათლად ეტყობა, ამიტომ კორ. კეკელიძემ სამართლიანად დაასკვნა, რომ არსენი იყალთოელს ზემოაღნიშნული დიდი შრომა უთარგმნია მე-XI-ე საუკ. დასასრულს, უკანასკნელ ოცეულში (იქვე, გვ. 125). მაგრამ ქართ. საეკლესიო ისტორიისა და მწერლობის მკვლევარი მარტო ამ დასკვნით არ დაკმაყოფილებულა, არამედ ამტკიცებს, რომ პირველად არსენ იყალთოელმა თარგმნა ქართულად დიდი სჯულის კანონი და მანამდის ამ ძეგლის ქართული თარგმანი არ არსებობდაო (იქვე, 125). ამ დასკვნას ვ. ბენეშევიჩი არ ეთანხმება, მაგრამ თვითვე გრძნობს, რომ კორ. კეკელიძის საბუთიანობის საწინააღმდეგო პატივისაძებნი მოსაზრება ვერ წამოუყენებია (იქვე, 126).

პროფ. კ. კეკელიძე ეხლაც, თავის 1923 წ. გამოცემულ „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომში ამტკიცებს, რომ „მეათე საუკუნის გასვლამდე ქართულ ენაზე არ შენახულა არამცთუ რაიმე კანონიკური კრებული, არამედ ცოტად თუ ბევრად ეჭვმიუტანელი და კატეგორიული ცნობა ასეთი კრებულის არსებობის შესახებ“ (გვ. 607). შემდეგ მას გარჩეული აქვს ის ცნობები, რომელთა მიხედვით მსოფლიო ეკლესიის კანონების ქართული ძეგლის თარგმანის არსებობის გულისხმობა შესაძლებელია და ამტკიცებს, რომ კირიონ ქართლისა კათალიკოზის აბრაამ სომეხთა კათალიკოზისადმი მიმართულ წერილში მოხსენებული ოთხი მსოფლიო კრების წიგნი ბუნდოვანი გამონათქვამია, და კ. კეკელიძის აზრით „აქ იგულისხმება წიგნი, რომელშიაც მოთავსებული ყოფილა ოთხთა კრებათა დადგენილებანი, მაგრამ არა ყველა, არამედ მხოლოდ დოღმატიკური ხასიათისა, ეგრედწოდებული სარწმუნოებრივ-აღსარებითი ფორმულები, ან სიმბოლო სარწმუნოებისა, რომელიც სწორედ ოთხ კრებაზე ჩამოყალიბდა საბოლოოდ და რომელიც აღნიშნულ მომენტში შეადგენდა საცილობელ საგანს ქართველთა და სომეხთა შორის. ასეთი ფორმულები-კი, რასაკვირველია, იმთავითვე იქნებოდა ქართულად ნათარგმნი, მაგრამ ეს უფრო დოღმატიკური მწერლობის ძეგლია, ვიდრე კანონიკურისა“-ო (იქვე, 607 – 608). შემდეგ მისივე აზრით ეფთჳმეთაწმინდელი მე-VI მსოფლიო კრების დადგენილებებსა და იოანეს ქოლასტიკოსის პენიტენციალურ კრებულს არ გადმოსთარგმნიდა, რომ „ან ესენი, ან, მით უმეტეს, თოთხმეტტიტლოვანი კრებული ქართულად მის დრომ-

დე ნათარგმნი ყოფილიყო“-ო (იქვე, 608).

- 22 -

ამ თავის წიგნშიაც კ. კეკელიძე არღვევს ვლ. ბენეშევიჩის აზრს, რომ მე-X ს-ში პატრიარქ ფოტიოსის დიდი თოთხმეტტიტლოვანი სჯულისკანონის ქართული თარგმანი არსებობდა, და მისი საბუთების საპასუხოდ ამტკიცებს, რომ სინას მთის ქართული წიგნთსაცავის კატალოგის ნაწყვეტში მოხსენებული „ერთი დიდი კანონი“ ნამდვილად სჯულისკანონს კი არ ჰქონია, არამედ იგულისხმება „ლიტურდიკული კანონი“, რომელიც ცნობილია „იერუსალიმის განჩინებისა და განწყობების სახელით“-აო. ხოლო, თუ ეფთვიძემ თავის თარგმნის მე-VI მსოფლიო კრების ძეგლისწერას „მცირე შჯულისკანონი“ უწოდა, ესეც დიდი რჯულისკანონის ქართული თარგმანის არსებობის დამატკიცებელ საბუთად ვერ გამოდგება, იმიტომ რომ „მეექვსე მსოფლიო კრების შჯულისკანონი ნაწილია დიდი შჯულისკანონისა, მაშასადამე, სრულიად ბუნებრივია, რომ იმ წიგნს, რომელიც შეიცავს მხოლოდ ნაწილს მთელისას, მან მცირე უწოდა; თუმცა ისიც შეიძლება, რომ ფრაზა მცირესა შჯულისკანონისა ექვთიმეს ჩვეულებისამებრ ეხმაროს ამ შემთხვევაშიაც სიმდაბლით, იმ აზრით, რა აზრითაც იტყვიან ხოლმე: „ეს ჩემი მცირე ნაშრომიო“. დასასრულ არც ბენეშევიჩის მიერ მოყვანილი მელქისედეკ კათალიკოსის 1020 წ. სიგლის ცნობა „შჯულისკანონი ახალი ერთი“ მიაჩნია კ. კეკელიძეს დამაჯერებელ საბუთად, რათგან „სიტყვა ახალი კიდევ არ ნიშნავს რომელიმე ახალს რედაქციას ან კრებულს; მელქისედეკს შეეძლო ასე ეწოდებინა თუგინდ ექვთიმეს მიერ ნათარგმნი კრებულისათვის, რომელიც მან ახლად გადააწერია“-ო (იქვე, 608-609).

პროფ. კ. კეკელიძის საბოლოო დასკვნა ამგვარია: „ასე და აშნაირად, პირველს ორ პერიოდში ჩვენში შჯულისკანონი ჯერ კიდევ არ ყოფილა ნათარგმნი“ და „მხოლოდ მეთორმეტე საუკუნის პირველს მეოთხედში, რუს-ურბნისის კრების შემდეგ, ქართულად ითარგმნა პატრიარქი ფოტის თოთხმეტტიტლოვანი «დიდი შჯულისკანონი»; მთარგმნელი მისი არის, როგორც მტკიცედაა დამოწმებული თვით ნუსხებით, არსენ იყალთოელი“-ო (იქვე, 609 – 610).

კორ. კეკელიძის ღვაწლია, რომ გამოარკვია, რომ არსენი იყალთოელს დიდი სჯულისკანონი ქართულად უთარგმნია. მაგრამ იგი უეჭველია შემცდარია, როდესაც ამტკიცებს, ვითომც ეს თარგმანი საზოგადოდ ამ შესანიშნავი ძეგლის პირველი ქართული თარგმანი იყოს, ჯერ ერთი ეს თვით გრიგოლ ჩახრუხაძის ანდერძში ნათქვამი არ არის. მეორეც –

- 23 -

მარტოს გარემოება, რომ არსენი იყალთოელს ეს ძეგლი მე-XI-ე ს. დამღვეს და მე-XII ს. დამდევს უთარგმნია, თავისდათავად მისი თარგმანის პირველობას არ ამტკიცებს. ჩვენ ვიცით, რომ სახარება ქართულად, სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, ოთხჯერ

მანც სხვადასხვა დროს იყო ნათარგმნი (იხ. ქ~ლი ერის ისტორია II, 485 – 487). ქართული მწერლობის ისტორიამ არა ერთი და ორი მაგალითი იცის, როდესაც ძველი ქართული თარგმანი შემდეგ თაობათა მოღვაწეებს დაუწუნებიათ და ძეგლის ხელახალი თარგმანი საჭიროდ უცვნიათ. ეფრემ მცირე ისეთი დახელოვნებული და გამოჩენილი მეცნიერი მთარგმნელის შრომასაც-კი, როგორც გიორგი მთაწმინდელის სამოციქულოს თარგმანია, წუნსა სდებდა (იხ. ნ. მარრის Предварит. отчет о работах на Синае... и в Иерусалиме в 1902 г. Сообщ. прав. Палест. общ. т. XVI, ч. II, 28-30).

ჩვენ ვიცით, რომ ისეთი უწყინარი რამეც-კი, როგორც საგალობლებია, ქართულად ერთიდაიგივე ნაწარმოები სხვადასხვა დროს სხვადასხვა გამოჩენილი მწერლის მიერ იყო ნათარგმნი. მაგ. ანდრია კრიტელის საგალობელნი ჯერ ეფთჳმე თარგმნა, მერმე გიორგიმ, მაგრამ არც ერთი და არც მეორე შრომა მერმინდელ ქართველობას აღარ აკმაყოფილებდა და ამის გამო დავით აღმაშენებელმა მისი ხელახლად, მესამედ გადათარგმნა არსენი იყალთოელს მიანდო (იქვე, 42). ამიტომ, კ. კეკელიძის მოსაზრება, რომ ეფთჳმე „მცირე შჯულისკანონს“ არ გადმოსთარგმნიდა, დიდი შჯულისკანონის თარგმანი რომ ყოფილიყო, საფუძვლიანი და დამაჯერებელი არ არის.

საფიქრებელია, რომ დიდი სჯულის კანონის თარგმანსაც ამგვარივე თავგადასავალი უნდა ჰქონოდა. როგორც კარგად განსწავლულს მეცნიერსა და ფილოსოფოსს, არსენი იყალთოელს, იოანე პეტრიწსა და ეფრემ მცირესავით, წინანდელი ქართული თარგმანები არ აკმაყოფილებდა და ამიტომ შეუდგა დიდი შჯულისკანონის ხელახლად თარგმნას. იქმნებ ეს საქმე მას დავალებულიც-კი ჰქონდა, როგორც დავით აღმაშენებლის დავალებით გადაუთარგმნია მას მესამედ ანდრია კრიტელის საგალობლები. მაგრამ ამ მკაცრ მეცნიერთა მთარგმნელობითს მოლაწეობას ყველა არ შეჰხაროდა, არამედ მრავალი მოწინააღმდეგეც ჰყავდა. ამას ცხადჰოფს ეფრემ მცირეს (იქვე, 29 – 30) და ი~ე პეტრიწის ჩივილიც (იხ. ნ. მარრის Иоанн Петр. ЗВОРАОН, XIX გვ. 44 – 45), და მათ ნაშრომს ბევრ ქართულ მონასტრებში არც-კი ჰქონდათ გასავალი. გრ. ჩახრუხაძემის სიტყვებიც მგონია ამტკიცებენ, რომ არსენი იყალთოე-

ლის ნათარგმნს დიდს სჯულისკანონსაც, ალბათ ამავე მიზეზის გამო, პირველ ხანებში გასავალი არა ჰქონია. ამას ჰშინებია, რომ მის მიერ გადაწერილი არსენი იყალთოელის თარგმანი შეიძლება ჯვარის მონასტერში არ მიეღოთ. აი რასაც სწერს იგი: „უკუეთუ ღირს მყოს ღმერთმან და წმიდასა მონასტერსა პატოოსნისა ჯუარისასა შინა შეიწყნარონ, არა დავაკლდები ხილვასა ამასსა, და თუ არა, ვიდრე ცოცხალ ვიყო... მე მქონდეს და შემდგომად ჩემსა სადაც ღმერთმან ინებოს“-ო (ვ. ბენეშვიცი, Груз. Вел. номоканон: ХВ. V. 1917. გვ. 121). არსენი იყალთოელის შრომა რომ დიდი სჯულისკანონის პირველი ქართული თარგმანი ყოფილიყო, დაუჯერებელია, რომ გრ. ჩახრუხაძეს შიში ჰქონოდა, ვადთუ ჩემი

გ ა რ დ ა ნ ა წ ე რ ი ა რ მ ი ი ლ ო ნ ო. პირიქით ის დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ მის საჩუქარს ორთავე ხელით მოეჭიდებოდენ. სამაგიეროდ ამგვარი ექვი ბუნებრივად გვეჩვენება, თუ წარმოვიდგენთ, რომ არსენის შრომა ხელახალი თარგმანი იყო და ამაზე წინათაც ამ ძეგლის ქართული თარგმანი არსებობდა.

ამგვარად ცხადი ხდება, რომ ა რ ს ე ნ ი ი ყ ა ლ თ ო ე ლ ი ს ნ ა თ ა რ გ მ ნ ი დ ი დ ი ს ჯ უ ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა რ თ უ - ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ი ა რ უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო, არამედ, უკანასკნელი თუ არა, მეორე მაინც. საეკლესიო კანონების კრებულის ქართული თარგმანი რომ ა რ ს ე ნ ი ი ყ ა ლ თ ო ე ლ ზ ე უ წ ი - ნარეს და კარგა ხნით ადრე უნდა ყოფილიყო, ამას ცოტა არ იყოს გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ი ს საისტორიო თხზულებაში შენახული ერთი ცნობაც გვაფიქრებინებს. მისი სიტყვით გვარამ მამფალს რომ საეკლესიო საქმეებში ჩარევა მოუნდომია და მისგან მოწვეულს საეკლესიო კრებაზე სიტყვა წარმოუთქვამს მძლავრობით მოხდენილი არჩევნების გასაბათილებლად, სხვათა შორის ხაზგასმით შეუნიშნავს: „წმიდანო მამანო ეპისკოპოსნო და მეუდაბნოენო, ი ც - ი თ ყ ო ვ ე ლ თ ა კ ა ნ ო ნ ი შ ჯ უ ლ ი ს ა დ, რამეთუ არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალიკოზისა მძლავრებით დაჯდომასა“ (ც ა გ ო ლ ხ ნ ძ თ ო ლ ს დ, გვ. მვ. 64 – 66). ამის საპასუხოდ გრიგოლ ხანძთელს აგრეთვე საბუთები საეკლესიო მსოფლიო კანონმდებლობითგან ამოუღია და მკაცრად უპასუხია: „შ კ ე ლ მ წ ი ფ ე ო ... ესე უწყოდე, რამეთუ... წ მ ი დ ა თ ა მ ო ც ი ქ უ ლ თ ა და ღ ი რ ს თ ა მ ა თ მ ღ ვ დ ე ლ თ მ ო მ - ღ უ ა რ თ ა გ ა ნ გ ა ნ ს ა ზ დ ვ რ უ ლ ს ა კ ა ნ ო ნ ს ა შ ი ნ ა არავე ბრძანებულ არს ერისკაცისა ვითარმცა ეპისკოპოსთა და წესისა წინამძღუართა მამათა განსაგებელისა სჯულის მოძღურებასა იკადრებ-

და“-ო (იქვე, გვ. მზ, 90-91, 96-100). ამ სიტყვებითგან ჩანს, რომ ორივე მოპირდაპირე მხარეს, როგორც ერისკაცს და მთავარს გვარამ მამფალს, ისევე რასაკვირველია საეკლესიო წრეების წარმომადგენელს გრიგოლ ხანძთელს შჯულის კანონის ცოდნაზე აქვთ დამყარებული თავიანთი მსჯელობა და საბუთიანობა; გრიგოლ ხანძთელს დასახელებული აქვს კიდევ შჯულის კანონის სახელდობრ რომელ ნაწილზე ამყარებდა თავის საპასუხო სიტყვას – მოციქულთა და მღვდელთ-მოძღუართაგან განსაზღვრებულს კანონებზე. თუ გრიგოლ ხანძთელი ამ კანონების დამსწრე მსმენელთაგან ცოდნას გულისხმობდა, მით უმეტეს წარმოუდგენელია, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებების კანონებიც ნათარგმნი არ ყოფილიყო. უეჭველია მღვდელთმოდ-ვართაგან განსაზღვრულ კანონთა შორის ხანძთის არქიმანდრიტს და მის ისტორიკოსს მსოფლიო კრებების კანონებიც ჰქონდა ნაგულისხმევი. თუნდაც მელქისედეკ კათალიკოზის 1020 წ. სიგელში მოხსენებულით „ს ჯ უ ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი ა ხ ა ლ ი ა“ (ქკ~ბი, II, 32) მართლაც ე ფ თ ვ მ ე მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი ს მიერ ნათარგმნი მეექვსე მსოფლიო კრების სჯულის კანონი იგულისხმებოდეს, როგორც კ ო რ ნ. კ ე კ ე ლ ი - მ ე ფ ი ქ რ ო ბ ს (XB, V 125), მ ა ი ნ ც ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა, რომ ძ ე ლ - ქ ი ს ე დ ე კ ი ა მ ძ ე გ ლ ს ა ხ ა ლ ს უ წ ო დ ე ბ ს, ძ ვ ე ლ ი ს ა რ ს ე ბ ო - ბ ა ს ა ც გ ვ ა ფ ი ქ რ ე ბ ი ნ ე ბ ს იმგვარადვე, როგორც გ ი ო რ გ ი

მთაწმინდელის მიერ ნათარგმნი სახარებისათვის მაშინ ქართულ მწერლობაში მიღებული ტერმინი „სახარება ახალი“ (იხ. ქ~კბი II, 90, XII ს. სახარების ანდერძი და სხვაგან ბევრგან) ძველი სახარების არაერთისა და ორი წინანდელი თარგმანის არსებობას ჰგულისხმობდა. პროფ. კ. კეკელიძის აზრი, ვითომც მელქისედეკ კათალიკოზისაგან 1020 წ. სიგელში ნახმარი გამონათქვამი „სჯულის კანონი ახალია:“ (ქ~კბი II, 31) შეიძლება იმ მნიშვნელობით იყოს ნახმარი, რომ ეს წიგნი მელქისედეკ კათალიკოზს საზოგადოდ აღნიშნული აქვს, რომ სვეტიცხოველი მან სრულად შეამკო სხვათა შორის „საღვთოდა წიგნებისა და წერითა“ (ქ~კბი II, 31), ე. ი. ყველა მისგან შეწირული წიგნები ახალგადაწერილები ყოფილა და თუ აქ მხოლოდ სჯულისკანონის შესახებ ხაზგასმით არის ნათქვამი „ახალი“-ო, ცხადია ამ შემთხვევაში მისი სიახლე გადაწერილობას არ უნდა ჰგულისხმობდეს. ყველა ამ მოსაზრებათა გამო უფრო სწორე იქნებოდა გვეფიქრა, რომ შჯულისკანონის ქართული თარგმანი არამც თუ მე-XII ს-ში, არამედ უკვე IX ს-აც უნდა ყოფი-

- 26 -

ლიყო. თუ მელქისედეკ კათალიკოზის სიტყვები ეფთვმეს მე-VI-ე მსოფლიო კრების კანონების თარგმანს არ გულისხმობდა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მე-XI-ე ს-ის დამდეგს კვლავ უნდა ეთარგმნათ სჯულისკანონი, რომელიც ახალად იწოდებოდა. ამ გარემოებას ისიც გვაფიქრებინებს, რომ რუის-ურბნისის 1103 წ. კრებას არსენი იყალთოელის ნათარგმნი სჯულიკანონისაგან სრულებით განსხვავებული რედაქცია ჰქონია (იხ. ქვევით). ხოლო სულ ბოლოს მე-XI ე ს-ის დასასრულს და მე-XII ს. დამდეგს დიდი სჯულის კანონი არსენი იყალთოელსაც უთარგმნია, რომლის თარგმანი, როგორც ეტყობა, ყველგან არ ყოფილა მიღებული.

ბუნებრივად იზადება აზრი, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში გ. მერჩულის მიერ მოთხრობილი ამბავი გვარამ მამფალისაგან მოწვეულ საეკლესიო კრებაზე მოპირდაპირეთა საბუთიანობის საეკლესიო კრებათა და მოციქულთა კანონებზე ჰგულისხმობს და მე-IX ს-ში ამ ძეგლის ქართული თარგმანი ზემოდასახელებული კრების მოკამათეთ უეჭველია შესწავლილი უნდა ჰქონოდათ. მაგრამ გამოსარკვევია, როდის უნდა ყოფილიყო საეკლესიო კანონები, ანუ მსოფლიო კრებათა საკანონმდებლო ძეგლები პირველად ქართულად გადმოთარგმნილი? ამ საკითხის გასაშუქებლად კირიონ კათალიკოზის ეპისტოლეში საყურადღებო ცნობა მოიპოვება. მას პროფ. კ. კეკელიძემ ისეთი მნიშვნელობა არ მიაკუთვნა და იმოდენი ყურადღებით არ მოეპყრო, როგორისაც ის ღირსია.

აღსანიშნავი, რომ სომხურ კრებულში, რომელსაც „ეპისტოლეთა წიგნი“ „Գիրք թղթոց“ ეწოდება და სხვათა შორის სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების შესახებ მიწერ-მოწერა აქვს დაცული, კირიონ კათალიკოზის ეს ეპისტოლე სრულად შენახული არ არის, არამედ აქ ეპისტოლეს მნიშვნელოვანი ნაწილი გადამწერთ გამორჩენიან და შინაარსიც ამის გამო დამახინჯებულია. საბედნიეროდ სომეხთა ისტორიკოსს უხტანესს ამ ძეგლის პირველი ნაწი-

ლი თავის თხზულებაში შეტანილი აქვს და ამნაირად „ეპისტოლეთა წიგნის“ ტექსტის დასაწყისის შევსება შეიძლება. მაგრამ უ ხ ტ ა - ნ ე ს ს ა ც კირიონ კათალიკოზის ეპისტოლეს ტექსტი სრულად არა აქვს გამოყენებული და მარტო მისით, უ-„ეპისტოლეთა წიგნო“-თ ამ წერილის მთლიანი შინაარსის აღდგენა შეუძლებელია, რათგან სწორედ ბოლოშია მოთავსებული ცნობა, რომელიც ჩვენთვის ამ ჟამად საინტერესო საკითხის გადაწყვეტის საშუალებას გვამძლევს.

- 27 -

კირიონ ქართლისა კათალიკოზს აბრაამ სომეხთა კათალიკოზისადმი მიმართულს თავის მესამე ეპისტოლეში ნათქვამი აქვს:

«*Որ եմէ վրասათս մեր կս-
մէք քննել և գէտել, ետու.
Թարվանսել և բերել գգիրս չո-
րից ժողովոցն, որով Հռոմսք
վարէն, և ի սուրբ Անաստաս
և ‘ ի սուրբն Սիոփ խոյն քա-
րոգի. եմէ կանիք և եմէ չ կս-
միք ըրաստ մեր այդ է»*
(*Ու խ տ ա ն է ս. Պատմութիւն
բաժանման վրաց ի չայոց.
1871 წ. გამოც., გვ. 87 – 88*)

„თუ რომ ჩვენი სარწმუნოების გამოძიება და ცოდნა გასურთ, მე გადმოვათარგმნინე და გაახლით ოთხთა კრებათ წიგნები, რომლითაც ჰრომნი ხელმძღვანელობენ და ანასტას-წმიდანა და წმიდა სიონში იქადაგების. გინდათ თუ არა, ჩვენი სარწმუნოება ეს არის“-ო (უ ხ ტ ა ნ ე ს. მოთხრობა ქართველთა განყოფილსა სომეხთაგან, 1871 წ. სომხ. გამოც. გვ. 87 – 88).

ამ სიტყვებითგანა ჩანს, რომ კირიონ კათალიკოზს აბრაამ კათალიკოზისათვის ოთხი მსოფლიო კრების აღსარების შემცველი ძეგლი გადმოუთარგმნინებია. ეს აღსარება ბიზანტიაში და იერუსალიმის ეკლესიაშიც ყოფილა მიღებული. ამ ცნობის მიხედვით მართლაც, როგორც კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე ც ამბობს, საკითხის გამორკვევა ძნელია, მაგრამ „ეპისტოლეთა წიგნში“ რომ ჩაიხედოს ადამიანმა, დარწმუნდება, რომ ქართლისა კათალიკოზი აქ სწორედ სარწმუნოების აღსარების შემცველ ძეგლზე ლაპარაკობდა. ხოლო ვინც ამ მესამე აპისტოლეს იმავე წიგნში ბოლომდე წაიკითხავს, იქ იმის პასუხსაც მიიღებს, თუ რაზე იყო კირიონ კათალიკოზის მიერ აბრაამ კათალიკოზისთვის გაგზავნილი სარწმუნოების აღსარება დამყარებული.

ქართლის კათალიკოზს თავის ეპისტოლეს ბოლოში ნათქვამი აქვს:

«*Արդ գայս գրեցաք ժասն սբրոյ, գի սրդար և գճմարիտ
Լասատն պաԼիգէք և կեսանս
անձամիք: ֆիունիցէք գի անձամր
իսչ գայս ոչ գրեցաք, այլ յիւրաքանսաչիւր ժողովոցն
գրոց»* (ֆիլք *Թղթոց*, გვ. 188).

„ხოლო დავწერეთ ესე სიყვარულისათვის თქვენდამი, რომ მართალი და ჭეშმარიტი სარწმუნოება დაიცვათ და ცხოვნდეთ. იცოდეთ, რომ თავით თვისით ამაში (იგულისხმება გადათარგმნილ აღსარებაში) არა დაგვიწერია რა, არამედ თვითოეული (საეკლესიო) კრებათა წიგნთაგან ამოღებულიო (ეპისტოლეთა წიგნი, სომხ. ტექ. 18. გვ. 188).

ამ სიტყვებითგან სრული უეჭველობითა ჩანს, რომ მე-VI – VII სს. საქართველოს ეკლესიას მსოფლიო კრებების მეგლისწერათა წიგნი ჰქონია და ამგვარად ქართული კანონიკური მწერლობა, ამ შემთხვევაში მსოფლიო ეკლესიის კანონების თარგმანების სახით მაინც, უკვე არსებობდა. რასაკვირველია ადგილობრითი კრებების მეგლისწერათა წიგნებიც იქნებოდა. მაშასადამე, ქართული კანონიკური მწერლობის დასაწყისად არამც თუ მე-XI ს. მიჩნევა არ შეიძლება, არამედ ამ დარგის მწერლობის პირველი ძეგლები უკვე ხანმეტობის ხანაში ყოფილა. მომავალი კვლევა-ძიების საქმეა გამარკვივოს გადარჩა, თუ არა რაიმე ამ დროითგან და რა თვისების იყო ეს ძეგლები.

ჯერჯერობით დიდი შჯულისკანონის ქართული თარგმანი არამც თუ გამოცემული არ არის, საკმაოდ შესწავლილიც კი არ ყოფილა. მხოლოდ ერთი გამოკვლევაა დაბეჭდილი ამ საკითხის შესახებ პროფ. ვლ. ბენეშევიჩის მიერ Грузинский великий номоканон по спискам Тифлисского церковного музея (ХВ. II, 349 – 377 და V, 112 – 127), რომელიც მხოლოდ ხელთნაწერების აღწერილობასა და შჯულისკანონის ნაწილებისა და თავების სათაურების შესახებ ცნობებსა და ზანდუკებს შეიცავს. სჯულისკანონის ქართული თარგმანის ისტორიისა და შედგენილობის თანდათან ცვლილებათა შესასწავლად ჯერჯერობით არც მტკიცე ცნობები მოიპოვება და არც შესაფერისი კვლევა-ძიება მოუხდენია ვისმე. მხოლოდ პროფ. კ. კეკელიძეს აქვს ეს საკითხი მოკლედ განხილული თავის „ქართული ლიტერატურის ისტორია“-ში. მისი აზრით არსენიყალთოელის ნათარგმნი დიდი სჯულისკანონი შემდეგში სხვა და სხვა ჩანართებით შეუვსიათ. ამნაირ ჩანართებად მიაჩნია მას: პეტრე და პავლე მოციქულების კანონები, „კანონი მეექუსე კართაგენს შინა შეკრებულთა მამათა“, რომელიც კართაგენის კრების მარტო მეექვსე კანონი, ანუ მუხლი-კი არაა, არამედ მეშვიდე და ორმოცდამესამე მუხლებიც, ამას გარდა მოციქალთა კანონების § 69, ღანღრის კრების § 19, პეტრე ალექსანდრიელისა 15, მოყვანილია სხვადასხვა წმიდა მამათა თხზულებებითგან ამოღებული ამონაწერები და ვრცელი ტრაქტატი სინანულისა და მარხვის შესახებ. ბერძნულად ამნაირი ძეგლი არა ჩანს (იხ. ქართ. ლიტ. ისტორია I, 610).

რუის-ურბნისის კრების დადგენილებით ქართული ეკლესიის მიერ ცნობილი იყო „დიდისა კლიმენტოსის მიერ“ დაწერილი მოციქულთა „კანონნი საეკლესიონი“, შვიდი მსოფლიო კრება (ნიკეი-

სა, კოსტანტინეპოლისა, ეფესოფსა, ქალკიდონისა, 2 კოსტანტინეპოლისა, სამეუფოსა, პალატისა გუმბადსა შინა მომხდარი, ე. წ. ტრჯლისა, 2 ნიკეისა), ექვსი ადგილობრითი კრება (ანკურიისა, ღანგრისა, ანტიოქიისა, ლაუდიკიისა, ფრიგიისა, კართაგენისა), 8 განთქმულ მამათა მიერ განჩინებულნი და თანაადრიცხულნი კანონნი და კანონიანი ეპისტოლეები პეტრე ალექსანდრიელისა, გრიგოლ ნეოკესარიელისა,

ბასილი დიდისა დიოდორესა, გრიგოლ ხუცისა, ხორეპისკოპოსთა, ქუეშეთთა ეპისკოპოსთა და ამფილოქესა მიმართ, გრიგოლ ნოსელი-სა, ტიმოთე ალექსანდრიელისა, ფილოთეოს ალექსანდრიელისა ღთის გამოცხადებისათვის, ავგინოსი, აგათონისა მინაჲსა ეპისკოპოსთა მიმართ, კვრილე ალექსანდრიელისა და გენნადი კოსტანტინეპოლელისა. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დადგენი-ლებით სწორედ „ესე არიან შეკრებანი წმიდათა და საეკლესიოთა კანონთანი, დაბეჭდულნი და დამარხულნი თუნიერ ყოვლისა შემატე-ბისა და მოკლებისა“ და ამ კანონების „მეცნიერებაჲ და შემდგომად და მტკიცედ პყრობად უქმს ყოველთა წინამძღუართა ქრისტიანობითისა მადიდებლობისათა: მღდელთმთავართა და მღდელთა და დიაკონთა და ჩუენ შორის მოძღურად სახელდებულთა მათცა(?) მონაზონთა და ერთბამად ყოველსა სავსებასა მართლმადიდებელთა ეკლესიისასა“-ო (ქკბი II, 60).

პროფ. კ. კეკელიძეს სამართლიანად აღნიშნული აქვს, რომ „შემადგენლობა სჯულის კანონისა რუის-ურბნისის კრების ძეგლის-წერით განირჩევა არსენის თარგმანის რედაქციისაგან; მაგალი-თად, ძეგლისწერაში არაა აღნიშნული სარდიკიის კრება, აგრეთვე გრიგოლ ღვთისმეტყველის და ამფილოქე იკონიელის კანონნი, მარ-ტვირი ანტიოქიელისა და ათანასე ალექსანდრიელის ეპისტოლენი; არსენის თარგმანში არაა მოხსენებული ვასილი დიდის 85 კანონი, სხვადასხვა ნაირადაა ჩამოთვლილი ამ წყაროებში ვასილის ეპისტო-ლენიც“. ყველა ამ გარემოებათა გამო კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ რუის-ურბნისის 1103 წ. კრების დროს დიდი სჯულისკანონის არსენი იყალთოელის თარგმანი ჯერ არ არსებობდა და ეს ძეგლი ნათარგმნია არსენი იყალთოელის საქართველოში 1114 წ. დაბრუ-ნების შემდგომად (ქართ. ლიტ. ისტ. I, 301).

რაკი ცხადი ხდება, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების წევრთ დიდი სჯულისკანონის კრებული არსენი იყალთოელისაგან თარგმნილი დიდი სჯულისკანონისაგან განსხვავებული შედგენილობის ჰქონიათ, ამით სრული უეჭველობით ირკვევა, რომ 1103 წ. დიდი სჯულისკანონის ქართული თარგმანი სხვა რედაქციის კანონთა კრე-

ბული ყოფილა. არსენი იყალთოელის თარგმანი სხვათა შორის საფიქრებელია ამ გარემოებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

§ 2. ეფთვიმე მთაწმინდელის ნაშრომები და სარედაქციო მუშაობა ამ სფეროში.

მსოფლიო ეკლესიის კანონმდებლობითგან ჯერჯერობით მხო-ლოდ ორი ძეგლის ქართული თარგმანია გამოცემული.

1. ერთია „წესი და განგება და სჯულისკანონი მეექუსისას კრებისა“. ეს თხზულება ეფთვიმე მთაწმიდე-ლისა მიერ ნათარგმნად ითვლება და მართლაც გიორგი მთა-წმინდელის სიტყვით „რჩული კანონი წმიდისა იოანე მმარ-ხველისაჲ და მეექუსისას კრებისაჲ“ ეფთვიმე მთაწმი-დელის ერთ-ერთ ნათარგმნ თხზულებათაგანია (ცდიე და ეფთსი,

29). † ა ლ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა ე ს ძეგლი მოსკოვში გამოსცა ოთხი ხელნაწერის მიხედვით, რომელთაგან ერთი XI-ს-ისაა, მეორე XVIII ს-ისა და საქართველოს საეკლესიო მუზეუმს ეკუთვნის, ქართული ტექსტის გამოცემა კრიტიკული არ არის და ხელნაწერებში არსებული სხვებრობა არსად აღნიშნული არ არის, თანაც არ ჩანს, რომელი ხელნაწერთაგანი იყო გამოცემის დროს საფუძვლად მიჩნეული.

გამომცემელსაც ნათქვამი აქვს (იხ. Правила VI Вселенского собора. Труды восточной комиссии Московского Археологического Общества т. II, 76-136), რომ ქართული თარგმანის ტექსტი ზოგიერთში ბერძნული დაბეჭდილი ტექსტისაგან განსხვავდება (იხ. გვ. 76.) არსებულ ბერძნულ მსგავს ძეგლებთან შედარება-კი ცხად ჰყოფს, რომ ქართულის მსგავსი რედაქცია ბერძნულში ჯერჯერობით მაინც არ ჩანს. ბუნებრივად იზადება საკითხი, რით უნდა აიხსნებოდეს ეს გარემოება? რასაკვირველია ბიზანტიური იურიდიული ძეგლები ისე არ არის შესწავლილი, რომ ხელნაწერებში გაბნეული მასალები ყველა შესწავლილად და ამოწყულად ჩაითვალოს და ამიტომ საბოლოო დასვნის გამოყვანა გაბედულად და უცდომელად შეიძლებოდეს, მაგრამ ზოგიერთი უდავო გარემოება ეხლაც უნდა აღინიშნოს. მე-VI-ე მსოფლიო კრების ძეგლისწერის ბერძნულ ტექსტებთან შედარებით ქართული ტექსტი სიდიდით სულ ცოტა ერთიორად სჭარბობს. ამ გვარად ცხადი ხდება, რომ ქართული ტექსტი შეუძლებელია ბერძნული ცნობილი ტექსტის პირდაპირ თარგმანად ჩაითვალოს. აგებულობითაც ქართული ხშირად არსები-

თად განსხვავდება ბერძნულისგან. უკვე პირველი §-ითგან მოყოლებული იწყება განსხვავება და ბერძნული დედნის § ა' უდრის ქართულის მხოლოდ მეორე თავს („თავი ბ“). ქართული ტექსტის პირველი თავი ხუთი უწინარესი მსოფლიო კრების კანონებისა და წინანდელ კრებათა მიერ მიღებული წ ა მამათა კანონიანი ეპისტოლეების განახლება-დამტკიცებას წარმოადგენს მეექვსე მსოფლიო კრებისაგან (იხ. გვ. 78-83).

მხოლოდ ამ დამტკიცებას მოსდევს წარწერა „ თ ა ვ ნ ი ს ჯ უ ლ ი ს კ ა ნ ო ნ ი ს ა ნ ი“, რომელსაც მოკლე შესავლის შემდგომ მიჰყვება § ბ, რომელიც როგორც აღნიშნული გვქონდა ბერძნულის § ა' უდრის. თუ ადამიანი ჩაუკვირდება, ცხადი შეიქმნება, რომ ქართული ტექსტის მიხედვითაც მეექვსე კრების კანონთაგან § 2 ნამდვილად ბერძნული § 1 გამოდის. ამიტომ შესაძლებელია ეს ქართველი მთარგმნელის მიერ შეტანილი ცვლილება იყოს, რომელსაც მეექვსე კრების დადგენილების შინაარსისდა მიხედვით დალაგება უცდია, მაგრამ კანონთა აღრიცხვაში ბოლომდის და სისტემურად ვერ გაუტარებია. საზოგადოდ ბერძნულ-ქართულ-სლავურ ტექსტებს ეტყობათ კანონების შინაარსისდა მიხედვით დალაგების კვალი, მაგ. § ლთ. რომელიც ბერძნული დედნის § მ' უდრის, წინ უძღვის სათაური „περί μοναχών και μοναστηρίων“ (ბენეშ. I, 171), ქართულად მოკლედ „მ ო ნ ა ზ ო ნ ე ბ ი ს ა თ ვ ს“ (გვ. 106.) ბერძნულ-სლავურ ტექსტებს კიდევ ერთგან აქვთ სათაუ-

რი „περί (ερέων και κληρικών“ (ბერებ. I, 144), რომლის შემდგომაც კანონები მართლაც „მღვდელობის წეს“-ს ეხება. ქართულში, რამდენადაც ალ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს გამოცემითგან ჩანს, ამგვარი სათაური არ მოიპოვება (გვ. 85), თუმცა-კი მოსალოდნელი იყო. ამგვარადვე თუმცა არც ქართულსა და არც ბერძნულ ტექსტებში სათაურები ქვემოთდასახელებულ ადგილებში არ არის, მაგრამ საფიქრებელია, რომ თავდაპირველად უნდა ყოფილიყო სათაურები „მარხვსა-თვს“ (შეად. ქლ ტექს. 91 § ივ), „დღესასწაულებისა-თვს“ (იქვე გვ. 93 § იწ) და სხვაგანაც. საზოგადოდ რათგან ქართული ტექსტი ჯეროვნად არ არის შეწავლილ-გამოცემული, მსჯელობა სახიფათოა. მაგრამ მაინც ცხადია, რომ არც ბერძნული და არც ქართული ტექსტები თავდაპირველი სახით შენახული არ უნდა იყვნენ.

საკითხი მეექვსე მსოფლიო კრების კანონების პირვანდელ-მერმინდელ რედაქციათა და ქართულ თარგმანსა და ბერძნულ დედანს შორის დამოკიდებულების შესახებ საეკლესიო სამართლის მკვლე-

- 32 -

ვართა, კანონისტების საქმეა. ჩვენთვის-კი უფრო მნიშვნელოვანი და საგულისხმო ისაა, თუ რა უნდა ჩაითვალოს ამ თარგმანის თავისებურს რედაქციაში თვით მთარგმნელის საკუთარ ნამუშევრად და ერთგვარ შემოქმედებად, ან უკეთ რომ ვთქვათ, მოიპოვება, თუ არა იქ რაიმე კვალი ე ფ თ ვ მ ი ს ამგვარი მოღვაწეობისა ? აღსანიშნავია, რომ ე ფ თ ვ მ ე მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი უფრო ვრცელ წყაროდ, რომელშიაც მკითხველს დაწვრილებითი ცნობების პოვნა შეეძლო, იხსენიებს „წ ი გ ნ ს ა მ ა ს წ მ ი ნ დ ა თ ა კ რ ე ბ ა თ ა ს ა და ცხორებასაცა შინა ნეტარისა მამისა ჩ`ნისა მაქსიმე აღმსარებლისასა“ (გვ. 135). უეჭველია პირველი სათაურით დიდი სჯულისკანონი იგულისხმება. ამგვარად ისე გამოდის, თითქოს ე ფ თ ვ მ ე ს შრომაზე უფრო მოზრდილი ნაწარმოები უნდა ყოფილიყო. მაგრამ არსებულ რედაქციათა შორის დიდი სჯულისკანონის წიგნში მოთავსებული მეექვსე მსოფლიო კრების ძეგლისწერა ე ფ თ ვ მ ი ს თარგმანზე გაცილებით უფრო მომცროა. საყურადღებოა, რომ მეორე დასახელებული წყარო მაქსიმე აღმსარებლისა ე ფ თ ვ მ ე ს მიერვე იყო ნათარგმნი (იხ. პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე ს Monumenta hagiographica Georgica I; გვ. XLII). საფიქრებელია, რომ ის ბოლოსიტყვაობაც, რომელშიაც ზემოთმოყვანილი ცნობა მოიპოვება, ე ფ თ ვ მ ე მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი ს დაწერილი იყოს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბერძნულთან შედარებით ქართული ტექსტი ხშირად კანონების ერთგვარ ვრცელ განმარტებასა და დასაბუთებასაც შეიცავს, ზოგან გრძელი და არსებითი ხასიათის მსჯელობაა კანონში მოკლედ მოჭრილი საკითხის შესახებ. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ქართული ტექსტის § პზ (გვ. 129 – 131), რომელშიაც მშვენიერი განმარტებაა კაცისკვლის იურიდიული ბუნებისა და თვისებათა შესახებ. უწინარესი მუხლების ცნობისდა მიხედვით საფიქრებელი იყო, რომ ეს განმარტება ბ ა ს ი ლ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი ს ნაწარმოები უნდა ყოფილიყო. (იხ. გვ. 129. § პდ.) მაგრამ ბერძნულ არც სჯულისკანონში და არც ისე

ბასილი კესარიელის თხზულებათა შორის არაფერი ამის მსგავსი არ მოიპოვება.

ამგვარადვე საყურადღებოა, რომ ბერძნულთან შედარებით ეფთჳმეთაწმინდელის ნაშრომში უფრო მეტი ცნობებია იმ მწვალებლობად მიჩნეული წესების შესახებ, რომელნიც სომხეთში ყოფილა გავრცელებილი.

ხოლო ერთგან წნდ-ში, სადაც საწარმართო კერპთა და ჩვეულებათა შესახებაა საუბარი, უკვე ცხადად ემჩნევა, რომ მეექვსე

კრების მეგლისწერაში ქართველ მთარგმნელს საკუთარი ცნობები და სიტყვა-აზრებიც უნდა ჩაერთოს. ამ მუხლში სხვათა შორის ნათქვამია: „კდ სახელისდებანი იგი საწარმართთა კერპთანი, რლნი მათ ღთად შერაცხნეს რლნიმე მამათა და რლნიმე დედათა, სდ მოისპენ. დიოს ანუ აპოლოს ანუ არტემის ანუ ბოჩი და გაცი და ბადაგონ და არმაზ“ და სხვა (გვ.113). იმას გარდა რომ ბერძნულ დედანში (იხ. ბენემ. I, 183 § 113) კერპთა ბერძნული სახელებიც-კი არ მოიპოვება, კიდევაც რომ წარმოვიდგინოთ თითქოს ბერძნული პანთეონისათვის ღმერთების სახელები ეფთჳმეთს შეიძლება ბერძნულ დედანშივე ამოეკითხა, მაინც უეჭველია, ბოჩისა, გაცისა, ბადაგონისა და არმაზის სახელები იქ არ იქნებოდა და ცხადია თვით ეფთჳმეთს ჩანართი უნდა იყოს.

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ „წესი და განგება და სჯულისკანონი მეექვსისა კრებისა“ უბრალო და უშუალო თარგმანი -კი არ უნდა იყოს, არამედ ეფთჳმეთაწმინდელის მიერ გადაკეთებული და განმარტებებით შემკული რედაქციაა. საყურადღებო ცნობა აქვს ეფთჳმეთაწმინდელს თავის ნათარგმნი მეექვსე კრებისა და იოვანე მმარხველის აღწერილი განწესებულების შესახებ. მას ნათქვამი აქვს, რომ ძეგლები „სასწავლებლად“ გადმოაქართულა, რომ იკითხვიდნენ წინამძღუარნი და მოძღუარნი ეკლესიათანი“. ამ შრომის შესახებ მკითხველს ამცნებს, „ყოველივე პირი და სახესხუათათ პირველთამათა მიერ აღწერილისა რჩულის კანონისა და აქა შემოკრებულ არს და კეთილად განმარტებულ არს“-ო (გვ. 94). რას ეხება ეს ცნობა, ერთ-ერთ ამ ორ ძეგლთაგანს, თუ ორთავეს, თუ ერთ პირველს, მე-6 კრების სჯულისკანონს, თუ იოვანე მმარხველის თხზულელ ბას, დასასრულ მათ დედანს ახასიათებს ეფთჳმეთაწმინდელი, თუ თავის ნათარგმნს?

დიდებული ქართველი მოღვაწის სიტყვებში აზრი სამწუხაროდ სრულის სიმკაფიოთ არ არის გამოთქმული და ყველა ზემოაღნიშნული საკითხების შესახებ გადაჭრილი პასუხის მოცემა ძნელია და მხოლოდ ზოგი რამის გამორკვევა შეიძლება. თუ რომელ ძეგლს ეხება ეფთჳმეთს სიტყვები, ამის გადასაწყვეტად უნდა გავიხსენოთ, რომ თვით ეფთჳმეთ „რჩულის კანონს“ მეექვსე კრების მეგლისწერას უწოდებს და იოვანე მმარხველის ნაშრომისთვის-კი მას სათაურში „კანონნი შეცოდებულთანი“ დაურქმევია. ანდერძში-კი „განწესებულს“ უმახის. მამასადამე, მისი ზემონათქვამი მეექვსე კრების სრჯულისკანონის თვისებას უნდა ახასიათებდეს. ირკვევა,

რომ იგი სხვადასხვა მამათა მიერ აღწერილი „რჩულისკანონების“ ყოველსავე პირსა და სახეს“ შეიცავს და ამ ნაწარმოებში ყოველივე ეს „შემოკრებულ არს“ ჯერ ეს ერთი და თანაც „კეთილად განმარტებულ არს“, ე. ი. ერთგვარს ნარკვევს წარმოადგენს განმარტებებითურთ.

ბერძნულ დედანზე ლაპარაკობს, თუ თავის ნაშრომზე? ეფთჳიმე მთაწმიდელის ჩვეულებრივი თავმდაბლობა უფლებას არ გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თავის ნაწარმოებზე ეთქვა კეთილად განმარტებულიაო. მაგრამ ამ ცნობაში ჩვენთვის ეს გარემოებაა საყურადღებო, რომ ეფთჳიმეს მიერ გადმოქართულებული მეექვსე მსოფლიო კრების კანონები ამ კრების ძეგლისწერას-კი არ წარმოადგენს, არამედ მერმინდელს „შემოკრებულ“ ნაწარმოებს, რომელიც ამასთანავე განმარტებებით ყოფილა შემკული. ასეთს ნაშრომს „დაბეჭდული“ ძეგლის თვისება რასაკვირველია არ შეიძლება ჰქონოდა და ამიტომ ეფთჳიმე მთაწმიდელს შეეძლო უფრო თავისუფლად მოქცეულიყო და სადაც საჭიროდ დაინახავდა ცვლლებები შეეტანა და თარგმანებიც განეწერა და გაეცხოველებინა. ეს ეფთჳიმე მთაწმიდელის სამწერლობო მოღვაწეობის ჩვეულებრივი თვისებაა და ის სწორედ ამგვარადვე მოქცეულა, როდესაც ზემოაღნიშნული მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრება გადმოქართულებია. (იხ. MHG. I. გვ. XLII), იოანე დამასკელის „გარდმოცემა“ უთარგმნია და, არა თუ შინაარსი, სახელიც-კი შეუცვლია, როდესაც, როგორც ქვემოთ უფრო დაწვრილებით აღნიშნული იქმნება, იოანე მმარხველის „კანონი შეცოდებულთა“-ც სთარგმნა. ამ დიდებული ქართველი მოღვაწის ასეთი ნიშანდობლივი თვისება უკვე განთქმულ ქართველ მეცნიერს ეფრემ მცირეს ჰქონდა შემჩნეული და მასაც-კი აღნიშნული აქვს, რომ ეფთჳიმე მთაწმიდელს „ველეწიფებოდა შემატებადცა და კლებადცა“ ნათარგმნი თხზულებებისა (იოანე დამასკელის „გარდმოცემის“ თარგმ. ანდერძი, ქ~კბი, I, 216 და კ. კეკელიძის „ქართ ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან“: ტფ. უნივ. მოამბე I, გვ. 51). თანამედროვე მკვლევართა დაკვირვებაც ამ გარემოებას ადასტურებს (პროფ. კ. კეკელიძე თავის ქართ. ლიტ. ისტორიაში ამავე აზრს ადგია, I, 210 – 211).

2. მსოფლიო ეკლესიის საკანონმდებლო ძეგლთაგან, ზემოდასახელებულის გარდა, გამოცემულია მხოლოდ „კანონი შეცოდებულთა“, რომელიც იმავე ეფთჳიმე მთაწმიდელის მიერ იყო ნათარგმნი. მის შრომათა სიაში ეს ძეგლი მოხსენებული აქვს გიორგი მთაწმიდელს, რომელიც, თუმცა იმ სათაურით არ

არის აღნიშნული, როგორც თვით დედანშია, და ეწოდება „რჩულის კანონი წმიდისა იოანე მმარხველისაჲ“ (ც~დ ი~ე და ეფ~სი, 29), მაგრამ უეჭველია ერთი და იგივე თხზულება უნდა იყვეს: ეფთჳიმე მთაწმიდელის თარგმანი ქალ. ხახანაშვილმა გამოსცა 1902 წ. პროფ. ნ. ზაოზერსკის თანერ-

თად. (იხ. Номоканон Иоана Постника в его редакциях грузинской, греческой и славянской с предисловием издателей. Изд.

Общ. истории и древ. рос. при Моск. Университете). გამოცემული ტექსტიდანაც ჩანს, რომ იგი ეფთჳმეთაწმიდელისთარგმანია. ბოლოსიტყვაობაში დიდებული ქართველი მოღვაწე სწერს:

„ღირს ვიქმენ მე გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მოწესეთაჲ ეფთჳმეთარგმნებად (sic) ბერძნულისა ქართულად მცირესა ამას რჩულის კანონსა წდისა მის მეექუსისა კრებისა მიერ აღწერილისა და ყოვლად ნეტარისა იოანე მმარხველისა მიერ კონსტანტინეპოლისა მთავარეპისკოპოსისა განწესებულისა“-ო. (გვ. 94). ქართული ტექსტი გამოცემულია 4 ხელთნაწერის მიხედვით, მაგრამ დიდის შეცდომებით, (იხ. ნ. მარრის რეცენზია Виз. Врем. 1906 წ. XLL, 191 – 192).

გამოცემული ტექსტი ორი ნაწილისაგან შედგება და პირველს ეწოდება „კანონნი შეცოდებულთანი, აღწერლნი ნეტარისა მამისა ჩნისა იოვანეს მიერ კონსტანტინეპოლელ მთავარეპისკოპოსისა, რომელსა მმარხველ ეწოდებოდა“ (გვ. 2 – 38), რომელიც თავებად არის დაყოფილი, მაგრამ თავების რიცხოზრივი რომელობის გარდა არაფერია სათაურებში აღნიშნული და შინაარსიც არ აწერია. მეორე ნაწილს სათაურად აქვს „კანონნი შეცოდებულთანი განწესებულნი ნეტარისა მამისა ჩნისა იოანე მმარხველისა მიერ კონსტანტინეპოლელ პატრიარქისა“ (გვ. 39 – 92), ბერძნულად ამ ძეგლს ეწოდება „κανονάριον“ (გვ. 3) და სხვა ამგვარ თხზულებებსაც κανονάρια ან κανονικά-ს ეძახოდნენ ხოლმე.

თუმცა ქართულის მსგავსად ბერძნულ მწერლობაშიც ზოგიერთ ხელნაწერებში ეს ძეგლი იოანე მმარხველის კონსტანტინეპოლელი პატრიარქის აღწერილად არის მოხსენიებული, მაგრამ ეს მცდარი ცნობაა და ამ ძეგლის ორი ნაწილი ორი სხვადასხვა პირისგან უნდა იყოს შედგენილი. მართლაც ბერძნულსა და სლავურს ხელთნაწერებში ამ თხზულების პირველი ნაწილის ავტორად იოანე მონაზონია აღნიშნული. ამ ნაწარმოებების ნამდვილ აღმწერელთა ვინაობის გამორკვევა ზაოზერსკის შეუძლებლად მიაჩნია და მხო-

ლოდ ამ გარდმოცემის მიხედვით პირველი ნაწილის ავტორად იოანე ბერს, მონაზონსა, სთვლის, მეორისას - კი იოანე მმარხველს, კონსტანტინეპოლელ პატრიარქს (გვ. 33-34 და 83).

ზაოზერსკის სიტყვით ეფთჳმეთაწმიდელის მიერ ნათარგმნი ძეგლი წარმოადგენს იოანე მონაზონის კანონარსა და კონსტანტინეპოლელი პატრიარქის იოანე მმარხველის შეცოდებულთა კანონებს. (იხ. წინასიტყვაობა. გვ. 83). და ამ ნაწარმოებთა ჯერჯერობით უძველეს რედაქციად უნდა ჩაითვალოს მორინის მიერ გამოცემულ ბერძნულ ტექსტთან ერთად (იქვე, 45), მაგრამ ქართული თარგმანი ხშირად განსხვავდება ბერძნული დედნებისგან და რაც ეფთჳმეთარგმანშია, იქ არ მოიპოვება. ამიტომ ამ შემთხვევაშიც საფიქრებელია, რომ ეფთჳმეთაწმინდელს უბრალო მთარგმნელობის მაგიერ ერთგვარი შემოქმედება უმჯობინებია. პროფ. ვლ.

ბენეშევიჩსაც აღნიშნული აქვს, რომ ეფთჰმეს რედაქციის მსგავსი რედაქცია ბერძნულ შივერ აღმოაჩინა და ისიც ფიქრობს, რომ ეფთჰმეს თარგმნის დროს რამდენიმე რედაქცია უნდა ჰქონოდა და დედანიც მისგან თავისებურად უნდა იყოს გადაკეთებული (Грыз. великий номоканон XB, V, გვ. 113).

ავტორის სიტყვით მისი კანონნი სინანულისანი ერთის მხრით სხვათა მოძღვრებას შეიცავს, მეორეს მხრით მოძღვრის საკუთარი გამოცდილების ნაყოფს წარმოადგენს. მას ნათქვამი აქვს: „ვიქმ გამოძიებასა ამას განწესებასა... ვითარცა... ნარჩევთა უნარჩევესი ნაბიჭევსა დირსთა და მეცნიერთა ტაბლისასა შევ-ჰკრებ და უმეტესად გამოცდილებისაგან და გულის-ჭმის ყოფისა სულიერისა მის მოძღუარისა ჩემისა, რომელმან აღმზარდა, რომელი იგი სანთელი იყო განვითხვისა და მეცნიერებისა, რომლისაგან ყოველი სულიერი სწავლა ამისწავიეს“ -ო (გვ. 16).

თუმცა სინანულთა კანონების ავტორად სათაურში იოანე კოსტანტინეპოლელი მთავარეპისკოპოსია მოხსენებული, მაგრამ თხზულების პირველი ნაწილის შესავლიდან უფრო საფიქრებელია, რომ ავტორი სამონასტრო ძმობის ძმათაგანი, ანუ მონაზონი უნდა ყოფილიყო. როდესაც იგი გვამცნებს, რომ მან თავის სურვილით-კი არ შეადგინა ეს ნაშრომი, არამედ სხვათა რჩევით და იძულებით. ავტორი სხვათა შორის ამბობს „ვინაფთგან უკუე მაიძულეს ღთის მოყუართა და სულიერთა ძმათა აღწერად მცირედი ესე რჩულისკანონი და თითოეულისა ცოდვისა განწესებული სინა-

- 37 -

ნული“ ამიტომ „კრძალულებითა და შიშითა კელვყავ საქმესა იმას“-ო (იქვე, 16).

რამდენადაც დედააზრისა და მოძღვრების მთავარი დებულების მხრით „კანონნი შეცოდებულთანი“ საყურადღებო და საგულისხმოა, იმდენად შინაგანი აგებულობითა და შინაარსით მდარე ნაწარმოებს წარმოადგენს, ხშირად გამეორებას შეიცავს და უმთავრესად ზნეობრივი ხასიათის და სქესობრივი ცხოვრების ცოდვების აღნუსხვასა და უსიამოვნო აღწრილობას წარმოადგენს. დანაშაულობათა ბუნებათა და თვისებათა ანალიზისათვის-კი თითქმის არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული.

კანონნი შეცოდებულთანი აღმოსავლეთს საქრისტიანო ეკლესიის გარდა რომის ეკლესიასაც ჰქონდა და იქ ეს დარგი საშუალო საუკუნეებში განსაკუთრებით იყო განვითარებული. იქაური კანონნი შეცოდებულთანი ცნობილი არიან „libri poenitentiales“-ს სახელით. ამგვარი თხზულება პირველად ირლანდიისა და ბრიტანეთის ეკლესიაში გაჩნდა, სადაც განსაკუთრებით იყო ცნობილი ინგლისის გარეშეც განთქმული ერთი „კანონნი შეცოდებულთანი“, რომლის ავტორადაც ინგლისის კარის ეკლესიის უპირველესი თევდორე კენტიერბზრიის არქიეპისკოპოსი ტომით ბერძენი († 690) იყო მიჩნეული. ამ კანონებში ბევრი რამეა, რაც აღმოსავლეთის ეკლესიას უახლოვებს (А. Павлов Курс церковного права, 1902 წ.,

გვ. 83 და ზ ა ო ზ ე რ ს კ ი ს Номок . И. Постника, 69). ინგლისური შეცოდებულთა კანონების გარდა ფრანკებისა და რომაული ამგვარივე ძეგლებიც არსებობდნენ. ამ ძეგლებში ადგილობრივი სისხლის სამართლისა და ხალხური ადათების იმდენად ძლიერი გავლენა მოჩანს, რომ ისინი მართო შეცოდებულთა კანონებად-კი არ შეიძლება ჩაითვალოს, არამედ სისხლის სამართლის ძეგლებადაც.

ინგლისური კანონი შეცოდებულთანი ამ მხრივ განსხვავდებიან რომაულ ანაირისავე ნაწარმოებებითგან, რომ იქ სასჯელის ხანგრძლივობის შემცირება ეპისკოპოსის გადაწყვეტილებაზე (arbitrium) იყო დამოკიდებული და ამის გამო გერმანელმა მეცნიერმა შ მ ი ც მ ა ინგლისური ძეგლების სისტემას „საარბიტრო“ უწოდა. მანვე აღნიშნა, რომ თვით რომის დედაეკლესიის შეცოდებულთა კანონები ამ მხრივ თვალსაჩინოდ განსხვავდებიან და იქ სასჯელის, ან სინანულის ხანგრძლივობა კანონების მიხედვით უნდა ყოფილიყო განსაზღვრული (S c h m i t z . Die Bussbücher und die Bussdisciplin der Kirche, 1883 წ. გვ. 521 და ზ ა ო ზ ე რ ს კ ი ს Номок. 70.)

– 38 –

ფრანკების ეკლესიის შეცოდებულთა კანონები მონაზონური სიმკაცრით არის შედგენილი და სასჯელებიც ცოდვებისა და დანაშაულობათათვის იმდენად მძიმეა დანიშნული, რომ უფრო ბერებისათვის იყო გამოსადეგი, ვიდრე ერისკაცთათვის (იქვე.)

§3. საქართველოს ადგილობრივი კრებების ძეგლები.

ჩვეულებრივი, საეკლესიო კანონებით დაწესებულ, ადგილობრით საეკლესიო კრებებს გარდა, რომელნიც კანონმდებლობითი მოღვაწეობისათვის რასაკვირველია განკუთვნილნი არ ყოფილან, საქართველოში არა ერთხელ საგანგებო დიდმნიშვნელოვანი კრებებიც ყოფილა მოწვეული პირველხარისხოვანი საკითხების განსახილველად და გადასაჭრელად. თუ ჩვეულებრივი კრებების დადგენილება, ვითარცა მიმდინარე წვრილმანი საქმეების მომწესრიგებელი, შესაძლებელია ძეგლისწერის სახით აღნუსხული არც ყოფილიყო, ძნელი დასაჯერებელია საგანგებო და დიდმნიშვნელოვანი ადგილობრითი კრებების ნამუშევარი უკვალოდ დაეტოვებინათ და ამა თუ იმ სახით შესაფერისი ძეგლისწერის შედგენისთვის არც შეეწუხებინათ თავი. დაუჯერებელი რამეა, მაგ., რომ ქართლის ეკლესიის თვითმწყობის პირველად შემოღების დროს ადგილობრითს კრებას ჩვენში სათანადო მსჯელობა არ ჰქონოდა და დადგენილება არ აღენუსხა. შეუძლებელია თუნდაც 607 წ., როდესაც ქართველთა და სომეხთა ეკლესიებს შორის განხეთქილება მოხდა და სომეხთა ეკლესიის მესვეურებმა ქართველები, ვითარცა მწვალებელნი, შეაჩვენეს კიდევ, რომ ქართველთა სამღვდლოებას ამის საპასუხოდ საეკლესიო კრებაზე შესაფერისი დადგენილება არ განეჩინა და შთამომავლობისათვის ეს წერილობით არ შეენახა.

როგორც მოქცევამ ქართლისადას მატიანიტგანა ჩანს, ქართულ ეკლესიას VIII-IX საუკუნემდის ცოლოსნობა შეუნახავს ეპისკოპოსთათვის იმ დროს, როდესაც მსოფლიო ეკლესიაში როგორც აღმო-

სავლეთში, ისევე დასავლეთში, დიდიხანია უკვე ცოლოსნობა მოსპობილი და აკრძალული იყო. საფიქრებელია, რომ ამ თვალსაჩინო განსხვავების შესახებაც შესაფერისი საბუთიანობა და დადგენილება ექმნებოდა ქართულ ადგილობითს საეკლესიო კრებას. გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ს შენახული აქვს ცნობა ჯავახეთში მე-IX ს. შუა წლებში შეკრებილი კრების შესახებ, რომელმაც კათალიკოზის არჩევნების უკანონობის საკითხი განიხილა (ც ~ ე გ ~ გ ლ ხ ნ ძ თ ლ ს ე , გ ვ . მე წ მ ბ). თუ ის, რაც „ჟამთა უკუე ღმრთის-მსახურისა მეფისა ბაგრატისთა“

– 39 –

მოხდა, როდესაც „იქმნა კუალად კრებად ღრტილას“, ნამდვილად „ა რ ა ვ ი დ რ ე მ დ ე ს ა მ ღ დ უ ე ლ ო , ა რ ა მ ე დ უ ფ რ ო ს ღ ა ს ა მ ხ ე - დ რ ო“ იყო (ს~ქს სამოთხე, 615) და ვითარცა არა საეკლესიო, არამედ საპაექრო კრება შეიძლება უძველესწეროდაც დარჩენილიყო, რამდენი ნამდვილი საეკლესიო კრებები ყოფილა საქართველოში, რომ მათი კვალი ამ ჟამად ან გამქრალა, ან ჯერ აღმოჩენილი არ არის.

ამ მხრივ მე-XII-ე ს-მდე გამონაკლისს მხოლოდ რუის-ურბნისის 1103 წ. საეკლესიო კრება შეადგენს, რომლის ძეგლისწერა არამც თუ მარტო შენახულ იქმნა და არის ეხლაც, არამედ დიდ სჯულისკანონშიაც-კი იქმნა ძველადვე შეტანილი (იხ. ბ ე ნ ე შ ე ვ ი ჩ ი ს Г р у з . в е л и к . н о м о к . X B . II .)

A. რუის-ურბნისის 1103 წ. კრების ძეგლისწერა.

რუის-ურბნისის კრების ოქმები ორჯერ არის გამოცემული: პირველად 1882წ. ს ა ბ ი ნ ი ნ ი ს მიერ „საქართველოს სამოთხეში“ გვ. 518-530, მეორედ თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ დაბეჭდა ქ~კბის II წიგნში გვ. 54-72. ს ა ბ ი ნ ი ნ ს ნათქვამი აქვს „ძეგლისწერაჲ ესე დიდითა ჭირითა და იწროებითა გადმოვწერე მცხეთის საწიგნობელითგან, რომელიც იპოება დიდსა ნომოკანონსა შინა. ეკზარხოს ევსევის დროსა შინა, რომელმან რჩევითა მაკარი არხ. და ბასხაროვისა აღმიკრძალა შესვლა სადმე მონასტრის ანუ ეკლესიის საწიგნობელსა შინა და თუ რამე შეცდომა შეერია ამ ძეგლისწერასა, დამნაშავენი ეს პირნი არიან, რათა მპარაობით უნდა გადმომეწერაო (ს~ქ ს მ თ ხ ე , 530. შენ. 3). თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს ტექსტი საეკლესიო მუზეუმის § 76 ხელთნაწერის მიხედვით დაუბეჭდია. ხელთნაწერი სქელ ქალღმრთელს ყოფილა დაწერილი, უთარილოა, მაგრამ „პალეოგრაფიული ხასიათი წერისა უეჭველ ჰყოფს, რომ ხელნაწერი ეკუთვნის XII ანუ XIII საუკუნეს“-ო (ქ~კბი II , 54). პროფ. ბ ე ნ ე შ ე ვ ი ჩ ი ს აზრით-კი ამ ხელთნაწერის უმთავრესი ნაწილი გვ. 7-495 მე-XIII – XIV-ე ს-ის ხელით ყოფილა („рука XIII-XIV века“) ნაწერი. (XV. II, 351).

„ძეგლისწერაჲ წმიდისა და ღვთივ-შეკრებულისა კრებისაჲ, რომელი შემოკრიბა ბრძანებითა კეთილად-მსახურისა და ღვთივ-დაცულისა მეფისა ჩუენისა და-ვით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისასა პირთათჳს, რომელნი ქუემო მოჴსენებულ არიან“-ო (ქ~კბი II, 56). ამ სათაურით იწყება რუის-ურბნისის საეკ-

ლესიო კრების დადგენილებანი. უკვე ეს სათაურია დამახასათებელი და საყურადღებო. ეს კრება „ღვთივ-შეკრებილად“ არის გამოცხადებული. თუმცა აქვეა აღნიშნული, რომ იგი „შემოკრბა ბრძანებითა მეფისა“. მაშასადამე საფიქრებელი ხდება, რომ ამ კრების მოწვევის თაოსნობა დავით აღმაშენებელს ეკუთვნის. მისი ისტორიკოსის მოთხრობა ამ კრების შესახებ და ამ კრების განაჩენის მნიშვნელობა უმთავრესად საქართველოს სახელმწიფო და საეკლესიო წესწყობილებისათვის უფრო აძლიერებს სათაურის ზემოთმყვანილ ცნობას. არსენი მონაზონის მიერ საეკლესიო კრების სახელით დაწერილ სამადლობელ ქება-დიდებაშიც ეს გარემოება აღნიშნულია და ნათქვამია: „ესე (ე. ი. მეგლის წერა) აწ ძღუნად მოგართუნა შენ მწყობრმან შენთა ამათ ნაზირეველთა სიმრავლისამან... რომელ მოსწრაფებით შემოკრება აუბრძანე შენ და დიდისა ამის და ღმრთისა-სათნოდსა წარმართებისათანაშუამდგომელად ღმრთისა მიმართ მოიგენ“-ო (ქკბი, II, 69).

ამას გარდა, როდესაც საეკლესიო კრება მოუწვევია, როგორც ჩანს, მეფეს უკვე წინდაწინვე, მსჯელობის საგანი და განსახილველი საკითხების სია განუსაზღვრავს ისე, რომ იგი შემოკრბა „პირთათჳს, რომელნი ქუემო მოჴსენებულ არიან“-ო. ამგვარად ცხადი ხდება, რომ რუის-ურბნისის კრების მოწვევა წინასწარ განზრახული მიზნითა და გეგმის განსახორციელებლად ყოფილა გამოწვეული და იგი ჩვეულებრივი, მორიგე კრება-კი არა, არამედ საგანგებო და განსაკუთრებული ყრილობა ყოფილა.

თვით მეგლისწერაშიც აღნიშნულია კიდევ ამ კრების მთავარი მიზანი და დანიშნულება, „ამისთჳს შემოკრბა კრებად... გარნა არა თუ უბიწოებასა საქართველთა სარწმუნოებასა ბიწირადმე შეჴხებოდა... არამედ სხუათა საეკლესიოთა და სამღდელოთა და საქრისტეანოთა ძიებათათჳს“-ო (ქკბი, II, 61-62).

მაშასადამე, რუის-ურბნისის კრების შეყრის მიზეზი და მიზანი დოგმატური საკითხების „ძიებანი“-კი არ ყოფილა, არამედ მხოლოდ „საეკლესიო“ ე. ი. რაც ეკლესიას ვითარცა დაწესებულებას ეხებოდა „სამღვდელო“ ანუ მღვდელმსახურთა შესახები საკითხების განსახილველად და „საქრისტეანო“ მრევლის, ხალხის წრეში გავრცელებულ მავნე და უწესო ზნე-ჩვეულებთა და ცოდვათა ამოსკვეთად. თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ გამოიხატოს ამ კრების მიზანი, მისი მსჯელობისა და კანონ-

მდებლობის საგნად საეკლესიო წესწყობილებისა, სამღვდელმსახურო წესებისა და მრევლის ზნეჩვეულებათა და შეცოდებულების განმართვა და მოწესრიგება ყოფილა. მართლაც ამ მეგლისწერაში ერთი სტრიქონიც-კი არ მოიპოვება რაიმე დოგმატური უთანხმოების შესახებ.

მეფის მიერ მოწვეული კრების სხდომების საჯდომად არჩეული ყოფილა ისეთი ადგილი, რომელიც მდებარეობდა „სანახებთა ქართლისათა, მახლობლად ორთა საეპისკოპოსოთა რუის(ის)ა და ურბნისისა“ (ქკბი, II, 61). იყო იქ თუ არა რაიმე დაბა, ან მონასტერი, არა ჩანს, მხოლოდ ცხადია, ფართო და შესაფერისად მოწყობილი შენობები რომ არ ჰქონოდათ იქ შეკრებილთა და თავმოყრილებს, მას დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არ უწოდებდა „ადგილსა ჯეროვანსა“ და წევრებიც ვერ შესძლებდნენ „მრავალდღე გამოწულილვითა ფრიადითა“ საქართველოს საეკლესიო წესწყობილებისა და ყოფა-ცხოვრების ნაკლის გამოძიებასა და განმართვას (ცა მწფსა დთსი *524, გვ. 291). ამგვარი საფუძვლიანი და ხანგრძლივი მუშაობისათვის მართლაც და შესაფერისი სადგომი იყო საჭირო.

კრებაში მონაწილეობა მიუღია სამღვდელოებას და იგი იყო „კრებად ღმრთის მოყუარეთა ეპისკოპოსთა, პატიოსანთა მღვდელთა და ღირსთა დიაკონთაჲ, ქრისტეს მოყუარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთაჲ“ (ქკბი II, 61). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით - კი ამ კრების შემადგენლობა გაცილებით უფრო მრავალფეროვანი ყოფილა. მეფემ თურმე მოიწვია „ერი მრავალი, რამეთუ სამეფოსა თვისისა კათალიკოზი, მღვდელთმთავარნი, მეუდაბნოენი და მეცნიერნი შემოკრიბნა წინაშე მათსა“-ო (ცა მწფსა დთსი *524, გვ. 291). მასასადამე საკუთრივ სამღვდელოების გარდა ყოფილან აგრეთვე თავისი ცოდნით განთქმული პირები, ამ შემთხვევაში საფიქრებელია სასულიერო წრის წარმომადგენელნი „მეცნიერნი“. მართლაც ერთ-ერთი მათგანი უნდა იყოს არსენი მონაზონი კალიპოსელი, რომელსაც, ვითარცა „სჯულთმთავარნი და მოღუაწისა“ სახელის მქონებელს რუის-ურბნისის კრებამ მრავალჯამიერობაც-კი ჩაუწერა ძეგლში (ქკბი II, 71.)

თუ რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მეფისგან იყო მოწვეული და მისგანვე ჰქონდა მას გარკვეული მიმართულების გეზი მიცემული, კრების თავმჯდომარედ კათალიკოზი ყოფილა. თვით ძეგლის წერაშიც აღნიშნულია, რომ „თავ და წინამძღუარ... წმიდისა მის კრებისა იყო... იოვანე ყოვლად ღირსი მთავარ -

ეპისკოპოსი, კათალიკოსი და ყოვლისა საქართველოდსა დიდ დიამამთავარი“-ო (ქკბი II 62) .

ამ კრების მუშაობაში მხურვალე მონაწილეობა მიუღია და მის ნაყოფიერებისა და წარმატებისათვის თავის მსჯელობითა და საბუთიანობით საუკეთესოდ ხელი შეუწყვია საქართველოს მაშინდელ მსახურთუხუცესსა და დავით აღმაშენებლის გაბედული სახელმწიფოებრივი და კულტურული მოღვაწეობის თანამზრახველსა და დაუღალავ მონაწილეს. ამ „გიორგი მონაზონისა და მწიგნობართუხუცესისა“ ღვაწლი იმდენად დიდი ყოფილა, რომ ვითარცა „თულად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა“თვის კრებას ძეგლისწერაში მისი მრავალჯამიერობაც შეუსტანია (ქკბი II 71).

ხოლო რუის-ურბნისის კრების ოქმებისა და საზოგადოდ ძეგლისწერისა და მეფისადმი სამადლობელი ქება-დიდების შედგენა,

როგორც ჩანს, არსენი მონაზონსა ჰქონია მინდობილი. ის ყოფილა, როგორც ეხლა იტყოდნენ, ამ კრების მდივანი. ეს იქითგანა ჩანს, რომ თვით ამ კრების კანონების ბოლოს დართულს დავით აღმაშენებლისადმი დაწერილ მიმართვას სათაუარად აქვს „მ ე ფ ე ს ა დ ა ვ ი თ ს მ ო ნ ა ზ ო ნ ი ა რ ს ე ნ ი“-ო, რაც ძეგლის ამ ნაწილის არსენის დამწერლობის მომასწავებელია. მაგრამ რათგან ამ მიმართვასა და ქება დიდებას უშუალოდ კრების დადგენილებით აღვლენილი მრავალჟამიერობა ცოცხალ, ხოლო მიცვალებულ გამოჩენილ მოღვაწეთათვის საუკუნო ხსენებაა მოთავსებული, ამიტომ ეს ბოლო ნაწილიც მთლად ძეგლისწერას ეკუთვნის და იმავე არსენის ნაწერის გარძელების შთაბეჭდილებას ახდენს. ძეგლისწერის მთავარი და ამ ბოლო ნაწილების ენის იგივეობა გვაფიქრებინებს, რომ რუის-ურბნისის კრების მდივნად და ძეგლისწერის შემდგენელად სწორედ არსენი მონაზონი ყოფილა.

რუის-ურბნისის კრების დადგენილების დიდმნიშვნელოვანობა თვით მონაწილეთაც ნათლად ჰქონიათ გათვალისწინებული და თანამედროვე თაობასაც კარგად ესმოდა მისი დადგენილებანი და აღწერილი თავისი თვისებებით ყველას მოსწონდა ვითარცა „მ ე გ ლ ი შ უ ე ნ ი ე რ ი“, ხოლო ღირსებით რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა ცნობილი იყო როგორც „მ ი მ დ გ ო მ ი დ ა მ ო წ ა მ ე წ მ ი დ ა თ ა ა თ ო რ მ ე ტ თ ა კ რ ე ბ ა თ ა“ (ც^ა მ^ფსა დ^თსი *524, გვ. 291-292).

ძეგლისწერა ოთხი მთავარი ნაწილისაგან შეესდგება, თუმცა თ. ჟორდანისა გამოცემის მიხედვით მხოლოდ ერთს, სახელდობრ მესამე ნაწილსა აქვს განსაკუთრებული სათაური.

პირველ ნაწილს შესავალი შეადგენს, იწყება თავითგანვე და თავდება იქ, სადაც საკუთრივ კრების დადგენილება იწყება (ქ^აზი II, 56-62). მეორე – სწორედ ამ დადგენილებებს შეიცავს (გვ. 62-68), რომელსაც მესამე ნაწილის სათაურის მსგავსად, წითურად ასომთავრულად დაწერილი წინადადება მისდევს „მ ე ფ ე ს ა დ ა ვ ი თ ს მ ო ნ ა ზ ო ნ ი ა რ ს ე ნ ი“. აქ მესამე ნაწილი იწყება. იგი დავით აღმაშენებლისადმი მიმართულ სამადლობელ ქება-დიდებას წარმოადგენს, როგორც ამ კრების მოწვევისა და ისევე საზოგადოდ მთელი მისი მოღვაწეობისათვის (გვ. 68-70). ამას ბოლოში მისდევს კრების მიერ წარმოქმნილი და აღწერილი მეფისა, მისი სახლობისა და გამოჩენილ ქართველ ცოცხალ მოღვაწეთათვის მრავალჟამიერი ცხოვრება, ხოლო მიცვალებულთათვის საუკუნო ხსენება. ეს ძეგლისწერის მეოთხე და ამასთანავე უკანასკნელი ნაწილია (გვ.70-72).

პირველი ნაწილი რთული შემადგენლობისაა და ჯერ მსოფლიოსა, ადამიანისა და სარწმუნოების განვითარების შესახებ საზოგადო ფილოსოფიურ მოძღვრებას შეიცავს (გვ. 56-58). შემდეგ საქართველოს პირველგზისი და მეორეჯერი გაქრისტიანებისა და ქართული ეკლესიის დაფუძნების შესახებაა საუბარი გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და ისტორიკოსის ეფრემ მცირესგან შექმნილი კონცეპციის მიხედვით (გვ. 58-59). მერმე იმ საეკლესიო კანონმდებლობისა და სამართლის ძეგლების აღწუსება მისდევს, რომელთა

ცოდნა და „შედგომა“ მართლმადიდებელთათვის სავალდებულოდ იყო მიჩნეული (გვ. 59-60). ამის შემდეგ ბუნებითი და დაწერილი სამართლის განვითარების ზოგადი ფილოსოფიური მოკლე მიმოხილვა (გვ. 60-61) და სულ ბოლოს რუის-ურბნისის კრების მოწვევის გარემოება და მიზანია აღნიშნული (გვ. 60-61).

ამ პირველ ნაწილს, რომელიც რუის-ურბნისის კრების კანონებს წინ უძღვის და შესავლად აქვს, მკითხველისათვის ის საზოგადო ფილოსოფიურ-უფლებრივი და იტორიული საფუძველი და მოძღვრება უნდა გაეთვალისწინებინა, რომელზედაც ამ კრების დადგენილებების შემადგენელთ თავიანთი კანონმდებლობითი მოღვაწეობა დაუმყარებიათ. იქ პირდაპირ არის კიდევ ნათქვამი და სწერია:

„ხოლო ჩვენ ესე ამისთვის მოვიტყენეთ, რათა პირველით განპირისიტყვსა განვმართოთ“-ო (გვ. 60).

საყურადღებოა და აღსანიშნავი, რომ თვით რუის-ურბნისის კრების კანონები, თ. ჟორდანიას სიტყვით, ხელთნაწერში გარეგნულად მუხლებად არ ყოფილა დაყოფილი და არც სათვალავები ჰქონია: „კანონების თავს მუხ-

- 44 -

ლები (ა, ბ, გ, და სხვა) ჩვენ დავსხით“-ო (გვ. 62 . შენ *), თ. ჟორდანიას რუის-ურბნისის ძეგლისწერის ტექსტი 15 მუხლად გაუყვია. პროფ. კ. კეკელიძეც ამბობს, რომ რუის-ურბნისის კრებას „დაუდგენია 15 კანონი“ (ქართ. ლიტ. ისტ. I, 617). მაგრამ ამ ძეგლისწერაში ეფრემ მცირესეული განკვეთილობისა და სასვენო ნიშნებია ნახმარი და მათი დასმულობის დაკვირვება ტექსტის მუხლებად დანაწილების გაგებას გვიადვილებს. სამწუხაროდ არ ჩანს, რომ თვით თ. ჟორდანიას თავის გამოცემაში ამ ნიშნებისათვის ჯეროვანი ყურადღება მიექციოს და სათანადოდ დაეცვას. ამიტომ ეს საკითხი საგანგებოდ ხელთნაწერების მიხედვით უნდა იყოს შესწავლილი.

ამაზე გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა იმ გარემოებასა აქვს, რომ დადგენილების მუხლობრივ დანაწილებას თვით ენაც ამჟღავნებს დაყოველთვის, როცა შინაარსის მხრივ ახალი დადგენილება იწყება, თავში შესაფერისი, ერთგვარად გამომყოფელი და ყურადღების მიმზიდველი, სიტყვებია ხოლმე ნახმარი, მაგ.:

§ 1: ასე იწყება: „და პირველად ეპისკოპოსნი ვინმე ვერ ღირსებით შემოსრულნი პატრივსა მღვდელთმთავრობისასა... განვკუთენით“-ო (გვ. 62).

§ 2: „ამასთანავე სულ მოკლეობადცა ჯელ დასხმათა... დავკსენით“ (იქვე).

§ 3: „ხოლო წესი ჯელ დასხმათა სრულებისად“ (გვ. 63)

§ 4: „ხოლო ქრთამისა და საფასითა, რომელსა მიიღებენ ჯელ დამსხმელნი ჯელ დასხმადთაგან“ (იქვე).

§ 5: „მერმეცა სამღვდელთა ჭურჭელთა და ღთისადა შეწირულთა სიწმინდეთათვს“ (იქვე).

§ 6: „ამასთანავე ესეცა მოვიტყენით“... (გვ. 64)

§ 7: კულად ამასაც განვასაზღვრებთ, რათა“ (გვ. 64)

§ 9: „შემდგომად ამათსა ამისიგა სათანადოდ ვგონებ მოკსენება“ (იქვე).

§ 11: „ხოლო ერთსა საკურთხეველსა... ჟამის წირვისა“ (გვ. 65)

§ 13: კულად განვაწესებთ, რათა“ (გვ. 65)

§ 14: ვინაფთგან ესეცა უწესობა მრავალთა მიერ აღსრულებულად გუეუწყა“ (გვ. 66).

- 45 -

§ 15: მერმეცა ღთის მოძაგებულის... ცოდვათა უბილწესისა სამაგებლებისა სოდომელთა და ს...“ (გვ. 66).

ამგვარად ირკვევა, რომ თვითეული დადგენილების გამომყოფელ გამონათქვამებად ძეგლისწერის შემდგენელთ უხმარიათ: ორჯერ „ამასთანავე“ (§§ 2 და 6), სამჯერ „ხოლო“ (§§ 3, 4 და 11), ორჯერ „მერმეცა“ (§§ 5 და 15), ორჯერ „კულად“ (§§ 7 და 13), თითოჯერ „შემდგომად ამათსა“ (§ 9) და „ვინაფთგან“ (§ 14). აღსანიშნავია მეტადრე მუხლის შესავალი წინადადებები: „ესეცა მოვიკსენეთ“, „ამისიგა სათანადოდ ვგონეთ მოკსენება“, „ამასაც განვასაზღვრებთ“, „განვაწესებთ რათა“, „ესეცა გუეუწყა“, რომელიც ახალი საკითხის დასაწყისს უძღვის ხოლმე წინ და ამ გარემოების მომასწავლებელია. ყოველი ახალი საკითხი-კითხვის მხრით შიძლება მუხლებად იყოს დაყოფილი.

ამ დაკვირვების შემდგომ საფიქრებელია, რომ § 5 უნდა ორ მუხლად გაიყოს, რომელთაგან პირველი ნაწილი სამდღელო ჭურჭელთა და შეწირულობათა ხელუხლებლობის საზოგადოდაკანონებას შეიცავს, მეორე ნაწილი-კი იწყება „ხოლო“-თი, რომელსაც წინ: სასვენინიშანი უზის, და ამ დადგენილების დამარღვევლათვის დაწესებულ სასჯელს შეიცავს (იხ. გვ. 65-64. § 5). ამგვარადვე საფიქრებელია, რომ ძეგლისწერის შემდგენელთ წინ ორ მუხლად ჰქონიათ ნაგულისხმევი და პირველი ნაწილი გვირგვინთა კურთხევის საზოგადოწესებს შეიცავს, მეორე-კი, რომელსაც თავში ამნაირადვე „ხოლო“ უძღვის და წინ: სასვენინიშანი უზის, გვირგვინთა კურთხევის შემდგომად მიღებულ წესებს ეხება. შესაძლებელია ამ დადგენილებათა დამარღვევლათვის სასჯელის შესახები ცნობაც ცალკე §-ად იყოს ნავარაუდევო, რადგან იგი: ნიშნითა და „ხოლო“-თი არის წამდგანებული (გვ. 64).

აღსანიშნავია, რომ სამს (§§ 8, 10 და 12) მუხლს თავში დაბეჭდილი ტექსტისდა მიხედვით მაინც არავითარი ზემოაღნიშნულის მსგავსი გამომყოფელი გამონათქვამი წინ არ უძღვის, მაგრამ, ჯერ გამოსარკვევია, იმთავითვე ასე იყო, თუ შემდეგში გადამწერთაგან იქმნა გამოტოვებული. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ ძეგლისწერის პირვანდელი სახე დამახინჯებული ჩანს და ჯერ კიდევ აღდგენასჭირდება, მაგრამ ზემონათქვამის შემდგომ საფიქრებელია, რომ ტექსტი 17 §-ად არის ნაგულისხმევი.

კრების კანონებრივი დადგენილებანი მხოლოდ თავშია შინაარსისდა მიხედვით დალაგებული, მერმე კი ეს აღარ არის დაცული.

რუის-ურბნის 1103 წ. კრების ძეგლის-წერა ქართული საეკლესიო სამართლის საუცხოო ძეგლია და როგორც შინაარსით, ისე გარეგნულადაც საინტერესო ნაწარმოებია და ძვირფას ცნობებს შეიცავს ქართული საერო სამართლის ისტორიისთვისაც. ამ ძეგლის შესახებ დაწერილი აქვს მონოგრაფია ნ. უ რ ბ ნ ე ლ ს „ჩვენი საეკლესიო სჯულმდებლობა, ძეგლისწერა“ (იხ. გაზ. „ივერია“ 1888 წ. №№ 38, 46, 47, 75, 270 და 271).

B. 1263 წ. ახლო დროის საქართველოს საეკლესიო კრების მოხსენება და დადგენილება.

თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ თავისი „ქრონიკები“-ს მე II წიგნში მე-XIII ს. საეკლესიო კრების დადგენილება მისგან ნაპოვნი მე-XVII ს. პირის მიხედვით დაიბეჭდა. ამ ძეგლის ტექსტი აქა-იქ დამახინჯებული ჩანდა. 1925წ. გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ მ ა საქართველოს ცენტრარქივში ამ ძეგლის ტექსტი „მე- XIII საუკუნის ლამაზი მხედრული ხელით“ ქაღალდზე დაწერილი იპოვა და „საინტერესო მოამბის“ 1925 წ. I წიგნში პატარა გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა (გვ. 219-224). ამ ხელთნაწერის „დასაწყისი დაზიანებულია და ზოგიერთი სიტყვა არ იკითხება“, მაგრამ გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს აზრით ამ ადგილს „აღბათ იგივე უნდა წერებულებო, რაც ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს მიერ დაბეჭდილში, რადგან ტექსტი სხვაში ერთმანეთს ეთანხმება“-ო (იქვე, გვ. 219). საქმე ისაა, რომ იმ მე-XVII ს. პირშიაც, რომელიც თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს ხელთ ჰქონია, ამ ძეგლს თავი და დასაწყისი არ უჩანს. ამიტომ ცხადია, რომ იმ ხელნაწერს მე- XVII ს. პირი გადმოუღიათ, თავი დაზიანებული ჰქონია და ამის გამო ვერც ეს პირი ავსებს იმ დანაკლის ნაწილს, რომელიც მას თავში აქვს. ამ გარემოების გამო, რომ ამ საბუთის როგორც დაწერილობის თარიღი, ნამდვილი შემდგენლისა, ისვე იმ მეფის სახელი, რომლისადმიც ეს მოხსენება და დადგენილება მიმართული ყოფილა, ძეგლის დაცული ტექსტიდან არა ჩანს და გამოსარკვევია.

გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ს ნათქვამი აქვს: მის მიერ ნაპოვნი „დედანი უნდა წარმომდინარეობდეს საკათალიკოზო არქივიდან, მაშასადამე რადგანაც საბუთი წარმოადგენს საეკლესიო ყრილობის მომართვას მეფისადმი, ამიტომ არსებითად ეს არ უნდა იყოს თვით ის საბუთი, რომელიც მეფეს წარედგინა, არამედ მისი პირი, საკათა-

ლიკოზო არქივში დაცული“-ო (იქვე, გვ. 219). სწორე მსჯელობაა, რამდენადაც ეს ხელთნაწერი არ შეიძლება მეფისადმი მიართმეულ საბუთად მიჩნეულ იქნეს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი ამ საეკლესიო კრების დადგენილების არც ის ნუსხა-დედანი უნდა იყოს, რომლისგანაც კაიხელად გარდანაწერს მეფეს მიართმევდნენ. ამ გარე-

მოებას ტექსტის შეცდომები ცხად-ჰყოფენ. ის უნდა მართლაც მხოლოდ პირი იყოს, ეგების მე-XIII საუკუნისა.

საფიქრებელია, რომ ამ ძეგლს თავის გარდა ბოლოც აკლია. მართალია კრების თვით დადგენილების ტექსტი დამთავრებულ შთაბეჭდილებას ახდენს და დანაკლისი არ ემჩნევა, მაგრამ დაუჯერებელია, რომ დადგენილების ბოლოში ამ საეკლესიო კრების თავმჯდომარესა და მთავარ ხელმძღვანელთ ხელი არ მოეწერათ. მეტად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები იყო მისი დადგენილება, რომ ხელმოუწერელი წარედგინათ მეფისათვის. ამიტომ უეჭველია ამ ძეგლს ბოლოც უნდა აკლდეს.

ეს ძეგლი საქართველოს საეკლესიო კრების დადგენილებას შეიცავს საეკლესიო მამულების სახელმწიფო ხელისუფლებისაგან სხვე-ბზე გაცემის გამო და მას ჩვენი ქვეყნის როგორც სოციალური, ისე-ვე ეკენომიური ისტორიის შესასწავლად უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე იგი ფრიად საგულისხმო ცნობებს შეიცავს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის მე-X – XIII სს-ში არსებული უფლებრივი დამოკიდებულების გასათვალისწინებლად.

ტექსტის დასაწყისის დაზიანებულობის გამო, როგორც აღნიშნული იყო, ამ საეკლესიო კრების ძეგლისწერის თარიღი გამო-სარკვევია. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ამ ძეგლის პირველი მპოვნელ-გამომცემელი, თავის საბოლოო დასკვნაში ულუ-დავითის დროისად სთვლი-და, მაგრამ თარიღი დაახლოებითაც განსაზღვრული არ აქვს (ქკბი II, 184). ამ ძეგლის მეორეჯერ ხელთნაწერის მიხედვით დამბეჭდავი გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ამ კრების დაახლოებით დათარიღებას შეე-ცადა. მისი სიტყვით მატიანეში ნათქვამია, რომ „ჟამსა სიბერისა მისისასა (ულუ-დავით) არა მართლად ვიდოდა წინაშე ღვთისა და მძლავრებისაგან თათართასა უცალო ქმნილმან იწყო შლად საყდარ-თა საეპისკოპოზოთა“ და სხვა იმგვარადვე, როგორც ქართველ ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს ა აქვს მოთხრობილი. ამ ამონაწერის თანახმად გ. გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს სიტყვით „საგულისხმებელია, რომ ულუ-და-ვითი იძულებული ყოფილა ამ ზომისთვის მიემართა «ჟამსა სიბერისა მისისა», მისი შვილის გიორგის სიკვდილის წინ ახლო ხანებში“. ხოლო რაკი გიორგი უფლისწული 1268 წ. გარდაიცვალაო, „ამისდა

მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, რომ საეკლესიო (ალბათ კათალიკოზთან) შეკრებილობა, რომელიც მეფეს განსაზღვრულ მოთხოვნი-ლებას უდგენს, უნდა შემდგარიყო დაახლოებით 1266-1268 წლებ-ში. ჩვენი საბუთიც ამ დროს უნდა იყოს დაწერილი“-ო (საისტ. მოამბე, 1925 წ. I, 224).

თვით ქ ლ ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ი ს ეს სიტყვები სიბერის ჟამის შესახებ იმდენად მეფე ულუ-დავითს არ ეხება, რამდენადაც სოლომონს. მართალია ჩვენი ისტორიკოსის მოთხრობა აქ ცოტა და-ზიანებული უნდა იყოს და ერთი ან ორიოდე სიტყვა მის წინადა-დებას უნდა აკლდეს, მაგრამ მისი აზრის გაგება მაინც ადვილია. ჟ ა მ თ ა ა ღ მ წ ე რ ე ლ ს ნათქვამი აქვს: „ხოლო თქმულ არს ესე-ცა, ვითარ ბრძენისა ს ო ლ ო მ ა ნ ი ს ა თ ჯ ს წ ე რ ი ლ არს ჟამსა სი-ბერისა მისისა არა-მართლად ვიდოდა წინაშე ღ ჳ თისა და მძლავრე-

ბისაგან თათართა უცალო ქმნილმან იწყო შლად საყდართა საეპის-
კოპოსთა“ და სხვა (*851, გვ. 696). გულდასმით გადაკითხვა ყვე-
ლას აგრძნობინებს, რომ „ვიდოდა წინაშე ღთისა“-სა და „და მძლავ-
რებისაგან თათართა უცალო ქმნილმან-ს“ შორის ტექსტს რამდე-
ნიმე სიტყვა უნდა აკლდეს და მის გამო ამ წინადადების აზრის ბუ-
ნებრივი მიმდინარეობა და განვითარება დარღვეულია. ამას გარდა,
ცხადია სიტყვები „ჟამსა სიბერისა მისისა არა მართლად ვიდოდა
წინაშე ღთისა“ სოლომონს ეხება და ეკუთვნის და არა ულუ-და-
ვითს. მართლაც სოლომონ ბრძენის შესახებ დაბადებაში, მეფეთა
წიგნში წერია („წერილ არს“), რომ სოლომონ მეფე დედათ-
მოყვარე გახდა, ბევრი ცოლი შეერთო და მრავალრიცხოვანი საყ-
ვარლები მოიყვანა. თანაც დამატებულია, რომ ეს „იქმნა ჟამსა
შინა სოლომონის სიბერისა“ (3 მეფეთა, XI, 1-5). გიორ-
გი ამარტოლის ხრონოგრაფის ქართულ თარგმანშიაც ნათქვამია,
რომ სოლომონის დედათმოყვარეობა და კერპთმსახურება „იყო დღე-
თა სიბერისა მისისათა“, როდესაც ის „არა ვიდოდა შემ-
დგომად უფლისა, ვითარცა დავით მამად მისი“-ო (სვ. ყაუხჩიშვი-
ლის გამოც. 93-94). ჟამთა აღმწერლის შედარება იმაზეა და-
მყარებული, რომ როგორც სოლომონზე საღმრთო წერილში სწერია
სიბერის დროს სწორე ღვთისნიერ გზას გადასცილდაო, ისევე ულუ-
დავითზეც თქმულა, რომ საეკლესიო ქონების გაცემით სწორე
(„მართალ“) გზას გადაუხვიაო.

მაგრამ ჟამთა აღმწერლის ამ შედარების მეორე ნაწი-
ლის დასაწყისი, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, დაზიანებუ-
ლია და დაკარგული. ჯერ ერთი წინადადების ამ მეორე ნაწილს

უნდა აკლდეს სიტყვები „ესრე სახედ-ვე“ ან „ესრეთ-ვე“, ან და ამის
მსგავსი სხვა რომელიმე გამონათქვამი, – ეს ცხადი იქნება, თუ გავიხ-
სენებით, რომ ამ წინადადების პირველი ნაწილი და შედარება იწყე-
ბა სიტყვით „ვითარ“. შემდეგ „ასრე სახედ-ვე“-ს, ან ამის მაგვარ
გამონათქვამს უშუალოდ ვერ მიჰყვებოდა სიტყვები „და მძლავრები-
საგან თათართასა უცალო ქმნილმან“, რათგან კავშირი „და“ ცხად-
ჰყოფს, რომ მძლავრების გარდა თათართაგან ულუ-დავითის უცალო
ქმნილობის სხვა მიზეზიც ყოფილა დასახელებული. როგორი გამო-
ნათქვამი იყო ამ პირველი მიზეზის დამახასიათებლად, დანამდვილე-
ბით ძნელი სათქმელია, მაგრამ დაზიანებული ტექსტის აღდგენა ამავე
ისტორიკოსის მსგავსი ადგილის მიხედვით შეიძლება, სახელდობრ იმ
ცნობის მიხედვით, სადაც ბასილი ჰყონდიდელ-უჯარმელის განდი-
დების მიზეზი და პირობებია მოთხრობილი, რომ თათართა წყლის
ლობეზე, „სიბა“-ზე ყოველწლიურმა გამგზავრებამ ულუ-დავითი თა-
ვის სახელმწიფოს ჩამოაშორა და ამ გარემოებამ ვაზირთა-უპირვე-
ლესი დამოუკიდებელ და თვითნება მბრძანებლად აქცია. ისტორი-
კოსს ნათქვამი აქვს თათართა „საქმეთაგან“ მოუცლელობის გამოო.
ზემომოყვანილი დაზიანებული წინადადებაც ამისდაგვარად ასე შეი-
ძლება აღდგენილ იქმნეს: „ესრეთვე მეფემან საქმეთა და მძლავრები-
საგან თათართასა უცალო ქმნილმან იწყო შლად საყდართა“-ო.

ულუ დავითისაგან საეკლესიო მიწების გაცემის მომთხრობელ

წინადადებას უშუალოდ მისი ამისთვის ღვთისაგან დასჯილობის ამბავი მოსდევს, რომელიც აგრეთვე თავში ოდნავ დამახინჯებულია. ტექსტი მარიამ დედოფლისეულ ხელთნაწერებში ამ ჟამად ასე იკითხება: „და მძლავრ სიბერესა შინა ვითარ სოლომონისა ამისთვის სწვრთნიდა ღმერთი არა ჩვენებითა, არამედ შვენიერებითა ძისა მისისითა სიკუდილსა გლოვითა“-ო (* 851, გვ. 696). საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ჩვენ ისტორიკოსს ასე უნდა ჰქონოდა: „და ამისთვის მძლავრსა სიბერესა შინა ვითარ სოლომონსა სწვართიდა ღმერთი არა ჩვენებითა, არამედ მშვენიერითა ძისა მისისა სიკუდილისა გლოვითა“. ამ შედარების გასაგებად უნდა გავიხსენოთ, რომ დაბადებაში შეტანილი ცნობის თანახმად, სანამ სოლომონი სიბერეში ჩადენილი ცოდვებისათვის დაისჯებოდა, ღმერთმა ორჯერ „ჩვენებით“ მისი სწორე გზაზე დაბრუნება სცადა.

ჟ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი ქართველ მკითხველს ამცნებს, რომ დავით მეფის მორჯულება ღმერთს „ჩვენებით“-კი არა, არამედ საყვარელი და მშვენიერი შვილის უდროო სიკვდილით უნდოდა, მაგრამ ვერც ამან მოიყვანა გონსაო.

– 50 –

ამგვარად ცხადი ხდება, რომ თუ ჟ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი ს პირველ წინადადებაში სიბერის შესახები ცნობა სოლომონ ბრძენს ეხება, მეორე წინადადებაში ნახმარი სიტყვა ულუ-დავითს უნდა ეხებოდეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ულუ-დავითი ნამდვილ სიბერეს არც მოსწრებია, რათგან, როდესაც ის მუცლის სნეულებისაგან გარდაიცვალა, მით უმეტეს როცა შვილი მოუკვდა, მხოლოდ შუახნის, ან ხანში შესული კაცი იყო: 1266 წელს ის სულ ბევრი 50 წლისა იქნებოდა. ამ ხნის ადამიანს კი მაშინ, როცა ეხლანდელზე გაცილებით უფრო მეტი დღეგრძელობა იყო, შეუძლებელია ბებერი სწოდებოდა. ამიტომ თითქოს ისე გამოდის, რომ ჟ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ს დავით მეფის სიბერე უფრო სოლომ ბრძენის თავგადასავალთან მსგავსების გამაძლიერებელ ღონეობად უნდა ჰქონდეს გამოყენებული, ვიდრე საქმეთა ნამდვილი ვითარების გამომხატველად. მაინც-და-მაინც ჩვენს ისტორიკოსს ულუ-დავითის სიბერე შვილის დაკარგვის დროსა აქვს მოხსენებელი, ამიტომ საეკლესიო მიწების გაცემისა და ღვთის რისხვას შუა არც ისე ცოტა ხანია საგულისხმებელი.

აღსანიშნავია მხოლოდ, რომ საეკლესიო მიწების გაცემა, ანუ ეგრეთწოდებული „შლა საყდართა“ ულუ-დავითის სიბაზე სიარულს შემდგომ დაიწყო, ე. ი 1263 წ-ს. ამაზე უწინარეს საეკლესიო კრება მაშასადამე არ შეიძლება რომ ყოფილიყო. მეორეს მხრით, როგორც გ ო ზ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ც ფიქრობდა, გიორგი უფლისწულის სიკვდილის უწინარეს უნდა ვიგულისხმოთ მარტო იმიტომ-კი არა, რომ ქლი ჟ ა მ თ ა ა ლ მ წ ე რ ე ლ ი ამ სიკვდილს ღვთის სასჯელადა სთვლის (მე-XIV ს. ისტორიკოსს აქ შეიძლება ნებსითი, თუ უნებლიეთი ანაქრონიზმი ჰქონდეს), არამედ იმიტომ, რომ საეკლესიო კრების ძეგლისწერაში ამის არავითარი კვალი არ ჩანს.

ეხლა ის გარემოებაც არის გასათვალისწინებელი, რომ საეკლესიო მიწების გაცემა ეკლესიისათვის იმდენად მნიშვნელოვანი და თავისი მოულოდნელობით განსაკუთრებით სახიფათო მოვლენა იყო,

რომ სრულებით დაუჯერებელია სამღვდელოებას ამ გარემოებისათვის მაშინვე ფიცხელი წინააღმდეგობა არ გაეწია. ამის გამო საფიქრებელია, რომ საეკლესიო კრება 1263 წ. შემდგომ სულ ახლო ხანებში უნდა ყოფილიყო მოწვეული.

C. „სამართალი კათალიკოზთა და კრების¹ მიერ“.

ასეთი სათაური აქვს იმ ძეგლს, რომელსაც მისი 1913 წ. გამომცემელი ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე და პროფ. კ ო რ. კ ე კ ე ლ ი ძ ე რატომღაც

– 51 –

უწოდებენ „სამართალი კათალიკოზისა“ (ს. კ. კ. „სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო“; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერ. ისტ. I, 617). უკანასკნელი „საკათალიკოზო კანონები“-ს სახელითაც - კი იხსენიებს (იქვე). ამ ძეგლის შესავლითგან-კი ცხადადა ჩანს, რომ მხოლოდ ვახტანგ მეფის საკანონმდებლო კრებულში დაცული ზემომოყვანილი სათაური შეიძლება ნამდვილ და სწორე სათაურად ვიცნათ. ამ ძეგლის შესავალში, რომელიც მე-XVIII ს. უცნობ კოდიფიკატორს შეცდომით პირველ §-ად მიუჩნევია და აღუნიშნავს და ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე ს ა ც ასევე გამოუცია, შემდეგია ნათქვამი: „სახელითა ღმერთისათა მე ქეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზმან-პატრიარქმან მალაქია, მე ქეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამამთავარმან ევდემოს დავსჯედით და შეგვრიბენით ყოველნი ეპისკოპოზნი აფხაზეთისანი. დიდი სიყმილი მოვიდა ცოდვათა ჩუენთაგან, მრავალი უწესობა და უჯერო საქმე შემოვიდა: კაცის კვლა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრებვა და უხვედრობა. დავიდევით სჯულისკანონი და ჩუენცა იმისგან გამოვიდეთ, და რაც იმისგან არ გამოვიდევით, ჩუენ ჩუენი მაგიერი არა შეგვიმატებია რა და სჯულისკანონიც ასე ბრძანებს“-ო. ამ შესავლითგან ირკვევა, რომ ამ საკანონმდებლო ძეგლის შემდგენელი ერთი კათალიკოზი-კი არ ყოფილა, არამედ მართლაც კათალიკოზნი და აფხაზეთის სამწყსოს ეპისკოპოსთა კრება და ამიტომ მის სათაურად შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ „ს ა მ ა რ თ ა ლ ი კ ა თ ა ლ ი კ ო ზ თ ა და კ რ ე ბ ი ს ა მ ი ე რ“.

ბატონიშვილს ვ ა ხ უ შ ტ ს ეს ძეგლი მე-XVII ს. დამდევს მიაჩნდა შედგენილად, რაც აკად. მ. ბ რ ო ს ს ე ს მიერ უარყოფილ იქმნა და ევდემონ კათალიკოზი 1578 წ. გარდაცვლილ ევდემონ ჩხეტიძედ იქმნა აღიარებული (H. d. Ia. C. II. I. II. 437-8). ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ ამ კრების მონაწილე კათალიკოზ-ეპისკოპოზთა ზეობის წლებისდა მიხედვით ეს „სამართალი“ 1544-62 წ-ში შედგენილად აღიარა (იხ. მისი ზემოდასახ. გამოცემის გვ. 8-10).

პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე მალაქიას 1531-49 წ. კათალიკოზობისა და ევდემონ I ჩხეტიძის 1543-78 წ. კათალიკოზობის გამო ამ ძეგლს 1543-49 წ. შედგენილად სთვლის (იხ. ქართ. ლიტ. ისტ. I, 617-618) და ეს დათარიღება უფრო ზედმიწევნითია.

ეს ძეგლი ჯერჯერობით შესწავლილი არ არის. მხოლოდ ნ. უ რ ბ ნ ე ლ ს ა ჰქონდა დაბეჭდილი მონოგრაფია „ჩვენი საეკლესიო ისტორიიდან, სამართალი კათალიკოზისა“ (მოამბე 1898 წ. №№ 3 და 4).

შეჰხებია. პროფ. კორ. კ ე კ ე ლ ი ძ ე ს ალბათ ამ ქართული გამოცემის არსებობა გამოჰპარვია და ვახტანგის კანონების კრებულის ფ რ ე ნ კ ე - ლ ი ს უვარგისი რუსული თარგმანის მიხედვით აღნიშნული აქვს მხოლოდ ამ ძეგლის მოკლე შინაარსი და 22 მუხლიანობა(ქართ. ლიტ. ისტ. I. 618).

კათალიკოზთა სამართლის წიგნის ტექსტის პირვანდელი სახე დამახინჯებული ჩანს. ჯერჯერობით მისი დედანი ვახტანგ VI კრებულის გარეშე არსად ცალკე არ იპოვება, ამ კრებულში შეტანილი ტექსტი-კი სისწორით გადმოწერილი არ არის. საკმარისია მაგ. ადამიანმა ამ ძეგლის ხელრთვას მიაქციოს ყურადღება, რომ ეს გარემოება მისთვის ცხადი შეიქმნას. როგორც ამ სამართლის წიგნის შესავლითგანა ჩანს, კანონმდებელი კრების პირველ მონაწილედ ყოვლისა საქართველოდსა კათალიკოზ-პატრიარქი მალაქია ყოფილა, ბოლოში დართული ხელრთვა-კი რომ გადაიკითხოთ, იქ მალაქიას ხელისმოწერას ვერ იპოვით. შემდეგ აფხაზეთის კათალიკოზის ხელრთვაც უსახელოდ არის შენახული და სწერია „მე აფხაზეთის კ“ში კანონითა ვამტკიცებ“-ო. ცხადია სახელი გამოტოვებულია. ამგვარადვე უსახელოდ არის ვახტანგ VI კრებულში ჭყონდიდელისა, ბედიელისა და მოქუელის ხელრთვა და ნათქვამია მართო: „მე მამა[თმავარი?] ჭყონდიდელი კანონითა ვამტკიცებ, მე ბედიელი მიტროპოლიტი კანონითა ვამტკიცებ, მე მოქუელ მთავარეპისკოპოსი კანონითა ვამტკიცებ“-ო. დანარჩენ მონაწილე მწყემსთმთავრების, – დრანდელისა, ცაგერელისა, ხონელისა, ნიკორწმინდელისა და ჩაიშელის ხელრთვა-კი სრულად არის დაცული.

კათალიკოზთა სამართლის წიგნის ტექსტი ვახტანგ VI კრებულში §-ებად არის დაყოფილი და სულ 32 §-ია. ასევეა ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე ს გამოცემაშიც დაბეჭდილი, მაგრამ პირველ მუხლად შეცდომით შესავალია ჩათვლილი, რომელშიაც მხოლოდ საკანონმდებლო კრების მოწვევის მოთავენი თავიანთ თავს ასახელებენ და მკითხველს ამ კრების მიზეზსა და მიზანსაც ამცნებენ. რამდენადაც აქ კანონის არავითარი დადგენილება არ არის და მხოლოდ მისი შესავალია, მისი კანონის §-ად ჩათვლა მართებული არ არის. საერთოდ უნდა ითქვას, რომ მუხლების სათვალავები კოდიფიკატორის საქმე უნდა იყოს. მას-კი ამ შემთხვევაში §-ები მექანიკურად დაუსვამს ყველგან, სადაც

¹⁾ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე ს გამოცემაში ხონელის ხელრთვა არ არის, მაგრამ ჩემს ვახტანგ VI კრებულის 1794 წ. ხელთნაწერშია, და იქ ან თვით გამომცემელს უნდა გამორჩენოდა, ან იმ ხელთნაწერს, რომლის მიხედვითაც მას გამოცემული უნდა ჰქონდეს.

ხელთნაწერში სტრიქონის პირველი სიტყვა, ან სიტყვის პირველი ასოც-კი წითურად იყო დაწერილი.

ამ სამართლის წიგნის გულდასმით შესწავლა გვაფიქრებინებს, რომ მის შემდგენელთ კანონების ტექსტი ჯერ შინაარსის მიხედვით

რამდენიმე მთავარ ნაწილად დაუყვიათ, ხოლო ზოგი ნაწილთაგანის ტექსტი რამოდენიმე მუხლად არის ნაგულისხმევი. ეს გარემოება ჩვენთვის ცხადი შეიქნება, თუ ერთის მხრით შესავლის ცნობას დავაკვირდებით, მეორეს მხრით თვით კანონების ზოგი მუხლების დასაწყის სიტყვებს მივაქცევთ ყურადღებას. შესავალში ნათქვამია, რომ „მრავალი უწესობა და უჯერო საქმე შემოვიდა: კაცის კვლა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრეხვა და უხვედრობა“ და სჯულისკანონის მიხედვით ქვემოთ მოყვანილი დავადგინეთო. ამ შესავალს უშუალოდ, მაგრამ ახალი სტრიქონითგან მისდევს „რამანც კაცმაც კაცი გაყიდოს“ ეს და ეს სასჯელი მიესაჯოსო. ეს მუხლი ხელთნაწერებში ამ ჟამად მე-2 §-ად არის აღნიშნული, მაგრამ ნამდვილად პირველ §-ად გამოდის.

ამ მუხლს მისდევს „ე კ ლ ე ს ი ი ს მ კ რ ე ხ ე ლ თ ა თ ვ ი ს ე ს გ ა ნ გ ვ ი წ ე ს ე ბ ი ა“-ო და შემდეგ მკრეხველობის ორნაირი შემთხვევა დასახელებული, – ეკლესიის გატეხა და ხატის გაცარცვა ერთის მხრით, მეორეს მხრით ეკლესიითგან რაიმე ნივთის („საქონლის“) მოპარვა, – და ორივესთვის ცალცალკე სასჯელია დანიშნული.

მერმე ორი § მკვლევლობას ეხება და ერთი § ქურდობას. ამ მუხლებს ზემომოყვანილის მსგავსი წინამავალი სიტყვები არა აქვთ. მაგრამ ამ სამი მუხლის შემდგომ კვლავ ნათქვამია: ე პ ი ს კ ო პ ო ზ ი ს ა ს ა ქ მ ე ა ს ე გ ა გ ვ ი ჩ ე ნ ი ა და გ ა ვ ა ჩ ი ნ ე თ“-ო და ამას 9 § მისდევს, რომლებშიაც ეპისკოპოზისა და საეპისკოპოზოს, ან ეპისკოპოზისადმი ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელია განჩენილი.

ამის მერმე § 16 -ში, რომელიც შცდომით 17-ად არის აღნიშნული, მეფისადმი ღალატის შესახებაა საუბარი, მომდევნო §-ში კათალიკოზისა და ეპისკოპოზის გინებაზეა. შემდეგ §-ში ისევ ეპისკოპოზის დანაშაულობაზეა საუბარი. რაკი მთელი ძეგლის მუხლები შინაარსის მიხედვით არის დალაგებული, ამიტომ საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ეს § „ეპისკოპოზისა საქმის“ განჩინების ნაწილში იქნებოდა მოთავსებული და მხოლოდ შემდეგში შეცდომით იქნება გადმოსმული. მერმე გამომძიებლისა და მოსამართლის

¹⁾ ხელთნაწერშია „ეს“.

სიმრუდეს ეხება მუხლი და ბოლოს საეკლესიო მამულების მიმტაცებლობისათვის განკუთვნილი სასჯელია განჩენილი.

ამ მუხლის შემდგომ § კბ, ანუ 22-ედ (ნამდვილად § 21 გაბო-დის) აღნიშნულ ნაკვეთში შემდეგია ნათქვამი: „ვინცა ეს მოციქულთა და წმიდათა კრებათაგან განწესებული და ჩუენ მიერ დამტკიცებული სჯული და წიგნი გაათაოს, კურთხევა ღთისა, უბიწოდ მშობელისა მისისა და წმიდათა კრებულთაგან და წმიდათა მოციქულთა და ყოველთა წმიდათაგან. ვინცა ეს დაამტკიცოს, ლოცვა -კურთხევით და მშვიდობით იყოს თავითა, ცოლითა, შვილითა, სახლით, მამულით, აგარაკით, რაც ღთსა კაცისათვს კეთილი დაეხადოს ყოველითა კეთილითა აღსავსე იქმნეს, ლოცვა-კურთხევით და შენდობით ამყოფოს. ვინცა ამ წმიდათა კრებათა [და] მოციქულთაგან განწესე-

ბული და ჩუენ მიერ დამტკიცებული [და] რომელმანცა არა შეიწყნაროს და კათოლიკეს საყდარზედ დასმულსა წინააღუდგეს და ჩუენი მცნება არ დაიმარხოს, კრულმცა არის ცათა შინა და ქუეყანასა ზედა წმიდათა კრებულთაგან, წმიდათა მოციქულთაგან და ყოველთა წმიდათაგან, შე-მცა-ექნების (ედების?) ძწროლა კაენისა, შიშთვილი იუდასი, მეხისტეხა დიოსკორესი, მოშთობა გმირთა, დაწევა სოდომელთა, კეთრი გეზისა, დანთქმა დათან და აბირონისა, სირცხვილი კრისკენტი და თაბინესი და ყოველთა ქრისტეს უარისმყოფელთა თანამცა არის ნაწილი მისი: – “. ცხადია, ეს ნაკვეთი შინაარსით „კათალიკოზთა სამართლის წიგნის“ დასასრულს წარმოადგენს, რომელშიაც კურთხევაა ამ კანონების დამამტკიცებელთათვის და კრულვას დამრღვევთათვის. თავისი სიტყვიერი შედგენილითა და გამონათქვამებით იგი სიგელთამცოდნეობაში კარგად ცნობილს სიგლის მეხუთე ნაწილს უდგება, რომელსაც „ბრალთაგადამხდელობა და კურთხევა“ ეწოდებოდა (იხ. ამის შესახებ ჩემი „ქლი სიგელამცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 108-112). რაკი ეს ნაკვეთი კონკრეტული დანაშაულობის შესახებ არავითარ დადგენილებას არ შეიცავს და მხოლოდ საერთო ხასიათის კურთხევასა და კრულვას წარმოადგენს, ამიტომ მისი კანონის მუხლად მიჩნევა არ შეიძლება, და არც რაიმე სათვალავი უნდა ჰქონდეს: იგი ამ ძეგლის დასასრულია, იმგვარადვე როგორც თავში მოქცეული ნაკვეთი, როგორც დავრწმუნდით, § I – კი არ არის, არამედ შესავალი.

კათალიკოზთა სამართლის წიგნის ამ კურთხევა-კრულვის შემცველი საერთო დასასრულის შემდგომ მკითხველი მოულოდნელად § კვ (23) ჰხვდება, რომელშიაც ნათქვამია: „ვინცა ანუ დიდმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმა, ანუ გლეხმან რძალი შეირთოს,

– 55 –

შეჩუენებულმცა არის ღთისაგან და მისთა წმიდათაგან და შვიდთა კრებათა [და] წმიდათა მოციქულთაგან, კაცი-ცა და დედაკაცი-ცა გაღმა-გამოღმა დაკირონ. დამკირაენი ჩუენგან დალოცვილ და კურთხულ იყვენ“ო. ბუნებრივად იბადება აზრი, თითქოს ეს მუხლი მერმინდელი დანართი იყოს და ამ ძეგლის პირვანდელ შედგენილობას არ ეკუთვნოდეს, რათგან ის ამ სამართლის წიგნის დასასრულის შემდგომ არის მოთავსებული.

ამ საკითხის გადასაწყვეტად უნდა გათვალისწინებული გვექონდეს შესავალში აღნიშნული ყველა ის უწყესობა და უჯერო საქმე, რომლის აღმოსაფხვრელად, ან ასალაგმავად საკანონმდებლო კრების მიერ კათალიკოზთა სამართლის წიგნი იქმნა შედგენილი. თუ იქ უკანასკნელ, მერმინდელ დანართად მისაჩნევ, მუხლში დასახელებული დანაშაულობა არ იხსენიება, მაშინ მისი დანართად ცნობა მართებულიცა და სწორეც იქნება. მაგრამ სწორედ ამ შესავალში უწყესო და უჯერო საქმეთა შორის უკანასკნელ ადგილას „უხუედრობა“ არის დასახელებული. რძალის შერთვაც ნამდვილად ამ უხუედრობის ერთი შემთხვევათაგანია და ამიტომ ამ მუხლის მერმინდელ დანართად მისაჩნევად შინაარსის გამოყენება არ შეიძლება და ერთად-ერთ საბუთად მისი უადგილო მდებარეობა რჩება, რათგან ძეგლის დასასრულის შემდგომ არის მოთავსებული. ეს გარემოება-კი შეიძლება

ტექსტის მერმინდელ გადამწერთაგან აღრევითა და ამ მუხლის გადასმულობით აიხსნებოდეს. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად იგი კათალიკოზთა სამართლის წიგნის უკანასკნელი მუხლი იყო და ამ ძეგლის დასასრულს წინ უძღოდა.

ამნაირადვე მერმინდელი დანართობის ეჭვის აღმძვრელია კრების მონაწილეთა ხელრთვის შემდგომ მოთავსებული მუხლი „რომელმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, შეჩუენებულიმცა არის წმიდათა მოციქულთაგან და სიკუდილითა განიპატიჟოს“-ო. ამ მუხლის ადგილმდებარეობაც მისი დანართობისა და მერმინდელობის მომასწავებელია და ის ყოვლად მოულოდნელი სიმკაცრეც, რომელიც ამ დანაშაულობისთვის დაწესებულ სასჯელში მოჩანს: ცოლის დაგდებისათვის სიკვდილის გაჩენა იმ კანონმდებელი კრებისაგან, რომელმაც ძმითა და თვით მამის მკვლელობისთვისაც-კი მხოლოდ ხელის მოკვეთა და მამულისაგან გამევება დააწესა (იხ. § ე), სრულებით დაუჯერებელი რამეა. მართალია § კგ-ად აღნიშნულ მუხლშიაც სასჯელი მეტად მკაცრია დადებული („დაკირვა“), მაგრამ საუბარი რძლის შერთვაზეა, რაც სქესობრივი აღრევის თანასწორად ითვლებოდა და ქართული ხალხური ზნეჩვეულებითაც სწორედ ამნაირივე ძალიან

- 56 -

მკაცრი სასჯელი, ჩაქოლვა არსებობდა ისე, რომ ხალხური ზნეჩვეულებისა და უფლებრივი აზროვნების გავლენა უნდა იყოს. უკანასკნელი § -ის შესახებ-კი ამის თქმა არ შეიძლება და ვითარცა მთელი ძეგლის საერთო ხასიათთან შეუთანხმებელი და კრების მონაწილეთა ხელრთვის შემდეგ მოთავსებული მერმინდელ დანართად უნდა იქმნეს მიჩნეული. ამგვარად ცხადი ხდება, რომ კ ა თ ა ლ ი კ ო ზ თ ა ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ი გ ნ ი ს ტ ე ქ ს ტ ი პ ი რ ვ ა ნ დ ე ლ ი ს ა ხ ი თ შე ნ ა ხ უ ლ ი არ ყ ო ფ ი ლ ა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ძეგლის კანონები შინაარსის და მიხედვით არის დალაგებული და ჯერ კაცის ყიდვაზეა საუბარი, შემდეგ ეკლესიის მკრეხველთათვის 2 §-ია განკუთვნილი, მერმე მკვლელობის შესახები ორი მუხლია, შემდეგ ქურდობის შესახები 1 მუხლი მისდევს, მერმე ეპისკოპოზისა და მის შესახები დანაშაულობების შემცველი ცხრა მუხლია მოთავსებული ერთად და აქვე უნდა ყოფილიყო თავდაპირველად ამ ჟამად § 19 აღნიშნული და თავის ალაგითგან ალბათ შემდეგში გადასმული მუხლი ეპისკოპოსისაგან უღირი მღვდლისა და დიაკონის კურთხევის შესახებ. ამნაირად ეს ნაწილი სულ 10 მუხლის შემცველი უნდა ყოფილიყო. მერმე მეფის ღალატის შესახები 1 §-ია და კათალიკოზ-ეპისკოპოზისადმი მიყენებული უკადრისობის შესახები მუხლია, შემდეგ მრუდსა და პირმოთნე მოსამართლეზეა და ამჟამად უკანასკნელ მუხლად საეკლესიო მამულების მიტაცებლების შესახები სასჯელია განჩენილი. ხოლო თავდაპირველად ეს ძეგლი ალბათ იმ უხვედრობის შესახები §-ით თავდებოდა, რომელიც ეხლა § 21-ად ითვლება.

ამას გარდა საყურადღებოა, რომ ეკლესიის მკრეხველობისათვის განკუთვნილ ორ მუხლს წინ უძღვის „ეკლესიის მკრეხველთათვის ესე გაგუიწესებია“-ო და ამნაირადვე ეპისკოპოზისა და ეპისკო-

პოზისადმი ჩადენილი დანაშაულობის შესახებ 9 მუხლსაც წინ უძღვის „ეპისკოპოსის საქმე ესე გაგვიჩენია და გავაჩინეთ“-ო. ცხადია ეს ორი წინამორბედი წინადადება ახალი საკითხის დასაწყისის მომასწავებლად არის გამოყენებული. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ კათალიკოზთა სამართლის წიგნის შემდგენელნი ცდილან ამ ძეგლის შინაარსის სისტემატურად დაეღაგებინათ და თვითოეული ახალი საკითხისათვის წინამორბედი წინადადება დასაწყისის აღსანიშნავად წაუმძღვანიებიათ. ასეთი წინამორბედი წინადადებები, ან გამონათქვამები, როგორც დავრწმუნდით, რუის-ურბნისის 1103 წ. საეკლესიო კრების ძეგლისწერაშიაც

- 57 -

არის ნახმარი და კათალიკოზთა სამართლის წიგნშიც ამ მხრით მაშასადამე იმავე ღონეობას მისდევს. ამის გამო საფიქრებელია, რომ ამ ძეგლის თავდაპირველ ტექსტში ახალი საკითხის დასაწყისის მომასწავებელი წინადადებები სხვა ყველა სათანადო ადგილას, სადაც კი ახალ საკითხზე გადადის კანონმდებლობითი მუხლი და სადაც ვახტანგ VI-ის კრებულის ხელთნაწერებში ამნაირი წინამორბედი წინადადება არ ჩანს, წინათ უნდა ყოფილიყო და მერმინდელ გადამწერთაგან იქნება გამოტოვებული.

კათალიკოზთა სამართლის წიგნის მოქმედების ასპარეზი თვით ძეგლის შესავალში აღნიშნული არ არის, მაგრამ ბოლოში დართული მღვდელთმთავართა ხელის მოწერა ცხად ჰყოფს, რომ იმერეთის სამეფოთი, სამეგრელო-აფხაზეთის საზღვრებით შემოფარგლული უნდა ვიგულისხმოთ ის მიწაწყალი და მოსახლეობა, რომლისთვისაც ეს სამართლის წიგნი იყო განკუთვნილი. საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ამ კრებაში მონაწილეობას იღებდა ვითარცა ქართული ეკლესიის უზენაესი საჭეთმპყრობელი. აღსანიშნავია, რომ გურიის ეპისკოპოსოს მღვდელთმთავარს ამ კრებაში მონაწილეობა არ მიუღია და ამიტომ უეჭველია მისგან შედგენილი ძეგლი ამ სამწყსოს არ ეხებოდა. კათალიკოზთა სამართლის წიგნი მე-XVI ს. დასავლეთი საქართველოს უფლებრივი და და სოციალური მდგომარეობის შესასწავლად მნიშვნელოვანი ძეგლია და სწორედ სამწუხაროა, რომ მისი ტექსტი ჯერ სათანადოდ გამოცემული არ არის, რათგან ს. კაკბაძის 1913 წ. გამოცემა ამ ძეგლის უბრალო მექანიკურ ბეჭდვითს გადმოღებას წარმოადგენს. გამომცემელს იმდენად არ შეუწუხებია თავი, რომ იმ ხელთნაწერის აღნიშვნაც-კი დაჰვიწყებია, რომლის მიხედვითაც ტექსტი არის გადმოცემული.

D. 1767 – 8 წ. განჩინება.

თავისი მოქმედების ასპარეზისდა მიხედვით საეკლესიო კანონმდებლობის ძეგლადვე უნდა იქმნეს მიჩნეული ის „განჩინება“, რომელიც 1767 წ. ყოფილა შედგენილი და დაბეჭდილი და ანტონ კათალიკოზსა და ერეკლე მეფეს 1768 წ. დაუმტკიცებიათ, თანაც უბრძანებიათ: „ეს განჩინება უნდა ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხოთ და გააფრთხილოთ“-ო (თ. ქო -

რ დ ა ნ ი ა . Опис I , 315). ამ განჩინების ტექსტი 13 მუხლისაგან შესდგება და იქ წმინდა საეკლესიო საკითხებს გარდა ქართულ ხალ-

– 58 –

ხურ ზნე-ჩვეულებათა, წარმართობის ნაშთისა და სისხლის სამართლის ზოგიერთ დანაშაულობათა, ისევე როგორც სასჯელთა შესახებაც საგულისხმო ცნობები მოიპოვება. ამ ძეგლის ტექსტი ტ. ს. უ. ხელთნაწერ № 317 (ყოფ. საეკ. მუზ.)-შია დაცული, ხოლო შინაარსი რუსულად გადმოცემულია და ერეკლე მეფის განკარგულება ქართულად დაბეჭდილია თ . ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს მიერ (Опис I , 315-315).

§ 4. საქართველოს ეკლესიის უპირატესობათა სიმტკიცის წიგნები.

საქართველოს ეკლესიას, როგორც რომის ეკლესიას, სახელმწიფო ცხოვრებასა და წესწყობილებაში განსაკუთრებული უპირატესობანი ჰქონდა მოპოვებული და მინიჭებული, რომელთა წყალობითაც მას მარტო წმინდა საეკლესიო ღირებულების ხასიათი-კი არ ჰქონდა, არამედ სახელმწიფოებრივი სხეულისა და ერთეულის თვისებებიც მოეპოვებოდა. ქართული ეკლესიის ამ უფლება-უპირატესობათა შესახებ მკვლევარი ვერც სჯულისკანონში, ვერც ადგილობრივი კრებების ძეგლისწერაში ვერავითარ ცნობებსა და კვალსაც -კი ვერ აღმოაჩენს. ამ ფრიად საყურადღებო საკითხის შესწავლისათვის მკვლევარმა უნდა სიგელ-გუჯრებს მიჰმართოს. ამ შინაარსის საბუთთა შორის ბევრი ქართული ეკლესიის კათალიკოზ-პატრიარქის ცენტრალური სამმართველოს ორგანიზაციის შესახებ საგულისხმო ცნობების შემცველია, მაგრამ უძველეს ძეგლად, რომელშიაც საქართველოს ეკლესიის უზენაესი საჭეთმპყრობელის განსაკუთრებული უპირატესობა საკუთარი ჯარის ყოლისა და საკუთარი სარდლის მეთაურობით ლაშქარ-ნადირობაში განცალკევებული სამხედრო ერთეულის სახით მონაწილეობის უფლება აღბეჭდილი, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ ე ფ ი ს 50 ქრონიკონით, ანუ 1392 წ. დათარიღებული წიგნი ა. ეს საბუთი ალექსანდრე მეფისაგან არის კათალიკოზ ბასილი-სადმი ბოძებული და ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მიერ იყო გამოცემული (სქ სძვლნი I, 244-245).

ამ საბუთისადმი მიძღვნილ შესავალში გამომცემელს ნათქვამი აქვს: „მეფე ალექსანდრე 1362 წ. ცნობილი არ არის. შესაძლოა ქრონიკონი შეცდომით იყოს მოყვანილი და სიგელი ეკუთვნოდეს ალექსანდრე მცხეთის განმაახლებელს 1413-1442. სიგელი გადმოგვცა ვ. გედევანიშვილმა“-ო (იქვე, გვ. 244, № 203). ხოლო „საქართველოს სიმძვლეუთა“ ამავე I ტომის საძიებლის შენიშვნაში ასე-

– 59 –

თი განმარტება მოიპოვება: „ამ დროს ქართლში მეფე ალექსანდრე ცნობილი არ არის, ხოლო ამ დროის ხანებში იმერეთს ცნობილია ალექსანდრე, მეფის ბაგრატ I შვილი, რომელიც ბაგრატ დი-

დის დროს გამგებლად იყო იმერეთისა, და შემდეგ მეფის სახელსაც ატარებდა, † 1389“-ო (გვ. 497). ეს საბუთი თ . ჯ ო რ დ ა ნ ი ა ს ა ც აქვს სინოდ. კონტორის მე-XVII ს. ხუცურად დაწერილი ნუსხის მიხედვით თავის ქ-კბის II წიგნში დაბეჭდილი 1362 წ. ქვეშე (გვ. 187-188). მასაც აღნიშნული აქვს ის სიძნელე, რომელიც მეფე-კათალიკოზის სახელებისა და საბუთის თარიღის გამო იბადება, მაგრამ მე-XIV სა-დ მიაჩნია (გვ. 187-188).

როგორც ზემომოყვანილი განმარტებიდან ჩანს, ე . თ ა ყ ა ი - შ ვ ი ლ ი გრძნობდა, რომ ეს საბუთი ჯერ კიდევ განსახილველია და მისი მბომბებლის ვინაობაც გამოსარკვევია. რომელი თავის აზრთაგანი მიაჩნია სწორედ, არა ჩანს, მაგრამ საფიქრებელია, რომ სამიგბელში მოთავსებული, ვითარცა უკანასკნელი, უფრო სწორედ უნდა ჰქონდეს მიჩნეული. აღსანიშნავია, რომ სიგელი სრულიად საქართველოს მეფისაგან არის ბომბებული, რათგან მისი განკარგულების ასპარეზი იმიერ-ამიერ საქართველოს შეიცავს. ამიტომ ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მეორე აზრი ძნელი დასაჯერებელია. ამნაირად ისე გამოდის, რომ საბუთი თითქოს ალექსანდრე I დიდის მიერ უნდა იყოს დაწერილი. მაგრამ ალექსანდრე დიდის სიგლები სხვანაირად იწერებოდა და ამ საბუთში არც მეფისათვის ნახმარი სახელდება-წოდებულება („ჩვენ ჴელმწიფემან მეფემან ალექსანდრემ“), არც სიგლის ბოლოში ნაჩვენები თარიღი და დათარიღების წესი („ქ-ს; მი“) მე-XIV ს-ისა და ალექსანდრე I-ის სიგლებში მიღებულ წესებს არ უდგება (იხ. ჩემი „ქართული სიგელთა მცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა, გვ.124-126, 126-129 და 130).

ამას გარდა ალექსანდრე დიდის სხვა სიგლებში კათალიკოზი ბასილი არც გვხვდება. ერთი გარემოებაა კიდევ აღსანიშნავი: თ . ჯ ო რ დ ა ნ ი ა ს მიერ მე-XVII ს. პირის მიდებვით დაბეჭდილს ამ საბუთის ტექსტში მერმინდელ მეფეთა დამტკიცებულობის ხელრთვა სრულებით არ ჩანს(ქ-კბი II, 188) და ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს - გ ა ნ გამოცემული ამ საბუთის დედანიც, რომელიც ვ. გედევანიშვილს გადაუცია, მხოლოდ ერეკლე მეფის 1769 წ. დამტკიცებულობის ხელრთვასა და 1770 წ. დამტკიცებასვე შეიცავს დარეჯან დედოფლისასა და ლეონ ბატონიშვილისას(სქ-ს სმ-ვლნი I, 244-245). ამნაირად ირკვევა, რომ ეს სიგელი მე-XIV-XV ს. შემდგომ არც ერთი მეფისათვის არ წარუდგენიათ განახლებისა და

დამტკიცებისათვის ერეკლე მეფის გარდა, რომელსაც ეს საბუთი მე- XVIII ს. სამოცდაათიან წლებში დაუმტკიცებია. ეს მეტად დამაფიქრებელი და გასაოცარი გარემოებაა, თუ გავიხსენებთ რამდენად დიდმნიშვნელოვანია ეს სიგელი კათალიკოზისადმი მინიჭებული უფლებების მხრით.

ძველ დროს, მაგ. დავაით აღმაშენებლისა და თამარის მეფობაში, რამდენადაც მათი ისტორიკოსების თხზულებებითგან ამის გამორკვევა შეიძლება, არც ერთი ომისა, თუ ბრძოლის აღწერილობაში არ ჩანს, რომ კათალიკოზს თავისი ჯარის ცალკე სარდალი ჰყოლოდეს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს შედარებით მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს. გამოსარკვევია ამ მნიშვნელოვანი

უპირატესობის მინიჭებისა, თუ გაჩენის თარიღი. ამ საკითხთან დაკავშირებით ზემოდასახელებიული ალექსანდრე მეფის 1362 წ. სიგლის სინამდვილედ გამოსარკვევია, რათგან ზემომოყვანილი არა ერთი გარემოება მას საეჭვოდა ჰხდის. იქნება გამოირკვეს, რომ აქ საქმე ცხოვრებაში შემოსული მოვლენის, ან მოპოვებული უპირატესობის ძველად მიღებული უფლების მოსაჩვენებლად და გასამართლებლად შედგენილი საბუთთანა გვექონდეს.

ამნაირივე შინაარსის საბუთია 1722 წ. დავით კახთმეფის აგან რუსთველისათვის ბოძებული გუჯარი, რომელიც ასე იწყება: „აქეთგან აღვწერთ დროშისა სპათათვის, რომელი განუწყესებიათ პირველთა მეფეთა უწინარეს ჩვენსა და აწ კდ ჩვენცა ესრეთ დავამტკიცეთ“-ო. ამ მეფლის ტექსტი დედნის მიხედვით 1913 წ. ს. კაკაბაძემ გამოსცა (იხ. ისტორიული საბუთები. I წიგნი, გვ.42-45), ხოლო ამაზე უწინარეს, 1910 წ., მაგრამ 1852 წ. გარდანაწერის მიხედვით ე. თაყაიშვილმა „საქართველოს სიძველეთა“ III წიგნში (გვ. 509-514).

§ 5. მონასტრების წესი და განგებანი.

რაკი საქრისტიანო ქვეყნების ძველსა და საშუალო საუკუნეების ცხოვრებაში მონასტრებსა და სამონასტრო წესწყობილებას ფრიად დიდი გავლენა ჰქონდათ, ამიტომ მოკლედ სამონასტრო წესწყობილების აღმნუსხველი ქართული ძეგლებიც უნდა დასახელებულ იქმნეს. ასეთი შინაარსის ძეგლებს „განგებად“ და „წესი“ ეწოდებოდა. გ. მერჩულს მაგ. ნათქვამი აქვს, რომ იერუსალიმითგან მოსულმა კაცმა გრიგოლ ხანძთელს „მართუა საბა-წმიდისა (იგულისხმება მონასტრის) განგებად დაწერილი, ხოლო ნატარმან გრიგოლ

მას ჟამსა განაწესა წესი თვისისა ეკლესიისა და მონასტრისა და (ცაგლ ხნძლსა გვ. კ, გივ).

კლარჯეთის მონასტრების წესი და განგება ჯერ აღმოჩენილი არ არის, მაგრამ მისი მოკლე შინაარსი გ. მერჩულსა აქვს თავის თხზულებაში (ცაგლ ხნძლსა გვ. კ-კბ) მოყვანილი, რომლის მთელი ტექსტი ისედაც მაშინდელი ქართული სამონასტრო წესწყობილების შესახებ ბევრ საგულისხმო ცნობებს შეიცავს.

ათონის მონასტრის წესწყობილების შესასწავლად ჯერჯერობით ერთად-ერთ წყაროდ უნდა გ. მთაწმინდელის თხზულება „ცხოვრება იოანესი და ეფთჳმესი“ ჩაითვალოს, რომელშიაც ეფთჳმე მთაწმინდელისაგან დადებული სამონასტრო წესისა და განგების ვრცელი შინაარსი და აღწერილობა მოიპოვება (იხ. გვ. 35-55). ამ სავანეს წესწყობილების შემდეგდროინდელ ცვლილებათა შესახებ ამავე ნაწარმოებში და გ. ხუცეს-მონაზონის თხზულებაში „ცაგორგი მთაწმინდელისა“ არის საყურადღებო ცნობები დაცული.

გრიგოლ ბაკურიანის მიერ დაარსებული პეტრიძონის ქართველთა მონასტრის წესდების ქართული ტექსტი თუმცა ჯერ აღმოჩენილი არ არის, მაგრამ მისი ძველი ბერძნული თარგმანი გამოცემულია Louis Petit-ის მიერ 1904 წ. (იხ. Византийский Вре-

მენიკ XI. ტ. დამატება № 1).

შიომღვიმის დიდებული ლავრის წესწყობილების აღმწესხველი ძეგლი მთლიანად დაცული არ არის, არამედ შენახულია მისი მხოლოდ ერთი პატარა ნაწყვეტი, რომელსაც სათაურად აქვს „უდაბნოს წინამძღვრის რიგი“ და თ. ჟორდანიას მიერ არის გამოცემული. საყურადღებო ცნობებია ამავე მონასტრის წესწყობილების შესასწავლად დავით აღმაშენებლისაგან შიომღვიმისადმი 1123 წ. ბოძებულ ანდერძში, რომელიც პირველად თ. ჟორდანიას-ვე გამოსცა (იხ. ისტორიული საბუთები შიომღ. მონასტრისა, 1896 წ. გვ. 15-21), ხოლო მეორეჯერ ს. კაკაბაძემ (იხ. ანდერძი დავით აღმაშენებლისა 1912 წ.).

მხოლოდ ვაჰანის მონასტრის წესი და განგება შედარებით უკეთესადაა შენახული. თუმცა მასაც თავი აკლია და შიგადაშიგ ტექსტიც დაზიანებულია, მაგრამ ეს ჯერჯერობით მაინც სამონასტრო განგების ერთადერთი დედანია, რომელიც გადარჩა. მისი შინაარსი ფრიად საყურადღებოა როგორც სამართლისა, ისევე საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის. ვაჰანის მონასტრის განგების ტექსტიც ყველა მინაწერებითურთ თ. ჟორდანიას მიერ არის გამოცემული (იხ. ისტ. საბ. შიომღ. მონასტრისა გვ. 30-49).

– 62 –

დასასრულ ს. კაკაბაძემ 1914 წ. დაბეჭდა „თამარ მეფის დროინდელი ერთი მონასტრის ტიპიკონის ნაწყვეტი“. (იხ. წერილები და მასალები, I, 71-73), რომელიც ბოლნისის, ან მის მახლობლად მდებარე რომელიღაც მონასტრის წესისა და განგების ბოლოს-და წარმოადგენს და გადარჩენილ ნაწყვეტში მონასტრის ეკონომიური პოლიტიკის შესახებ, განკარგულებებს შეიცავს.

თ ა ვ ი II.

საერო კანონმდებლობის ძეგლები.

§ 1. სახელმწიფო სამართლის ძეგლები.

A. „გარიგება კელმწიფის კარისა“ .

ეს შესანიშნავი ძეგლი ე. თაყაიშვილმა აიპოვა და სამუდამო დალუპვისაგან გადაარჩინა. სამწუხაროდ ხელთნაწერი, რომელიც XVII-ის-აა, უკვე ძალზე დაზიანებული იყო: ფურცლები ამოხეული ყოფილა და თავშიაც, შუაშიც და ბოლოც აკლია. ამის გამო ამ ძვირფასი ძეგლის მხოლოდ მცირედი ნაწილი-ღა არის შენახული. ერთადერთი იმედია, რომ შემთხვევით კიდეც სხვა ხელთნაწერიც აღმოჩნდება, რომელშიაც ეს ძეგლი სრულად იქმნება დაცული. „გ ა რ ი გ ე ბ ა კ ე ლ მ წ ი ფ ი ს კ ა რ ი ს ა“ საქართველოს სამეფოს დარბაზობისა და ვაზირობის წესის აღწერილობას და მოხელეთა უფლება-მოვალეობათა აღწესხვას შეიცავს, ესე იგი ქართულ სახელმწიფო სამართლის ძეგლად უნდა ჩაითვალოს. ეს „გარიგება“ ე. თაყაიშვილის მიერ უკვე გამოცემულია კიდეც. პროფ. ე. თაყაიშვილის ანგარიშით „სულ

უნდა ყოფილიყო დარჩენილი რვეულების მიხედვით თორმეტი რვეული, თუ ბოლოში მარტო ერთს რვეულს მივიჩნევთ ნაკლულად.

ამათგან მთლად დაკარგულია პირველი, მეექვსე, მერვე, მეათე და მეთორმეტე. მთლად დაცულია მეორე, მეოთხე, მეშვიდე და მეცხრე. მესამე რვეულითგან უკანასკნელი ფურცელია დაცული და პირველი ხუთი აკლია. მეხუთე რვეულიდან მარტო პირველი ფურცელია შენახული, დანარჩენი ხუთი აკლია. მეთერთმეტე რვეულს აკლია ორი ფურცელი. საერთოდ ნაკლულევანი რვეულების ფურცლები ექვსია და უდრის რიცხვით ერთს რვეულს... ჯელმწიფის კარის გარიგებას 62 გვერდი აკლია საერთოდ“ (ჯელმწიფის კარის გარიგება გვ. I-II, Monumenta Georgica № IV Leges № 1 1920 წ.).

ამ ძეგლს რომ მარტო ფურცლები აკლდეს კიდევ არა უჭირდა რა, მაგრამ საქმეს უფრო ის გარემოება ართულებს, რომ ამ ხელთ

- 63 -

ნაწერის უკვე დედანის არეული ყოფილა და ამიტომ შინაარსიც სწორედ არარის დალაგებული. ვინც გულდასმით შენახულ ტექსტს შეისწავლის, ის უეჭველია შეატყობს, რომ აწინდელ ხელთნაწერში, როგორც ეს პროფ. ექ. თაყაიშვილსაც აქვს აღნიშნული (იხ. გვ. XXII-XXIII), ბევრი ცნობა თავის ალაგას არარის მოთავსებული. მკვლევარს შეურყევლის სიმტკიცით შეუძლიან დაამტკიცოს, რომ ამ ძეგლის თავდაპირველი დედანის შინაარსი სულ სხვანაირად ყოფილა დალაგებული, ვიდრე აღმოჩენილ ხელთნაწერშია შენახული.

ზევით უკვე აღნიშნული იყო, რომ ეხლანდელი სახით „გარიგება“ შეიცავს ცნობებს დარბაზობისა და პურობისა, აგრეთვე ვაზრობისა, მეფისა და მოხელეთა უფლება-მოვალეობათა შესახებ, მაგრამ ცნობები არეულად არის დალაგებული. უეჭველია წინათ, თავდაპირველად ამ ძეგლის შინაარსი წესიერად ყოფილა მოთხრობილი. დარბაზობა ორგვარი წესით სცოდნიათ „დიდითა წესითა... თუ უმცროსითა“ (225-27). რა ალაგას უნდა ყოფილიყო თავდაპირველ დედანში დარბაზობის წესი აღწერილი? ეხლანდელ ტექსტში ნათქვამია: „ეს ზემოთ დამაკლდა: ჳრმალი ამილახორსა არტყია დარბაზობასა ზედა“-ო (228-29). მამასადამე დარბაზობის აღწერილობა ზემოთ ყოფილა. ეხლა-კი დარბაზობის წესი ზემოთ-კი არა, ქვემოთ არის მოთხრობილი, ე. თაყაიშვილის გამოცემით იწყება გვ. 12²⁵⁸ იქ, სადაც სწერია: „საწოლის მეკრე დიდსა დარბაზობასა ზედა ქვე ვერ დაჯდების“-ო და გვ. 15³⁵¹ თავდება: აქ ეს პირდაპირ ნათქვამიცაა, „და ესრულა დარბაზობის წესი“-ო. თუ ამ სამისიტყვის წყალობით ნათლად ირკვევა, სადა თავდება დარბაზობის წესი, მის დასაწყისად შეუძლებელია საწოლის მეკრეს შესახებ ის წინადადება ვიცნათ, რომელიც ზემოთ არის მოყვანილი: უეჭველია დარბაზობის წესს დასაწყისი აკლია. თუმცა შენახულ ხელთნაწერში ამ ადგილას (იხ. გვ. 12) ფურცლები არაკლია და მოთხრობა ერთი მეორეს მისდევს, მაგრამ თავდაპირველ დედანში რასაკვირველია ასე არ იქმნებოდა: ცნობას იმის შესახებ,

რომ მონადირენი ანთებული ლამპრებით „მრგვალს დააბამენ“, რომელიც დიდი დარბაზობის ზემომოყვანილს დასაწყისს წინ უძღვის, არავითარი კავშირი არა აქვს იმასთან, თუ საწოლის მეკრეს რა მოვალეობა ჰქონდა დიდი დარბაზობის დროს. ამიტომ ცხადია აქ ეს

ორი სხვადასხვა საგნის მოთხრობა შეცდომით არის ერთი ერთმანეთზე გადაბმული და დიდი დარბაზობისაც დასაწყისი აკლია.

მაგრამ თავიდათავი და ჩვენთვის უფრო დიდმნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომელმაც საშუალება მოგვცა დაგვესვენა, რომ თავდაპირველ დედანში „დარბაზობის წესი“ ზემოთ ყოფილამოთავსებულ დარბაზისა და არა იქსადაც ეხლათ. ამ დასკვნის სიმართლეს შემდეგი ცნობაც ადასტურებს. იქ, სადაც ლაშქრობის წესი და ვაზირობაა აღწერილი, ნათქვამია: „დაჯდომა და სხვა წესი ზემოთ დაგვიწერიან“-ო (9¹⁹²⁻¹⁹³). რაკი „დაჯდომის წესი“ დარბაზობის წესის ერთი საკითხთაგანი იყო, ამიტომ ცხადია, რომ დარბაზობა თავდაპირველს დედანში მართლაც „ზემოთ“ ყოფილა მოყვანილი და არა იქ, სადაც ამჟამად შენახულს ხელთნაწერშია.

ამგვარადვე „პურობის წესის“ აღწერილობაც არეულია დანაწევრებულ ნაწევრებთან და სხვადასხვაგან უალაგოდ არის ჩაკერებული. „თუ პურობას ღამე შემოესწრას“ სანთელი „სასანთლითა“ ფარეშთა-უხუცესმა მიიტანოს და ვაზირთა წინ დასდოსო, ნათქვამია ერთგან (7 § 17¹⁴⁶⁻⁸¹⁴⁸), მაგრამ თვით „პურობის წესის“ დასაწყისის ერთი ნაწევრები მოთავსებულია გვ. 16 § 32³⁷⁷, სადაც იწყება. ეს ნაწევრები რომ მართლაც „პურობის წესს“ ეკუთვნის, ამას ამტკიცებენ სიტყვები „ესენი მარცხენის მჯარსს უფრისას“-ო (17³⁸²). ზემოაღნიშნული ადგილითგან მოყოლებული პურობის წესს ეკუთვნის ყველაფერი ვიდრე გვ. 18⁴¹⁸, სადაც მოთხრობა წყდება იმიტომ, რომ ხელთნაწერს 2 ფურცელი აკლია, და თვით პურობის წესი დასრულებული არ არის. მაგრამ რომ ამ წესის ზოგიერთი ნაწევრებიც გაფანტულია სხვადასხვა ალაგას, ამას შემდეგი წინადადებაც ამტკიცებს, – „საწოლის მეკრე დიდსა დარბაზობასა ზედა ქვე ვერ დაჯდების, ითვალავენ და საწოლსა და წინამწოლსაცა მიუა სათვალავი და მუნ სჭამენ“-ო (12²⁵⁰⁻²⁶⁰), რომელიც უალაგოდ ალაგას არის ჩართული.

არეულია და სხვადასხვა ალაგას არის გაბნეული დღესასწაულებში მიღებული წესის გარიგებაც, ამასთანავე ზოგს ნაკვეთს თავიცა და ბოლოც აკლია, ზოგისათვისა მხოლოდ შენახული. მაგ. „წელიწდისთავის“ წესს თავი აკლია. ხელთნაწერში ეხლა ასე იწყება: „მსახურთუხუცესსა სალართ მოლართ-უხუცესი მოართომს და მოუფენს. მსახურთ-უხუცესი მას ეთაყვანების. მას წელიწადის თავის დღეს მეფე არავისგან შეიმოსს მისგან კიდე“ (11-3). ეს ნაწევრები ამავე საგანს ეხება გვ. 111-მდე, შემდეგ და მეტადრე გვ. 2 § 3¹⁸ სულ სხვა საგან-

ზეა ლაპარაკი, განცხადების დღესასწაულობაზე. წელიწდის თავის

დღესასწაულობის აღწერილობას -კი ბევრი აკლია, მაინცდამაინც ბოლო არ აქვს. იქნებ ამ საწელიწდისთავოს დღესასწაულობის წესისავე ერთი ნაწყვეტთაგანი იყოს ის, რაც გვ. 15³³²⁻³⁴² შუაა მოქცეული, რომელიც იწყება სიტყვებით „ძღვენი ს ა წ ე ლ ი წ დ ი ს თ ა ო ერისთავთა“ და შემდეგ ნაჩვენებია ვის რა უნდა მიერთმია მეფისთვის, მაგრამ შეიძლება ეს ნაწყვეტი ძღვენის გარიგების ერთი ნაწყვეტთაგანი იყოს.

ნ ა წ ყ ვ ე ტ - ნ ა წ ყ ვ ე ტ ა დ ვ ე და დ ი დ ი ს და ნ ა კ ლ ი ს ი თ არ ის შე ნ ა ხ უ ლ ი გა ნ ც ხ ა დ ე ბ ი ს ა (213-27) და ა ღ ვ ს ე ბ ი ს (3 § § 6 და 7) დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ე ბ ი ს წ ე ს ი ს გა რ ი გ ე ბ ა ც , თუმცა ხელთნაწერს ამ ადგილას არაფერი აკლია. მაშასადამე ნ ა კ - ლ ი უ კ ვ ე ი მ დ ე და ნ ს უ ნ და ჰ ქ ო ნ ო და, რ ო მ ლ ი თ გა ნ ა ც ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს მი ე რ ნ ა პ ო ვ ნ ი ხ ე ლ თ ნ ა წ ე რ ი ა გა დ მ ო - წ ე რ ი ლ ი .

ამ ძეგლის ტექსტის ამნაირად შესწავლის შემდგომ მისი პირვანდელი აგებულებისა და სახის აღდგენაც შეიძლება, რასაკვირველია, რამდენადაც გადარჩენილი ტექსტი მკვლევარს ამის საშუალებას აძლევს.

„წ ე ლ მ წ ი ფ ი ს კ ა რ ი ს გა რ ი გ ე ბ ა“, როგორც ჩანს, უ ნ - და ს ა მ ე ფ ო კ ა რ ი ს მ ო ხ ე ლ ი ს მი ე რ ი ყ ო ს და წ ე რ ი ლ ი , რომელსაც სამეფო კარის წესის განგების აღმასრულებლის ერთ-ერთი თანამდებობა ექმნებოდა ჩაბარებული, ალბათ სამანდატურთუხუცესოს ერთ-ერთი მოხელეთაგანი იქმნებოდა. ერთგან მაგ. მას ნათქვამი აქვს: „საწოლის მწიგნობრის წვევა და უ წ ე რ ი ა და პ ა ტ - რ ო ნ ი ს ა გა ნ ა რ მ ა ს მ ი ა , მისმან კეთილმან“-ო (13²⁸³⁻²⁸⁴), ე . ი . მეფისგან ამის მსგავსი არა გამიგონია რაო. ავტორის სახელი არა ჩანს.

თვით ძეგლს, როგორც ეტყობა, ო ფ ი ც ი უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი არ ა ა ქ ვ ს კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ი ს შე დ ე გ ი არ არ ის, არამედ მოქმედ სახელმწიფო სამართლისა და წესის აღნუსხვაა. მის შემდგენელს ყველაფერი თვით-კი არ დაუწერია, არამედ, როგორც პროფ. ე . თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ს ა ც აღნიშნული აქვს, წეროლობითი წყაროებითაც უსარგებლია. უცხო სახელმწიფოთა მეფეების წვეულობის წესის შესახებ ჩვენ უცნობ ავტორს ნათქვამი აქვს: „ზოგთა ვ ი ე თ თ ა მ ე ასრე უ წ ე რ ი ა , ვ ი - თ ა ტ რ ა პ ი ზ ო ნ ე ლ ი და შარვან-შანშე (sic) და სომეხთა მეფე რა მოვიდენ, საჯდომი ერთი არის ორთავე“-ო (12²⁶⁰⁻²⁶²). ქვევით ამავე

საგანზე აღნიშნულია: „ამ ოთხთაგან ერთი საჯდომი მარჯვენით და - უ წ ე რ ი ა მოძღვართ-მოძღვრისა და აფხაზეთის კათალიკოზის ქვეშეთ და ჭყონდელისა (sic) ზემოთ“-ო (12²⁶⁹⁻²⁷¹).

მაშასადამე წ ი ნ ა მ დ ე ბ ა რ ე ძ ე გ ლ ი „ველმწიფის კარის გარიგება“ პ ი რ ვ ე ლ ი და ე რ თ ა დ - ე რ თ ი ა მ გ ვ ა რ ი ნ ა წ ა რ - მ ო ე ბ ი არ ყ ო ფ ი ლ ა . როგორც ჩანს, ე რ თ ი ი მ წ ყ ა რ ო თ ა - გა ნ ი , რომლითაც ჩვენს ავტორს თავისი შრომის შედგენის დროს უსარგებლია, ს ო ფ რ ო მ ი მ ი ს და წ ე რ ი ლ ი ყ ო ფ ი ლ ა . ეს ჩვენი ავტორის შემდეგ ცნობითგან ირკვევა: „ოდეს მათი (პატრონ

მეფის) შვილი მოვიდა, შეიყარნეს, კათალიკოზი თანა ჰყვა და აღს, ეკლესიის კარს ადგა. და რად წვევის ჟამი მოვიდეს, საწოლის მწიგნობარი ინასარიძე პატრონის წინაშე დგა პატრონმან ბრძანა: «ვინ აწვიოს კათალიკოზიო?». და მიბრძანეს მე ვაწვიო. ამის სიტყვისათვის სოფრომისძე იტყვს: «და მეორე წელს ეგრე ბრძანა, ამირეჯიბს მართებსო ოთხთა მონაზონთა და სამთა ვაზირთა წვევაო. მაშინ ამირეჯიბი ქვაბულიძე უგემურად იყო და არ იყო მანდა». აწ ვინათგან და უწერია, აწვიოს საწოლის მწიგნობარმან“-ო (13²⁸⁴⁻²⁹¹).

„კარის გარიგების“ ავტორის სადაურობის გამორკვევაც შეიძლება. მისი ნაწერი ამტკიცებს, რომ დასავლეთ საქართველოში უნდა ეცხოვრა, რაც პროფ. ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობაშიც არის აღნიშნული. იქაური იყო იგი შთამომავლობით თუ არა, ამის თქმა შეუძლებელია, ხოლო, რომ მას დასავლეთ საქართველოში უცხოვრია, ეს სრულებით ცხადია. ამას ავტორის შემდეგი სიტყვები ამტკიცებენ: „ეპისკოპოსნი მივიდენ იმიერთ: იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მტბევარი“-ო (14³¹¹⁻³¹²), ხოლო „ამიერი ბედიელი მოსაფლავა და ქუთათელი მოსაფლავეც არის [და დამლოცველიც]“ (14³¹⁶). ამგვარად ჩვენი ავტორისათვის ბედია და ქუთაისი ამიერ საქართველოში ყოფილა, იშხანი, ანჩა და ტბეთი-კი იმიერ საქართველოში. ამკარაა, ასე შეეძლო მხოლოდ იმას ეთქვა, ვინც თვით დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა, ამასთანავე შემთხვევით-კი არა, არამედ მუდმივ იქ ცხოვრობდა. ჩვენ ავტორს რომ აღმოსავლეთ საქართველოში ეცხოვრა, მაშინ ბედიელისა და ქუთათელის შესახებ ის, ცხადია, იტყოდა „იმიერი“-ო.

დაახლოვებით იმის განსაზღვრაც შეიძლება, თუ როდის უნდა ეცხოვრა „კარის გარიგების“ შემდგენელს. რაკი ამ ძეგლში ნათქვამია, რომ მსახურთ-უხუცესი

პირველად „რუსუდან მეფეს შეუყვანია სავაზიროსა“ (19⁴⁴⁷), ამიტომ ცხადია ავტორს მე-XIII-ე საუკ.-ზე უწინარეს შეუძლებელია რომ ეცხოვრა. მაგრამ ამაზე მეტიც ითქმის. ამავე ნაწარმოებში ერთგან სწერია: „ოდეს პირველ ვახტანგ დალოცეს და მერმე კოსტანტინე, დაისარჩლნეს აფხაზეთის კათალიკოზი და ქუთათელი იოვანე“ და უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ სამეფო ნიშნები, სკიპტრა და გვირგვინი, ჩემ საყდარში უნდა ინახებოდესო (14³¹⁸⁻³²²). საფიქრებელია, რომ ავტორს ლაპარაკი აქვს ვახტანგ II-ზე, რომელიც 1289-1292 წ-დე მეფობდა, და კონსტანტინეზე, რომელიც იმავე 1292 წ-ს ავიდა ტახტზე, მაგრამ უმაღლესი მისი ძმა აუჯანყდა. ავტორის ზემომოყვანილი ცნობა ცხად ჰყოფს მაინც, რომ მას შეუძლებელია მე-XIII-ე საუკუნის დასასრულზე უწინარესაც ეცხოვრა.

ამასთანავე თვით ამ ძეგლის მთელი შინაარსიც ამტკიცებს, რომ იგი იმ დროს არის შედგენილი, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ განუყოფელი, სრულიადი და დამოუკიდებელი იყო. იქ. მაგ. ნათქვამია: „მონადირენი კახეთს

და იმერეთს ყველგან არიან, ორას სამოცი სახლი არის“-ო (11239-240). მანდატურთ-უხუცესის შესახებაც ნათქვამია, რომ მისი „ველი არის ა მ ი ე რ დ ა ი მ ი ე რ“-ი, ესე იგი მთელი საქართველო (593-94). მაშასადამე ავტორის დროს მეფეს კახეთიც და იმერეთიც ემორჩილებოდნენ.

საქართველოს საეკლესიო სფეროსთვისაც ერთის მხრით „გ ე - ლ ა თ უ რ ი ძღვენია მოხსენიებული (15336), მეორეს მხრით არც გ ა - რ ე [ს] ჯ უ ლ ი ძღვენი“-ა დავიწყებული (15339). ამასთანავე იმხნე-ლიც არის ნახსენები (14311) და მტბუვარიც, რომელიც შავშეთის ერისთავადაც ითვლებოდა (15329-331). ერთი სიტყვით „კარის გარი-გება“ გაერთიანებული, სრულიადი საქართველოს სახელმწიფო წეს-წყობილებას გვისურათებს და ამიტომ უეჭველია ძეგლის შემდგენელს იმ ხანაში უნდა ეცხოვრა, როდესაც საქართველო კვლავინდებულად განუყოფელი იყო.

ამიტომ უეჭველია მართალი უნდა იყოს პროფ. ე. თ ა ყ ა ი - შ ვ ი ლ ი, როდესაც ამ ძეგლის შედგენის უგვიანეს თარიღად მე-XV-ს. მეორე ნახევარსა სდებს და უფრო-კი გიორგი ბრწყინვალის, ანუ მე-XIV-ს. პირველ ნახევარში დაწერილად სთვლის (იხ. კელმწიფის კარის გარიგება, გვ. VIII).

ამ ძეგლის შინაარსი იმდენად მრავალფეროვანია, რომ მას საქართველოს როგორც სახელმწიფო წესწყობილების, ისევე კულტურ-

- 68 -

რული, ეკონომიკური და ნივთიერი კულტურის ისტორიის შესასწავ-ლად უაღრესი მნიშვნელობა აქვს. ამ დარგში სხვა ისეთი უხვი ცნო-ბების შემცველი ძეგლი მე -XVIII ს. დამდეგამდე არ მოგვეპოვება ჯერჯერობით მაინც და მე-XVIII ს. ამ ხასიათისავე გარიგება ვ ა ხ - ტ ა ნ გ VI-ის დასტურლამალი თუ შეედრება და აჯობებს მას, თორემ სხვა ვერაფერი. ამისი თქმაც მხოლოდ იმიტომ შეიძლება, რომ კა-რის გარიგება დაზიანებულია და ნაკლულევანად დაცულობის გამო ბევრ ისეთ ცნობებს არ შეიცავს, როგორც დასტურლამალსა აქვს, და თანაც კ. გარიგება ოფიცირული კანონმდებლობის ძეგლი არ არის, დასტურლამალი-კი სწორედ ამნაირი თვისების მქონებულია. იქნებ მომავალში როგორმე კ. გარიგების ან სრული ტექსტი, ან ამავე ხა-სიათის ძეგლი ოფიცირული წარმომობისაგ ადმოჩნდეს და მაშინ ყველა ის ხარვეზები შეივსება, რომელთა დანაკლისის ანაზღაურება არაფრით შეიძლება. მანამდის-კი აწ დაცული ტექსტის კრიტიკუ-ლი შესწავლის საშუალებით შეძლებისდაგვარად მისი პირვანდელი სახის აღდგენას მაინც უნდა ვეცადნეთ.

B. „წესი და განგებაჲ მეფეთა კურთხევისა[ჲ]“.

თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვებითგანა ჩანს, რომ თუ იმაზე უწინარეს არა, მაინც-და-მაინც მე-XII-ე ს-ში მეფის კურთხე-ვის წესი საქართველოში უკვე შემუშავებული იყო. მას თამარ მე-ფის კურთხევის შესახებ ნათქვამი აქვს: „ვინათგან ლ ი ხ თ ი მ ე - რ ი თ გ ა ნ ი ყ ო წ ე ს ი და დ გ მ ა დ გ ჯ ი რ გ ჯ ი ნ ს ა თ ა ვ ს ა ს ა მ ე - ფ ო ს ა, აწუიეს... მთავარებისკოპოზი ქუთათელი ანტონი საღირის ძე

მიღებად გვრგვინისა“-ო (ისტორი და აზმნი* 625, გვ. 400). ამ ცნობით იმის დამტკიცება არ შეიძლება, რომ ეს „წესი“ უეჭველად დაწერილი ყოფილიყო, მაგრამ ცხადია მაინც, რომ მეფეთა კურთხევის განსაკუთრებული, ქართული წესი ამ დროს უკვე შემუშავებული ყოფილა. მხოლოდ ის გარემოება, რომ თამარ მეფის დროს სახელმწიფო კარის თითქმის ყოველი დარგისათვის გარიგებაში ცვლილება იყო შეტანილი და მოწესრიგდა, გვაფიქრებინებს, რომ ეს წესები შეიძლება აღწერილიც ყოფილიყო.

თამარ მეფის დროინდელ მეფის კურთხევის წესს ძეგლად მაინც-და-მაინც ჩვენამდე არ მოუღწევია. ჯერ-ჯერობით ორი სხვადასხვა წესია ცნობილი მეფეთა კურთხევისა. პირველად მათ შესახებ მოკლე ცნობები თ. ყო რ დ ა ნ ი ა მ მოათავსა თავის „ქრონიკები“-ს პირველ წიგნში. შემდეგ ვრცლად აღწერილი და შესწავლილი

აქვს ვითარცა საღმდემსახურო მწერლობის წიგნი კო რ ნ.

კეკელიძეს თავის დიდ გამოკვლევაში „Литургические памятники в отечественных книгохранилищах“.

ამ წესის თვით ტექსტი ს. კაკაბაძემ 1913 წ. ქარაგმინად და იმავე შეცდომებით გამოსცა, როგორც თვით ხელნაწერშია შენახული, შემდეგი სათაურით: „მეფის კურთხევის წესი, მე-XIII საუკ. დასაწყისს შედგენილი“. ტექსტი გამოცემულია წ. კ. ს. წიგნთსაცავის № 352 ხელთნაწერისა და მიხედვით.

მეფის კურთხევის წესის მეორე რედაქცია შენახულია ამავე წიგნთსაცავის №352 ხელთნაწერშივე, მაგრამ თავი აკლია. ეს რედაქცია ჯერ გამოცემული არ არის.

ს. კაკაბაძემ მიერ გამოცემული კურთხევის წესის შესახებ ამტკიცებს, რომ „ის უნდა იყოს შედგენილი არა უადრეს მე-XIII-ე საუკუნისა, რადგან მასში მოხსენებული თანამდებობა ათაბაგისა შემოვიდა ჩვენში მე-XIII-ე საუკუნის დასაწყისს“ (გვ. I). ამავე აზრის სამართლიანობის დამამტკიცებელ საბუთად მას ის გარემოება აქვს მოყვანილი, რომ „წესში აფხაზეთის კათალიკოზია მოხსენიებული“, რომელიც ს. კაკაბაძის სიტყვით „დაარსდა... უფრო მე-XIII საუკ. დასაწყისში“ (გვ. II). შემდეგ გამომცემელი ამბობს: „შესაძლებელია, რომ ... ტექსტი მეფეთა კურთხევისა თამარის მეფობის მეორე ნახევარში იყოს შედგენილი... შესაძლებელია ქვემოთ მოყვანილი წესი გიორგი ლაშას კურთხევისათვის იყოს შედგენილი“-ო (იქვე).

მეფეთა კურთხევის წესის მეორე რედაქციის შედგენის დროის შესახებ ს. კაკაბაძეს შენიშვნაში ნათქვამი აქვს: „დიმიტრი თავდადებულის გამეფებისას 1270 წ. შედგენილ იქმნა სხვა წესი მეფეთა კურთხევისა და ეს წესი მიღებული იყო საშუალო საუკუნეებში ქართველ მეფეების კურთხევის დროს“-ო. მისი აზრით ეს მეორე რედაქცია 1270 წ. შედგენილი წესი არის (გვ. II, შენ. **). მაგრამ ს. კაკაბაძეს ამ აზრის დასამტკიცებლად არავითარი საბუთი არ აქვს მოყვანილი და არა ჩანს, რაზეა იგი დამყარებული.

ნ. ბერძენიშვილს სამართლიანად აქვს აღნიშნული, რომ ს. კაკაბაძის აზრი, ვითომც მეფის კურთხევის წესი ლაშა-გიორ-

გის კურთხევისათვის ყოფილიყოს შედგენილი, მცდარია. ამასთანავე რადგან მსახურთუხუცესი ამ ძეგლში ვაზირთა შორის იხსენიება, ამიტომ იგი შეუძლებელია რუსუდანის გამეფებამდის იყოს დაწერილი, რადგან ცნობილია, რომ მსახურთუხუცესს პირველად რუსუდან მეფემ მიანიჭა ვაზირის უფლება (იხ. ნ. ბერძენიშვილის „და-

სავლეთი საქართველოს საეკლესიო წესწყობილება“: „მიმომხილველი“ საქ. საისტ. და საეთნ. საზოგ. ორგანი I, 105-106, შენ. 1).

შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ „მეფის კურთხევის წესი“ „ველმწიფის კარის გარიგების“ ნაწილი უნდა იყოს. მაგრამ ამ ორი ძეგლის შედარებითი შესწავლა შემდეგს გარემოებას არკვევს. „კარის გარიგებით“ მეფის მგზავრობის დროს „ზ ა რ დ ა ხ ნ ი ს უ ხ უ - ც ე ს ი დ ა ა მ ი რ თ - ა ჩ უ ხ ჩ ი წ ი ნ ა თ ი ა რ ე ბ ი ს ჯ უ ა რ ი ს მ ტ ვ რ - თ ე ლ ს ა დ ა მ ე ფ ე ს შ უ ა“ (10²¹²⁻²¹³). „მეფის კურთხევის წეს“-ში - კი ნათქვამია: „მ ა ნ დ ა ტ უ რ თ - უ ხ უ ც ე ს ი სამანდატუროსა არგნისა კელთა მქონებელი შ ე მ დ გ ო მ ა დ ჯ ~ ი ს მ ტ ვ რ თ ე ლ ი ს ა წ ი ნ ა უ ვ ი დ ო დ ე ს მეფესა“-ო (65-6).

სამეფო ნიშნების შესახებ „კარის გარიგება“-ში სწერია, რომ ქუთათელი იოვანე და აფხაზეთის კათოლიკოზი ერთი ერთმანერთს შეეცილნენ, ქუთათელი ამტკიცებდა სკიპტრა და გვრგვნი ჩემ საყდარში უნდა ინახებოდესო. ეს ცილობა ისე გადაწყდა, რომ „ვაზირთა ერთობილთ ლამქართა თქვეს თუ «ქუთათელი უმართლეაო» და ს კ ი პ ტ რ ა ქ უ თ ა თ ე ლ ს გ ა უ ჩ ი ნ ე ს“-ო. (14³²³³²⁵). „მეფის კურთხევის წესი“-თგან ჩანს, რომ როდესაც ეს წესი შედგენილი იყო, „გ ვ რ გ ვ ნ ი , ს კ ი პ ტ რ ა დ , პ ო რ ფ ი რ ი დ ა ბ ი ს ო ნ ი“ საყდარში კი არა, არამედ მეფის პ ა ლ ა ტ ს ა შ ი ნ ა“ ინახებოდა (56-7).

ეპისკოპოსთა უფროს-უმცროსობის შესახებ „ველმწიფის კარის გარიგებაში ნათქვამია, რომ დარბაზობის დროს აღმოსავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთაგან ყველაზე მეტი პატივი მეფეს იმხნელი-სათვის უნდა მიეპყრა: „ველნი მეფემან ნოხთა ზედა დასხნეს ი შ ხ ნ ე - ლ ი ს ა თ ვ ს უ ფ რ ო მ დ ა ბ ლ ა დ“-ო (14³¹²⁻³¹³). დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსთაგან მ ხ ო ლ ო დ ქ უ თ ა თ ე ლ ს „ი შ ხ ნ ე ლ ი ს ს წ ო რ ი პ ა ტ ი ვ ი მ ა რ თ ე ბ ს“-ო (15³²⁵⁻³²⁷).

ყველა ზემოაღნიშნული განსხვავება ცხადყოფს, რომ მეფის კურთხევის წესი და ხელმწიფის კარის გარიგება ერთი და იმავე დროის ძეგლები არ უნდა იყოს. შესაძლებელია და საფიქრებელიც, რომ კარის გარიგების სრულ ტექსტში მეფის კურთხევის წესიც იქნებოდა შეტანილი, მაგრამ უეჭველია ეს წესი სხვა რედაქციისა იქნებოდა.

მეფის კურთხევის წესი საეკლესიო კურთხევის წესს-კი არ წარმოადგენს, არამედ მისი სახელმწიფოებრივი წესის განგებაა. ამიტომ იგი ძვირფას წყაროდ უნდა იქნეს მიჩნეული მეფის ხელისუფლების, სამოხელეო წესწყობილებისა და სახელმწიფო დარბაზობის

შესასწავლად. ამ ძეგლის ტექსტის ჯეროვანი გამოცემა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

„წესი და განგება დარბაზობისა რომელი აღესრულების მცხეთას კურთხევასა მეფეთასა“. ამ ძეგლის ერთ-ერთ სემადგენელ ნაწილს ეწოდება „წესი და განგება კურთხევისათვის მეფისა დროსა, თუ ვითარ დაჰსხდნენ მღუდელთ-მთავარნი სრულიად საქართველოდსან“¹, რომელიც ორი რედაქციით არის ცნობილი, ერთი ძველი, ხოლო მეორე ძველის შესწორებაა, რომელიც 1745 წელს მოუხდენიათ (ე. თაყაიშვილი არხ. მოგზაურობანი I, 86) ეს „წესი და განგება დარბაზობისა“ არა ერთხელ არის გამოცემული და ცნობებიც მოუთავსებიათ, თ. ჟორდანიას (ქ¹კ¹ბ¹ I, 45-46), პროფ. ალ. ცაგარელს (Сведения о памятниках грузинской письменности III, გვ. XXXVI და 292-296); განხილული აქვს პროფ. ნ. მარსაც (იხ. Доклад в предсоборном присутствии). ეს ძეგლი არჩილ მეფის დროს შედგენილად აცხადებს თავის თავს და შემდგენელად მიქელ ქართლისა კათალიკოზი იხსენიება. ამ წესის შესავალში ნათქვამია: „დიდნი შფოთნი და ამბოხნი იქნებოდეს ეპისკოპოზთა ცილობისაგან და ღვთივ-გვირგვინოსან მან მეფემან არჩილ არა სათნო იხინა ამათ შფოთთა ქმნად და გვიბრძანა გარენად, ვითა ნიშანთა შეეტყუებოდა, და ჯელ ვყავით მეგლახამან მიქელ ქართლისა კათალიკოზმან და ვაკურთხეთ წ¹დ მირონი. ოდეს მეფე, ათაბაგი, ქართლისა ერისთავი, სპასალარი და ყოველნი ერისთავნი და ყოველნი მღდელთმოდღუარნი შემოკრბენ მცხეთას დიდსა ხუთსაბათსა, დიდსა სომხეთისა მიტრაპოლიტსა ჰმართებს ნივთთა ზედა დგომად“. მირონის კურთხევის წესს მისდევს „განგება დარბაზობისა“ (იხ. ქ¹კ¹ბ¹ I, 45-46). ამ წინასიტყვაობითგან, ანუ შესავალითგან ჩანს, რომ ეს ძეგლი მე-V ს. ნაწარმოებად არის გამოცხადებული და მისი შემდგენელი მიქელ ქართლისა კათალიკოზიც მამასადამე თავის თავს იმდროინდელ მწყემსმთავრად აცხადებს. პროფ. ალ. ცაგარელს ნათქვამი აქვს, რომ ამ ძეგლში მოთავსებული დარბაზობის წესი ალბათ გაცილებით უფრო გვიან უნდა იყოს საბოლოოდ ჩამოყალიბებული, სახელდობრ XI-XII სს-ში (СНПГс. III, გვ. XXXVI). თ. ჟორდანიაც ამ ძეგლის დედანს „ძალიან ძველად“-ს თვლიდა, მე-V ს-ში შედგენილად მიაჩნდა. მაგრამ „დარბაზობაში“ ათაბაგის მოხსენებულობის გამო ფიქრობდა, რომ „დროთა მიხედვით სხვადასხვა ცვლილება უნდა შემოეღოთ“ (1ქ¹კ¹ბ¹ I, 46-47 შენ. **).

მაგრამ ამ ნაწარმოების არც პირველი, მირონის კურთხევის წესრიგის შემცველი ნაწილი, არც მით უმეტეს მეორე, დარბაზობის წესის მომთხრობი ნაწილი მიეკუთვნება იმ დროს, რა დროინდელადაც ეს ძეგლი თავის თავს აცხადებს და გინდ პროფ. ალ. ცაგარელს მიჩნეული აქვს. გ. მერჩულის თხზულებითგან და ჯვარის მონასტრის აღაპებითგან დანამდვილებით ირკვევა, რომ მირონის საქართველოში კურთხევის უფლება ჩვენმა ეკლესიამ მე-IX ს. მეორე ნახევარში მოიპოვა (იხ. ჩემი „საქართველოს

ისტორიის IX-X სს. ზოგიერთი უთარილო ცნობების დათარიღებისათვის: „მომომხილველი“ წ. II.). ამიტომ ცხადია, რომ მირონის კურთხევისათვის მე-V ს-ში დარბაზობის წესს არავინ შეადგენდა, რათგან მაშინ საქართველოს ეკლესიას საკუთარი მირონის კურთხევის უფლება არ ჰქონდა. ხოლო დარბაზობის წესიც რომ სრულებით შეუძლებელია მე-XI-XII ს-ში საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ძეგლად მივიჩნიოთ, ამისათვის საკმარისია მარტო ის გარემოება აღინიშნოს, რომ ამ წესში ათაბაგი იხსენიება. ცნობილია, რომ ათაბაგობა საქართველოში თამარ მეფის დროს 1212 წ. იქმნა შემოღებული (იხ. ჩემი ქლიერის ისტორია II). რაკი ამ ძეგლში ასეთი ანაქრონიზმია, შეუძლებელია ის მე-XIII ს. მეორე ნახევარზე ადრე იყოს შედგენილი. პროფ. ექ. თაყაიშვილიმ თავის მხრივ ამ გარემოებას მიჰქცია ყურადღება, რომ ამ ძეგლში იშხნელ ეპისკოპოსს მე-10 ადგილი აქვს მიკუთვნებული, ე. ი. მაწყვერელზე, რომელსაც მე-5 ადგილი უკავია, ბევრად დაბლა დგას. ხ. კარის გარიგებაში კი პირიქით იშხნელი მაწყვერელზე ადრეა მოხსენებული და მაწყვერელი იშხნელს მისდევს. ამას გარდა „დარბაზობის წეს“-ში ჭყონდიდლის გარდა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მღვდელთმთავარნი არიან დასახელებულნი და მხოლოდ ამიერ საქართველოსთვის განკუთვნილი ჩანს. ამიტომ ექ. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ეს „დარბაზობის წესი“ ხ. კარის გარიგებაზე უფრო გვიან უნდა იყოს შედგენილი და მაინცდამაინც „მეხუთმეტე საუკუნის ადრინდელი არ უნდა იყოს“-ო (იხ. „ველმწიფის კარის გარიგება, გვ. XXVIII-XXIX).

ამ ძეგლის ზემოაღნიშნული ანაქრონიზმები და მისი შემდგენელის ცხადი წადილი თავისი ნაშრომით უადრესი სიმველის შარავანდედითა და ავტორიტეტით შეემოსა გვაფიქრებინებს, რომ აქ ნატყუარ ძეგლთანა გვაქვს საქმე. უეჭველია მე-XV ს-ზე უწინარეს

შედგენილი არ უნდა იყოს, მაგრამ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, როდის ჩნდება იგი დანამდვილებით და როდის ემყარებიან მას ვითარცა უცილობელ საბუთს.

C. დასტურლამალი.

„ჯ. კარის გარიგების“ შემდგომ იყო თუ არა მე-XV-XVII სს-ში საქართველოს რომელსამე სამეფოს, ან სამთავროში ამის მსგავსი ძეგლი შედგენილი, ჯერ გამორკვეული არ არის. მხოლოდ მე-XVII ს. პირველ ათეულში ვახტანგ VI-ემ შეადგინა თავისი „დასტურლამალი“ ამ ძეგლის სახელი სპარსულ-არაბულია „დასტურალ-გამალ, რაც ნიშნავს დასტურს მოქმედებისას, განრიგებას. როგორც ამ ნაწარმოების გამომცემელს განსვენებულ პეტრე უმიკაშვილს აღნიშნული აქვს, ეს ძეგლი 1704-1711 წლებში უნდა იყოს დაწერილი (იხ. დასტურლამალი მეფის ვახტანგ მეექვსისა, პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით, ტფილისი 1886 წ. გვ. IV). „დასტურლამალი“, როგორც თვით ვახტანგ VI-ის მიერ არის აღნიშნული, წარმოადგენს „სჯულის დებასა

ს ა ჯ ე ლ მ წ ი ფ ო თ ა ს ა“, ქართულ სახელმწიფო სამართლის ძეგლია.

მისი შინაარსი რამდენსამე დარგს ეხება, უმთავრესი მათგანი თვით კანონმდებლის წინასიტყვაობაშიც არის დასახელებული. ვახტანგ მეფის სიტყვით „დასტურლამალ“-ში დადებულია „წ ე ს ი დ ა გ ა ნ გ ე ბ ა ს ა მ ე ფ ო ს ა დ ა რ ბ ა ზ ო ბ ი ს ა“ და ამასთანავე დაწესებული და განგებულია „ყ ო ვ ე ლ ნ ი ჯ ე ლ ი ს უ ფ ა ლ ნ ი დ ა მ ო ქ - მ დ ე ნ ი დ ა რ ბ ა ზ ი ს რ ი გ ი ს ა ნ ი“, როგორ უნდა, იქცოდნენ და განაგებდნენ... საჯელოთა თვსთა“ (გვ. 3). უკანასკნელი ცნობა ცოტა ბუნდოვანია და არა სჩანს, „ჯელისუფალნი“ აქ მხოლოდ „დარბაზის რიგისანი“ არიან ნაგულისხმევი, თუ ამ შემთხვევაში „დარბაზის რიგისანი“ მხოლოდ მოქმედნი უნდა ვიგულისხმოთ, ან იქნებ „ჯელისუფალნი“, როგორც თვით ძეგლშიც აღნიშნულია, „ყოველნი“ ე. ი. საზოგადო მნიშვნელობით ყოველგვარი იგულისხმებიან, „დარბაზის რიგისანი“-ც და „საქვეყნოდ გამრიგენი“-ც. უკანასკნელი აზრი ვგონებ უფრო სამართლიანი უნდა იყოს.

მაშასადამე „დასტურლამალ“-ის უმთავრესი შინაარსი უნდა „სამეფო დარბაზობის“ წესსა და განგებას და ყველა ხელისუფალთა და „დარბაზის რიგის“ საქმისმოქმედთა უფლება-მოვალეობის აღნუსხას შეიცავდეს. მართლაც, „დასტურლამალ“-ში ყველა ამაზე შესაფერისი „წესი და გარიგება“ მოიპოვება, მაგ.: „კარი სასახლეების რიგისა“

- 74 -

(იხ. გვ. 196-197), რომელშიაც დარბაზობის წესია აღნუსხული, „მოჯელენი, როგორ უნდა მოიქცნენ“ (გვ. 197, § 11), და „კარი პირველი, ყოვლისა ჯელჯოხიანისა და მათის სარგოსი“ (გვ. 194) მრავალ §-ის შემცველი „დარბაზის რიგის“ მოხელეებისა და საქმის მოქმედთა უფლება-მოვალეობას ეხება.

მაგრამ „დასტურლამალი“-ს თვით შინაარსი გაცილებით უფრო ფართო და მრავალმხრივია, ვიდრე ვ ა ხ ტ ა ნ გ მეფის ზემომოყვანილი სიტყვებითგან საფიქრებელი იყო. იქ მაგ. დაწვრილებითი ცნობებია ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრების შედგენის წესრიგის შესახებ („ქართლის აღწერისა“, „სამს წელიწადში ელის აღწერა“, „სამასპინძლოს შეწერისა“, „იათალის აღწერა“, ქალაქის აღწერა, კოდის პურისათვის, საბალახოსა თუ როგორ აიღონ და სხვაც მრავალი), საქალაქო დაწესებულებათა და წესწყობილების შესახებ (§§ მდ, ძა, რპა-რგპ, რჟვ, სიწ, ია და სხვა), შემოსავლისა და გადასახადების აკრებისა, გზების შესახვის შესახებ (§ მბ) და მრავალი სხვა საკითხის შესახებაც. ყველა ამ საკითხებს „დარბაზის რიგის“ მოხელეებთან არა ჰქონდა კავშირი და მცირედენი იმგვარადვე, როგორც §-ის „სამდივანბეგო გარიგებისა“ და „სამდივანბეგო აილება“ (§ რ და რა), არც სამეფო დარბაზობასთან, არც მოხელეობასთან კავშირი არა აქვს და მხოლოდ სასამართლო დაწესებულებასა და წარმოებას ეხება. დასტურლამალის ამგვარი ვრცელი და მრავალმხრივი შინაარსი მას მართლაც რომ ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლად ჰხდის.

იმ სამი ხელნაწერთგან, რომელიც „დასტურლამალი“-ს გამოცემის დროს განსვენებულს პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ს ხელთ ჰქონია, უძველესი და საუკეთესო სულხან მდივნის, სულხანმდივნისეული ხელთნა-

წერია, როგორც სამართლიანად აქვს შენიშნული გამომცემელსაც, იგი „შესანიშნავია თავების დალაგებით საგანთა შინაარსის კვალობაზე“ და არა ანბანის რიგზე, როგორც ეს დანარჩენ ხელთნაწერებშია. პ. უმიკაშვილი არ სცდებოდა, როცა ამტკიცებდა, რომ ეს „ხელმთნაწერი უფრო უნდა ეთანხმებოდეს ვახტანგის რედაქციას“. სულხან მდივნის ხელთნაწერი ძველი და დაზიანებული დედნითგან ყოფილა გადმოწერილი: „დედანს ბევრგან ჰკლებია, ფურცლები დახეული ჰქონია და შემდეგ თითო-ოროლა ადგილს ჩაუმატებიათ“ (იხ. დასტურლამალი გვ. V და VI). თვით სულხან მდივნის ხელთნაწერში ერთგან მაგ. ნათქვამია კიდევ: „სამი ფურცელი ცარიელია, ამიტომ რომ დედანი დაძველებული იყო“-ო იქვე გვ. 145). სულხან მდივნის ხელთნაწერში უეჭველია დედნის

– 75 –

ზემოაღნიშნული მდგომარეობის გამო „ნაკლებობა და არევა თავებისა მეტად შესამჩნევად ჩანს“ ზოგიერთს ადგილას. ამას გარდა ამ ხელმთნაწერში „სათაურებს ანბანით აღრიცვა არა აქვს“ (იქვე, VI).

დანარჩენ ხელთნაწერებში, რომლებითაც პ. უმიკაშვილი თავის გამოცემისათვის სარგებლობდა, შინაარსი ანბანის რიგზეა დალაგებული. უეჭველია „დასტურლამალი“ ასე „შემდეგ ხანებში არის გადაკეთებული მოხელეთა სახმარებლად“, რასაკვირველია საჭირო ცნობების „ადვილად საძიებლად“ (იქვე, გვ. V).

ერთი იმ სამ ხელთნაწერთაგანი იესე ხელიქიშვილისეული 1773 წ. ყოფილა გადაწერილი. საყურადღებოა, რომ იესე მდივანი სომხითის მელიქისშვილი ამბობს: „გადავწერე, არ დაიკარგოსო, ერთის მეტი არ იყო საქართველოშიო“ (იქვე). სულხან მდივნის ხელთნაწერის არსებობა ამტკიცებს, რომ იესე მელიქიშვილის ცნობა გადაჭარბებულია და მეორე ხელთნაწერიც ყოფილა, ამასთანავე იმ ერთზე უფრო უკეთესიც. მაინც-და-მაინც ცხადია, რომ მეXVIII-ე საუკ.-ის მეორე ნახევარშივე, ჯერ კიდევ აღამაჰმედხანის შემოსევასა და აოხრებამდე აღმოსავლეთ საქართველოში „დასტურლამალი“ ძნელი საშოვარი ყოფილა. ის ხელნაწერი, რომელიც იოვეს ალექსიძის მიერ ყოფილა გადაწერილი სათვალავში განსაკუთრებით მისაღები არ არის იმიტომ, რომ 1821 წელს არის გადაწერილი და რაკი „ეთანხმება მელიქიშვილის დედანს“-ა და მხოლოდ „გადამწერს ადგილ-ადგილ ცოტაოდენი ცვლილება მოუტანია“ (იქვე), ამიტომ საფიქრებელია, რომ ალექსიძეს დედნად დაახლოვებით იმავერივე ხელნაწერი უნდა ჰქონოდა, როგორც იესე მელიქიშვილისა არის.

უეჭველია, რომ ალექსიძისა და მელიქიშვილის ხელთნაწერების გადამწერთა „დასტურლამალი“-ს დედანიც დაზიანებული და არეული უნდა ყოფილიყო. ამას სემდეგი ცნობა გვფიქრებინებს. § 30-ში, რომელსაც სათაურად აწერია „მურდრისათვის“, გადამწერს ნათქვამი აქვს – „სხვა ამისი შემდგომი მდივანბეგის განაჩენის ბოლოს იძიეთ: სხვაგან ვიპოვე და იქ დავწერე, არ დაეტია“-ო (იხ. გვ. 51, სულხან მდივნის ხელმთნაწერებში ეს § სრულებით არ არის, შეად. გვ. 202).

როგორც აღნიშნული გვქონდა, პ. უმიკაშვილის დაუსაბუ-

თებელი დაკვირვება, რომ შინაარსის მიხედვით „დასტურლამალი“-ს ტექსტის დალაგება, რა სახითაც იგი ხულოსან მდივნის ხელთნაწერშია შენახული, „უფრო უნდა ეთანხმებოდეს ვახტანგის რედაქციას“, სამართლიანია. მაგრამ, თუნდაც რომ სულხან მდივნის ხელმთნაწერი

- 76 -

შენახული არ ყოფილიყო, იმის დამტკიცება, რომ თავდაპირველ დედანში შინაარსი სხვანაირად ყოფილა დალაგებული და არა ისე, ანბანურად, როგორც იესე მელიქიშვილისეულსა და 1821 წ. ხელთნაწერშია, მარტო იესე მელიქიშვილის ხელთნაწერის ტექსტის კრიტიკული შესწავლითაცაა შესაძლებელი. ამას შემდეგი მაგალითიც ცხად-ჰყოფს. მე-7 (ზ) თავში, რომელსაც სათაურად აქვს „ალაყაფის შუა სახლის რიგისათვის“, სხვადასხვა მოხელეების შესახებ, რომელთაც მეჯლისის დროს უნდა ემსახურათ, ნათქვამია: „ამათ ი მ ა ვ ზ ე მ ო თ ი ს წ ე ს ი თ ი მსახურონ“-ო (გვ. 5). ზემოთ- კი არსად არაფერია ნათქვამი, თუ მოხელეებმა ამისთანა შემთხვევებში როგორ უნდა იმსახურონ. ცოტა ქვევითაც მე-9 (თ) მუხლშიაც, რომელიც „ახალის სასახლის რიგისათვის“ არის დაწერილი, მოხელეებზე ნათქვამია: „ესენი ი მ ა ვ ზ ე მ ო თ ი ს წ ე რ ი ლ ი ს წ ე ს ი თ ი მსახურებოდენ“-ო (იქვე). არც ამის ზევით არის რაიმე ცნობები, თუ როგორი წესით უნდა ემსახურათ ამგვარ შემთხვევებში. ეს ორთავე ამონაწერი ცხადად ამტკიცებს, რომ თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ს დ ე დ ა ნ შ ი ა მ ო რ მ უ ხ ლ ს წ ი ნ უ მ ძ ლ ო და ი ს ე თ ი მ უ ხ ლ ი, რომელიც ამ მე-7 და მე-9 მუხლებისათვის ს ა მ ა გ ა ლ ი თ ო დ არ ის და ს ა ხ ე ლ ე ბ უ ლ ი. ამგვარ გ-ად უეჭველია ის წ უნდა ყოფილიყო, რომელიც გ რძე 163-ად არის ეხლა და მე-77 გვერდზეა მოთავსებული და სათაურად უწერია „სასახლეების რიგისათვის“. ეს მუხლი სხვებთან შედარებით დიდია (გვ. 77-80) და მართლაც სხვათა შორის დაწვრილებით ცნობებს შეიცავს, თუ „ველჯოხიანები“ და სხვა დარბაზის წესრიგის დამცველი მოხელეები როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. იქ მეჯლისის წესრიგიც არის აღწერილი. ამ მუხლს თავდაპირველად მისდევდა „მუშამბის სახლის რიგისათვის“ (იხ. გვ. 54 § ქვ) და „ტოგუნის რიგისათვის“ (გვ. 81 § რძე), რომელშიაც მოხელეების მეჯლისის დროს სამსახურის შესახებ ნათქვამია: „ესენი ი მ ა ვ ზ ე მ ო რ ე ს წ ე რ ი ლ ი ს წ ე ს ი თ ი მსახურებოდენ“-ო (გვ. 81). მაშასადამე ცხადია ამ მუხლსაც თავდაპირველად დარბაზობისა და მეჯლის - ნადიმის საზოგადო წესრიგის აღწერილობა მიუძღოდა წინ. საკმარისია სულხან მდივნის ხელთნაწერში ჩაიხედოთ (იხ. გვ. 196), რომ დარწმუნდეთ, თუ რამდენად სამართლიანია ზემოაღნიშნული მუხლების თავდაპირველი დალაგებულობის აღდგენის ზემომოყვანილი ცდა. ეს ერთი მაგალითიც საკმაოა იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ იესე მელიქიშვილის ხელთნაწერის შესწავლითაც შეიძლება ცხადყოფილ იქმნას, რომ ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ფ ე ს თ ა ვ ი ს ი „დასტურლამალი“ შინაარსის და მიხედვით დაულაგებია.

- 77 -

არც ის გარემოება უნდა დაგვავიწყდეს, რომ როდესაც ძველი

დროის რომელიმე ძეგლი შენახულია ორი სახით, ანბანურად და შემდგომითი -შემდგომად დალაგებული, მაშინ სრულის დაჭეშმარიტებით შეიძლება ითქვას, მეორე წესი თხრობისა თავდაპირველია იმიტომ, რომ ანბანურად დალაგებული თხრობის შინაარსისდა მიხედვით დალაგება დედნის იმდენად ძნელსა და რთულს წინასწარ კრიტიკულ შესწავლას მოითხოვს, რომ ამისთვის მაშინდელ მეცნიერთ ძალა არ შესწევდათ და ამის გამო წარმოუდგენელიც არის, „დასტურლამალი“ რომ თავდაპირველად ანბანურად ყოფილიყო დაწერილი და მერმე მისი შინაარსი საგნობრივად დალაგებულ თხრობად გადაკეთება შესძლებოდათ.

შენახულია თუ არა სულხან მდივნის ხელთნაწერში მაინც „დასტურლამალი“ იმ სახით, როგორც ეს ძეგლი თვით ვახტანგ VI მიერ უნდა შედგენილი ყოფილიყო. განსვენებული პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი ბრძნული სიფრთხილით ამბობს, რომ ეს „ხელთნაწერი უფრო უნდა ეთანხმებოდეს ვახტანგის რედაქციასა“ და ეს დასკვნა იმაზე აქვს დამყარებული, რომ იქ შინაარსი საგნობრივად არის დალაგებული და არა ანბანურად (იქვე, V). ამ მხრივ დაკვირვება, როგორც აღნიშნული იყო, სრულებით სამართლიანია.

მაგრამ სხვაფრივ ზემოწამოყენებული საკითხის შესახებ ამაზე მეტიც შეიძლება ითქვას. არა, არც სულხან მდივნის ხელთნაწერშია „დასტურლამალი“ შენახული იმ სახით, როგორც ვახტანგ VI ჰქონია დაწერილი. ამას თუნდის გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ მის დედანს, როგორც აღნიშნული იყო, ბევრგან ფურცლები ჰკლებია და აქა-იქ შინაარსიც არეული ყოფილა. მაგრამ ამასვე უფრო ნათლად ის ნაწილიც ამტკიცებს, რომელიც დედანში მთლად შენახული ყოფილა და სულხან მდივნის გადამწერს სამუდამო დაღუპვისაგან გადაურჩენია. თუ სულხან მდივნისა და იესე მელიქისშვილის ხელთნაწერების „დასტურლამალს“ გადაიკითხავთ, მთელ თხზულებაში შინაარსის ვერავითარ (სამეფო და სადედოფლო დ-ს გარდა) დანაწილებას ვერ იპოვით, მუხლობრივ დაყოფას გარდა, რომელთაც თვითოეულს თავისი განსაკუთრებული სათაური აქვს და იესე მელიქისშვილს ხელთნაწერში თვითეულ მუხლს სათვალავიც უზის.

წინათ-კი უეჭველია მთელი „დასტურლამალი“ შინაარსისდა მიხედვით „კარებ“-ად ყოფილა დაყოფილი. ამისი დამამტკიცებელი კვალი აქა-იქ ეხლაცაა შენახული. ვახტანგ მეფის შესავალის შემდგომ, რომელიც იწყება სიტყვ-

ბით „ეჰა შენ ყოველთა მბადო“, ამ ხელთნაწერში მაგ. შემდეგი სათაური მისდევს: „კარიპირველი. ყოვლისა ჯელჯობიანისა და მათის სარგოსი“ (იხ. გვ. 195). ცხადია მაშასადამე, რომ „დასტურლამალის“ დედანი თავდაპირველად „კარებად“ ყოფილა დაყოფილი და რაკი ნათქვამია „კარიპირველი“, უეჭველია მეორე, მესამე და შემდეგი კარებიც იქმნებოდა. „დასტურლამალი“-ს ტექსტი რომ მართლაც კარებად იყო დაყოფილი, ამის დამამტკიცებელი მეორე კვალიც არის შენახული. იქ ერთგან მაგ. აგრეთვე სწერია: „კარი სასახლეების რიგისა“-ო (გვ. 196). ცხადია მხოლოდ, თავდაპირველ

დედანში ისიც იქმნებოდა ნათქვამი, თუ რომელი კარი იყო, მაგრამ გადამწერთაგან გამოტოვებული უნდა იყოს.

ამგვარად გამოირკვა, რომ ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ფ ე ს თ ა ვ ი ს ი „დასტურლამალი“ შინაარსის და მიხედვით „კარებად“ გაუყვია და თვითოეული კარისათვის საგანგებო საგანი და განსაკუთრებული სათაურიც აურჩევია. კარების სათაურები და მათი სათვალავები სულხან მდივნის დედანშიაც კი ორ ზემოაღნიშნულ შემთხვევას გარდა შენახული აღარ არის, მაგრამ შინაარსის წინანდელი დალაგების წესრიგის ნაშთად ბევრგან შერჩენილია, რომ „დასტურლამალი“-ს მუხლები მომეტებულ ნაწილად შინაარსისდა გვარად მისდევს ერთი მეორეს, თუმცა აქა-იქ სულხან მდივნის ხელთნაწერშიაც შინაარსი არეულია. ეს გარემოება უეჭველია იმის შედეგი უნდა იყოს, რომ სულხან მდივნის ხელთნაწერის დედანი, რომლითგანაც გადმოწერილა, დაზიანებული ყოფილა.

მაგრამ მართო „კარები“, მათი სათვალავები და სათაურები-კი არ უნდა აკლდეს და მხოლოდ მუხლების წესრიგი-კი არ უნდა იყოს არეული, არამედ თ ვ ი თ ტ ე ქ ს ტ ი ც ყ ვ ე ლ გ ა ნ ი მ ს ა ხ ი თ ა რ ა რ ი ს შ ე ნ ა ხ უ ლ ი, რ ა ნ ა ი რ ა დ ა ც ი გ ი თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე - ლ ა დ ი ყ ო დ ა წ ე რ ი ლ ი. ტ ე ქ ს ტ ს ზ ო გ ა ნ ა რ ს ე ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი ა კ ლ ი ა ხ ო ლ მ ე ის ე, რომ აზრის შეტყობა შეუძლებელი ხდება, ზ ო - გ ა ნ ც ნ ო ბ ე ბ ი ა შ ე ე ვ ლ ი ლ ი. მაგ. შესავალის ბოლოს ერთი წინადადებაა მოთავსებული, რომელშიაც აღნიშნული ყოფილა, თუ პირველად რა საგანზე უნდა ყოფილიყო „დასტურლამალი“-ში ლაპარაკი. იქ სახელდობრ ნათქვამია: „პირველად ჯერ არს ხსენება და აღწერა, რამეთუ ამათ მიერ არს რიგი პურობისა, წყალობისა და რისხვსა“-ო (გვ. 4). როგორც მკითხველიც დარწმუნდება, ამ წინადადებას სწორედ ის ადგილი აკლია, სადაც ნათქვამი ყოფილა, თუ რის ხსენება და აღწერა „პირველად ჯერ არს“. ეს დანაკლისი ყვე-

ლა ხელთნაწერებში ყოფილა (შეად. გვ. 131 და 157). სულხან მდივნის ხელთნაწერში შენახული სათაურების დახმარებით ამ ტექსტის დანაკლისის შევსება დაახლოვებით შეიძლება. იქ შესავალს, როგორც აღნიშნული იყო, მისდევს „კარი პ ი რ ვ ე ლ ი. ყოვლისა ჯელჯოხიანისა და მათის სარგოსი“ (იხ. გვ. 194). მაშასადამე პირველად „დასტურლამალი“ კანონმდებელს „ჯელჯოხიანებზე“ ჰქონია ლაპარაკი. სწორედ ამიტომაც საფიქრებელია, რომ ზემოაღნიშნული წინადადება თავდაპირველად ასე უნდა წერებულიყო: „პირველად ჯერ არს ხსენება და აღწერა [ყოვლისა ჯელჯოხიანისა და მათის სარგოსი], რამეთუ ამათ მიერ არს რიგი პურობისა, წყალობისა და რისხვსა“. რომ დაახლოვებით მართლაც ასე უნდა წერებულიყო, ამის დასამტკიცებლად იმ მოსაზრების მოყვანა შეიძლება, რომ პურობის, ან მეჯლისის მოწყობის, რისხვის და წყალობის გამოცხადების დროს წესრიგის დამცველად მართლაც „ჯელჯოხიანი“ იყვნენ ხოლმე.

„დასტურლამალი“-ს დედანი დროთა განმავლობაში შინაარსის მხრივ უფრო თვალსაჩინოდ იმ ადგილებში უნდა დამახინჯებულიყო, სადაც ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე -

ფის დროინდელი მოხელეების სიები და სხვადასხვა სტატისტიკური ცნობებია მოთავსებული. პ. უმიკა - შვილს წინასიტყვაობაშიც აღნიშნული აქვს, რომ სიებში იესე მელიქიშვილისეულისა და სულხან მდივნისეულს ხელთაწერებს შორის განსხვავებაა (გვ. VI) და ვინც მისი გამოცემის „დამატებულბათა“ იმ ნაწილს გადაიკითხავს, რომელიც ხელთაწერების „განსხვავებათა“ აღწერს შეიცავს (გვ. 131-162), ის თავის თვალთაც დარწმუნდება, რაოდენი სამეცნიერო მუშაობაა ჯერ კიდევ საჭირო, რომ გამორკვეული და აღდგენილი იყოს ქართული სახელმწიფო სამართლის ამ შესანიშნავი ძეგლის პირვანდელი სახე და შინაარსი ისე, როგორც იგი ვახტანგ VI მიერ დაწერილი ყოფილა.

ვახტანგმა თავისი „დასტურლამალი“-ს შექმნით მართლმსაჯულება და მართვა გამგეობა კვლავ ერთი-ერთმანეთისაგან განსაზღვრა და სახელმწიფო სამართალსაც დასტურლამალის შექმნით ისევ მტკიცე საფუძველი დაუდვა: ამიერითგან სახელმწიფო მართვა-გამგეობის გარკვეული წესრიგი იყო დამყარებული და მისი რყევა და დარღვევა ისე ადვილი აღარ იქნებოდა. თუმცა თვით ვახტანგის „დასტურლამალი“-თგან სჩანს, რომ დასტურლამალის ზოგიერთი ნაწილი „პირველ მეფის გიორგისაგან განწესებული ყოფილა და ვახტანგს მხოლოდ განუახლებია (იქვე, გვ. 109), ზოგი კიდევ უფრო ადრეც ყოფილა დაწესებული, არსებობდა მაგ. „ძველადგან და აწ

- 80 -

მეფე გიორგისაგან დამტკიცებული“ საბუთები (იქვე, 128, 129), მაგრამ უმთავრესი ღვაწლი მაინც ვახტანგ მე-VI-ეს მიუძღვის. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს, როგორც ჩანს, დასტურლამალისთანა წიგნი, სადაც დარბაზობის ან სხვა სახელმწიფო გამგეობის შესახებ ცნობები ყოფილა მოთავსებული, უეჭველია უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც მრავალი სხვა საბუთებიც შემდეგ ალბათ დაკარგულა. როგორც ეტყობა, თაყაიშვილის მიერ ნაპოვნი ხელმწიფის კარის „გარიგება“ც ვახტანგის დროს დაკარგული ყოფილა. ვახტანგის დროს მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფო მართვა-გამგეობის დარგის შესახებ არსებობდა გიორგი მეფის დასტურლამალი.

რა-კი სიტყვა „დასტურლამალი“ არაბულ სპარსული სიტყვაა. შეიძლება გვეფიქრა, რომ თვით ეს ვახტანგის წიგნიც სპარსული ამგვარისავე თხზულების მიზამდით ყოფილიყოს შედგენილი, მაგრამ სპარსულად ამნაირი ნაწარმოები არ არსებობს, მხოლოდ ერთ სპარსულ მე-XIX-ე საუკუნის ისტორიკოსს თავის წიგნის ბოლოს სპარსეთის ყველა მოხელეთა ნუსხა აქვს დართული, მაგრამ ვახტანგის დასტურლამალისა და იმ ნუსხას შორის დიდი მზღვარი ძვეს. ვახტანგის წიგნი რომ მისი ნაწარმოებია, ეს თვით შინაარსითაც მტკიცდება: აქ სხვადასხვა მართვა-გამგეობის შესახები ნამდვილი ქართული საბუთებია შეკრებილი და რიგზე დალაგებული, მაგალითად: „მდივანბეგობის წესი და რიგი“, რომლის შესახებაც ვახტანგი ამბობს. „მოკითხული ვქენით და ამ წესით ყოფილიყო გარიგებული და ახლაც ამ წესით გვიბომდება“-ო (იქვე, 56), ერასტი ორბელიშვილის სახელობაზე დაწერილი საბუთია, „მდივნე-

ბის სარგოსათვის“ (იქვე, 49), „ვაზირის სარგოსათვის“ (იქვე, 32), „ბოქაულთ-ხუცესების სარგისათვის (იქვე, 16) და სხვა მრავალი.

სამწუხაროდ აქ უადგილობის გამო ვრცლად ვერ შევეხებით იმ საკითხს, თუ როგორ შესდგა თანდათან „დასტურლამალი“. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ „დასტურლამალი“ ძვირფასს, საუცხოვო ცნობებს გვაძლევს სამეფოს წესწყობილების ყოველი მხრის შესახებ, ისეთს მასალებს, რომლის პოვნა სხვაგან არსად არ შეიძლება. ეს წიგნი ჩვენი სამართლის ისტორიისა და ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისათვის დაუფასებელი განძია. იგი პ. უმიკაშვილის მიერ საუცხოვოდ არის გამოცემული სამი დედნის მიხედვით და თანაც ჩინებული ლექსიკონი აქვს დართული.

ვახტანგ VI-ის შემოქმედებითი მოღვაწეობა ქართული სამართლის ასპარეზზე ამაზე არ შეჩერებულა.

– 81 –

საქართველოში სასოფლო პოლიციის მოვალეობა, ქურდების და დაკარგულის აღმოჩენა მე-XVI-XVII საუკ. ხევის ბერებს ებარათ. ეს მოვალეობა სამართლის ისეთი დარგი იყო, რომ სახელმწიფოსაცა და მართლმსაჯულებასაც ეხებოდა და ამის გამო საქმე შეიძლებოდა არეულიყო, ამიტომ ვახტანგ მე-VI-ემ ეს დარგი გამოაცალკევა და განსაკუთრებულ „სახევისთავო სამართლის წიგნის“ შედგენა დააპირა. დაულაღავი მეფე ბრძანებს: „ჭევის თავმა როგორც ისამართლოს, იმის სამართლის წიგნს მივსცემთ, ისრე მოიქცენ“-ო (დასტურლამალი, გვ. 106). სამწუხაროდ მასალებითგან არა ჩანს, დასცალდა თუ არა ვახტანგს ამ თავისი განზრახვის ასრულება? ცხადია მაინც, რომ ცალკე სახევისთავო სამართლის წიგნის დაწესებით ვახტანგ VI ქართული საპოლიციო სამართლის შემქმნელიც იქნებოდა.

თავი II.

სისხლისა და სამოქალაქო სამართლის წყაროები.

ქართული სამართლის უძველეს ძეგლად ჩვეულებრივ მეფე გიორგის V-ეს „ძეგლის დადება“ ითვლება. რასაკვირველია თვით განსვენებულ დ. ბაქრაძეც კარგად გრძნობდა, რომ საქართველოში ამ სასამართლო წიგნის წინათაც უნდა ყოფილიყო სამართლის ძეგლები (იხ. Сборник законов груз. царя Вахтанга VI, ა. ფრენკელის გამოცემა, დ. ბაქრაძის რედაქტორობით, გვ. 81, 112, შენ.), მაგრამ ამგვარი ძეგლები მას დაკარგულად მიაჩნდა. გასაოცარი ის არის, რომ ვერც ბექა და ალბუღას სამართლის წიგნის მე-99-ე მუხლს მიუხვედრებია განსვენებული ისტორიკოსი და თავის შენიშვნაში იგი ამბობს, ამ მუხლის აზრი ისაა, რომ სასამართლო წიგნები ძველ მეფეების დროსაც უწერიათო, მათი ბრძანებითა და სამღვდელოებისა და საერო პირთა თანამშრომლობით, და თვით ალბუღასაც ხელთ ჰქონია ამგვარი ძველი კანონებიო (იქვე, გვ. 117, შენ.), არც განსვენებულ ნიჭიერ მკვლევარს ნ. ურბნელს მიუქცევია მე-99-ე მუხლისათვის ჯეროვანი ყურადღება და ალბათ იმი-

ტომ, რომ იგი ათაბაგ აღბუღას დადგენილი სასამართლო წიგნის ნაწილად მიაჩნდა (იხ. ნ. ურბნელიის „ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი“, გვ. 267-8).

ქვემოთ ჩვენ ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ საქართველოში კანონები არამც თუ გიორგი ბრწყინვალეზე წინათაც არსებობდა, არამედ რომ ამ კანონების ერთმა ნაწყვეტმა ჩვენ

– 82 –

დრომდის მოაღწია კიდევ. თვით გიორგი V-ე თავის „ძეგლის დადება“-ში პირდაპირ ამბობს, რომ იმის წინათაც საქართველოში არა ერთი და ორი სამართლის წიგნი ყოფილა და თვით მასაც ხელთა ჰქონია, როცა მთიულებს კანონებს უწერდა. ვალის თაობაზე მაგალითად იგი სწერს: „ვალის საქმე ასრე გავაჩინეთ: სარგებელი არც ქართველთ რჯულთა სძესთ წესად რომ აიღონ, არც სხვათა რჯულთა უწერიათო“ (§ მვ.). შემდეგ ათაბაგ ბექა და აღბუღას სამართლის წიგნში ნათქვამია: „აწყვერისა და საფარისა, ვითა ძველით გან ყოფილიყო, არცა დიდსა მეფესა მოეშალა და ჩვენ განაღმცა აგრეთვე დავამტკიცეთ“-ო (იხ. ჩუბინაშვილის ქართ. ქრისტომატია, 1863 წ. გამოც. გვ. 208-9).

აქ დიდ მეფედ, რასაკვირველია, გიორგი მე-V-ეა ბრწყინვალედ წოდებული და აწყვერი-საფარის განსაკუთრებული სამართლის უფლება მამასადაძმე იმაზე წინათ „ძველთაგანვე“ ყოფილა დაწესებული. თუ კი ამ ეპისკოპოზებისათვის განსაკუთრებული სამართლის წიგნები უბოძებიათ, განა დასაჯერებელია, რომ მთელი სამეფო ნადარჩენი მცხოვრებნი და უმრავლესობა უკანონებოდ ყოფილიყო?

§ 1. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტი.

მაგრამ რომ გიორგი ბრწყინვალეზე წინათ საქართველოში საკუთარი სამართლის წიგნი არსებობდა, ამას თითქმის დამტკიცებაც არა სჭირია, იმიტომ რომ თვით ამ კანონების ნაწყვეტს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვენ დრომდისაც მოუღწევია: იგი შეტანილია ვახტანგ VI-ის კოდიკონში მოთავსებული ბექა და აღბუღას სამართლის წიგნის ბოლო ნაწილში მე-99-ე მუხლში, რომელიც ზოგ ხელთნაწერში §100-დაც არის აღნიშნული. იქ ნათქვამია:

„სახელითა ღთისათა დაიწყების საღმთოსა [სჯულსა] გაჩენელი¹ და გასაჩენელი პირველად დავითიან ბაგრატ კურაპალატ და აღმაშენებელთა მეფეთ მეფეთა ბრძანებითა და მერმე ეპისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკვიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი განგებითა ღთისათა: «ვინცა საბჭოდ სჯდებოდეთ და მართალსა საჩივარსა მართლად მოიჭსენებდეთ, თქუენთა გულთა შიგან ღთის შიში უნდა დაიჭიროთ და არავის სთნიოთ, – არა მამასა და დედასა, არა პატრონსა, არა ძმათა და მეყვისთა არას ქრთამის ქადებისათვის არადარა, მართალი სამართალი უნდა გააჩინოთ“-ო.

¹) დედანი აქა-იქ გაფუჭებულია და ჩვენ ვასწორებთ.

ვინც ამ მე-99-ე, ან მე-100 მუხლს წინამავალი მუხლების შემდეგ გულდასმით წაიკითხავს, რასაკვირველია შეატყობს, რომ აქ რაღაც სხვა კანონის ნაწყვეტი იწყება, რომელსაც §§ 96, 97 და 98 არავითარი კავშირი არ აქვს: მე-96-ე მუხლში იმ სასჯელზეა ლაპარაკი, რომელიც უნდა გადაახდებინონ „თუ ვაჭარი მოჰკლას ვაჭარმან თუ სხვამან ვინგინდამ“, ხოლო §97 გზას მიმავალი ვაჭრის გაცარცვას შეეხება. მე-98-ე მუხლში კი ახსნილია, თუ როგორ უნდა გაასამართლონ, როცა დარბაზის კაცს „კაცი“ წაუვა. ამას მისდევს მე-99-ე მუხლი, რომელიც სრულებით მოულოდნელად ისეა დაწერილი, როგორც რომელსამე განაჩენს, ან სამართლის წიგნს თავითგან იწყებენ ხოლმე – „სახელითა ღთისათა დაიწყების“ და სხვა. შემდეგ თვით ამ მუხლში ნათქვამია, რომ იგი ბაგრატ კურაპალატის „ბრძანებითა“ და „ეპისკოპოზთა, დიდებულთა აზნაურთა და ჭკვიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი“-ა. მამასადამე არც ბექას, არც ალბუდას ამ სამართლის წიგნთან არაფერი ჰქონიათ საერთო. ერთმაც და მეორემაც თავიანთი კანონები თავიანთი სახელით გამოსცეს და საქართველოს მეფე არ მოუხსენებიათ, მე-99-ე მუხლში კი არც ბექა და არც ალბუდა კანონმდებლად მოხსენებულნი არ არიან. ერთი სიტყვით, § 99 (ან 100) სხვა სამართლის წიგნითგან არის ამოღებული და იმ წიგნის შესავალს წარმოადგენს. ეს სამართლის წიგნი ბაგრატ კურაპალატის ბრძანებით შეკრებილი უმაღლესი სამღვდელოების, დიდებული აზნაურებისა და ჭკვიანი კაცების „მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი“ ყოფილა.

ხოლო რაკი თვით ამ ნაწყვეტში თარიღი ნაჩვენებია არ არის, ამ სამართლის ძეგლის შედგენის დრო უნდა დაახლოებით მაინც გამოვარკვიოთ. მე-XIV-ე საუკუნეში 1360-95 წლებს შორის მეფედ იყო ბაგრატ მე V-ე დიდი, მაგრამ მას კურაპალატის პატივი არა ჰქონია და არც შეიძლება, რომ ჰქონოდა. სამართლის წიგნის გამოცემელი უეჭველია სხვა ბაგრატი უნდა ყოფილიყო. საზოგადოდ საქართველოს მეფეები დავით აღმაშენებლის შემდგომ კურაპალატობასა და სხვა ბიზანტიურ სახელმწიფო საპატიო სახელებს აღარა კადრულობდნენ. ამის გამო ცხადია, რომ ზემოაღნიშნული სამართლის წიგნის კანონმდებელს დავით აღმაშენებელზე წინათ უნდა ემეფნა. ამასთანავე მე-XI საუკუნითგან მოყოლებული მე-XV-ე საუკუნემდე ბაგრატ V დიდის გარდა არც ერთ საქართველოს მეფეს სახელად ბაგრატი არა რქმევია.

მე-XI-ე საუკუნემდე სამი მეფე იყო ბაგრატის სახელის მქონე-ბელი: ერთი ბაგრატ II, მეტ სახელად რეგვენად წოდებული († 994),

შემდეგ ბაგრატ მე-III-ე (978-1014) და ბაგრატ მე-IV-ე (1027-72). სამართლის წიგნის შედგენის მოთავედ შეუძლებელია ბაგრატ მე-II-ე ყოფილიყო, ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი კურაპალატი არა ყოფილა, მერმე იმიტომაც, რომ რეგვენს ცოტა არ იყოს არც კანონმდებლობა შეჰფერის. რჩება მამასადამე ბაგრატ მე-III-ე და ბაგრატ მე-IV-ე. ორივეს კურაპალატობის პატივი ჰქონდათ: პირველს ეს პა-

ტივი თვით ბიზანტიის კეისარმა ბასილიმვე მისცა (სუმბატ. ცა და უწყება, 3 ქკა 65 და ქლი ერის ისტ. II), ხოლო მეორემ ითხოვა თავის დედის პირით და მიიღო კიდეც კურაპალატობა (ქლი ერის ისტ. II). მაშასადამე ზემოაღნიშნული კანონები იმ სამ ბაგრატიების შორის ან ბაგრატი მე-III-ეს, ან არა და ბაგრატი მე-IV-ეს უნდა გამოეცა. ბაგრატი I კურაპალატზე ჩვენ აქ განგებ არას ვანზობთ და ჯერ იმის გამორკვევა გვსურს, თუ რომელ ბაგრატს, – მე-III-ეს, თუ მე-IV-ეს, – მეტი უფლება აქვს კანონმდებლად აღვიაროთ, ხოლო ამის შემდგომ ბაგრატი I-ის კანონმდებლობასაც შევხებით.

მემატიანე მოგვითხრობს, რომ ბაგრატი მე-IV-ის დროს „ქუე-ყანასა და წყნარება არა აქვნდა, ეკლესიანი, გლახაკნი, აზნაურნი ვერ იკითხებოდეს“ -ო (იხ. იქვე) და გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებითგანა სჩანს, რომ ეს მემატიანეს ცნობა სრულიად სამართლიანი ყოფილა. ცხოვრების ავტორი, რომელიც მთაწმინდელი მამის მოწაფე იყო, მოგვითხრობს, რომ გიორგიმ, საქართველოში ჩამოვიდა თუ არა, „პირველად ყოვლისა აღლესა მახული მხილებისა“ ბაგრატი მეფის წინააღმდეგ და სხვათა შორის „ეტყოდა მსჯავრთათჳს და სამართალთა სამეუფოთა, რათა უსჯიდეს ობოლთა და ქურითა... და რათა არა მისრდრეკდეს სასწორსა სიმართლისასა, დიდისა გინა მცირისა“ო (ცდგ მთწმდ, 321). ერთი სიტყვით საისტორიო წყაროები ერთხმად მოწმობენ, რომ ბაგრატი მე-IV-ის დროს სამართალი განსაკუთრებით დაცემული და შელახული ყოფილა და არც საფიქრებელია, რომ ასეთ მეფეს სამართლის წიგნის შედგენით თავი შეეწუხებინა. ბაგრატი მე-III-ის შესახებ-კი მატიანეში პირიქით ნათქვამია, რომ „არავინ გამოჩინებულ არს სხუა მსგავსი მისა დიდებითა და ძალითა და ყოვლითა გონებითა: ეკლესიათა მამენებელი იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლისა მართლად მოქმედი ყოველთა კაცთა თჳს“ო (იხ. ჩემი ქლი ერის ისტ. II). რაკი ისტორიკოსი ბაგრატი მე-III-ის მართლმსაჯულობას განსაკუთრებით აქებს, უეჭველია ამ მეფეს სამართლის საქმისათვის სხვებზე მომეტებით უზრუნვია და გაუკეთებია კიდეც. სწორედ ასეთ ხელმწიფეს შეეძლო შე-

ეკრიბა სამღვდელოება, დიდებულნი, აზნაურნი და „ჭკვიანი კაცნი“ სამართლის წიგნის შესადგენად. ყურადღების ღირსია, რომ როგორც ზემოაღნიშნული სამართლის წიგნის შესავალში მეფე ბაგრატი კურაპალატი „აღმაშენებლად“-აც არის წოდებული, ისე მემატიანეც მას „მაშენებელს“ უწოდებს.

მაგრამ ამ ორი ბაგრატის გარდა იყო კიდეც ერთი ბაგრატი, პირველი, აშოტ კურაპალატის ძე. მასაც კურაპალატის პატივი ჰქონდა. როცა აშოტი 826 წელს არაბებმა მოკლეს, ბაგრატი და მისი ორი ძმა „უსრულო-და იყვნეს ასაკითა“ და „იზრდებოდეს ციხესა შინა არტანუჯისასა“ (სუმბატ. ცა და უწყება, 3 ქკა, 55). შემდეგ, ალბათ როცა წამოიზარდნენ, ბაგრატი „ნებითა ღმრთისადათა და ნებითა ძმათა თჳსთადათა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისადათა მოილო კურაპალატობად“ (გ. მერჩული. ცდგგ ზნდგ გვკჳ და 3 ქნკა, 55). სწორედ ეს ბაგრატიც თავის კანონმდებლობითი მოღ-

ვაწეობით განთქმული იყო: მისი „განწესებულ არს“ „გლახაკთა ნაწილი“ (გრიგოლ ხანძ. ც^ა, ლბ.) სახელწმიფო საქველმოქმედო თანხა (იხ. ამის შესახებ ქართული სამართლის ისტორიის წიგნი II). მისვე საქებურ ღვაწლად ითვლებოდა „ყოველისა ერისა სამართლით განკითხვა“ (ც^ა გგ^ლ ხნ^მ გვ. ლბ). იქნებ რაკი ნათქვამია „ყოველისა ერისაო“, სწორედ სამართლის წიგნის შედგენა ჰქონდეს ცხოვრების ავტორს ნაგულისხმები. იგი განთქმული იყო ვითარცა „წმიდათა ეკლესიათა მ ა შ ც ნ ე ბ ე ლ ი“ (იქვე, ლგ.). აქაც მამასადა-მე ბაგრატის „აღმაშენებლად“ გამოდის.

მაგრამ საბედნიეროდ ვ ა ხ ტ ა ნ გ VI კოდიკოში შეტანილ ბე-ქასა და აღბუღას კანონებში ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგ-ნის მართლ შესავალი კი არ არის შერჩენილი, არამედ რამდენიმე სხვა მუხლიც. მე-100-ე მუხლი ხომ, სადაც ნათქვამია „ვინცა მომ-ღვარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ან კარგი დიდვაჭარი, ან კარგი სოფლისა მამასახლისი იყოს, აგეთი კაცი იყოს, ის დასვი [თ] ბჭედ: ჭკვიანი იქმნების და კარგად ეცო-დინების ბჭობა და უსამართლოს არას იტყვის“ო, რასაკვირველია შესავლის გაგრძელებას წარმოადგენს. ამის გარდა 101, 102 და 103-ე მუხლიც უეჭველია ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნით-გან არის აღბუღას კანონებში შეტანილი. ყველა ამ მუხლებში „პატ-რონი“ ათაბაგი-კი არა, არამედ მხოლოდ მეფეა მოხსენებული: „თუ ეპისკოპოზმან მ ე ფ ე ს ა შესცოდოს, მ ე ფ ი ს ა გ ა ნ ხელად შეპყრობა არ ეგების, ამაღ, რომე მისდა მუქაფად სასჯელისა დამამტკიცებელი არის, შეხვეწა, შეკაზმა მართებს ეპისკოპოზსა მეფისა“-ო (§ 101).

102 მუხლში ნათქვამია: „თუ მ ე ფ ე ეპისკოპოზს გაუწყრეს, – გინდა უსამართლოდ, გინდა სამართლითა, – ხელთა შეპყრობა არცა მაშინ მოხდების, ამისთვის რომე მ ე ო რ ე მ ე ფ ე ე პ ი ს კ ო პ ო ზ ი არის და ქრისტიანეთა სჯულისა დამამტკიცებელი და ა რ ც ა მ ე ფ ე ს ა ს ჯ უ ლ ი ს ა ს ა ქ მ ე ა ქ ვ ს, აგრე შეიწყნარენ“-ო. 103 მუხლი ამბობს: „თუ მომღვარმან, ანუ მღვდელმან, ანუ მონაზონმან მ ე ფ ე ს ა, ანუ ეპისკოპოზსა შესცოდოს ანუ სჯულსა, ანუ ეკლესიასა შესცოდოს, ხ ე ლ თ ა ა რ ა ვ ი ს გ ა ნ შ ე ი პ ყ რ ო ბ ი ს: გაკითხვა უნდა და, რაც მიზეზი დასწამონ, მას მიზეზსა უნდა გამონახვა და გადახედვა“-ო. როგორც ბ ე ქ ა ს კ ა ნ ო ნ ე ბ შ ი, ისე საკუთრივ ა ლ ბ უ ლ ა ს კ ა ნ ო - ნ ე ბ შ ი ა რ ს ა დ მ ე ფ ე მ ო ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ი ა რ ა რ ი ს, ყოველთვის პატრონი ათაბაგზეა ლაპარაკი. ბექაცა და აღბუღაც თავიანთ სამარ-თლის წიგნებს სამცხე-საათაბაგოსათვის ადგენდენ და თავიანთ სამფლო-ბელოში საქართველოს მეფისაგან იმდენად დამოუკიდებელი იყვნენ, რომ მეფეს არც-კი იხსენიებდნენ, 99, 100, 101, 102 და 103-ე მუხ-ლებში-კი პირიქით მხოლოდ მეფეა მოქმედი და მთავარი პირი, ხოლო ათაბაგზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. განა ეპისკო-პოზს, ან მომღვარს ან მონაზონს ათაბაგისათვის-კი არ შეეძლოთ შეეცოდნათ და ათაბაგი კიდევ გასწყრომოდათ? ყველა ეს მუხლები რომ მათი დადგენილი ყოფილიყო, ნუთუ „პატრონი“ (ათაბაგი) ერ-თხელ მაინც დასახელებული არ იქნებოდა? რასაკვირველია იქნე-ბოდა და, თუ 101, 102 და 103 მუხლში ათაბაგზე ლაპარაკი არ

არის, იმიტომ, რომ ეს წგნები ისეთ სამართლოს წიგნითგან უნდა იყვნენ ამოღებული, რომელიც მთელი სამეფოსათვის იყო საზოგადოდ შედგენილი და არა კერძოდ სამცხე-საათაბაგოსთვის, ათაბაგ ბექა და აღბუღას კანონებივით.

შემდეგ ყურადღების ღირსია, რომ სამსავე მუხლში ბექა და აღბუღას სხვა კანონებისავით მაწყვერელ-საფარელზე-კი არ არის ლაპარაკი, ს ა ზ ო გ ა დ ო დ ე კ ი ს კ ო პ ო ზ ე ბ ე ა ნ ა თ ქ ვ ა მ ი, ე. ი. ამ მხრივაც საზოგადო ხასიათი აქვს და კერძოდ სამცხე-საათაბაგოს ნიშნები არ ეტყობა. დასასრულ ამ მუხლების შინაარსიც ბექა-აღბუღას დროინდელ საზოგადოებრივ ვითარებას არ შეესაბამება: ა ქ ე კ ი ს კ ო პ ო ზ ი და ს ა ზ ო გ ა დ ო დ ს ა მ ღ ვ დ ე ლ ო ე ბ ა ს რ უ ლ ბ ა ტ ო ნ ა დ ა რ ი ს გ ა მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ი, მ ა თ წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ მ ე - ფ ე უ მ ლ უ რ ი ა, ა რ ა ფ ე რ ი ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ნ. ჩვენ ვიცით, რომ დავით აღმაშენებელმა სამღვდელოებას ცოტა არ იყოს ფრთები შეაკვეცა და ბატონობას გადააჩვია. მე-XIII-ე საუკუნეში ხომ, როცა მონღოლები საქართველოს დაეპატრონენ, სამღვდელოებას ძალა სრულ-

ლებით მოაკლდა: ამას თვითონვე ამტკიცებენ. მე-XIII-ე საუკუნის საეკლესიო კრება საქართველოს მეფესა და დიდებულებს სწერდა: ჩვენ „ა რ დ ა რ ა ვ ი ს გ ა ნ გ უ ა ქ უ ს პ ა ტ ი ვ ი, – არც სჯულსა და არც ეპიოპოპოზოთა, არც მონაზონთა, არც ხუცესთა, არც მღვდელთა, არც მიპრონსა, არც ქორეპისკოპოპოთა: ყუელა ყუელას უპატოოდ, შეურაცხად, გონებით, ბასრობით ვჰყავთ“-ო (ქნ~კბი II, 166 და საისტ. მოამბე 1925 წ.გვ. 221-222). თუმცა შემდეგ სამღვდელოების საქმე გამოკეთდა, მაგრამ მაინც წინანდელ ბატონობამდე ვეღარ მიაღწია.

ცხადია, 101, 102 და 103 კანონი რომ ათაბაგ აღბუღას, ან იმდროინდელი მეფის დაწერილი ყოფილიყო, სამღვდელოებას ასეთი გასაოცარი უპირატესობა არ ექმნებოდა. იმიტომ ეს სამივე მუხლი ისეთ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როცა სამღვდელოება საქართველოში სრული ბატონი იყო და საერო მთავრობაზე მაღლა ეჭირა თავი, ესე იგი დავით აღმაშენებლის უწინარესი ხანისა უნდა იყოს. სწორედ ამ დროს იყვნენ მონაზონები ბატონად და მთავრის მოწვევის ბარათზე პასუხად შეეძლოთ შეეთვალათ, ბერს შენთან „ა რ ა ჰ ნ ე ბ ა ვ ს მოსვლად“ო (ც~ფ გგ~ლ ხა~ძ გვ. კთ-ლ). სწორედ ამ დროს შეეძლო მთავრისათვის ბერს ეთქვა: „შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფე ხარო“, მე შენ-კი არა, მხოლოდ ქრისტე ღმერთს ვემორჩილები და იმის გარდა სხვას არავისო (იქვე, გვ. ლ). სწორედ ამ დროს იყო ბერი-არქიმანდრიტი იმდენად ძლიერი, რომ სრულებით თავისუფლად მეფეს საყვარელ სარტრფოს ართმევდა მონასტერში ჰკეტავდა. ასეთ ხანას, რასაკვირველია, დაადგენდნენ: რაც უნდა შესცოდოს ეპისკოპოზმა, მოძღვარმა, მღვდელმა თუ მონაზონმა მეფესაო, მაინც ხელი არ ახლოთო, იმიტომ რომ „მ ე ო რ ე მ ე ფ ე ე კ ი ს კ ო პ ო ზ ი ა რ ი ს და ქრისტიანეთა სჯულის დამამტკიცებელი და ა რ ც ა მ ე ფ ე ს ა ს ჯ უ ლ ი ს ა ს ა ქ მ ე ა ქ ვ ს“-ო. განა ეს უკანასკნელი აზრი იმავე წინადადების გამეორება არ არის, რომელიც გრიგოლ ხანძთელმა გვარამამფალს, როცა მან საეკლესიო კრების საქმეებში ჩარევა მოიწადინა,

პირში მიახალა: „მორწმუნენი მეფენი“ სამღვდელოებასთან ერთად „შჯულის მოძღვრებას არ იკადრებდეს“-ო და „კანონსა შინა არავე ბრძანებულარს ერისკაცისად, ვითარმცა. . . შჯულის მოძღვრებასა იკადრებდა“ იმიტომ, რომ ეს „შჯულისა და მღვდელთმოძღვართა შეურაცხებად არს“-ო (იქვე, მზ).

ერთი სიტყვით თვით ამ კანონების შინაარსი გვიჩვენებს, რომ ისინი თითქოს უფრო მე-IX-ე საუკუნის საზოგადოებრივი განწყობილების გამოხატველია. ამგვარად თავისი შინაარსის საერთო თვი-

- 88 -

სებებით და არა ენით, რომელიც დროთა განმავლობაში სრულებით განახლებულ შეცვლილი ჩანს, კანონთა ეს მუხლები თითქოს უფრო ბაგრატ I კურაპალატის დროინდელად გამოდის.

მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ ერთი დიდი დაბრკოლება არსებობს: სამართლის წიგნის შესავალში ბაგრატი მეფეთ-მეფედ არის წოდებული, ხოლო ბაგრატ I კი მაშინ ცხოვრობდა, როცა მეფობის უფლებაც-კი საქართველოში ჯერ კიდევ აღდგენილი არ იყო. მართალია, თუ იმ დროინდელ საისტორიო თხზულებას „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებას“ მივუბრუნდით, ირკვევა, რომ თვით ბაგრატ კურაპალატს მისი თანამედროვენიც მეფეს ეძახდნენ (იხ. გრიგ. ხანძ. ცხოვრება გვ. კწ. სტრიქ. 12, 23, 30 – გვ. ლბ. სტრიქ. 42, 61), მაშასადამე კანონმდებელი მეფე ბაგრატ კურაპალატი შეიძლება „მეფე“ ბაგრატ I კურაპალატის ყოფილიყო. მაგრამ რაკი ბაგრატ I მაინც მეფეთ-მეფის წოდებულებას ვერავინ მიაწერდა, ამიტომ ეს წგ უფრო სწორე იქნება, თუ ბაგრატ III -ისად და მე-XI ს. დამდეგისად მივიჩნიეთ.

1909 წ. რომ ჩემი „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველი, 1907 წ. დაწერილი, ნაწილი დაიბეჭდა (იხ. აღმანახი „ერი“ № 1). ამის შემდგომ ს. კაკაბაძემ 1912 წ. გამოსცა პატარა მონოგრაფია „სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი“, რომელშიაც ამბობდა: „ამ სჯულმდებელის ბაგრატის სამართალი, რომელიც დ. ჩუბუნოვის გამოცემით 77 მუხლს შეიცავს, ჯერ სრულიად შეუმჩნეველი იყო, ხოლო შემდეგ მისი შედგენა მიაკუთვნეს მე-11 საუკუნეს. მაგრამ როგორც გარეგანი სტილისა, ისე რეალური შინაარსის მიხედვით ყოვლად შეუძლებელია ეს სამართალი ასე ადრინდელ დროს შეედგინოთ. ერთის შეხედვითვე ის წარმოადგენს შუა საუკუნეების ბოლოდროინდელ ნაწარმოებს“-ო. (გვ. 3). მკითხველი ვერას გზით ვერ მიხვდებოდა, თუ ვის და სად გამოქვეყნებულ აზრს ეკამათებოდა ს. კაკაბაძე, რათგან ამ „მიმკუთვნებელის“ არც გვარი და სახელი და გამოკვლევის სათაური დასახელებული არაა, რომ მკითხველს საშუალება ჰქონდა დარწმუნებულიყო, მართლა სრულებით უსაბუთოდ, ზეპირად იყო მიკუთვნილი მე-XI სა., თუ ეს აზრი რაიმე მოსაზრებით იყო დასაბუთებული. ასეთი უცნაური და არაჩვეულებრივი საქციელის გამო, საქმის ვითარების უცოდინარ მკითხველს შეეძლო ეფიქრა, რომ სწორედ გამომცდელია პროფ. დ. ჩუბუნაშვილი მიაკუთვნა ეს კანონები ბაგრატ კურაპალატს და მანვე დაათარიდა მე-XI ს-ით. მაგრამ ამ მეცნიერს ამაზე სრულებით არაფერი აქვს ნათქვამი.

თვით ს. კაკაბაძის მტკიცებით ამ საკითხს მან უცილობელი განმარტება მოუძებნა, რათგან თუ მანამდე საქართველოს ისტორიაში „არც ერთი მეფე ბაგრატ კურაპალატის სახელწოდებით შემდეგ მე-11 საუკუნისა“ ცნობილი არ იყო და ეს გარემოება აძლევდა მიმკუთხნებელს ძეგლი მე-XI ს-ად მიეჩნია, ს. კაკაბაძემ ნიკორწმინდის სიგელზე მიწერილი სიგლის მიხედვით, რომელშიაც „მეფე კურაპალატი“ არის მოხსენებული და რომლის თარიღი მან 236 ქრონიკად წაიკითხა, ბაგრატ კურაპალატი რაჭა-არგვეთის მეფეთა დინასტიის წარმომადგენელად გამოაცხადა, თვით ასეთი პოლიტიკური ეთეულის არსებობა საქართველოში თავის ახალ აღმოჩენად ამცნო მკითხველ საზოგადოებას, და სწორედ ამ ბაგრატისად გამოაცხადა ის საკანონმდებლო ძეგლი, რომელიც ვახტანგ IV კოდიკოში ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის შემადგენლობაშია მოქცეული.

1920 წ. ს. კაკაბაძემ ვე ამ მიწერილი საბუთის თარიღი სრულებით შესცვალა და 106 ქორონიკონად გამოაცხადა. ასეთი მოულოდნელი გარემოების გასამართლებლად მას შემდეგ აქვს ნათქვამი: „მინაწერი საზოგადოდ სანახევროდ გადასულია. ბევრი სტრიქონი, როგორც ნაჩვენები იყო თავის დროზე, სრულებით არ ჩანს, მაგრამ ქორონიკონი რგ, ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ა დ და წ ე რ ი ლ ი, ი კ ი თ ხ ე ბ ა თავისუფლად (კურს. ჩვენია) და თუ მიუხედავად ამისა მინაწერის დაბეჭდვის დროს ქორონიკონის მაჩვენებელი ასოები საეჭვოდ იქნა გამოცხადებული (ს. კაკაბ. სჯულმდ. ბაგ. კურაპ., 5), ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ნიკორწმინდელად მანოელის დადგინება მოხსენიებულია იმერეთის მეფის ბაგრატის 1544 წლის სიგელშიც (იქვე, 6-8) და ამიტომაც ნიკორწმინდის დიდი სიგელის მინაწერიც მე ჩავთავალე მე-XVI საუკუნისად“-ო (კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ გვ. 4). მაშასადამე ეხლა ეს მიწერილი საბუთი 1418 წისად იქცა და ბაგრატ კურაპალატიც მე-XVI ს-ითგან მე-XV ს. დამდეგს იქმნა გადმოყვანილი.

ამ ბაგრატ კურაპალატის ვინაობასა და მფლობელობის შესახებ ი აზრიც ს. კაკაბაძემ შეიცვალა: თუმცა ჩემ წინანდელ „შრომაში ვახტანგ მეფის ვინაობის შესახებ ის აზრი იყო გამოთქმული, თითქოს ეს პირნი ეკუთვნოდნენ სამეფო დინასტიის მეორე ხარისხოვან, ასე ვთქვათ, რაჭა-არგვეთის მეპატრონეთა შტოს, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრება თითქოს ეწინააღმდეგება ამ დებულებას. 1432 წლის სიგლის მიხედვით ვახტანგ მეფე სამართალს აწარმოებს ქუთაისში ქართლის ერისთავის და სხვა საკმაოდ მრავალრიცხოვან

წარჩინებულთა თანდასწრებით“. დასასრულს ს. კაკაბაძეს ნათქვამი აქვს: ყველა მოსაზრებისა გამო ჩ ვ ე ნ ა მ ყ ა მ ა თ (sic!) გ ვ გ ო ნ ი ა, რ ო მ ბ ა გ რ ა ტ და ძენი მისნი ვახტანგ და გიორგი უნ და ყ ო ფ ი ლ ი ყ ვ ნ ე ნ ა ფ ხ ა ზ-ი მ ე რ ე თ ი ს ს ა მ ე ფ ო ს მ ფ ლ ო ბ ე ლ ნ ი და და ს ა ვ ლ ე თ საქართველოს სამეფოს სახლის

მეთაური“-ო (კვლევა-ძიებანი გვ. 5)

ამ მე-XV ს. დამდეგისად დათარიღებს სრული შეუწყნარებლობა ცხადი უნდა ყოფილიყო ყველსათვის ვისაც, უფლების ქართული სახელების საკითხი ისტორიულად შესწავლილი ჰქონდა, რათგან ნიკორწმინდის სიგლის მიწერილ საბუთში ფულის ერთეულის სახელად ნახმარია „შაური“ (გვ. 5). ტერმინი შაური-კი როგორც ჩემს „ქართული საფას-საზომთა მცოდნეობაში“-ში გამორკვეული მაქვს, მხოლოდ XVI ს-ში, თანაც ამ საუკუნის მეორე ნახევრიტაგან შემოდის მხოლოდ საქართველოში (იხ. „ჩვენი მეცნიერება“ 1924 წ. № 1-2).

ეს გარემოება ს. კაკაბაძეს 1920 წელს როგორც ჩანს საფას-საზომთა-მცოდნეობის ზემოდასახელებული მონოგრაფიის გამოქვეყნებამდე არ სცოდინია და იმისდა მიუხედავად, რომ ავტორი აცხადებს, რომ „საკითხი ფულის სისტემათა შესახებ საქართველოში, როგორც ძირითადთაგანი ეკონომიკური ფაქტების გასაგებად, თავიდანვე გვანტერესებდა ჩვენ და ჯერ კიდევ ამ ორმოციოდე წლის წინად, 1905 წილდან დამზადებული გვქონდა გამოკვლევის ერთი ცდა. შემდეგ ხანებშიდაც, მუშაობის განახლების პერიოდში, ამ საკითხით დაინტერესებული ვიყავით“ო (იხ. მისი „სასისხლო სიგელების შესახებ“ საისტორიო მოამბე 1924 წ. II ტ., გვ. 72). მაგრამ საფასსაზომთა-მცოდნეობის გამოქვეყნების შემდგომ ნიკორწმინდის სიგლის მიწერილი საბუთის 1418 წ-ისად მიჩნევის შეუსაბამობა, რასაკვირველია, უნდა თვით ს. კაკაბაძესაც ეგრძნობა და 1924 წ. დაბეჭდილი წერილში „ეგრედ წოდებული ბაგრატ კურაპალატის სამართლის შესახებ“ ამ საბუთის დათარიღებაზე ნათქვამი აქვს: ნიკორწმინდის სიგლის მიწერილი საბუთი, რომელშიაც „მოხსენებულია «მეფე კურაპალატი» და რომელიც „ქორონიკონის 236-ად წაკითხვით“ მე-XVI ს-ად გამოვაცხადეთ, „ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეს მეფე ბაგრატ კურაპალატი უნდა ყოფილიყო რაჭა-არგვეთის (ჩხავერის) მფლობელთაგანი და ზედ სახელად კურაპალატად იწოდებოდა... ამ ბაგრატ კურაპალატის პიროვნებასთან ჩვენი მაშინდელი აზრით დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მსჯულმდებლის ბაგრატ კურაპალატის ვინაობაც. ამ ჟამად შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ხსენებული აზრი ბაგრატის 1541 წლიდან რაჭა-არგვეთის ტე-

რიტორიაზე მფლობელობის შესახებ არ გამართლდა“-ო. (საისტ. მოამბე, 1924 წ., II წ., გვ. 242) ნამდვილად-კი, როგორც დავრწმუნდით, თავისი პირველი აზრის მცდარობა ს. კაკაბაძეს უკვე 1920 წ. ჰქონდა აღიარებული და მის ურყევ თარიღად 1418 წ. იყო გამოცხადებული. აი ამ თავის მეორეჯერი დათარიღების შესახებაც ეხლა ნათქვამი აქვს: „შემდეგ (ე. ი 1912 წ. შემდგომ) ჩვენ შევასწორეთ ამ მინაწერის ქორონიკონის წაკითხვა 106-ად (ს. კაკაბაძე. კვლევა-ძიებანი, 4), მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მინაწერის ტექსტში მხსენიებულია შაური (სჯულმდ. ბაგრ. კურ., 5), ხოლო შაური, როგორც ფულის სახელწოდება უკაშირდება მე-16 საუკუნეზე არაადრინდელ ხანას (ზემოდ ს. კაკაბაძე., სასისხ. სიგელების შესახებ, 86), ამიტომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ნიკორწმი-

დის მე-11 საუკუნის სიგელის მიაწერი, მანოელ ნოკორწმიდელის მიერ შესრულებული ბაგრატ კურაპალატის მოხსენიებით, უნდა ეკუთვნოდეს მე-16 საუკუნეს. მ ი ნ ა წ ე რ ი ს ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ი ს პ ი რ - ვ ე ლ ი წ ა კ ი თ ხ ვ ა (236 = 1548 წ.) უ ფ რ ო ს წ ო რ ი უ ნ დ ა ი ყ ო ს“-ო (საისტ. მოამბე 1924 წ., წიგნი II, 242 შენ.*). გაცემული მკითხველი, რომელსაც ს. კაკაბაძისვე ზემოყვანილი კატეგორიული განცხადება, რომ „ქ ო რ ო ნ ი კ ო ნ ი რ ე (106) ა ს ო - მ თ ა ვ რ უ ლ ა დ დ ა წ ე რ ი ლ ი, ი კ ი თ ხ ე ბ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა დ“, დავიწყებული არა აქვს, ალბათ უნებლიეთ იიქრეს, რა საშუალებით შეიძლება დიდი, ასომთავრული დამწერლობით გამოყვანილი 106 რიცხვის, რომელიც თურმე სრულებით გარკვევით იკითხება და მასასადამე მისი წაკითხულობის სისწორე არავითარ ეჭვს არ იწვევს, 236 ად გადაკეთდეს? ან რა უფლება აქვს მკვლევარს ის გარემოება რომ თარიღი 106 ქორონიკონი თურმე „იკითხება თავისუფლად“, საბუთის ტექსტის პირველად გამოცემის დროს მკითხველს არამც თუ დაუმალოს, არამედ თვით თარიღიც-კი თავისი ნებით 236-ად შეასწოროს, ტექსტში დაბეჭდოს „დაწერა ქვ (სა სლ) ვ:“ და ასეთი შენიშვნა გაუკეთოს „ქორონიკონის მაჩვენებელი ვ გარკვევით ჩანს, სლ-კი საეჭვოა“-ო (იხ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს მსჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი, გვ 5 შენ. *)? ეს ხომ თავის თეორიის სიმართლის დასამტკიცებლად საბუთის ტექსტის დაყალბებას უდრის.

შემდგომ, თუ მიწერილი საბუთის ქორონიკონი თავისუფლად 106-ად იკითხება, მარტო იმის გამო, რომ ამ ძეგლში მთელი საუკუნით შეცდომაა შეპარული და მე-XVI ს. დამდეგის საბუთში „შაური“ იხსენიება, როცა ფულის ეს სახელი მხოლოდ მე- XVI ს. მეორე ნახევართგან შემოდის საქარველოში, როგორც შეიძლება გამომცემელმა

დედნის მკაფიო ცნობა და წანაკითხი თვითნებობით 236-ად შეასწოროს, რომ ამ საშუალებით საბუთი მე-XVI ს-ად იქცეს, მის ტექსტის ცხადი ანაქრონიზმი გაქრეს და საეჭვო უეჭველად გახდეს? თუ საბუთი 1418 წ. დაწერილად ასაღებს თავისთავს და შიგ „შაური“ იხსენიება, ამნაირი ტლანქი ანაქრონიზმის გამო ის საეჭვოდ და ნატყუარად უნდა იქმნეს ცნობილი.

რაკი ს. კ ა კ ა კ ა ბ ა ძ ი ს ა თ ვ ი ს ა ც ცხადი შეიქნა, რომ ბაგრატ კურაპალატი არც რაჭა-ლეჩხუმის მეფეა, – რომელიც არც-კი არსებობდა და თვით ს. კაკაბაძის მოგონილია, – და არც აბხაზეთ-იმერეთის მეფე, მან თავის 1924 წ. წერილში გამოაცხადა, რომ „ბაგრატ, კურაპალატად წოდებული, არ უნდა ყოფილიყო ლიხთიმერეთის მე-15 საუკ. პირველ მეოთხედში მეფედ ცნობილი ბაგრატი, მამა ვახტანგ გორგასლად წოდებულისა, არამედ ძმა დიდი ალექსანდრე მეფისა. ეს ბაგრატ, ალექსანდრე მეფის ძმა, იხსენიება 1414 წლის მცხეთის ერთ სიგელში“ (ქრონ. II, 221; ისტორ. საბუთ. II, 10) და შემდეგაც ალბათ ცოცხალი იქნებოდაო (საისტ. მოამბე 1924 წ., წიგნი II, 246). ამნაირად ს. კაკაბაძის აზრით „სასისხლო სიგელებთან დაკავშირებით ახლად მოპოებულ საბუთიანობის მიხედვით გამოდის, რომ ეგრეთწოდებული ბაგრატ კურაპალატის სამართალი.. შედგენილი უნდა იყოს დიდ ალექსანდრე მეფის დროს

დიდი ბჭობის მიერ. მთავარი მოღვაწე ამ საქმისა უნდა ყოფილიყო ალექსანდრე მეფის ძმა ბაგრატ, რომელიც როგორც ჩანს, კურაპალატის ზედმეტ სახელს ატარებდა., სამართალი (= დიდისა ბჭობისა განაჩენი) შედგენილი უნდა იყოს 1420-1440 წლებში“-ო (საისტ. მოამბე, 1924 წ., წიგნი II, 247).

როგორც მკითხველი დარწმუნდებოდა, მთელი ეს მსჯელობა და ს. კაკაბაძის მორიგი მტკიცება სასისხლო სიგელებზე და ალბათობაზეა დამყარებული, რომელთა ღირებულება და ცხადი ნატყუარობა გამორკვეული გვაქვს მონოგრაფიაში „ქართული სიგელთა-მცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა“ (1926 წ., გვ. 156-188). საითგანა ჩანს, რომ ალექსანდრე დიდის ძმას კურაპალატი ეწოდებოდა, ან რომ 1414 წ. შემდეგაც ის ცოცხალი იყო, თუმცა სხვა მერმინდელ საბუთებში, 1419 წ. საბუთის გარდა (იხ. ჩემი ქ-ლი ერის ისტ, IV წ., 17), არ იხსენიება?

მაგრამ თავისთავი ის არის, რომ როგორ შეიძლება ალექსანდრე დიდი სიცოცხლეში და ზეობაში დაწერილი საკანონმდებლო ძეგლის შესავალში, რომელიც მის დროს და მისი ბრძანებით იყო შედგენილი, ის მეორე ადგილას იხსენიებოდეს, პირველად-კი ბაგრატ კურაპა-

- 93 -

ლატი? ამნაირად, ვითარცა ნატყუარ სასისხლო სიგელებსა და თავის საკუთარ ნააზრევზე, ალბათობაზე დამყარებული და დაუსაბუთებელი, მოსაზრება, ს. კაკაბაძის ეს მესამეჯერი მტკიცებაც ბაგრატ კურაპალატისა და მეფეთ-მეფის მე-XV-XVI ს-ში არსებობის შესახებ უნაყოფო ცდად უნდა ჩაითვალოს. თავის ამ მცდელობის უშედეგობას თვით ს. კაკაბაძე იმდენად კარგად გრძნობდა, რომ ნათქვამი აქვს: „ცდა ამ საკითხის გარკვევისა ჯერ კიდევ რამდენჯერმე შეიძლება გამეორებულ იქმნას“-ო (საისტ. მოამბე, 1924 წ., წიგნი II, 243). რასაკვირველია უთარილო ძეგლების დათარიღება ადვილი საქმე არ არის და ცდაც შეიძლება, მაგრამ მკვლევარი უნდა თავის მოვალეობას სიძინჯით ეპყრობოდეს და თავის წინასწარ აკვიატებული აზრის სიმართლის დასამტკიცებლად საბუთების ცნობებს არ სცვლიდეს და არ ამახინჯებდეს.

ამნაირად რათგან კურაპალატისა და სხვა ამგვარი ბიზანტიური წოდებულება საქართველოს მეფეებს მე-XII ს. დამდეგითგან აღარ უტარებიათ და ძეგლის საერთო ტენდენცია სამღვდელოების სრული ხელშეუხებლობის შესახებ დავით აღმაშენებლის მეფობაზე უწინარეს ხანას შეჰყვენის, ბაგრატიც მეფეთ-მეფედ იწოდება, ამიტომ, სანამ ამ დებულებათა საწინააღმდეგოდ მტკიცე უთუო საბუთები აღმოჩნდებოდეს, ეს ნაწყვეტი უფრო ბაგრატ III-ის დროისად უნდა მივიჩნიოთ.

ყურადღების ღირსია ერთი მინაწერი, რომელიც მე შემხვდა სრულებით მოულოდნელად, როცა ეს გამოკვლევა უკვე დამთავრებული მქონდა. პეტრ. სამეცნ. აკადემიის სააზიო მუზეუმის Msc. Georg, № 99 ვახტანგის სასამართლო წიგნის ბოლოს: „ბაგრატ კურაპალატის სამართალი აღბუღადამ. მუხლი 141. თუ ცოლი დასნეულდეს ქმარი ცოლის გვარს არას ემართლებს“ ... და სხვა. ეს მუხლი მართლაც იქ მოიპოვება. ეტყობა ამ მინაწერის უცნობ ავტორს

სცოდნია, რომ აღბუღას სამართალში ბაგრატ კურაპალატის სამართალია შეტანილი და ეტყობა ფიქრობდა, რომ § 141-იც იმავე კანონმდებელს ეკუთვნის. სამწუხაროდ არა ჩანს, რომელ ბაგრატს გულისხმობდა ავტორი.

§ 2. „ძეგლის დადება“ გიორგი ბრწყინვალისა.

უეჭველია შემდეგ საუკუნეებშიც, მაგალითად, დავით აღმაშენებლის, გიორგი III-ისა და თამარ მეფის დროსაც იქნებოდა გამოცემული კანონები, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ჯერჯერობით ამის შესახებ არავითარი პირდაპირი ცნობები არ აღმოჩენილა.

– 94 –

შენახულია გიორგი V-ე ბრწყინვალეს (1318-46) „ძეგლის დება“, რომლის ტექსტი ვახტანგის კოდიკონში შეტანილის გარდა, ექ. თაყაიშვილმა მე-XVII ს. ხელთნაწერშიაც აღმოაჩინა. ეს ძეგლი მთელი სამეფოსათვის არ არის შედგენილი, არამედ, როგორც თვით ამ სასამართლო წიგნშია ნათქვამი, მთიულთათვის. ახალ-შედგენილი კანონებით უნდა მხოლოდ „ჯვართაყელს აქეთ, ხადა-ცხაოტს, ზანდუკის ხევის კიბეთ ქვეშეთ და მენესოს ზემოთ“ ეხელმძღვანელათ. მაშასადამე ამ „ძეგლის დადებას“ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონია.

დ. ბაქრაძე და ნ. ურბნელი ამტკიცებდენ, რომ გიორგი ბრწყინვალემ ამ მთიულთა სასამართლო წიგნის გარდა მთელ საქართველოს სამეფოსათვისაც გამოსცა საზოგადო სასამართლო წიგნიო (ფრენკელის გამ. Сборник зак. груз. ц. Вахтанга, დ. ბაქრაძის რედაქც. 1. გვ. 81 დ. ნ. ურბნელის „ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი“, გვ. 1), მაგრამ ეს აზრი მგონი სწორე არ უნდა იყოს და თვით მეფე გიორგი მე-V-ის სიტყვებსაც ეწინააღმდეგება. მეფე „ძეგლის დადების“ წინასიტყვაობაში ბრძანებს: „ვსცანით ესე, რომელ ღთივ გვირგვინოსანთა და სანატრელთა ჩუენთა ჩამომავალთა¹ მეფეთგან ამათ (ე. ი. მთიულებს, ხელნაწერში შეცდომით სწერია „ამად“) არ გაასჩენოდათ ძეგლითა, განაჩენითა და დადებითა სისხლისა და სხვათა მრავალთა უწესოთა მიმძღავრებულთა საქმეთა, – რომელთამე (ხელნაწერში შეცდომით „რომელნიმე სწერია) საქმისა რომლისათვის ჰპრიანებოდათ აღრევით ყოფა ერთმანერთსა შიგან და რომელთამე სხვისა ჟამისა შემოსრულობისათვის უკვე (ხელნაწერში ამ სიტყვას შეცდომით მისდევს „ყოფა“) გაჩენა ვერ ჰსწრებოდეს-ღა სრულად მთიულთა საქმითა მოკლებასა და გაჩენასა“-ო. ამგვარად საქართველოში მეფე გიორგი ბრწყინვალემდე მხოლოდ მთიულებს არა ჰქონიათ სასამართლო წიგნი, დანარჩენ სამეფოში მაშასადამე გიორგის დროსაც მოქმედობდა განსვენებულ „ღთივს გვირგვინოსანთა და სანატრელ მეფეთგან ძეგლითა, განაჩენითა და დადებითა“ განჩენილი სასამართლო წიგნები. ხოლო რაკი მთიულეები გიორგის დრომდე უკანონებოდ ყოფილან, ამიტომ მეფეს ეს ნაკლი შეუვსია და მხოლოდ მათთვის შეუდგენია ძეგლი. დანარჩენი სამეფოსათვის გიორგი მე-V-ეს, რო-

1) ეს სიტყვა „ჩვენ“ გვარის ჩამომავალს ჰნიშნავს, იმიტომ რომ წინამავალი „სანატრელთა“ გვიჩვენებს, რომ მეფეს წინაპრებზე აქვს ლაპარაკი.

– 95 –

გორც ჩანს, წინანდელი და მომქმედი კანონები საკმარისად მიაჩნდა და რასაკვირველია არც ახალი სასამართლო წიგნის შედგენას დაიწყებდა.

გიორგი ბრწყინვალე ამტკიცებდა, ვითომც ქართველი მეფეები მთიულებს იმიტომ არ უდებდენ სასამართლო წიგნსა, რომ მათ „ეპრიანებოდათ მთიულთა აღრევით ყოფა ერთმანერთსა შიგან“ო, ესე იგი მათთვის სასარგებლო იყო, როცა მთიულებს ერთმანერთში დავიდარაბა ჰქონდათ ატეხილი და ერთმანერთსა სჭამდენ. საბუთები თვან არა ჩანს, რამდენად სამართლიანია ამგვარი ბრალდება. უფრო სწორე იქნება, ვგონებ, ვიფიქროთ, რომ საქართველოს მეფეები მთიულების შინაურ საქმეებში არ ერეოდენ და ადგილობრივი სამართლის საქმეს არ ეხებოდენ. ამასთანავე თამარ მეფის ისტორიკოსი „მთიულთა, ფხოელთა და დიდოთა“ შესახებ ცნობებს ეტყობა, რომ მაშინდელი განათლებული ქართველი საზოგადოება ჩამორჩენილ მთიულებს მედიდურად უყურებდა და დიდ ფასსა და ღირსებას არ სდებდა: „ფხოელნი ჯუარის მსახურნი არიან და ქრისტიანობასა იჩემებენო“ (იხ. ჩემი ქლი ერის ისტ. II). შემდეგ, როცა საქართველოს მონღოლები შემოესივნენ, თუნდაც რომ სდომნოდათ, მეფეებს „სხუისა ჟამისა შემოსრულობისათვის“ აღარ შეეძლოთ წადილი განეხორციელებინათ. გიორგი ბრწყინვალეს მთიულებში საქართველოს საერთო კანონები-კი რასაკვირველია იმიტომ არ შემოუღია, რომ იქაურ ცხოვრების პირობებს არ შეეფერებოდა.

მეფეთ-მეფე გიორგის, დიმიტრი მეფეთ-მეფის ძეს, მთიულთათვის რომ სამართლის წიგნი შეუდგენია, მთელი საქართველო მის ხელთ ყოფილა. „უცილებლად ქონებასა შინა სამეფოსა ჩუენისასა და უცილებლად პყრობასა ტახტისა და სკიპტრისასა“ შევუდეგი მთიულთა ცხოვრების მოწესრიგებასო. მას ჯერ თვით ხალხის მდგომარეობა ადგილობრივ შეუსწავლია და საამისოდო „წარვედით ტახტით ჩუენით, ქალაქით და შევედით სასახლესა ჩუენსა ჟინვანს და მუნით მივედით ჯადა-ცხაოტს“. აქ მეფეს გამოუკითხავს საქმის ვითარება და ქვეყნის გასაჭირი მოუსმენია: „მოვასხენით ყოველნი მუნებურნი ჳევისბერნი და ჳეროვანნი და გავიგონეთ მათნი საქმენი“. შემდეგ გიორგი ბრწყინვალეს თავის მოგზაურობა განუგრძია და ჯადა-ცხაოტითგან დამრული „მივედით დარიელამდის“-აო. აქაც სასამართლო საქმეების მდგომარეობის გამორკვევის შემდგომ, მეფეს ისევ სამხრეთისაკენ უბრუნია პირი. „დარიელით მობრუნებულთა ვილოცეთ ლომისის მთავარმოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმის ჳევი და

– 96 –

მოვიკვლიეთ მუნებურნი სასაქმე[ნი],„ აქაც რომ ყოველაფერი გამოუკითხავს, ჯერ მუხრანში დაბრუნებულა, ხოლო შემდეგ ტფილისში მოსულა.

ტფილისში მეფეს თან არავის ხეობის მოხელენი ჩაუყვანია:

„შემოვიტანეთ თემისა და თემისა ერისთავნი და ჴევისთავნი და ჴევისებრნი და ჴეროვანნი“. დედაქალაქში გიორგი მეფეს არაგვის ხეობის საქმეების მოსაწესრიგებლად სახელმწიფო დარბაზის საგანგებო სხდომა მოუხდენია: „დავსხედით, დავსვით წმიდა მეუფე და ქართლისა კათალიკოზი ეფთვიმი და დავსხით ვაზირნი და ეპისკოპოსნი და ოურავნი და გავიგონეთ“ მთიულთა გაჭირვება და ცხოვრების სიდუხჭირეო. სხდომაში მამასადაძამე მონაწილეობა მიუღიათ ყველა ვაზირებს და მოურავებს ანუ დარბაზის კარსა მყოფ ხელისუფალთ ერთის მხრით, სხვადასხვა თემის ერისთავთ, ჴევისთავებს, ჴევისებრებს და ჴეროვანთ, ანუ საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებს მეორეს მხრით და კათალიკოზ ეპისკოპოზებს ვითარცა დარბაზის მუდმივ წევრებს. ეს სახელმწიფო დარბაზის ჩვეულებრივი სხდომა - კი არა ყოფილა, არამედ საკანონმდებლო და სწორედ ამიტომაც არის, რომ დარბაზის ერთა გარდა ისეთი შედარებით დაბალი და ხელქვეშეთი მოხელეებიც ყოფილან მიწვეულნი, როგორც ჴევისთავნი, ჴევისებრნი და ჴეროვანნი იყვნენ. რაკი ძნელი საფიქრებელია, რომ მთელ საქართველოთგან ყველა ამგვარი მოხელეებისათვის თავი მოეყარათ, ამიტომ უეჭველია ჴევისთავ-ჴევისებერ-ჴეროვანნი მხოლოდ არაგვის ხეობითგან უნდა ყოფილიყვნენ, რასაკვირველია ვითარცა

მთიულთა ყოფა-ცხოვრების ზედმიწევნით მცოდნენი. დარბაზის სხდომები როგორც ჩანს, თვის მეფის თავჯდომარეობით სწარმოებდა.

მუშაობა, როგორც მოსალოდნელიც იყო, ჯერ არაგვისხეველ მოხელეთა მოხსენებით დაწყებულა მთიულთა მდგომარეობის შესახებ: „გავიგონეთ“ დარბაზის სხდომის დამსწრე პირთაგან, „რომელ დიდი უსამართლო[ბა?] და მძლავრებულება ქმნილიყო ერთმანერთსა ზედა“ არაგვის ხეობაში. იქ მეტადრე გავრცელებული ყოფილა: „ერთმანეთის ღალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა და უბრალოდ დადგება და მრავალ-ფერნი ულოსობა[ნი]“. ძალმომრეობა და თვითნებობა ისე გავრცელებული ყოფილა, რომ თვით ადგილობრივ მოხელეთა სიტყვითა და სახელმწიფო დარბაზის მოწმობით საქართველოს ამ მიყრუებულ კუთხეში „ყოვლადვე სამართალი აღარ იყო“.

საქმის ვითარების გამორკვევის შემდგომ საკანონმდებლო კრებას ამ ხეობის მცხოვრებთა ეგოდენ სამწუხარო მდგომარეობის მიზეზე-

ბის შესახებ საზოგადო მსჯელობა ჰქონია. ერთ-ერთ მიზეზად კრებას „განაჩენ-დაუდებლობა“ დაუსახელებია, რაკი საქართველოს წინანდელ მეფეთაგან ამ მთიულთ „არ გასჩენოდა ძეგლითა განაჩენითა დადებითა“ და არავითარი კანონით დაწესებული სასჯელი არ გახდებოდათ ხოლმე დამნაშავე და ბოროტმოქმედ პირებს. მეორე მიზეზად კრებას მიუჩნევია იმ სასჯელის სიმსუბუქე, რომელიც ხალხის ზნეჩვეულებით ყოფილა სხვადასხვა დანაშაულობისათვის დაწესებული: „სისხლისა მსუბუქობისათვის ადვილად ჩნდა ჩუენდა“ ყველა იმ ბოროტმოქმედების ჩადენა, რომელიც ამ კუთხეში გავრცელებული იყო. მამასადაძამე დარბაისელთა და მმართველი წრეების აზრით სასჯელის „მსუბუქობა“ შედარებით აადვილებდა ბოროტმოქმედ-

დების ჩადენას, რათგან სასჯელის შიში მათ ისე არ აყენებდა და არ იკავებდა, როგორც შეაკავებდა დამნაშავეთათვის რომ მკაცრი სასჯელი ყოფილიყო.

საქმის ვითარების შესწავლისა და მიზეზების გამორკვევის შემდგომ სახელმწიფო დარბაზის საგანგებო კრება მთიულთა ყოფაცხოვრების მოწესრიგებას შესდგომია. რაკი მთავარ მიზეზად „განაჩენ-დაუდებლობა“ იყო ცნობილი, ამიტომ სამართლის აღდგენას შეუდგენ და სწორედ ის, რაც წინათ არაგვის ხეობის მცხოვრებლებს აკლდათ, „აწ ყუელა გავაჩინეთ“, თუ ყოველს დამნაშავეს „რა რიგად ვის რა ეყოს“, სახელდობრ როგორი სასჯელი უნდა „გარდახდესო“-ო. ამგვარად შედგენილი იყო ეს საკანონმდებლო ძეგლი. ვითარცა საკანონმდებლო კრების მსჯელობისა და შემოქმედების ნაყოფი, „მ ე გ ლ ი ე ს ე გ ა ნ ა ჩ ე ნ ი“ იყო. ყოველგვარი დანაშაულობისა და ბოროტმოქმედებისათვის ჩვენ „ე ს ე გ ა ნ ა ჩ ე ნ ი დ ა ვ დ ე ვ ი თ“-ო. ხოლო როგორც საკანონმდებლო კრების დადგენილების შედეგი, იგი ამ სხდომების „განაჩენის“ მხოლოდ „ძეგლი“ იყო. მაგრამ რაკი კრების ეს „განაჩენი“ ძეგლი გიორგი ბრწყინვალემ და დარბაზმა სასამართლო წიგნად დაუმტკიცა და მთიულებს დაუდვა, ამიტომაც აქვს მეფე გიორგი ბრწყინვალეს ნათქვამი: დ ა ვ დ ე ვ ი თ მ ე გ ლ ი ე ს ე გ ა ნ ა ჩ ე ნ ი“-ო.

ძეგლის დადების შედგენის თარიღის შესახებ ს. კ ა კ ა ბ ა მ ე ფიქრობდა, რომ „როგორც ქ ს ნ ი ს ე რ ი ს თ ა ვ თ ა მ ე გ ლ ი დ ა ნ ს ჩ ა ნ ს, გიორგი ბრწყინვალის მიერ მთიულების დამორჩილებას – ძეგლის დადება-კი დაწერილია ამის შემდეგ – წინ უძღოდა გორის აღება. გორს გიორგი მეფე ბრძოდა სამ წელს (ქრონიკ. II, 8). ამასთანავე სახეში მისაღებია ის გარემოება, რომ მთიულებთაგან ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობს მეფის ძე დავით (იქვე, 9-10), რო-

მელიც მაშასადამე ამ დროს პატარა არ იქნებოდა. თვით გიორგი ბრწყინვალე დაიბადა 1286 წლ. ახლოს. ამისდა მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ძეგლის დადება არ უნდა იყოს 1325 წელზედ უფრო ადრე დაწერილი, ის უნდა იყოს დაახლოვებით 1325-1338 წლებში შედგენილი“-ო (იხ. მისი „ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ“. 1913 წ. ტფილისი, გვ. 3) მაგრამ ამ საკითხს ჯერ კიდევ გულდასმით შესწავლა სჭირდება.

გიორგი მეფის „განაჩენ-დადებულების“ ძეგლი შინაარსით მხოლოდ საერო, „მსოფლიოსა ამის“ კანონმდებლობას შეიცავდა, ამიტომ იქ განზრახ არ იყო არც ერთი „ს ა ს ჯ უ ლ ო ს ა კ ი თ ხ ა ვ ი“ შეტანილი. რაკი „სასფულო საქმე და საეკლესიო რისაც გინდა საქმისა: კაცის მკულელთა, ეკლესიის მკრეხუელთა, ცოლის დამგდებელთა უბრალოსათა, ანუ წამგურელთა სხუათაგან“ სასულიერო სასამართლოს ეხებოდა, ამ მოსაზრებით საკანონმდებლო კრება მათ არ შეჰხებია და მეფე ჰბრძანებდა, ამგვარი საქმეები, „კათალიკოზმან და... ეპისკოპოსთა მათ ჰკითხონ“-ო. გიორგი ბრწყინვალეს თავის საკანონმდებლო ძეგლის წინასიტყვაობას ბოლოში ხაზგასმულობით აღნიშნული აქვს: „ჩუენ მ ს ო ფ ლ ი ო ს ა მ ი ს ი ს ი ს ხ ლ ი, პ ა ტ ი ვ ი დ ა ს ა ს ა ქ მ ო გ ა გ უ ი ჩ ე ნ ი ა“. „სისხლი“ ძველ ქართულს იური-

დიულ მწერლობაში სისხლის სამართლის დანაშაულობისათვის დაწესებულ სასჯელს ეწოდებოდა. „პატივი“ მოხელეობას და თანამდებობას ერქვა. „სასაქმო“ რასღას ჰნიშნავდა? ეს ტერმინი ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ლექსიკონში შეტანილი არა აქვს და შედარებით იშვიათად გვხვდება, ამიტომ მისი მნიშვნელობის გამორკვევა ისე ადვილი არ არის.

საქმე და სასაქმო ერთიდაიგივე არ იყო, არამედ თვითოეულს განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონია. გიორგი მეფეს მაგ. ნათქვამი აქვს, რომ ჯადა-ცხაოტში ყოფნის დროს „გ ა ვ ი გ ო ნ ე თ მათნი ს ა ქ მ ე ნ ი და და ვ ს ხ ე დ ი თ მათსა ს ა ს ა ქ მ ო ს ა“-ო. ერთგან ისეთი ცნობაა, თითქოს „სასაქმო“ სასამართლო საქმის, შეთხვევის, კაზუსის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა იყოს. თავის კანონმდებლობითი ძეგლის შესავალში გიორგი ბრწყინვალე სხვათა შორის ამბობს: „ს ა ს ჯ უ ლ ო ს ა ქ მ ე და ს ა ე კ ლ ე ს ი ო რ ი ს ა ც გ ი ნ და ს ა - ს ა ქ მ ი ს ა: კაცის მკულელთა, ეკლესიის მკრეხუელთა, ცოლის დამგდებელთა ანუ წამგურელთა სხუათაგან, სხუა რაც სასჯულო საკითხავი იყოს“, საეკლესიო სასამართლოს ექვემდებარებაო. ამ გრძელ წინადადებაში, „სასჯულო და საეკლესიო საქმე“ საზოგადო ცნების საეკლესიო სამართლის სამოქმედო ასპარეზის აღმნიშვნელია, „სა-

- 99 -

საქმო“ - კი ამ სამართლის ისეთი კერძო შემადგენელ ცნებისა, ანუ როგორც ბოლოშია ნათქვამი, „საკითხავი“-ს, საკითხის, შემთხვეულობის აღმნიშვნელი ტერმინია, როგორც მაგ. მკვლელობა, მკრეხველობა, ცოლის წაგვრა და სხვა ამგვარი იყო.

გიორგი V ბრწყინვალეს „ძეგლისა დადება“-ში აღნიშნული აქვს მის მიერ გაჩენილი სამართლის წიგნის კანონების სამოქმედო ასპარეზიც: „ჯ უ ა რ თ ა ყ ე ლ ს ა ა ქ ე თ, ჯ ა და ა ც ხ ა ო ტ ს, ზ ა ნ დ უ - კ ი ს ჯ ე ვ ს, კ ი ბ ე თ ქ უ ე შ ე თ და მ ე ნ ე ს ო ს ზ ე მ ო თ ეს განაჩენი დავდევი“-ო.

ამ სამოქმედო ასპარეზის საზღვრების შემოფარგვლა ცოტა ძნელდება იმის გამო, რომ ზიგიერთი აქ მოხსენებული საგეოგრაფიო სახელები სხვაგან გვხვდება ძველ წყაროებში და არც ვ ა - ხ უ შ ტ ი ს გეოგრაფიისა და თანამედროვე ხუთვერსიან რუკას აქვთ მათ შესახებ ცნობები.

ამ ასპარეზის ჩრდილოეთის საზღვრად „ძეგლის დადება“-ში „ჯ უ ა რ თ ა ყ ე ლ ი“-ა დასახელებული: „ჯუართა ყელის აქეთ“-ო. მაგრამ ვ ა ხ უ შ ტ ს ჯუართა ყელი არ მოუხსენებია. არც ხუთვერსიან რუკაზეა აღნიშნული. „ძეგლის დადებას“ ეტყობა, რომ ჯუართა ყელი ჯადა-ცხაოტის ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო. ამიტომ საფიქრებელია, რომ „ჯუართა ყელი“ იმ ადგილს რქმეოდეს, რომელსაც რუსულ ხუთვერსიან რუკაზე აწერია „крестовый перевал“ და სადაც აღნიშნული ჯუარის მთა (г. крестовая об. 96, 62° - 42°30') ჯვრითა გადასავალი. რათგან ვიწრო გადასავალს ქართულად ყელიც ეწოდებოდა, ამიტომ რუსული საგეოგრაფიო სახელი ქართული, „ჯუართა ყელი“-ს თარგმანი უნდა იყოს. ვ ა ხ უ შ ტ ს ა ც ნათქვამი აქვს: „მთიულეთის ჩრდილოთ არს ჳევი. გარდავალს გზა ჳევის ჳადის დასავლეთიდან კავკასსა ზედა... ა მ ა ს უ წ ო დ ე ბ ე ნ ყ ე ლ ს ა“-ო (მ. ბროს.

224). ხოლო რაკი თვით ვახუშტს ჯადა რუკაზე ლომისისა და ბურდულის ჩრდილოეთით აქვს აღნიშნული, ამიტომ ეს „ყელი“ სწორედ იქ უნდა ყოფილიყო, სადაც ეხლანდელ რუკაზე ჯვარის მთა და ჯვარის გარდასავალია. საფიქრებელია, რომ აქვე უნდა ყოფილიყო „ჯუართა ყელი-ც. ამას ცოტა არ იყოს ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ამ საგეოგრაფო სახელი „ჯუართა ყელი“-ს მეორე ნაწილი, „ყელი“ ვახუშტის ზემომოყვანილს ცნობაშიაც არის შემონახული.

რუსულ 5 ვერსიან რუკაზე არც კიბურა და არც მენესო აღნიშნული არ არის. მაგრამ რაკი გიორგი ბრწყინვალე მისი სიტყვით ამ ხეობის მცხოვრებთა იურიდიული მდგომარეობის გამოსარკვევად დარი-ალანამდის მისულა, ამიტომ ცხადია, რომ მისგან მოწვეული სა-

კანონმდებლო კრების „მეგლის დადების“ მოწმეების ასპარეზის ჩრდილოეთის საზღვრად უნდა დარიალნი მივიჩნიოთ.

„მეგლის დადება“-ში შესავალში რომ აღწერილია მეფის წინასწარი სამზადისი და მუშაობა, ეს აღწერილობა უფრო მეტს საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ „მეგლის დადების“ სამოქმედო ასპარეზის საზღვრები. მეფე ბრძანებს: „შევედით სასახლესა ჩუენსა ჟინვანს და მუნით მივედით ჯადა-ცხაოტს... და გავიგონეთ მათნი საქმენი... და მივედით დარიელამდის... დარიალით მოზრუნებულთა ვილოცეთ ლომისის მთავარ მოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმის ჯევი და მოვიკვლიეთ¹ მუნებური სასაქმე“-ო და შემდეგ მუხრანში ჩამოსულა.

მაშასადამე სასამართლო საქმეების შესასწავლად მეფე დარიელამდის მისულა, ე. ი. ჯუართა ყელზე უფრო ჩრდილოეთით ყოფილა. იქ, სადაც კანონის სამოქმედო ასპარეზის სამზღვრებია აღნიშნული, აღარაფერია დარიალანზე ნათქვამი, მაგრამ უეჭველია დარიალნი ამ ასპარეზის ჩრდილოეთის სამზღვრად უნდა ყოფილიყო და მხოლოდ გადამწერთაგან უნდა იყოს ეს ცნობა გამოტოვებული.

სამხრეთით ამ ასპარეზს როგორც ეტყობა ზანდუკის ჯევი ჰსაზღვრავდა „კიბეთ ქუემეთ და მენესოს ზემოთ“. ზანდუკის ჯევის მდებარეობა ვახუშტს ასე აქვს აღნიშნული: „ოჯერ ჯიდის ჩრდილოთ არს ბოდორნას ქვაბნი გამოკვეთილნი... ჩრდილოთ მისა არანისთან ზანდუკის ჯევი“-ო (გგ რფა, მ. ბროს. 218). მაშასადამე „მეგლის დადების“ სამოქმედო ასპარეზის უკიდურეს სამხრეთის სამზღვრად დაახლოვებით შეიძლება არანისი ჩავთვალოთ, რათგან კიბეთა და მენესოს მდებარეობის გამოურკვევლობის გამო ამაზე ზედმიწევნით განსაზღვრა ჯერჯერობით შეუძლებელია.

ვახტანგ მეფის კოდიკოში შეტანილი მეგლის დადების ტექსტი მუხლებად არის დაყოფილი და სულ 46 მუხლს შეიცავს. მაგრამ ეს რომ გიორგი ბრწყინვალის დროინდელი ტექსტის დაყოფვა არ არის, ამას ე. თაყაიშვილის ხელნაწერიც უცილობლად ცხადჰყოფს: იქ 66-ად დაყოფა, ან აღნიშვნა არსად არის. მხოლოდ აქა-იქ პირველი, ან ორი პირველი სიტყვა სინგურით არის დაწერილი, რაც იმის მომასწავებელია, რომ დამწერს ეს ადგილები

ახალი აზრისა, თუ მუხლის დასაწყისად მიაჩნდა. ამ წ ი თ უ რ ა დ ნ ა -

¹⁾ ხელთ.-ში „მოვიკლევით“.

- 101 -

წერის მიხედვითაც გამოდის, რომ ძეგლის ტექსტი შესავალს გარდასულ 46 მუხლიანად იგულისხმებოდა.

მაგრამ ძეგლის დადების ტექსტის გულდასმითი შესწავლა ცხად-ჰყოფს, რომ საკანონმდებლო კრებას ეს ძეგლი რამოდენიმე მთავარ ნაწილად დაუყვია: თვითეული ნაწილი ერთ გარკვეულ საკითხს ეხებოდა და თვითოეულ ამ ნაწილთაგანს თავისი მოკლე, ახალი საკითხის დასაწყისის მაუწყებელი წინადადება მიუძღვოდა. ამ დასაწყის წინადადებათა უმრავლესობა შერჩენილია, ზოგ ნაწილს კი არ აქვს და საფიქრებელია, რომ დროთა განმავლობაში გადაწერის დროს უნდა იყოს გამოტოვებული. ახალი ნაწილის ამ დასაწყისის მაუწყებელ წინადადებათაგან ხელთნაწერებში შემდეგია შენახული.

§ 6(6)-ს წინუძღვის: „ჯ ე ვ ი ს ბ ე რ თ ა ა ს რ ე გ ა ვ ა ჩ ი ნ ე თ“, რომელიც, მე-7, 8,9 და 10 მუხლებისათვისაც საერთოდ უნდა მივიჩნოთ და ამ ნაირად საკანონმდებლო კრებას § 6-10 ერთ ცალკე ნაწილად ჰქონია ნაგულისხმევი.

მე-11 (ია) მუხლს უკვე თავისი შესავალი წინადადება უძღვის წინ „ჰ ე რ ო ვ ა ნ თ ა ა ს რ ე გ ა ვ ა ჩ ი ნ ე თ“, რომელიც § 12 (იბ) – ისათვისაც საერთოა, და ამნაირად მე-11 და 12 §§-ები ერთ ცალკე ნაწილად არის მიჩნეული.

მე-13 და 14 მუხლები ციხისთავებს ეხება და აქ მე-13 §-ის წინ მოსალოდნელი იყო წინადადება „ციხისთავთა ასრე გავაჩინეთ“, მაგრამ არ არის და უეჭველია გამოტოვებული უნდა იყოს.

მე-15 §-ითგან მოყოლებული ხელთნაწერებში მე-19 (ით) §-ამდე შესავალი წინადადება არსად არის, თუმც-კი მოსალოდნელი იყო და უეჭველია თავდაპირველ დედანში იქნებოდა.

მე-19 (ით) მუხლს წინუძღვის „ს ა ლ ა შ ქ რ ო ს ა ქ მ ე ა ს რ ე გ ა ვ ა ჩ ი ნ ე თ“-ო, რომელიც § 20 (კ)-აც ეხება, რათგან ისიც სალამქრო საქმის მოსაწესრიგებლად არის დაწერილი.

§ 21-26 (კა-კვ) ქმრისაგან ცოლის უბრალოდ დაგდებასა და ცოლის წაგვრას ეხება, მაგრამ მე-21 მუხლს შესავალი წინადადება არ მოეპოვება, უეჭველია თავდაპირველ ტექსტში § 21-ის წინ ასეთი, ან ამის მსგავსი შესავალი წინადადება უნდა ყოფილიყო: „ცოლის დაგდებისა და წაგურისა საქმე ასე გავაჩინეთ“-ო. აღსანიშნავია, რომ § 25 (კე) 21-ე მუხლის გამეორებას წარმოადგენს და უეჭველია შემდეგ უნდა იყოს გადამწერის დაუდევრობითა და შეცდომით მეორეჯერ გადმოწერით წარმომდგარი. ამიტომ ამ ნაწილს თავდაპირველად 5 §-ის მაგიერ მხოლოდ 4 მუხლი უნდა ჰქონოდა.

- 102 -

§ 27 (კზ) ციხის დაქცევას ეხება, ე. ი. სრულებით ახალი საკითხია, რომელსაც შინაარსით § 26 – ესთან საერთო არაფერი აქვს,

ამიტომ აქაც შესავალი წინადადება იყო მოსალოდნელი, მაგრამ არ არის. თავდაპირველად უეჭველია აქაც §-ის წინ ეწერებოდა: „ციხის დაქცევისა საქმე ასრე გავაჩინეთ“-ო.

§ 28 (კწ) ბეითალმანის საკითხს აწესრიგებს და ამ მუხლის შინაარსი ახალ საკითხს ეხება. ამიტომ მის წინაც შესავალი წინადადება უნდა ყოფილიყო, რომელიც დროთა განმავლობაში გადამწერტ უნდა გამორჩენოდატ, თავდაპირველ დედანში-კი ალბათ ასე ეწერებოდა: ბეითალმანის საქმე ასრე გავაჩინეთ“-ო.

29-ე (კთ) მუხლი ზედდამსხმელთა საქმეს ეხება იმგვარადვე, როგორც 30 §-იც. რაკი 29 მუხლითგან ახალი საკითხი იწყება, ამიტომ მას წინუძღვის: „დ ა მ ხ მ ე ლ ი ს ა ა ს რ ე გ ა ვ ა ჩ ი ნ ე თ“.

საფიქრებელია, რომ აქ მხოლოდ ერთი სიტყვა უნდა აკლდეს და თავდაპირველად ეწერებოდა: „დამსხმელისა [საქმე] ასრე გავაჩინეთ“-ო.

მე-30 (ლ) მუხლის მეორე ნაწილი, რომელიც უარზანგობას ეხება და ასე იწყება: „მამულისა ანუ სხუისა რისამე ესრე იყოს“, შინაარსით ახალი საკითხის დასაწყისი უნდა იყოს და § 31 (ლა)-თან ერთ საგანს, უარზანგობის გაჩენის წესს ეხება. ამიტომ საფიქრებელია, რომ თავდაპირველად § 30-ის მეორე ნახევარი ცალკე უნდა ყოფილიყო და დასაწყისის მაუწყებელი წინადადება ჰქონოდა წინ, რომელიც იქნება ასე ყოფილიყო გამოთქმული: უარზანგობისა საქმე ასრე არის და ამ წესით გაგუიჩენია.

§ 32 (ლბ)-ითგან მოყოლებული დაჭრილობაზეა საუბარი. სახელდობრ თვით § 32 გერშს ეხება და წინ უძღვის: „გ ე რ შ ი ს ს ა ქ მ ე ა ს რ ე ი ქ ნ ა ს“.

ხოლო §§ 33-40 (ლგ – მ) ადამიანის ასოთა დაკოდვას ეხება და, ვითარცა ახალი ნაწილის პირველ მუხლს, § 33-ს ასეთი წინადადება უძღვის წინ: „ა ს ო თ ა ს ა ქ მ ე ა ს რ ე გ ა ვ ა ჩ ი ნ ე თ“ო.

§ 41 (მა) ასაბია, მკვლელობა-დაჭრის მეშველს და § 43 (მგ)-ც მიდგომა-მიშველებას ეხება. ამ ორ მუხლს შუა მოქცეული 42 (მბ)-ე §-კი ლომისის კაცის მკვლელობას ეხება და უალაგო ალაგას ჩართულის შთაბეჭდილებას ახდენს, იქნებ თავდაპირველად აქ არც იყო. აღსანიშნავია, რომ § 41ს წინ, როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი საკითხის დასაწყისის მაუწყებელი წინადადება არ მიძღვის, მაგრამ პირველი წინადადების მეორე ნახევარში ასეთი სიტყვებია: „ვისიც ა ს ა ბ ი ა ყოფილა, მ ა თ ი ს ა ქ მ ე ა ს რ ე ი ქ ნ ა ს“-ო. მიუძღოდა თუ არა თავდაპირველ დედანში შესავალი სიტყვები „ასაბიათა საქმე ასრე იქმნას“, თუ საკანონმდებლო კრება ზემომოყვანილი, შუა-

ში ჩართული, სსიტყვებით დაკმაყოფილდა, ძნელი სათქმელია, რათგან ახალი საკითხის დაწყება ამითაც ცხად-ყოფილი იყო.

§§ 44 და 45 (მდ, მე) პარვას ეხება და, ვითარცა ახალი საკითხის პირველ მუხლს, § 44-საც შესავალი წინადადება აქვს: „ს ა მ ე კ ო ბ რ ო ს ს ა ქ მ ე ა ს რ ე გ ა ვ ა ჩ ი ნ ე თ“-ო.

დასასრულ ამ საკანონმდებლო ძეგლის უკანასკნელი, 46 (მვ) მუხლი ვალის საკითხის მოწესრიგებას ეხება და მასაც წინ უძღვის: „ვ ა ლ ი ს ს ა ქ მ ე ა ს რ ე გ ა ვ ა ჩ ი ნ ე თ“-ო.

როგორც ზემომოყვანილი ტექსტის განხილვისა და აღდგენისა-

განა ჩანს, ძეგლისდება შინაარსისდა მიხედვით არის გარკვეულ,

ცალ-ცალკე საკითხების შესახებ ნაწილებად დაყოფილი. საფიქრებელია რომ თავდაპირველად ეს კანონების ს უ ლ და ა ა ხ ლ ო ვ ე ბ ი თ 18 ნ ა წ ი ლ ა დ უ ნ და ყ ო ფ ი ლ ი ყ ო და ყ ო ფ ი ლ ი. ამათგან ნახევარს, 9 ნაწილს თავ-თავისი შესავალის მაუწყებელი წინადადება მე-XVII – XVIII ს. ს. ხელნაწერებშიაც შერჩენილი აქვს. უეჭველია თავდაპირველად ყველა ნაწილებს ამგვარივე თავ-თავისი შესავალი წინადადებები ექნებოდათ.

ამისდა მიხედვით მე-6ე მუხლამდე, რომლითგანაც შესავალი წინადადება დაცულია, მხოლოდ 2 ნაწილია საგულისხმებელი და § 1 ერისთავის მკვლელობას ეხება, § 2, 3, 4 და 5 გამგებლის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობას. პირველს შესავალად საფიქრებელია ექნებოდა „ერისთვისა ასრე გავაჩინეთ“, ხოლო მეორეს – „გამგებლისა ასრე გავაჩინეთ“-ო.

ზემომოყვანილთაგან, რომელსაც კიდევ ბევრი სხვა მაგალითებიც შეიძლება დაემატოს, ცხადი უნდა იყოს, რომ ძეგლის დადების პირვანდელი ტექსტი დამახინჯებულია დროთა განმავლობაში. ტექსტის შერყვნილობა უკვე მე-XVII ს. ხელნაწერსაც ემჩნევა და უკვე იმ დროს მომხდარა, როდესაც ეს ძეგლი ჯერ ვახტანგ VI კოდიკოში შეტანილი არ ყოფილა. ტექსტის მარტო შესავალი წინადადებები-კი არ არის გამოტოვებული, არამედ თვით კანონების შინაარსიც აქა-იქ დაზიანებულია.

საკანონმდებლო კრებას ძეგლისდადების შედეგის დროს, რასაკვირველია, ხევის ადგილობრივი პირობებისა და მცხოვრებთა კულტურული დონესთან შედარებით მაშინდელ საქართველოში არსებული კანონმდებლობით უნდა ეხელმძღვანელა. აქა-იქ ეს გარემოება თვით ძეგლშიაც არის აღნიშნული, მაგ. ლომისის გლეხის მკვლელობისათვის განსაზღვრულ დებულებასა და სისხლის რაოდენობაზე ნათქვამია: „თვით ძველითგან გაჩენილი არის“-ო (§ 42). ვა-

ლის საკითხის შესახებაც სწერია: „სარგებელი არც ქართველთს ჯულთა სძესთ წესად რომე აიღონ და არცა სხუათა სჯულთა უწერია“-ო (§ 46). ამ უკანასკნელი წინადადებითგანა ჩანს, რომ საკანონმდებლო კრების წევრთ ხელთ მარტო ქართული სამართლის შესახებ ცნობა-კი არ მოეპოვებოდათ, არამედ იმის გამორკვევაც შეეძლოთ, თუ ამა-თუ იმ საკითხზე უცხო ქვეყნის სამართლის წიგნებში რა ეწერა. ამიტომ საფიქრებელი ხდება, რომ მეზობელ ერთა სამართლის ძეგლები დედნად, თუ ნათარგმნი ამ დროსაც საქართველოში უნდა ჰქონოდათ და ქართული სამართლის წიგნების შედგენის დროს მათი ცნობებისთვისაც ანგარიში გაუწევიათ.

ძეგლის დადების ტესტი ს. ვაკაბაძემ ამ სათაურით „ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ“ გამოსცა 1913 წ. ტფილისში. სამწუხაროდ ამ გამოცემაში არსად ნათქვამი არ არის, თუ რომელი და რა დროის ხელნაწერთგან არის მიღებული დაბეჭდილი ტექსტი. ამის გამო ამ გამოცემას არავითარი სამეცნიერო ღირებულება არა

აქვს. ჯერ-ჯერობით სხვა გამოცემის უქონლობის გამო შეიძლება წასაკითხავად წინასწარ შინაარსის და ძეგლის საერთო გასაცნობად გამოყენებულ იქნეს. ეხლა რაკი ძეგლის დადება მე-XVII ს. ხელთ-ნაწერიშია აღმოჩნდა და ვ ა ხ ტ ა ნ გ VI წიგნში შეტანამდე მისი ტექსტის გათვალისწინება შეიძლება, ამ საყურადღებო ძეგლის კრიტიკულად აღდგენილი ტექსტის გამოცემა აუცილებლად საჭიროა და ამნაირ გამოცემას ვამზადებთ კიდეც. „ძეგლის დადება“ ინგლისურადც არის გადათარგმნილი ო ლ ი ვ ე რ უ ო რ დ რ ო პ-ის მიერ „Laws of king George Y, of Georgia, surnamed <<the Brilliant>>, translated by Oliver Wardrop (იხ. Journal of the Royal Asiatic Society 1914 წ., ივლისის №).

§ 3 ბექა აღბულას სამართლის წიგნი.

„ძეგლის დადების“ გარდა მე-XIV-ე საუკუნის დამდეგს კიდეც ერთი სხვა სხვა სასამართლო წიგნიც იყო დაწერილი. თუმცა იგიც მთელ საქართველოსთვის არა ყოფილა განკუთვნილი, არამედ „ძეგლის დადება“-ვით მარტო საქართველოს ერთი ნაწილისათვის, მაგრამ ამ ნაწილს ფართო საზღვრები ეჭირა და ეროვნულ ცხოვრებაშიც გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

„წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე“. ამ სათაურით არის შემკული ბ ე ქ ა ს და აღ ბ უ ლ ა ს სამართლის

– 105 –

წიგნი, რომელიც წინათ მხოლოდ ვ ა ხ ტ ა ნ გ VI სამართლის წიგნთა კოდიკოში იყო დაცული, მაგრამ თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ ხელთ-ნაწერი მიიღო 1672 წ. გადაწერილი ვინმე ა. ფეიქრიშვილისაგან, რომელშიაც ეს საკანონმდებლო ძეგლი ცალკეა მოთავსებული (ქრონიკები II 256). თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ გარდაცვალების შემდგომ მისმა შვილმა გ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ რომ თავისი განსვენებული მამის წიგნთსაცავი ტ. ს. უნივერსიტეტს შემოსწირა, ამ წიგნებში ეს ხელნაწერიც აღმოჩნდა, მაგრამ სამწუხაროდ უკვე დაზიანებული: ბოლო რვეულში რამდენიმე ფურცელი ამოხეულია, რომელთაგან ერთ-ერთზე სწორედ თარიღი უნდა ყოფილიყო. ამ ხელნაწერის პირველ გვერდზე ფანქრით თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ ხელით რუსულად აწერია: „Законы Агбу-ги переписанные 1662 году хуцური приобретено М. Д. Жорлания от Пейкришвили 1885 г.“, ხოლო ამის ცოტა ქვევით მქრთალი მეღნით წვრილად იმავე თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ ხელით ქართულად სწერია: „ველითა ფ’დ ც’ის იესესითა ქ’კს ტა“. როგორც ეტყობა ეს წინადადება ამ ხელნაწერის ანდერძის ამონაწერი უნდა იყოს. კიდეც კარგია, რომ ეს მაინც გადარჩა. რათგან 360 ქრონიკონი ქრისტესით 1672 წ. უდრის, ამიტომ რუსულად წარწერილ ცნობაში ამ ხელთ-ნაწერის გადაწერილობის აღნიშნული თარიღი 1662 წ. თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ უნებლიეთ შეცდომას უნდა წარმოადგენდეს. გასაოცარია, რომ თავის „ქრონიკების“ მეორე წიგნში თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა მ ნათქვამი აქვს: „წარწერათაგან სჩანს, რომ იგი გადაწერილია «ველითა ფ’დ ცოდ-ვილისა იესესითა ქ’კს ტნწ» (ე. ი. 1670 წ.) ძველის დედნისაგან“-აო (ქვ’ნი, II 256). ამ ჟამად ზემომოყვანილი „ტა“ 360 ქრონიკონის

შემცველი ცნობის გარდა ხელთნაწერს სხვა არავითარი „წარწერა“ არ მოეპოვება. ხოლო რათგან თ. ჟორდანიას მიერ ქუ'ბში დაბეჭდილი ამ ხელთნაწერის ანდერძის ამონაწერი სიტყვა-სიტყვით უდგება პირველ გვერდზე დაცულს ზემომოყვანილი ანდერძის ამონაწერს, ამიტომ საფიქრებელია, რომ იქნებ ქრონიკების II წიგნშიც შეცდომა იყოს შეპარული ისევე, როგორც რუსულ თარგმანშიც დაწერილობის თარიღად შეცდომით 1662 წ. აღუნიშნავს 1672 წ. მაგიერ.

ვახტანგ VI კოდიკოში ამ ძეგლს ეწოდება „სამართალი აღბუღასი“ და თანაც 176 მუხლად არის დაყოფილი. ბროსეს ცნობით პარიზის ხელთნაწერში „აღბუღას სამართალში“ 178 მუხლსაც-კი შეიცავს თურმე (Hist. de la G. I p. 684, n. 3): ვახტანგის კოდიკოს ზემომოყვანილი სათაურის თანახმად ქართულ სპეციალურ მწერლობაში განმტკიცდა აზრი, რომ ეს ძეგლი აღბუღას კანონებს შე-

- 106 -

იცავს. პლატონ იოსელიანმა თავის რუსულად გამოცემულ „ქართული ეკლესიის მოკლე ისტორია“-ში აღნიშნა, რომ აღბუღამ თავისი პაპის ათაბაგ ბექას კანონების მიხედვით შეადგინა. ამასთანავე ბექას ათაბაგობა მას 1361- 1391 წ. ჰქონდა განსაზღვრული, აღბუღას კანონები-კი 1446 წ. დაწერილად მიაჩნდა (იხ. Краткая история Грузинской церкви. Изд. второе, С. Петербург, 1843 წ. გვ. 116 შენ. 88.)

ნ. ურბნელმა თავის 1890 წ. ჯერ „ივერია“-ში და შემდეგ ცალკე წიგნადაც დაბეჭდილ მონოგრაფიაში „ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი“ აღნიშნა, რომ „სამცხე-საათაბაგოს რჯული, რომელიც ცნობილია «აღბუღას სამართლად», მარტო აღბუღას არ ეკუთვნის და შეცდომით უწოდებენ ასეთ სახელს. სამართალსაც ცხადად ეტყობა, რომ იგი სხვადასხვა დროს დაწერილია. მისი შინაარსი და ორი წინასიტყვაობა (მუხ. ა და ეზ) პირდაპირ ამტკიცებს ამ აზრს და აგრეთვე გვიჩვენებს, რომ იგი სამართალი ორ ნაწილად გაიყოფება. პირველი ნაწილი ბექას შეუდგენია და იმის შვილიშვილს საჭიროდ უცნია პაპის განაჩენი უცვლელად დაეტოვებინა – „სრულებით და უკლებლად დავწერეთო“. რაკი „იმის დროს ავკაცობა და ბოროტმოქმედება გამრავლებულა“ აღბუღამ თავისი შედგენილი სამართლის წიგნიც „დაურთო პაპის განაჩენს“-აო (გვ. 2-4). ნ. ურბნელს როგორც ეტყობა, პლ. იოსელიანის ზემომოყვანილი შენიშვნა გამოჰპარვია. მაგრამ მასაც ბექას სამართლის წიგნი მე-XIV ს. დამლევის ძეგლად, ხოლო აღბუღას სამართლის წიგნი მე-XV ს. პირველი ნახევრისად მიაჩნდა (იქვე, 1-2).

1897 წ. თ. ჟორდანიამ ქრონიკების II წიგნში მკითხველ საზოგადოებას ამცნო, რომ აღმოჩნდა 1670 წ. ხელთნაწერი, რომელშიაც სხვათა შორის შეიცავს ნაწარმოებს „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოველისავე“ ანუ აღბუღას კანონებს“. ამ ხელთნაწერში „ჩვენ ძვირფას განმად მიგვაჩნია აღბუღას კანონები“, რათგან წინათ იგი მხოლოდ ვახტანგ VI კრებულითგან იყო ცნობილი, ეხლა კი ხელთა გვაქვს ხელთნაწერი, რომელიც „დაწერილია დიდათ ადრე ვახტანგ მეფისა და როგორც სჩანს ძველის დედნიდამ.

გარდა ამისა ჩვენ ვარიანტში გამოთქმულია უფრო მოკლედ და აქა-
იქ საყურადღებო განსხვავებით“. დასასრულ „ჩვენი ვარიანტი შე-
სანიშნავია იმიტაც, რომ მას აქვს სათაური ანუ წინასიტყვაობა,
რომელიც აკლია ვახტანგისაში“-ო. რამდენ მუხლს შეიცავს ეს ძეგ-
ლი თ. ჟორდანიას აღნიშნული არა ჰქონდა (ქრონიკები, II, 256-
257). ზემომოყვანილითგანა ჩანს, რომ თ. ჟორდანიასაც კლ.

- 107 -

იოსელიანის და ნ. ურბნელის საყურადღებო დაკვირვება გა-
მოჰპარვია და ის ძველებურად ამ ძეგლს აღბუღას კანონებადა სთვლიდა.

1907 წ. ბექასი და აღბუღას სამართლის წიგნის
შესწავლამ დამარწმუნა, რომ იმ 176, თუ 178 მუხლად დაყო-
ფილ ძეგლში მარტო ბექასი და აღბუღას საკანონმდებლო შემოქმე-
დება-ვი არ არის დაცული, არამედ სხვა-დროინდელიც, რომ ბექა
აღბუღას კანონები § 99-ზე უნდა სწყდებოდეს, რათგან
შემდეგი მუხლი ბაგრატ კურაპალატისა და მეფეთა-მეფის ბრძანე-
ბით შედგენილი კანონების შესავალს წარმოადგენს (იხ. ჩემი წე-
რილი „ქართ. სამართლის ისტორია“, თავი I ქართ. სამართ. წყა-
როები, „ალმანახ“-ში „ერი“ № 1, გვ. 14-15 და „ალმანახ.“ გვ.

13). ფეიქრიშვილის ეულმა ხელნაწერმა ამ დაკვი-
რვების სისწორე დაამტკიცა: იქ მართლაც ბექა-
აღბუღას სამართლის წიგნი § 99-ითგან მოყოლებული
არ არის და ამ ძეგლის უკანასკნელ მუხლად § 98
არის. რათგან ამის შემდგომ მთელი გვერდნახევარია (გვ. 39-40)
თავისუფალი და 41 გვერდითგან უკვე სრულებით სხვა ძეგლი, მო-
სეს სჯულითგან ამოღებული კანონები იწყება, ამიტომ ცხადია,
რომ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი თავდაპირველად მართლაც
§ 98-ით თავდებოდა და დანარჩენი შემდეგში შემთხვევითა და შეც-
დომით არის ამ ძეგლთან დაკავშირებული.

1912 წ. დაბეჭდილ თავის პატარა წერილში „სჯულმდებელთა
ქებას და აღბუღას ვინაობა“. ს. კაკაბაძემ აღძრა საკითხი ბექას
და აღბუღას ვინაობისა და დროის შესახებ, რომელიც მანამდე ვა-
ხუშტის გენეალოგიურ-ქრონოლოგიური სქემის მიხედვით იყო გა-
დაწყვეტილი. ამ ნაშრომში უარყოფილია წინანდელი აზრი ამ პირთა
ვინაობის შესახებაც და მათი მოღვაწეობის ქრონოლოგიური საზ-
ღვრებიც. ამასთან დაკავშირებით შეცვლილია ამ საკანონმდებლო
ძეგლების დაწერილობის დათარიღებაც. ს. კაკაბაძის სიტყვით
„აღსანიშნავია, რომ ათაბაგი აღბუღა თავისს პაპას ბექას უწოდებს
მანდატურთ-უხუცესს და არა ათაბაგს. საქართველოს ისტორიამ იცის
ერთი მანდატურთ-უხუცესი ბექა, ცნობილი სამცხის მთავარი, რომე-
ლიც ცხოვრობდა მე-XIII საუკ. დასასრულს და მე-XIV საუკ. დასა-
წყისს (ვახუშტით 1285-1306 წ.). მისი სიკვდილის შემდეგ სამცხის
მთავარნი – როგორც ყველა საბუთებითგან ჩანს – აღარ ატარებდენ
მანდატურთ-უხუცესის ღირსებას, არამედ ათაბაგისას. მარტო ეს
მოსაზრება კმარა იმის დასარღვევად, რომ სჯულმდებელი ბექა არ

- 108 -

უნდა იყოს ბექა II“-ო (გვ. 4). ხოლო წინათ კანონმდებელი ბექა მეორეს იმიტომ იყო მიჩნეული, რომ ვ ა ხ უ შ ტ ი ს ცნობების მიხედვით ბექა მანდატურთ-უხუცესს შვილიშვილი აღბუღა არ ჰყავდა. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ამ ძეგლის უძველეს ხელთნაწერში დაცული აღბუღას შესავლის ცნობის მიხედვით აღბუღას ჰყოლია „ბიძაძე შაშია“, რაკი ჯვარის მონასტრის სუმთა მატთანში, ანუ ალაპებში შეტანილია „სარგისის შვილისა შაშიასა არტანუჯელისა“ ხსენება, და სარგისი მართლაც ბექა მანდატურთ-უხუცესის შვილი იყო, რომლის გარდა ბექას კიდევ ორი ძე, – ყვარყვარე და შალვა, – ჰყავდა, ამიტომ აღბუღა უნდა ან ყვარყვარეს, ან და შალვას შვილი ყოფილიყო.

ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე ფიქრობს, რომ „ათაბაგი აღბუღა სჯულმდებელი უნდა ყოფილიყო შვილი შალვასი, ბექას მესამე ძისა“ (გვ. 5-6). ამას გარდა ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ იმ გარემოებასაც მიაქცია ყურადღება, რომ ბექას სამართლის წიგნში სასჯელი ყაზანაური თეთრით, ე. ი. ყაზან ყაენის (+ 1304 წ.) ფულით ყოფილა დაწესებული, მაშასადამე ბექას „მისი თანამედროვის მიერ მოჭრილი ფული გაუშენია“. ხოლო რათგან აღბუღას დროს ეს ფული უკვე აღარა ყოფილა, მას თავის მხრით გიორგი ბრწყინვალის დროის „თეთრი“ გაუჩენია საზღაურად. ამ მოსაზრებათა გამო სამართლის წიგნის შემდგენელი ბექა მანდატურთ-უხუცეს ბექა I უნდა იყოს ცნობილი, ხოლო აღბუღა ძე-XIV ს. მეორე ნახევრის ათაბაგად, რომელიც 1386 წ. ცოცხალი ყოფილაო (იქვე, 6-7). თუმცა მეXIII-XIV სს. მესხეთის თავადასავლის აღსადგენად ძალიან მცირე მასალები მოგვეპოვება და საბუთები ხომ რომელსაც ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე იხსენიებს თითქმის არცკია გადარჩენილი ისე, რომ ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს ზემომოყვანილი კატეგორიული განცხადებათა უთუობა ისეთი ცხადი არ არის, როგორც შეიძლება მკითხველს ეჩვენოს, მაგრამ მთავარი მისი დასკვნა მაინც სწორეა. ამას რასაკვირველია უმთავრესად ამ საკანონმდებლო ძეგლებში მიღებული ფულის ერთეულის სახელი სწყვეტს. რაკი ბექას თავის სამართლის წიგნში საზღაური ყაზნურით დაუწესებია, ცხადია, რომ ძეგლი იმ დროს უნდა იყოს შედგენილი, როდესაც საქართველოში ეს ფული ტრიალებდა, ე.ი. ყაზან ყაენის დროს ანუ 1295-1304 წ.წ., ან ამის ახლო ხანებში. ხოლო რაკი მის შვილის-შვილს აღბუღას ყაზანაურობის გაქრობის გამო გიორგი ბრწყინვალის თეთრი შემოუღია საზღაურად, ეს იმის დამამტკიცებელია, რომ აღბუღა მართლაც ამ ძეგლის ახლო მომდევნო თაობის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. ამგვარად, ბ ე ქ ა ს ს ა მ ა რ თ ლ ი ს წ ი გ ნ ი

უ ნ დ ა ძე-XIII ს. დ ა მ ლ ე ვ ი ს, ან XIV ს. დ ა მ დ ე გ ი ს ძ ე გ - ლ ა დ ვ ი ც ნ ა თ, ა ღ ბ უ ღ ა ს წ ი გ ნ ი-კ ი ძე-XIV საუკ. მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ რ ი ს ა დ. მასაშადამე, ამ ორი ძეგლის შედგენილობის დრო ერთი საუკუნით უნდა იქმნეს გადაწერილი.

რათგან ბექას სამართლის წიგნი გიორგი ბრწყინვალის ხანას წინ უსწრებს, ამიტომ იგი ძ ე გ ლ ი ს დ ა დ ე ბ ა ზ ე ა დ რ ი ნ - დ ე ლ ი ს ა კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ა დ გ ა მ ო დ ი ს. მაინც უნდა აღინიშნოს, რომ რაკი ჩვენამდის ბექას სამართლის წიგნს და-

მოუკიდებელი არ მოუღწევია და აღბუღას სამართლის წიგნში წინ-წამდვანებულს მას თავის საკუთარი შესავალი არ უჩანს, უმესავალოდ-კი ეს ძეგლი რასაკვირველია არ იქნებოდა, ამიტომ აღბუღას განცხადება, ვითომც ბექას სამართლის წიგნი „უკლებად“ დაწერილი იყოს, მთლად სწორე არ გამოდის. შესაძლებელია იქ სხვა რაიმე ცვლილებებიც იყოს შეტანილი მეტადრე საზღაურის ოდენობის განმსაზღვრელ მუხლებში, რათგან ბექას ყაზანურით ჰქონდა გადაჭრილი და აღბუღას-კი გიორგაულით შეუცვლია. ამგვარად უფრო სწორე იქნებოდა გვეთქვა, რომ ბექას სამართლის წიგნი შენახულია აღბუღა ათაბაგის დროის საკანონმდებლო კრების რედაქციით.

საკუთრივ ბექას სამართლის წიგნი 66 მუხლით თავდება § 67 უკვე აღბუღას კანონების შესავალს წარმოადგენს.

1672 წ. ხელთნაწერის ტექსის მიხედვით აღბუღას სამართლის წიგნი § 98-ით თავდება და იქ § 99-ც არ არის, რომელიც თავის პირვანდელ ალაგას არც უნდა იყოს და ვახტანგის კოდიკოში აქ შემთხვევით ჩართული ჩანს. საერთოდ უნდა ითქვას, რომ როგორც თ. ჟორდანიასაც აღნიშნული ჰქონდა, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ტექსტი 1672 წ. ხელთნაწერში ვახტანგის კოდიკოში შეტანილისაგან ბევრგან საგრძნობლად განსხვავდება. მაგრამ სამწუხაროდ არც ამ უძველეს ხელთნაწერებშია ამ კანონების ტექსტი ყველგან კარგად დაცული. ზოგად პირიქით საუკეთესო წანაკითხი სწორედ ვახტანგის კოდიკოსა აქვს შენახული.

აღსანიშნავია, რომ როგორც 1672 წ. ხელთნაწერთაგანა ჩანს, ბექა-აღბუღას კანონების ტექსტიც მუხლებად დაყოფილი არ ყოფილა და იქ არავითარ §-ის სათვალავები არც არის. სამართლის წიგნში ნახმარი წითური და მთავარი ასოე-

ბის მიხედვით შეეძლო ადამიანს ეფიქრა თუ სად იწყება ახალი აზრი, მაგრამ ამისდა მიხედვით §-ად დანაწილება მაინც არ შეიძლება. ცხადია მხოლოდ, რომ ამ ორი ძეგლის კანონმდებლებსაც თავიანთი ნაშრომი რამდენიმე მთავარ ნაწილად ჰქონიათ გაყოფილი შინაარსის და მიხედვით ისე, რომ თვითეული ნაწილი ცალკე საკითხს ეხება. თავდაპირველად უეჭველია ყოველ ასეთ ნაწილს თავისი სათაური, ან დასაწყისის მათუწყებელი წითურად დაწერილი წინადადება ჰქონდა, რომელთაგან ზოგი ეხლაც არის შენახული. მაგ. კანონების პირველი შესავლის შემდგომ სინგურით სწერია: „უწინსისხლისა საქმე გავაჩინეთ“. დაჭრილობის შესახებ §-ებს წინ უძღვის „პლ გერშისა ასრე იქმნას“, შემდეგ გვხვდება კიდევ: „შუამისრულსა ასრე იქმნას“, – „თუ... სასაფლაოსა ზედა დაესხას და საფლავსა ჰელი მიყოს, მისი ასრე იქმნას“, – „ნაპარევისა გაჩენა და ასრე იქმნების“, – „გულადაროს ცხენისა ასრე იქმნას“,

„გლეხთა ასრე იქმნას“, – „თუ ვაჭში ეჭამოს, ასრე იქმნას“-ო. ზოგ მუხლთა ჯგუფს ეხლა თავისი ამნაირი შესავალი წინადადება, როგორც ეტყობა, დაკარგული აქვს, მაგ. უეჭველია წინათ უნდა ყოფილიყო „ხე და დასხმისა (ან დასხმისა, ან დასხმულობისა) ასრე იქმნას“-ო, რათგან სხვა მუხლში ნათქვამია: „დასხმისა წესი დაუურვოს“, „დასხმულობისა წესითა“ დაუურვოსო. საფიქრებელია უნდა ყოფილი „დაწინდულობის წესის“ §§-ის წინამორბედი წინადადებაც.

აქეთგან ცხადი ხდება, რომ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ტექსტიც დროთა განმავლობაში საგრძნობლად დამახინჯებულა და აღდგენასჭირდება, რაც ადვილი საქმე არ არის, რათგან მე-XIII-XIV სს. გადარჩენილი ძეგლების მეტისმეტი სიმცირის გამო ამდროის ძეგლები სენაჯერ შესწავლილი არ არის.

ბექა-აღბუღას კანონები პროფ. დ. ჩუბინიშვილმა დაბეჭდა თავის 1863 წელს გამოცემულ „ქართულ ქრესტომატია“-ში (I, გვ. 207-233), მაგრამ არ ჩანს, რომელი ხელნაწერის მიხედვით, და სრულებით უკრიტიკოდ.

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის აღდგენილი ტექსტის გამოცემას უძველესი და ვახტანგის კოდიკოს მიხედვით ვამზადებ.

ბექას სამართლის წიგნის წინასიტყვაობის დაკარგვის გამო ამ ძეგლის შედგენის გარემოება და მოქმედების ასპარეზი გამო-

ურკვეველი გვრჩება. აღბუღას-კი თავისი სამართლის წიგნი საკანონმდებლო კრებაზე შეუდგენია. ათაბაგ-ამირსპასალარი აღბუღას ამ კრებაზე მოუწვევია მაწყურელი, თავისი „ბიძა-ძე“ შაშია და მისი ძმა საფარის მოძღვარი პაფნოტი, „ხუთისავე თემისა სამცხისა“, ტაოელთა კლარჯთა, შავშთა“ და ეუჭველია ჯავახთა და მესხთა¹ „ეპისკოპოზონი, მეუდაბნოენი“, უეჭველია წარჩინებულნიც და უფროსი მოხელენიც². საკანონმდებლო კრება „ჭოლ-(ევ)თა“-ს შეყრილა და ქვეყნის მართლმსაჯულების იმ დროინდელი მდგომარეობის შესახებ მსჯელობის შემდგომ მას საჭიროდ უცვნია ბექას კანონებისათვის დაემატებინა ახალად გაჩენილ, თუ გახშირებულ დანაშაულობათა დასასჯელად განკუთვნილი მუხლები. ამნაირად ბექას 65 მუხლისაგან შემდგარ კანონებს კიდევ 32 მუხლი დაერთო, § 67-ე, ვითარცა შესავალი, ვახტანგის ეულ კოდიკოში შეცდომით არის კანონის მუხლად მიჩნეული.

ამ საკანონმდებლო ძეგლის მოქმედების ასპარეზის საზღვრები უეჭველია კრების მონაწილეთა შემადგენლობის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს და როგორც იქტაოს, კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და სამცხის წარმომადგენელთ მიუღიათ მონაწილეობა, ისევე ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი მესხეთის ამ ხუთივე თემისათვის სავალდებულო საკანონმდებლო ძეგლად უნდა იქმნეს მიჩნეული. აქეთგან ცხადი ხდება, რომ მისი მოქმედების ასპარეზი ძეგლის დადებისთან შედარებით საგრძნობლად სჭარბობს, რათგან საქართველოს

ტერიტორიის თითქმის ერთ მესამედს შეადგენდა. თუ ამათანავე მესხეთის ცხოვრებისა და განვითარების მაღალ კულტურულ დონესა და პოლიტიკურად დიდ ღირებულებასაც გავითვალისწინებთ, მაშინ ბ ე ქ ა - ა ლ ბ უ ღ ა ს სამართლის წიგნის დიდი მნიშვნელობა სრულებით ცხადი შეიქმნება. ამ ძეგლში მთიულთათვის შედგენილ ძეგლის დადებისთან შედარებით გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო რ თ უ ლ ი ს ო ც ი ა - ლ უ რ ი და ე კ ო ნ ო მ ი უ რ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ა გ ვ ე ხ ა ტ ე ბ ა და რათ- გან ამ დროს მესხეთისა და საქართველოს დანარჩენ ცენტრალურ ადგილებს შორის კულტურისა და სოციალური მდგომარეობის მხრივ რაიმე თვალსაჩინო განსხვავება არ უნდა ყოფილიყო, ამიტომ ამ ძეგ-

1) ეს ორი სახელი 1672 წ. ხელთნაწერებიც გამოტოვებულია.

2) ეს ცნობა წინასიტყვაობაში გამოტოვებული ჩანს.

ლის ანალიზით მოპოებული სურათი ნაწილობრივ შეიძლება დანარჩენ (მთა-ადგილებს გარდა) საქართველოსათვისაც დამახასიათებლად მივიჩნიოთ.

§ 4. ვახტან VI-ის კოდიკოში ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის ბოლოში შეცდომით დართული კანონების შესახებ.

ამ დანართი კანონების § § 99-103-ის შესახებ და მათი ბაგრატ კურაპალატის დროინდელობაზე უკვე გვქონდა საუბარი. ეხლა დანარჩენ მუხლებსაც უნდა შევეხოთ. როგორც ჩანს ვახტანგის კოდიკოს ერთი ხელთნაწერის ზემომოყვანილი ცნობათაგანა ჩანს, ამ დანართ კანონთაგან უცნობ შემნიშვნელს § 141-ი ბაგრატ კურაპალატისად მიაჩნდა ალბათ ყველა სხვა მუხლებთან ერთად. ამგვარი აზრი თავისდა-თავად იბადება, რათგან § 99 შესავალს წარმოადგენს და ამის გამო დანარჩენი გაგრძელებად შეიძლება ადამიანს ეჩვენოს.

მაგრამ დანარჩენ კანონებს სამწუხაროდ ისეთი ცხადი ნიშანი არ ეტყობა, რომ საკითხის გადაჭრა პირდაპირ შეეძლოს მკვლევარს. აღსანიშნავია, რომ 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 167 bis, 168 და 169 მუხლებს ერთი საზოგადო თვისება აქვთ, რომელიც სხვა, არც ბექას, და არც ალბუღას დადებულ კანონებს არ მოეპოვებათ: თვითივე მუხლში სასჯელს უეჭველად კრულვაც ზედ მისდევს: „კრულ და წყეულ შეჩვენებულ იყავნ“ (§ 161, 164, 167), ან „კრულ და წყეულ შეჩვენებულ იყავნ დაუსაბანოსა ღუთისა პირითა“ (§ 161, 163), „კრულ და წყეულ შეჩვენებულ იყავნ და ცუდმცა არის ამაო მოსახსენებელი სოცოცხლე და სილვდილი მისი“ (§ 162), „კრულ და წყეულ და შეჩვენებულ [იყავნ] პირითა ღუთისათა და კანონსაცა ქვეშე იქმნების წმიდათა მოციქულთასა“ (§ 165). მე-167 bis მუხლი უმატებს მხოლოდ „და წმიდათა კრებათასა“-ო, „კრულ და წყეულ და შეჩვენებულ იყავნ კაცი იგი ცათა შინა და ქვეყანასა ზედა... და კანონსა ქვეშე იყოს“ (§ 168) და დასასრულ § 169-ში „კრულ და წყეულ და შეჩვენებულ იყავნ და ცუდმცა არის მოსახსენებელი სული და ხორცი მისი ამას სოფელსა და მას საუკუნოსა დაუსაბამოსა ღუთისა მაღლითა და კანონსა ქვეშე არს წმიდათა მოციქულთასა“-ო.

ერთი სიტყვით ყველა ამ კანონებს განსაკუთრებული ბეჭედი აზის და ბექასა და აღბულას კანონებს არ მიაგვანან. დამნაშავეს წყევლა-კრულვა და მოციქულთა და წმიდათა კრებათა კანონების ქვეშ დაყენება

განსაკუთრებულ საეკლესიო ელფერს აძლევს მათ, თითქოს სამღვდელ-ლოების კრების დადგენილება იყოს და არა საერთო სამართლის მე-გლი. ამ თავისი თვისებებით ეს წგნები კათალიკოზთა სამართლის წიგნის კანონებს ძალიან მიაგვანან, რომლიც მართლაც მე-XVI ს. საეკლესიო კრების მეგლის წერას წარმოადგენს (იხ. აქვე). აღსანიშნავია აგრეთვე, რომ წგნ 161-169 მუხლების შინაარსი ბექა-აღბულას და გიორგი ბრწყინვალის კანონებისას ან არ უდგება, ან თუ მსგავსებაა, წყევლა-კრულვა მაინც უქვევლად აქვს მიმატებული. § 161-ში მაგალითად ნათქვამია: „რ ო მ ე ლ მ ა ნ ც, ვინცგინდა დ ი დ მ ა ნ ან უ მ ც ი რ ე მ ან კ ა ც მ ან ღ ა ლ ა ტ ი თ მ მ ა მ ო ჰ კ ლ ა ს, ან უ ღ ა ლ ა ტ ი თ, ს ხ ვ ა კ ა ც ი, კ რ უ ლ და წ ყ ე უ ლ, შ ე ჩ ვ ე ნ ე ბ უ ლ ი ყ ა ვ ნ და უსაბამოსა ღუთისა პირითა და ვითარ(ისა)ცა გვარისა იყოს კაცი იგი ო რ-კ ე ც ი ს ი ს ხ ლ ი და უ უ რ ვ ო ს და ვ ი ნ ც ა უ შ-ვე ლ ო ს და შ ე ი წ ყ ნ ა რ ო ს კ რ უ ლ და წ ყ ე უ ლ შ ე ჩ ვ ე ნ ე ბ უ ლ ი ყ ა ვ ნ“-ო. ხოლო § 117-ში სწერია: „თუ კ ა ც ი კ ა ც მ ან ღ ა ლ ა ტ ი თ მ ო ჰ კ ლ ა ს თ ო რ მ ე ტ ი ა თ ა ს ი ს ი ს ხ ლ ი ს ა ე მ ა ტ ო ს“-ო. ამგვარად გამოდის, რომ ერთისადა-იმავე დანაშაულობისათვის ორი სხვადასხვანაირი სასჯელი ყოფილა დაწესებული: 1) ორკეცი სისხლის დაურვება „გვარსა ზედა“ და შეჩვენება არამცთუ მკვლელს, არამედ ყველას ვინც-კი მას ხელს გაუმართავს (§ 161) და 2) ერთი სისხლისა და ზედმეტად მხოლოდ 12000 თეთრი ღალატისათვის (§ 117), – არც კრულვა-შეჩვენება მკვლელს, არც რასაკვირველია მის გულშემატკივარს, – ერთი სიტყვით გაცილებიკთ უფრო ნაკლები სასჯელია დაწესებული. ცხადია, რომ შეუძლებელია ეს ორი (161 და 117) მუხლი ერთსა და იმავე კანონმდებელს ეკუთვნოდეს.

ამ ორი მუხლის გარდა მესამე, ბექას § 22-ე კანონიც გვაქვს, რომელიც მკვლელობასვე ეხება. იგი ბრძანებს: „ თუ მ მ ა მ ან მ მ ა მ ო ჰ კ ლ ა ს, ერთსახლი და გაუყოფელი იყოს და თუ გაყოფილი იყოს, სწორი და გინდა ახლოს მეყვისი ო რ კ ე ც ი ს ი ს ხ ლ ი და უ უ რ ვ ო ს რ აც გ ვ ა რ ი ს ა ი ყ ო ს, – ა მ ა დ რ ო მ ე სა ღ უ თ ო დ ბ რ ა ლ ი ა და საკანონო არის ასკეცი და აგრევე ამა სოფელს ძლივლა ინახვის კაცთაგან, აი-ლოს ვინცა გავლენიანი იყოს, ქედთა გარეთ ყოფა და გარდახვეწა პატრონისა და ლაშქართაგან, გადახდევასა არავისგან მოხსენება უნდა: ეპისკოპოზმა მისი წესი იცის, რაც მართებს მან უყოს“-ო. თუმცა ამ მუხლის შინაარსი 161 მუხლისაზე უფრო ახლოა, მაგრამ მაინც მათ არსებითი განსახვავება ეტყობა: იქ ორკეც სისხლს რომ გადახდევინებდნენ მკვლელს, მას შემდეგ შეაჩვენებდნენ და ვითარცა შეჩვენებულს ვერავინ მიეკარებოდა, არავის არ უნდა ეშველნა მის-

თვის, თუნდ რომ გაჭირვებული ყოფილიყო, იმიტომ რომ, ვინც-კი მას მიიღებდა, ისიც წყულშეჩვენებული გახდებოდა. ერთი სიტ-

ყვით, თუ თავის ქვეყანაში დარჩებოდა მკვლელი, შიმშილით ამოერთმეოდა სული, თუ არა და სამუდამოდ უნდა გადაკარგულიყო და იქნებ ამით როგორმე სიკვდლს გადარჩებოდა. მე-22-ე მუხლში-კი ორკეცი სისხლის დაურვებისა და მამულის ჩამორთმევისა და გადახვეწის მისჯის შემდგომ, ეპისკოპოზი „რაცა მართებდა“ მას დაუნიშნავდა: საეკლესიო სასჯელს ცოდვის მოსანანიებლად. ამ შემთხვევაში მკვლელს მაინც სიცოცხლის იმედი უნდა ჰქონოდა, მხოლოდ საზოგადოებას ჰმორდებოდა. ერთი სიტყვით ჩვენამდის სამ სხვადასხვა დროინდელ კანონს მოუღწევია. გ ი ო რ გ ი ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ი ს „ძეგლის დადება“-ში ძმის მკვლელობისათვის 10 წ ლ ი თ გ ა მ ე ვ ე ბ ა ა მ ა მ უ ლ ი თ გ ა ნ და ს ი ს ხ ლ ი ს და უ რ ვ ე ბ ა „გ ვ ა რ ს ა ზ ე და“ (§ 17). აქ ორკეცი სისხლის დაურვება არ არის დაწესებული, ხოლო კათალიკოზთა სამართლის წიგნში მამისა და ძმის მკვლელობისათვის: ხ ე ლ ი ს მ ო კ ვ ე თ ა და მ ა მ უ ლ თ ა გ ა ნ გ ა მ ე ვ ე ბ ა ა სასჯელად დაწესებული (§ 5).

შემდეგ, 165-ე მუხლიცა და 135-ეც ცოლის ძალით მოტაცებას შეეხება და ერთსა და იმავე სასჯელსაც აწესებს ამ დანაშაულობისათვის: „ს რ უ ლ ი ს ი ს ხ ლ ი ს“ დაურვება¹. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მე-165-ე მუხლში ამას გარდა სწერია: „კრულ და წყეულ და შეჩვენებულ [არის] პირითა ღუთისათა და კანონსამცა ქვეშე იქმნების წმიდათა მოციქულთასა“ო. რა ფიქრად მოსასვლელია, რომ 135-ე და 165-ე მუხლები ერთი და იმავე კანონმდებლის შედგენილი უნდა იყოს: მას რომ წყევაკრულვის ასეთი იმედი ჰქონოდა, 135-ე მუხლსავე ზედვე მიაყოლებდა და ამის გულისათვის ცხადია ახალ მუხლს არ დასწერდა.

167-ე მუხლი უფრო საინტერესოა. აქ ნათქვამია: „რ ო მ ე ლ - მ ა ნ ც კ ა ც მ ა ნ რ ა გ ა ნ და რ ა მ ო ი პ ა რ ო ს და გამოჩნდეს – ო რ ნ ი ვ ე თ ვ ა ლ ნ ი და ე წ ვ ნ ე ნ და ა ნ უ ხ ე ლ ფ ე ხ ი და ე ქ რ ა ს, თ უ ს ა პ ა ტ ი ჟ ო ს ა ა დ გ ი ლ ს ა ა რ ა მ ო ე პ ა რ ო ს“. შემდეგ 152 მუხლი უნდა ჩაემატოს, რომელიც ამავე საგანს ეხება: „ესეც იცოდეთ, უ მ ე ფ ო ს ა და უდიდებულესის კაცისაგან თ ვ ა ლ თ ა და წ ვ ა ს ა რ ა - ვ ი ნ ა ღ ი რ ს ა, ი ს ი ც ა ს ე რ ო მ ე ა ნ დ ი დ ი ს ა ლ ა რ ო, ა ნ ე კ - ლ ე ს ი ა, ა ნ ჯ ო გ ი, ა ნ ლ ა ლ ა ტ ი ქ ნ ა ს“. შემდეგი ისევ 167-ე მუ-

¹) არის აგრეთვე § 46 და 47, რომლებიც ბ ე ქ ა ს ეკუთვნის, იქ ცოლის წაგვარისათვის „ს ი ს ხ ლ ი ო რ ი წ ი ლ ი“-ა დაწესებული, გ ი ო რ გ ი ბ რ წ ყ ი ნ ვ ა ლ ი ს „ძეგლის დადება“-ში ამავე დანაშაულობისათვის 1/2 ს ი ს ხ ლ ი ა „გვარსა-ზედა“ დაწესებული (§ 23).

ხლი უნდა განვაგრძოთ: „ვინ იყიდდეს (ნაპარავსა), ვითარცა დააფასონ, ეგრე მიყიდონ და ნაპარევი დაუკლებლივ მისსა პატრონსა მისცეს, და კ რ უ ლ, წ ყ ე უ ლ და შე ჩ ვ ე ნ ე ბ უ ლ ი ყ ა ვ ნ“-ო. ამავე საკითხის შესახებ 62-ე მუხლში-კი, რომელიც ა ღ ბ უ ლ ა ს ეკუთვნის, სწერია: „ნ ა პ ა რ ე ვ ი ს ა პ ი რ ვ ე ლ ა ს რ ე გ ა ჩ ე ნ ი ლ ა და ა ს რ ე ი ქ ნ ა ს ა წ - ც ა, რომე, თუ ცხენი და რ ა გ ი ნ და რ ა კ ა - ც მ ა ნ მ ო ი პ ა რ ო ს, თ უ ხ ე ლ თ ა ვ ე ა ქ ვ დ ე ს თ ა ვ ი ს ნ ა პ ა რ ე - ვ ი, ი გ ი მ ი ს ც ე ს და ე რ თ ი ე ზ ო მ ი ს ხ ვ ა, და, თუ არა აქვდეს, აფიცოს საქონლის პატრონმან, როგორცა დაიფიცოს იგი მისცეს და ე რ თ ი ზ ო მ ი ს ხ ვ ა“-ო.

62-ე მუხლი ბექას სამართლის წიგნს ეკუთვნის და ათაბაგის მოწმობით ნაპარევის ორკეცად გადახდევინებ პირველ ას გაჩენილათ. 167-ე მუხლში-კი იმავე დანაშაულობისათვის რომ „კაცმან რაგინდარა მოიპაროს“, „ორი-ვე თვალნი დაეწვნენ“ სასჯელადაო, თუ საპატიჟო ადგილს მოეპაროს, ხოლო, თუ „საპატიჟოსა ადგილსა არ მოეპაროს“, მაშინ სასჯელად მხოლოდ ხელფეხი დაეჭრას“-ო. 152 მუხლში ახსნილია, თუ რა ითვლებოდა საპატიჟოდ: „ან დიდი სალარო, ან ეკლესია, ან ჯოგი, ან ლალატი“. (აღსანიშნავია, რომ გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდადება“-ში პარვისათვის ნაპარავის 3 კეცი ღირებულების გადახდევინება დაწესებული §§ 44 და 45), რასაკვირველია 167 მუხლი გაცოლებით უფრო მკაცრია, ვიდრე ბექას კანონი, ამასთანავე არც ამ მრისხანე სასჯელს კმარობს და ზედმეტად წყევლავრულვას უწესებს მპარავსა.

167-ე მუხლი 62-ე მუხლზე უფრო ძველის შთაბეჭდილებას ახდენს. თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებებითგან ჩანს, რომ თვალთა დაწვა და ხელფეხის მოჭრა განსაკუთრებით თამარ მეფის წინადა სცოდნიათ და საქართველოს დიდებულ გვირგვინოსანს ამგვარი მკაცრი სასჯელები ამოუკვეთნია (იხ. ქლ^ე ერის ისტ. II და აქვე კარი მეოთხე). ამისათანა მდგომარეობას გვიხატავს ბექას 62-ე მუხლი, სადაც ნათქვამია „პირველასე გაჩენილა“-ო, ცხადია იმის წინათ, თორემ ეხლა ჩვენ კარგად ვიცით, რომ თამარ მეფემდე სხვა-ნაირი სასჯელი ყოფილა. 152-ე მუხლში აღნიშნულია, რომ თვალთა დაწვა მხოლოდ საპატიჟო ადგილას მოპარვისათვის შეიძლებოდა მიესაჯათ, მაგრამ სასჯელის აღსრულება „უმეფოსა და უდიდებულესის კაცისაგან არავინა ღირსა“-ო და თამარ მეფის ისტორიკოსიც ამტკიცებს, რომ ასეთი სასჯელებისათვის მეფის თანხმობა იყო საჭირო (იქვე). სწორედ ამ თავის უფლებით უსარგებლია სა-

ხელოვან თამარს და სასჯელს არ ამტკიცებდა თურმე (იქვე). წინათ როგორც ჩანს, მპარავებს მეფეები ასე ღმობიერად არ უცქერდენ. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ მე-XVI ს. კათალიკოზთა სამართლის წიგნს სიკვდილად დასჯა და ხელის მოკვეთით დასჯა დასავლეთ საქართველოში კვლავ აღუდგენია (იხ. §§ 2, 3, 5, 17 და 23).

ზემონათქვამითგან ცხადი ხდება, რომ ვახტანგ VI-ის კოდიკოში ბექას-აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოში დართული კანონები თავისი შინაარსით არც ერთ აქამდე ცნობილს ქართულ საკანონმდებლო ძეგლს არ უდგება, წყევლა-კრულვითა და ნაწილობრივ სასჯელთა სიმკაცრით მხოლოდ კათალიკოზთა სამართლის წიგნს უახლოვდება, მაგრამ ამგვარი თვისებები შეიძლება თამარ მეფეზე უწინარესი ხანის ძეგლებსაც ჰქონოდათ. რათგან ამ კანონების §§-ს დათარიღებისათვის გამოსაყენებელი არავითარი მკაფიო ნიშნები არ ემჩნევათ, ენაც შეიძლება განახლებული იყოს, ამიტომ მათი დათარიღებისათვის ჯერ კიდევ საკმაო კვლევა-ძიებაა საჭირო. ამ კანონების შინაარსი და განსხვავებული თვისებები ამ ძეგლს საყურადღებოდა ჰხდის და მათი სადაურობის

გამორკვევა და დათარიღება ჩვენი მეცნიერების მორიგ საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული.

§ 5. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი და კოდიკო.

აღბუღას სამართლის წიგნის შემდეგ მე-XVI-ე და მე-XVII-ე საუკუნეებში საქართველოში, როგორც ეტყობა, ახალი სასამართლო წიგნი არ შეუდგენიათ, ან ამ ხნის ნაღვაწი მცირედი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ მე-XVIII-ე საუკუნის პირველ ნახევარში ცხოველდება კანონმდებლობა. სწორედ გასაოცარი ხანა იყო ეს ხანა! ასეთი დაუღალავი, მედგარი მუშაობა, რომელსაც ერთი საზოგადო მიმართულება ჰქონდა და ფართო და ღრმა ნიადაგი ეპყრა, უფლებას გვაძლევს ქართული მწერლობის ან ხანას ენციკლოპედიური ხანა დავარქვათ სახელად. თითქმის ყველა ამდროინდელი მოღვაწეების აზრი და გონება იმ ფიქრისაკენ იყო მიმართული, რომ ქართველი ხალხის შემოქმედებითი ნიჭის მრავალი საუკუნეების ნამუშავარი და ნაჭირნახულები შეეკრიბათ, შეესწავლათ და ჩამომავლობისათვის დამთავრებული, ყველმხრივი წარმოდგენა და ცნობა გადაეცათ.

ამ დიადი საქმის მოტავედ და სული ჩამდგმელად გ ი ო რ -

- 117 -

გ ი მე-XI-ე და მეტადრე დიდებული დაუვიწყარი ვ ა ხ ტ ა ნ გ მე-VI-ე იყო. მან შეკრიბა ჩვენი ქვეყნის წარსულისა და მატიაწეების დახელოვნებული მცოდნე პირები, მათი დახმარებით საისტორიო მასალებს ერთად თავი მოუყარა, ძველი შეავსო და შეასწორა. მანვე შეაგროვა ქართული სამართლის ძველი ნაშთები და ძეგლები და სამართლის წიგნების კოდიკო შეადგინა. როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე), მანვე გამგეობისა და მოხელეების შესახები მასალები შეაგროვა და ერთი ქართული სახელმწიფო სამართლის წიგნი „დასტურლამალი“ შეადგინა. ამაზე ცოტა წინათ ს ა ბ ა ს უ ლ ხ ა ნ ო რ - ბ ე ლ ი ა ნ ი ოცდა ათი წლის განმავლობაში ქართული ლექსიკონისათვის მასალებს აგროვებდა და ჩვენი დედაენის საუნჯეს ადგენდა. იმის დროს ქართული ენის ლექსიკონი „არღარა იპოვებდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო, რომელსა მ ე ხ უ თ ე ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ფ ე მ ა ნ ქართულად „სიტყვის კონა“ უწოდა. ვინაძთ გან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენაჲ ქართული თვისთა ნებათა ზედა გაერყვნათ“ და მ ე ფ ე გ ი ო რ გ ი მ უბრძანა ს ა ბ ა ს ახალი ლექსიკონი შეედგინა, „რათა ისწავლონ ენაჲ ქართული შესრულებული და განვრცებული“-ო (იხ. ს ა ბ ა ს უ ლ ხ ა ნ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ქართული ლექსიკონი, გვ. III-IV). ვახტანგ მე-VI-ის შვილი ბატონიშვილი ვ ა ხ უ შ ტ ი ამავე ხანაში თავის საქართველოს ისტორიასა და შესანიშნავ საგეოგრაფიო აღწერილობას ადგენს. ხოლო ა ნ ტ ო ნ ი კ ა თ ა ლ ი კ ო ს ი ქართულ გრამატიკასა სწერს და ქართველ მოღვაწეების შესახებ ცნობებს აგროვებს. მრავალ-მხრივი იყო და საყურადღებო ეს ხანა და ცხოვრების განახლების მომასწავებელი, გარეშე პოლიტიკურ გარემოებას, მტრების შემოსევასა და ქვეყნის აოხრებას რომ ეს ღრმა მოძრაობა არ დაებრკოლებინა!..

მე-XVI-XVII-ე საუკ. საქართველო ისეთ პოლიტიკურ მდგომარეობაში იყო, რომ სასამართლოს სწორე მოქმედება არ შეეძლო, მართლმსაჯულება შელახული ყოფილა: „ცვალებადია დღეთა და ვითარებითა ჟამთათა თვით სიბრძნით და თავით თვისით სჯიდნენ და განაგბდნენ“-ო, ამბობს მეფე ვახტანგი, „ვიეთნიმე მოყუსობით, ურიდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამთათა, ვითარცა ენებათ ეგრედ ჰსჯიდნენ“-ო (იხ. ჩუბინაშვილის ქრესტომატია, პირველ გამოც. გვ 394). დაცემული მართლმსაჯულების აღდგენისათვის ვახტანგი მე-VI-ემ თავდაპირველად შეკრიბა ქართული ძველი სასამართლოს წიგნები „ქათალიკოზისა და მეფის გიორგისა და ბექას განჩინებული სამართლები“, ზედ დაურთვა „დაბადებისა მოსეს მიერ

ქმნილი სამართალნი და კულად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გადმოათარგმნინა“ (იქვე 395). ამ შრომის შემდეგ მან დიდებული სამღვდელობისა და მოხელეების თანდასწრებით და „დარბაზის ერთა, ჭკუათა მყოფელთა და მოხუცებულთა კაცთა“ თანამშრომლობით ახალი სამართლის წიგნი შეადგინა.

ამაზე ვახტანგის კოდიკოში ნათქვამია: „პირველივე დასაწყისმან წიგნისა ამისამანვე გამცნოსთ და მუნცე მოგითხრასთ, თუ ვითარ მიზეზ ვექმენით აღწერად თითოეულად სამართალთა ფრიადითა შრომითა და მრვალის გამომეძიებლობითა თვით გულსმოდგინეთ, რომელსა ზედა მოწმობა დართეს ერთა ჩვენთა სრულობით საღრმთოთა და გინასამხედროთა, ბრძენმან და მონახულმან ყოველმან ვეერთბამათ და ესე ესრეთ არს შემზადებული: ხოლო სხვანიც ზემორე სხენებულნი წიგნებისასამართლონი დიდთა სამეფოთანი მოვიძიეთ და მოვიღვეით და მრავლის სასჯელითა ვიდრე წელთა მეორედ დეგად მოვთარგმნეთ და იგინიცა უკლებლად აღგვიწერიეს“ – (ვახტანგის სასამ. წიგნის § 204 მინაწერი).

კანონმდებელ მეფეს განმარტებული აქვს, თუ რა მიზანი ჰქონდა, როდესაც ძველი ქართული და უცხოური სამართლის წიგნების ერთად თავმოყრის შემდგომაც მან მაინც ახალი ქართული სამართლის წიგნის შედგენა აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია. ამის მიზეზად უცხოური სამართლის ნორმების საქართველოსათვის გამოუდგეარობას ასახელებს, რათგან საქართველოს ყოფაცხოვრებას ეს კანონები არ შეეფერებოდაო: „ვინათგან ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მიჰგავს სხვათა ქვეყნისარიგთა და ქცეულებათა, სხვა არს დიდებული და თავადი, სხვა არს სისხლი და სიკუდილი, სხვა არს ღალატი და უკადრისი. ამათ ესე ვითარსასამართალნი სხვათა განაჩენთა შინა მოკლედ იპოების და მათი წიგნი უფროს ჩვენდა უხმარ არს, – ნუ სიქადულად შემირაცხავთ და ვგონებთ უმჯობესად ყოველთასა წიგნსა ამას სასარგებლოდ ქვეყანისა ამისად“ (ვახტანგის სას. წიგნ. § 204 მინაწერი).

მოსეს სჯულის წინ, შესავალში, რომელიც თუმცა თვით ვახტანგს არ ეკუთვნის, როგორც სამართლიანად შენიშნა დ. ბაქრაძემ (Сбор. зак. груз. ц. Вахтанга. გვ. 146, შენ.), მაგრამ რომელ-

შიაც მისი სურვილი და წადილი, რამაც აიძულა ახალი კანონები შეედგინა, მაინც კარგად არის ახსნილი, ნათქვამია: ვახტანგი ხედავდა, რომ მოსესი, ბერძნული და სომხური კანონები ყოველთვის ვერ

– 119 –

გამოდგებოდა, ამიტომ რომ სხვა ქვეყნისათვის იყო შედგენილი და საქართველოში სულ სხვა პირობები არსებობდა, რომელთაც ადგილობრივ შედგენილი სასამართლოს წიგნი უკეთესად მოუხდებოდა და მიუდგებოდაო (იქვე, 164). მაგრამ ახალი კანონების დადგენის შემდეგაც ვახტანგი კარგადაა გრძნობდა, რომ მისი ნამუშევარი სრული არ იყო: „მე ეს წიგნი ასრე არ დამიწერია, არც ვიჩემებ, რომე არა აკლდეს რა“–ო, გულწრფელად აცხადებს კანონმდებელი, „ბევრი ასეთი საჩივრები არის და მოვა, რომ ზოგი ვერ მოვიგონეთ და არც მისვდების კაცის გონება“–ო (ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს ქრისტ. გვ. 395). მოსამართლესი განაჩენის დადგენის დროს ჯერ წინანდელი და ახალი გამოცემული კანონები უნდა გაესინჯა და თუ იქ შესაფერისს ვერას იპოვიდა, მაშინ იგი თითონ „მიხუდეს რასმე და მოიგონოს“ განაჩენი და თუ ამ „მოგონებულს“ სამართლის წიგნში ჩაურთავს და დასწერსო, „კარგსა და მართებულს იქს“–ო, დასძენს ვახტანგ მეფე.

ვახტანგ VI-ე თხოულობდა, რომ ასეთი ახალი დანართი სამართლის წიგნის ძირითად ტექსტში არ გაერიათ და არ შეეცვალათ: „რომელმან ბრძენმან და გულისხმისმყოფელმან მოსამართლემან... ი ნ ე ბ ო თ შ ე ც ვ ლ ა ს ა მ ა რ თ ა ლ თ ა ს ხ ვ ე ბ რ ა თ მ ე , ა მ ა ს ნ უ ჰ ყ ო ფ თ , ნ უ ც ა გ ა რ ყ უ ნ ი თ წ ე რ ი ლ თ ჩ ვ ე ნ თ ა , რომელი აღვეწეროს, არამედ რომელმან უმჯობესი სიბრძნით თვისით ჰპოოს, იგი ჩართვით თვსვე თქმულად, სადა ენებოს, მუნ დაიწეროს და იგიც ეგოს“–ო (ვახტ. სასამ. წიგნის § 204 მინაწერი).

როგორც ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ფეიქრიშვილისეულ ხელთნაწერის განხილვის დრო (იხ. აქვე § 3) არნიშნული გვქონდა, ქართულ საკანონმდებლო ძეგლებთან ერთად უცხო ქვეყნის ამგვარივე ძეგლების, მაგ. ებრაელთა სამართლის წიგნების, ერთ ხელთნაწერში ერთნაირი კრებულის მსგავსად მოთავსება ვახტანგ VI-ზე უწინარესაც სცოდნიათ. ამას გარდა გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდებ“-ის განხილვის დორსაც (იხ. § 2) დავრწმუნდით, რომ სხვა ერთა კანონმდებლობის ძეგლები ქართულ იური-სტებს მე-XIV ს-ის პირველნახივარშიაც ხელთ ჰქონიათ. მაგრამ ამ ძეგლების ქართული თარგმანის არსებობა ვახტანგ VI-ეს, როგორც ეტყობა, არ სცოდნია. ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ ვახტანგ მეფეს ბერძნული და სომხური სამართლის წიგნები ხელახლად გადმოუქართულებია. ამნაირი ძეგლების ძველი ქარ-

– 120 –

თული თარგმანი უქვევლია წინათაც იქნებოდა, მხოლოდ მე-XVIII ს. ალბათ ან დაკარგული იყო, ან სრულებით მივიწყებული.

ბერძნულითგან ნათარგმნი კანონების შესახებ თავიანთი აზრი

აკად. ბ რ ო ს ს ე თ გ ა ნ მოყოლებული ბევრს მეცნიერსა აქვს გამოთქმული, მაგრამ უკანასკნელად ეს საკითხი საფუძვლიანად განხილული აქვს პროფ. ვ. ს ო კ ო ლ ს კ ი-ს თავის მონოგრაფიაში „Греко-римское право в уложении грузинскаго царя Вахтанга VI (იხ. Жур. Мин. Нар. Прос. 1897 წ. ეკენის-თვის №, გვ. 56-93). მისი აზრით ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს კოდიკოში შეტანილი „ბერძნული სამართლის წიგნი“ ვ ლ ა ს ტ ა რ ი ს სინტაგმის შემოკლებას წარმოადგენს არმენოპოლოგთან და სხვა წყაროებთან შევსებულს. ამ სახითვე უნდა ჰქონოდა ამ ძეგლის ბერძნული დედანი ქართულად გამომთარგმნელს, რასაც ამ კანონთა შინაარსის ბერძნული ანბანის რიგზე დალაგებულობა ამტკიცებს. გამოჩენილი გერმანელი მეცნიერის პროფ. ც ა ხ ა რ ი ე ფ ო ნ-ლი ნ გ ე ნ-ტ ჰ ა ლ ი ს მიერ შემოღებული კლასიფიკაციის მიხედვით ამ ქართულად ნათარგმნს ბერძნულ საკანონმდებლო კრებულს უნდა ეწოდოს „Epitome Syntagmatis Matthaiei Blastaris ad Hexabibulum Harmenopuli mutati“ (იხ. ს ო კ ო ლ ს კ ი ს ზემოდასახელებული მონოგრაფიის გვ. 584 შემდეგი). „ბერძნული სამართლის წიგნი“-ს ქართული ტექსტი ჯერ გამოცემული და ფილოლოგიურად შესწავლილი არ არის.

სამაგიეროდ ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს კოდიკოში შეტანილი „სომხური სამართალი“ უკვე გამოცემულია დოც. ლეონ მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი ს მიერ (იხ. „სამართალი სომხური, ქართული ვერსია, შესრულებული ვახტანგ მე-VI-ის ბრძანებით, გამოსცა ლეონ მელიქსეთ ბეგმა. Monumenta Georgica. IV Legas № 2 ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. ტფილისი 1927 წ.)

„სომხური სამართალი“ ორი ნაწილისაგან შესდგება, რომლის პირველი, 150 მუხლისაგან შემდგარი ნაწილი, რომელიც უკვე პროფ. ვ. ს ო კ ო ლ ს კ ი მ თავის ზემოთხსენებულ მონოგრაფიაში აღნიშნა (გვ. 59), მე-V ს. დამლევს ბასილისკე კეისრის მეფობაში შედგენილი და აღმოსავლეთში მიღებული რომაული კანონების სომხურ რედაქციას წარმოადგენს. ამ ძეგლის სამი, ბერძნული, ასურული და სომხური, ტექსტია ცნობილი. სამივე გამოცემულია პროფესორების ბ რ უ ნ ი ს ა და ზ ა ხ ა უ ს მიერ: Dr. K. G. B r u n s und Dr. Ed. S a c h a u. „Syrisch – Römisches Rechtsbuch aus dem fünften lahrhundert“, Ester Theil. Die orintlischen Texte, Zweiter Theil Die Uebersetzungen (Leipzig 1880).

– 121 –

„სომხური სამართლის წიგნი“ 1703-1711 წ. უნდა იყოს გადმომთარგმნილი. ლ ე ო ნ მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ს, რომელსაც ამავე ძეგლის შესახებ სპეციალური მონოგრაფიაცა აქვს დასაბეჭდად დამზადებული, გამორკვეული აქვს, რომ ამ კანონების პირველი 150 მუხლი ასურულ-რომაული მე-V ს. სამართლის წიგნის ნერსეს ლამბრონისეული მე-XII ს. დამლევის სომხური ვერსიის თარგმანს წარმოადგენს, – მეორე, 152-431 მუხლების შემცველი, ნაწილი-კი მ ხ ი თ ა რ გ ო შ ი ს მიერ მე-XII ს. დამლევს შედგენილი „სომხური სამართლის წიგნი“-ს თარგმანია (იხ. ლ. მელიქსეთ-ბეგის გამოცემის გვ. VIII-IX).

ლ. მელიქსეთ-ბეგს გამორკვეული აქვს, რომ „ქართული ტექსტი შესაფერისი სომხური დედნების მხოლოდ თავისუფალ) და არა

ზედმიწევნით სწორ) თარგმანს წარმოადგენს“, ზოგან შემოკლებულს, ზოგან დანართებით დამახინჯებულსაც. ამიტომ ბევრგან ქართული თარგმანი სომხურ დედანს არ უდგება (იქვე XII). ამას გარდა თარგმანის ენა ცხად-ჰყოფს, რომ მთარგმნელს ქართული იურიდიული ტერმინოლოგია არ სცოდნია და დაკისრებული საქმისათვის სათანადო შესაფერისი პირი არ ყოფილა, როგორც ლ. მ ე ლ ი ქ - ს ე თ - ბ ე გ ის დაკვირვებითგანა ჩანს, „სომხური სამართლის წიგნი“-ს შინაარსს კოდიკოს დანარჩენ შემადგენელ ნაწილებზე და თვით ვახტანგ VI სამართლის წიგნზე გავლენა არ მოუხდენია (იქვე XIII).

საკუთრივ ვ ა ხ ტ ა ნ გ VI-ის კანონები საკმაოდ დიდი სამართლის წიგნია. ტექსტი იქ დარგების მიხედვით კარებად არის დაყოფილი, მაგ.: შესავალს მისდევს „კარი თეთრის გარიგებისა“, შემდეგ „კარი გაყრისა და ერთმანეთის დაშორებისა თუ ვითარ უნდა“, „კარი პირველი ვალისა თუ როგორ აიღების“, „ამანათისათვის“, „კარი ქურდობისა და სამართალი მისი“, „კარი ნასყიდობისა“, „გაცვლილობისა“ „თუ ვითარ ხანს დაწერა განაჩენისა“. მაგრამ ზოგადი სათაურები დაკარგული, ან დამახინჯებული ჩანს.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის ბევრი ხელთნაწერებია შემონახული, მაგრამ კარგი და ძველი მათ შორის სამწუხაროდ ცოტაა. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ის აღწერილობის თანახმად სულ სამიოდე ხელთნაწერი უნდა იყოს მე-XVIII ს. პირველი მეოთხედის, ან ნახევრის. მათგან უძველესად მიჩნეულია წ. კ. გ. ს., აწ ტ. ს. უ. სიმველეთა მუზეუმის ხელთნაწერი № 3683, რომელიც ე. თაყაიშვილის აზრით თვით ვახტანგის დროინდელი უნდა იყოს, მას ხელთ ჰქონია და ზოგიერთი ადგილები, როგორც მაგ. § 207-ს ბოლო და §§ 262, 263 და 270, თითქოს თვით ვახტანგ მეფის ხელით იყოს ნაწერი (იხ. Опис. II, 614-615). დოც. ლ. მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი ც ამტკიცებს,

- 122 -

რომ ეს ხელთნაწერი „თვით ვახტანგის სიცოცხლეშია გადაწერილი (რაც, სხვათა შორის, ნათლად ჩანს ამ ძვირფასი მანუსკრიპტის გადამწერის სიტყვებიდან: „დღევრძელ ჰყავ ღთო პატრონო ვახტანგ“ [იხ. ჩვენი გამოცემით გვ. 42 გ.] და „ქრისტე, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა საქართველოს გამგებელი ბატონიშვილის ბატონი ვახტანგ. ამინ“ [ibid., გვ. 179] (იხ.სომხური სამართალი გვ. X-XI).

მოუცლელობის გამო იმ ადგილების შედარება, რომელნიც თვით ვახტანგ VI-ის ხელით დაწერილად არის მიჩნეული, ვერ მოვასწარი, მაგრამ თვით ხელთნაწერის გადაკითხვამ დამარწმუნა, რომ პატივცემული მკვლევარნი შემცდარი უნდა იყვნენ: იქ ტექსტში ხარვეზებია, უეჭველია დედნის, საიდგანაც ეს ხელთნაწერი გადმოწერილი უნდა იყოს, დაზიანებულობის გამო. ასეთ მდგომარეობაში ვახტანგის კანონები ვახტანგის დროს არ იქნებოდა რასაკვირველია. ამას გარდა თვით კანონების ტექსტი არა ერთგან ისეა დამახინჯებული, რომ ასე მაშინ არ შეიძლება ყოფილიყო. ამიტომ ეს ხელთნაწერი ვახტანგის მერმინდელი უნდა იყოს იმ დროისა, როდესაც აღმ. საქართველოში თურქთა და სპარსთა, ბატონობის წყალობით ზოგი ხელთნაწერი სრულებით დაიღუპა, ზოგი ძალზე დაზიანებული გადარჩა და მე-XVIII ს. მეორე ნახევ-

რითგან განახლებული იქმნა. ამ და სხვა თითქმის ყველა ხელთნაწერების ვახტანგის კანონის ტექსტის ხარვეზიანობა სწორედ ამ გადარჩენილი დედნის დაზიანებულობის შედეგია და მომასწავებელი. ასეთ პირობებში ვახტანგ VI-ის ამ ხელთნაწერში დღგრძელობით მოხსენიება თავდაპირველი დედნითგან მერმინდელ გადაშწერთაგან თავდაპირველი ანდერძის დაცულობად უნდა იახსნას, საბოლოო დასკვნისათვის რასაკვირველია ჯერ კიდევ ამ ხელთნაწერის გულდასმითი შესწავლაა საჭირო, მაგრამ შემოაღნიშნული გარემოება მის ვახტანგის დროისად მიჩნევის აზრს მეტად სათუოს ჰხდის.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი თუმცა მხოლოდ ქართლის სამეფოსთვის იყო შედგენილი, მაგრამ მთელ საქართველოში იყო მიღებული. იგი ქართული საკანონმდებლო შემოქმედების მნიშვნელოვანი და საყურადღებო ძეგლია. სამწუხაროდ მისი ტექსტი აქამდის მეცნიერულად გამოცემული არ არის. არსებობს პროფ. დ. ჩუბინიშვილის გამოცემა, რომელიც პეტერბურგში 1846 წ. გამოსული ქართული ქრესტომატიის პირველ გამოცემაშია დაბეჭდილი (გვ. 394-455). ამ ძეგლის ორი, შეცდომის გამო ერთნაირად უვარგისი რუსული თარგმანი პოიპოვება: ერთი „Сборник законов грузинскаго царя Вахтанга VI, изд. Правительствуящаго Сената“, პეტერბურგშია 1823 წ.

– 123 –

დაბეჭდილი, მეორე მისივე ოდნავ შესწორებული გამოცემაა : „Сборник законов царя Вахтанга VI, изд. Френкеля под редакциею Д. З. Бакрадзе“, ტფილისში 1887 წ. გამოვიდა. განზრახული იყო ამ ძეგლის ფრანგული გამოცემა, რომელიც, როგორც „Collection orientale“-ის პირველი, „L` Histoire des Mongols de Rachid- eddin“-ის შემცველი წიგნის შესავალში აღნიშნულია იმ მეხუთე რჩეულ ძეგლად უნდა ყოფილიყო, რომელთა გამოცემა საფრანგეთის მაშინდელ გამოჩენილ ორიენტალისტთა აზრით საჭირო იყო. მეფისადმი მიმართულ და 1833 წ. დაწერილ შესავალში ნათქვამია : „Enfin le Code du roi Wakh t a n g VI, don` t la traduction est confiée à M. BrosseT, de la Société asiatique“ (იხ. გვ. 4). სამწუხაროდ ეს კარგი აზრი ვერ განხორციელდა და ვახტანგ VI-ის კანონების ფრანგული თარგმანის გამოცემა, რასაც ამ ძეგლის ევროპაში შესწავლისათვის მნიშვნელობა ექნებოდა, ვერ მოხერხდა.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის შესახებაც შედარებით უფრო მეტია დაწერილი, რომელთა შორის შეიძლება დასახელებულ იქმნეს: 1) „Д, Пурцеладзе, Краткое систематическое изложение уголовного законодательства Вахтанга VI, царя Грузинскаво, с показанием достоинств и недостатков его, ტფილისი 1864 წ.

2) D r j u r . e t p h i l . F e l i x H o l l a c k . Zweit Grundstein zu einer grusinischen Staats- und Rechtsgeschichte, Leipzig 1907 წ. (გვ 91-255 სწორედ ვახტანგის კანონებს ეხება).

3) გ . თ ა რ ხ ი შ ვ ი ლ ი „სასამართლოს წარმოება საქართველოში ვახტანგ მე-VI-ის კანონების წიგნის მიხედვით“ (იხ. „კრებული“ პეტერბ. ქართული სამეცნიერო წრისა ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, ტფილისი 1915 წ. (გვ.113-130).

4) ჰ . კ ი ზ ი რ ი ა „სისხლის სამართლის კანონდებლობა საქარ-

თველოში ვახტანგ მე-VI-ის კანონთა კრებულის მიხედვით (გაზ. „საქართველო“ 1915 წ. № 92, 94-100, 104 და 105).

ყველა ამ მონოგრაფიების შეფასება ჩვენი „ქართული სამართლის ისტორიის“ სათანადო წიგნში იქნება.

ქართული სისხლის სამართლის ისტორიისათვის საერთო საკანონმდებლო ძეგლებს, სამართლის წიგნებს გარდა დიდი მნიშვნელობა ზოგიერთ საბუთებში, მეტადრე გარიგების წიგნებში სხვადასხვა დანაშაულობისათვის დაწესებული სასჯელების შესახებ შეტანილ ცნობებსაც აქვთ. ამიტომ წყაროების განხილვის დროს უნდა ამგვარი შინაარსის ძეგლებიც მოვიხსენიოთ. მათ შორის პირველი ადგილი ქრონოლოგიურად უნდა 1459 წ. დაწერილსა და 1673 წ.

- 124 -

გ ა ნ ა ხ ლ ე ბ უ ლ ს ს ა მ თ ა ვ ნ ე ლ ის დ რ ა მ ის ა და ს ა კ ა ნ ო ნ ო ს გ ა რ ი გ ე ბ ის წ ი გ ნ ის მიეკუთნოს, რომლის ტექსტი შემოკლებით თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს ქ ე ზ მ ი ა მოთავსებული (II, 272-277). აქ მოთავსებული ცნობები ქსნის ხეობას ეხება.

ქ ს ნ ის ე რ ის თ ა ვ თ ა ე რ ის თ ა ვ ის შ ა ლ ვ ა ქ უ ე ნ ი ფ ნ ე ვ ე ლ ის ა გ ა ნ ლ ა რ გ ვ ის ის მ ო ნ ა ს ტ რ ის ა დ მ ი 1470 წ. მიცემული სიგელიც სხვადასხვა დანაშაულობისათვის დაწესებული სასჯელის განჩინებას შეიცავს. განჩინება ლარგვისის მონასტრის გარშემო მდებარე მიწა-წყალსა და მოსახელე ხალხს ეხება, მაგრამ ვითარცა „კითხულობითა და ბრძანებისათ... მეფეთა მეფისა ბაგრატიისათა“ დადებული შეიძლება მაშინდელი დანარჩენი საქართველოსათვის სამეფოსათვისაც ცოტად-თუ-ბევრად დამახასიათებლად ჩაითვალოს. ამ ძეგლის ტექსტი „საქართველოს სიძველეთა“ მესამე წიგნშია დაბეჭდილი (გვ. 555-561).

ყურადღების ღირსია ნაწილობრივ წ ი ლ კ ნ ე ლ ის ს ა რ გ ო ს გ ა რ ი გ ე ბ ის წ ი გ ნ შ ი მ ო ქ ც ე უ ლ ი ც ნ ო ბ ე ბ ი ც (იხ. საისტ. მოამბე 1925 წ. წ. II, გვ. 9-26).

შემდეგ უნდა ს ვ ი მ ო ნ მ ე ფ ის 1590 წ. ბ რ ძ ა ნ ე ბ ა ი ც ო ს დასახლებული მეკობრის მძებნელად გაფშარ ჯავახიშვილისა და ლარაძის ყარაიგის დანიშვნის შესახებ, რომლის ტექსტი „საქართველო სიძველეთა“ მე 2 წიგნში დაბეჭდილი (გვ. 23-24). ამ ძეგლში თ ვ ი თ მ ე კ ო ბ რ ის მ ძ ე ბ ნ ე ლ ის ს ა მ ო ს ა მ ა რ თ ლ ო უ ფ ლ ე ბ ე - ბ ი ც ა რ ის ა დ ნ ი შ ნ უ ლ ი და დასახლებულია, რომელი დ ა ნ ა შ ა უ - ლ ო ბ ის ა თ ვ ის რ ა ს ა ს ჯ ე ლ ი უ ნ და ყ ო ფ ი ლ ი ყ ო და დ ე ბ უ ლ ი. თუმცა გოშფარ ჯავახიშვილის და ლარაძის სამოხელეო მოქმედების აპარეზი დილომს ზევითა და მტკვრის გამოღმა ხევამდე მდებარე (იხ. გვ 23) ადგილს შეიცავდა, მაგრამ ამ საბუთში აღნიშნული სასჯელები უეჭველია მთელი მაშინდელი ქართლის სამეფოსთვის სავალდებულო და საერთო იქმნებოდა. ამიტომ ამ ძეგლის შინაარსს ზოგადი მნიშვნელობა აქვს ქართლის სამეფოში ამ მოქმედი სისხლის სამართლის შესასწავლად.

6. ერეკლე მეფისა და გიორგი XII-ის დროის სახელმწიფო, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ძეგლები.

ერეკლე მეფის დროს ახალი საზოგადო სასამართლო წიგნები არა შეუდგენიათ რა, მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო გამგეობისა და წეს-რიგის შესახებ ცალკე კანონები და ერთი პატარა ადგილობრივი სამართლის წიგნი იყო გამოქვეყნებული: 1765 წელს მე-

- 125 -

ფე ერეკლეს საქართველოს კათალიკოზისა და ეპისკოპოზთა, დარბაზის ერთა და ყოველთა ჩინებულთა განჩინება იყო დადებული, რომ ტყვეობითგან დაბრუნებული გლეხები ყმობისაგან განთავისუფლებულები უნდა ყოფილიყვნენ. სამწუხაროდ ჯერჯერობით ამ განჩინების ქართული დედანი გამოქვეყნებული არ არის, დაბეჭდილია მხოლოდ რუსული თარგმანი (Д. П у р ц е л а д з е. Груз. крест. грам. გვ. 17).

1774 წელს, 4 იანვარს დადგენილი იყო განაჩენი საქართველოში „მორიგი ლაშქრობის“ დაწესების შესახებ. განაჩენი დაიწერა „ერეკლე მეორისა საქართველოს მეფისაგან, თანდასწრებით... უფლისწულის გიორგისათა და ყოვლად სამღვდელთა საქართველოს ეპისკოპოზთა და ბრწყინვალეთა თავადთა და აგრედვე ყოველთა კარის მოხელეთაგან და შემდგომთა დარბაზის ერთა და ყოველთა სამღვდელთა დასთაგან და აგრედვე ყოველთა საქართველოს ჩინებულთაგან“; ეს საყურადღებო განჩინება დაბეჭდილია ე. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენ“-ში (ტომი 1, 187-198).

1782 წელს 14 ოქტომბერს არაგვის საერისთაოს მპყრობელმა ერეკლე მეფის ძემ ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ა თ ა ვ ის „ მ მ ის ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ლ ე ო ნ ის ა გ ა ნ მ თ ე ბ შ ი დადებული განჩინება ხელმეორედ“ გადაახლა და რამდენიმე თავის მიერ განწესებულებიგ თან ჩაურთო. ეს არაგვის საერისთაოს განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა არაგვის ხეობის სასამართლო წიგნია. ეს საყურადღებო ძეგლიც ე. თ ა - ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა გამოსცა (იხ. „საქართველოს სიძველენი“, ტომი 1, გვ. 203-208).

აღსანიშნავია რომ არც ალა-მაჰმად ხანის საშინელმა შემოსევამ და ქვეყნის აოხრებამ გაუტეხათ მაშინდელ მოღვაწეებს გული. თვით მთავრობის ზოგიერთი წრეები გრძნობდნენ, რომ დავრდომილ სამშობლოს აღდგენისათვის საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შეცვლა იყო საჭირო. საქართველოს აღდგენის საშუალებაზე გიორგი მე-XII-ის ძეს ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ს ა ც ბ ე ვ რ ი უ ფ ი ქ რ ნ ი ა და 1799 წევს ვრცელი მოხსენება დაუწერუა, რომელშიაც დაწვრილებით ჩამოთვლილია, თუ რაღარა ცვლილებების შეტანა იყო მისი აზრით საჭირო საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში: „სხტა და სხტა გტარმან ცტალეზამან კანონთამან, უთანჯმოებამან და უწესოებამა მართებულობისამან მოიყტანეს თუთქმის სრულიად საქართუწლოდსა ერნი განწირელებასა შინა და ამა გარემოებესა შინა ადყტანებულ იქმენ, მოახსენებს ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი გიორგი მე-XIII ეს, საყდარსა წინაპართა შენთასა და ჰსკურეტ ყოელსა ამას უწესოებასა და წარუმართებლობასა საქმისასა და, უკეთუ ღონესა არა რაღსამე მოიპო-

- 126 -

ებთ, ესე უბედურებად იქმნების განგრძელებულ; მოქრისტიანულსა

და ერდგულსა გულითა, ვითარცა მშობლისა მიწისა ჩუწნისა ერთმამულეთათვის, ეგრეთვე უმაღლესობისა თქუწნისათვის შევედ ესე გუარსა კადნიერებასა და ესე ღონეჲ, რომელიცა იქმნების სარგებლოვანი და არცა სამძიმო ერთათვის, აქა მოვიხსენენ რაოდენნიმე მუხლნი ჰსჯულსადებელად ქუწმევერდომთა და სქესთა მეფისა ძეთასა და სამღვდლო თავადთასა; რომელი, უკეთუ იქმნების სრულყოფა ამისი, ვსასოებ, რათა ამის ძალით იდინეთ თქუენცა და სარგებელ ექმნენცა საზოგადოდ მცხოვრებთა საქართუწლოსა შინა“-ო, დასძენს იოანე თავის „წინადადება“-ში (იხ. პეტერბურგის საჯარო სამკითხველოს ამ ჟამად საქართ. საისტ.-საეთნოგრაფიო მუზეუმში გადმოტანილი ხელნაწერი თვით იოანე ბატონიშვილის ბიბლიოთეკითგან №65, გვ 1 ა).

შესავალის შემდეგ ბატონიშვილი მხედრობისა, შემოსავლისა, ფულისა, მოხელეებისა, სამღვდლოთა დაკასტერიისა, ნიშნებისა და სხვანაირი ჯილდოებისა, სკოლებისა და სასწავლებლებისა, მეფისა და წევრთა მეფისათა ჯამაგირის დაწესებისა, მეფისძეთა მემკვიდრეობისა და ბევრ სხვა საგნების შესახებ მსჯელობს. ეს მოხსენება დაწერილია „წელსა 1799, თუწსა მაისს 10, ტფილისს“. იოანე ბატონიშვილს იგი მეფისათვის წარუდგენია და, როგორც თვით ავტორი ამბობს, „მათმან სიმაღლემ ღთსად მი განსვენებულმან მეფემან აღმითქო და მოიწონა ესე ჰსჯულდებასამოქმედოდ“-ო, გარნა სიკვდილმან მოუსწრაფა“-ო, დასძენს ბატონიშვილი, „ჩუწნცა შეგუწმთხუა ესე და მოვაკლდით ყოველსავე“-ო, განაგრძობს იგი. „ვისაც ღთნ მოგცეთ და ჰელმწიფის წყალობით მიემთხუწთ“, თქუენც განიხილეთ ესე დანუ მომდგრებთ; რა ერთხელ დაიდება წესი, წარმატებაში წავალს; პირველ დაწყება ყოვლისა საქმისა ძნელია და ოდეს გულსმოდგინედ შეუდგება, ასეთი არა არს რა ვუნებისაგან ნაწარმოები, რომელსა ზედა არა ძაღედვას შემართებად ძალსა კაცობრივსა. მე ამაზედ ვსასოებ, რადგან ეკლესიის კანონნი სხუა და სხუა ცუალებათაიაც მაინც მომდინარეობენ პირველისამებრ; უკეთუცა ესეცა დაწესდება, ერნი საქართველოსანი, ვა არიან მტკიცე სარწმუნოებასაცა, ვინაიდგან სდ საზოგადოებისა სასარგებლო არს“-ო(ხელნწერის გვ. 22 a-b). იქვე იოვანებ ბატონიშვილი საკუთარი სახელით აწერს „იოანე“ ბატონიშვილი. მაშასადამე რუსის მთავრობას რომ საქართველოს სამეფო არ

მოესპო, მაშინ ეს მოხსენება განხორციელებული იქნებოდა. ამიტომ ამ საინტერესო ძეგლის შესწავლა აუცილებლადაა საჭირო, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რა ნაყოფის მოტანა შეეძლო ამ მოხსენების განხორციელებას, და გავითვალისწინოთ, რამდენად სწორედა ჰქონდა წარმოდგენილი ავტორს საქართველოს მაშინდელი მდგომარეობა და გაჭირვება. მთელი ეს ნაწარმოები დედნითგან გადმოწერილი გვაქვს და ქართული სამართლის სხვა წყაროებთან ერთად ვაპირობთ გამოცემას.

ამ საყურადღებო მოხსენების გარდა იმავე დროს იოანე ბატონიშვილის უფროსს ძმას საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეს დავითსაც შეუდგენია სახელმწიფო მართვა-გამგეობისა

და მართლმსაჯულების ცვლილებისათვის ახალი კანონები. შავად დაწერილი ხელნაწერი მისივე შენიშვნებითა და მინაწერებით პეტერბურგის საჯარო სამკითხველოში ინახება და იოანე ბატონიშვილის ბიბლიოთეკას ეკუთვნის (№79). თავი აკლია და, თუ როდის არის შედგენილი ეს კანონები, ხელნაწერში არ არის არნიშნული, მაგრამ რაკი დავითი თავის თავს „მეფედ და მფლობელად“ უწოდებს, ეტყობა რომ გიორგი XIII-ის სიკვდილის შემდეგ უნდა იყოს შედგენილი, იმ დროს განმავლობაში, როცა ბატონიშვილები, ჯერ კიდევ სამშობლოში იმყოფებოდნენ. ხელნაწერში შემდეგი კანონებია: „№ 1 უცხოს ქვეყანათ შემოსულთ წყალობაზედ, სათარხნეზედ და ბინის მიცემაზედ ლ^ათვისათა (sic!) და წყალობა ჩვენ დავით¹ მეფე და მფლობელი სრულიად საქართველოსი სხვადასხვათა“, – ამ სათაურს ზედ მისდევს შსავალი და კანონებად 20 მუხლი, – „№ 2 ყოველივე ძველისა და ახლის დავების გადაჭრაზედ“, აქაც სათაურს შესავალი მისდევს და 17 მუხლი, – „№ 3 კაცის სიკუდილის უკან მისი დოვლათისა და მის ცოლშვილის ბინის მიცემაზედ“, შესავალს 83 მუხლი მისევს, – „მანიფესტით № 3 (sic!) კაცი რომე მოკვდეს და მას ობლები დარჩეს მისი დოვლათისა და ობელების ბინის მიცემაზედ საქართველოსა შინა“, შესავალს 41 მუხლი მისდევს, – „№ 4 მამის სიკუდილის უკან ვისმე ობოლს თუ ვალი რჩებოდეს და დახსნაზედ ვალისაგან“, შესავალს 12 მუხლი მისდევს, – „მანიფესტით № 4 (sic) მამის უკან რომე ვალი დარჩეს და შვილებს ედაეზოდნენ“, შესავალს 9 მუხლი მისდევს (მე-9 ე მუხლი თუმცა გადახაზულია), – „№ 5 დედის ვალის ქვეშე ჩავარდნაზედ და თუ შვილებს ედაეზოდნენ მას-

¹) მერმე ეს სიტყვა წაუშლიათ; ამ სახელს მისდევს ფრჩხილები (). მაგრამ შიგ კი არაფერი სწერია.

ზედ გადაცემული“, ვრცელს შესავალს 29 მუხლის მიჰყვება, – „მანიფესტით № 5 (sic) დედა რომე ვალქვეშ ჩავარდეს და შვილებს ედაეზოდნენ“. შესავალს 16 მუხლი მისდევს, – „განუყრელთ ძმებზედ დოვლათიანთ და ზედოვლათათვის და მრავალს რიცხვთ უსამართლობაზედ“, გრძელს შესავალს 82 მუხლი მისდევს, – „№ 6 მანიფესტით: ყოველთ განუყრელთ ძმათათვის ბიძაშვილებისათვის ზედოვლათობისა და გაყრის მიზეზებისათვის,მამულის გაფუჭებულისათვის (sic) და ანუ სხვა კეთილთ და ბოროტთ ძმათა შინა რა სამართალი უნდა მიეცესთ“, ვრცელს შესავალს 43 მუხლი მისდევს, – „№ 7 სრულიად საქართველოს აღწერაზედ კაცისა და მანდილოსანთ გვამი, მოხუცებულთ ყრმათამდე და რომლის რიგზედაც უნდა აღწეროს და რიგის ჩამოვარდნაზედ“, შესავალს 8 მუხლი მისდევს, – „№ 8 რა სარწმუნოების მღუდელი რომე იყოს მათის ვალის აღსრულებაზედ“, შესავალს 12 მუხლი მისდევს, – „მანიფესტით „№ 9 სენადისა (sic) და სასამართლოების განწესებაზედ და მათ მოვალეობაზედ (sic)“, შესავალს 11-5 მუხლის მისდევს; „უქაზით ანუ ისტრუქციით № 10 პოლიცისა (sic) და ანუ ქალაქის მოვრავის (sic) მოვალეობა ქალაქებსა შინა თუ როგორც უნდა მოიქცეს ქალაქის მოვრავი (sic) და მისი რიგის მიცემაზედ“, მოკლე შესავალს 36 მუხლი მისდევს, – „№ 11 სამ-

მღურის მოვრავის მოვალეობაზე და ანუ რა რიგით უნდა მოიქცეს“, შესავალს 39 მუხლი მისდევს. ამით თავდება ხელნაწერი, მაგრამ რაკი იგი უყდოა, შეიძლება დანარჩენი მოგლეჯილი იყოს.

ამგვარი თხზულება სხვა ხელნაწერშიაც მოიპოვება: სახელდობრ, სამცენიერო აკადემიის სააზიო მუზეუმის ხელნაწერშიაც (№ 102 Msc. Georg.) შენახულია სამართალი ბატონის შვილის დავითისა“, ორ წილად. პირველი, რომელიც 32 თავისაგან შესდგება, „სრული ქმნა ოკდომბრის ე. (5) წელსა. ჩყ. (1800) სამეფოფოსსა ქალაქსა ტფილისს კელითა ანჩისხატის კანდელაკის მღუდლის გაბრიელისათა“. თვითეული თავი მუხლებად არის დაყოფილი და სულ ერთობლივ მუხლების რიცხვი 245 უდრის. როდის არის მეორე ნაწილი დაწერილი, არა ჩანს, მხოლოდ სხვა ქალაქსა (თეთრზე, პირველი ნაწილი ლურჯზე) და სხვა უფრო ლამაზი ხელით დაწერილი. არც წინასიტყვაობა, არც ბოლოსიტყვაობა ამ ნაწილს არა აქვს, აქა-იქ, მეტადრე ბოლოში, თვით დავით ბატონიშვილის საკუთარი ხელით დაწერილი კანონები მოიპოვება.

პირველ ნაწილს შემდეგი წინასიტყვაობა უძღვის: „შეწევნითა ღისათა ჩნ საქართველოს მემკვიდრე და რუსეთის სამხედრო ღენერალი ლეიტენანტი და კავალერი მეფის-ძე დავით წარმოვუდგენტ ერ-

თა ჩუწნთა გონებისა ჩემისა ჰსჯასა რლისაცა კარგიერებმ შემოიტანს შეკავშირებასა ერთასა. ვინადგან უწყიან ყთა, თუ ვითარითა-მე სურვილითა უყუფიესთ წინაპართა ჩუწნთა სჯულისათვის ერთა კარგიერებისადმი მოსაყუნათა. რლთაცა შრომად არა არს უსარგებლოდ მაგრა ცულილებისა გამო სუფლისა და ანუ უვითარებლობისა მწერალთასა იხილვებოდა კელყოფილსა შათასა მეტ და ნაკლყოფობად რლისა გამო იყო უთანხმობად. და დაუმორჩილებელობად ჰსჯულთა და მათ განწესებათა. ამის გამო იძულე ბულმან ვჰყავ შრომად და შეევჰსთხზევ მრავალთა პირად-პირად და თაგან სჯულთა და განწესებათა რლთაცა აქუნდა-ყე მახლობელ დგომად ბუნებითისა ჰსჯულისა. რა ამით უჩვენო ერთა ჩემი ესე უმწვერვალესი სიყვარული და მოვიყვანო იგინი კარგიერებასა შა და მით უღელსა ქუწზე მორჩილებასასა. და რათა მსაჯულთაცა მივსცე გზად ქმნად სამართლისა და მიცემად ჰსჯისა: საქართველოს მეფის ძე მემკვიდრე რუსეთის ღენერალ ლეიტენანტი და კავალერი დავით“.

დავით ბატონიშვილის ორივე სასამართლო წიგნი ყურადღებისა და შესწავლი ღირსია: იგი ნათლად დაგვანახებს, თუ რა და რა საგნებს აკვირდებოდენ მაშინდელი მმართველი წრეები, რომელი მხარე უფრო საჭირობოროტო საქმედ მიიჩნდათ და დაუყოვნებლივ საჭიროდა სთვლიდნენ ძირითად ცვლილება მოეხდინათ, ან არა და რა ახალი დაწესებულება შემოეღოთ? ჩვენ ვიცით, თუ როგორ დაიწყო რუსის მთავრობამ საქართველოში მოქმედება და რას აკეთებდა პირველ ხანებში. მეტად საინტერესო იქნება ეს რუსის მთავრობის ნამოქმედარი იმას შევადაროთ, რაც უეჭველია განხორციელებული იქმნებოდა, თუ რომ საქართველო სამეფოს არსებობა ძალმომრეობით არ მოესპოთ.

დასასრულ, ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს „ქართველი მეფეების დროინდელთ ჩვეულებებ“-ს, რომელიც ჩაწერილი იყო 1810-15 წლებში. სამწუხაროდ ამ საბუთის ქართული დედანი ჯერ აღმოჩენილი არ არის და მხოლოდ მისი რუსული თარგმანია გამოქვეყნებული (იხ. ფრენკელის გამ. Сборн, закон, груз, и. Вахтанга, დ ა მ ა ტ ე ბ ა, გვ. 35-382).

სამართლის ისტორიისათვის ძვირფასი ცნობები მეტადრე სიგელ-გუჯრებში არის შენახული. სწორედ დაუფასებელი განძია ეს უკანასკნელი წყარო იმიტომ, რომ იგი მოქმედი სამართლის ვითარებას გვისურათებს და პირუთვნელ საბუთს წარმოადგენს. მაგრამ სიგე-გუჯრებით სარგებლობისათვის მათი აგებულობისა და ნა-

ტყუარობა-უეჭველობის ცოდნაა საჭირო. ამისათვის-კი საგანგებო სამეცნიერო დარგი არსებობს, რომელსაც სიგელთა-მცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა ეწოდება. როგორც საბუთების გამოცემებზედ, ისევე დიპლომატიკაზე მკითხველი ყველა ცნობებს იპობის ჩემ მონოგრაფიაში „ქართული სიგელთ-მცოდნეობა, ანუ დიპლომატიკა“ (ტფ. უნ. გამოცემა, ტფილისი 1926 წ.).

ამ მიმოხილვითგან მგონია ნათლად ჩანს, რომ ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად მაინც საკმაო მასალები მოიპოვება, საჭიროა მხოლოდ შესაფერისი ცოდნა და ამ უხვი და ძვირფასი წყაროების ბეჯითი და გულდასმითი შესწავლა.

§7. ზოგადი მოძღვრება ადამიანის ბუნებასა და კანონმდებლობაზე

ვიდრეთ თვით ქართული სამართლის ისტორიის შესწავლას შევუდგებოდეთ, თავდაპირველად საჭიროა მოკლე დ მაინც მოვიხსენიოთ, თუ რა ფილისოფიური შეხედულება სუფევდა მაშინდელ ქართულს განათლებულს საზოგადოებაში მსოფლიოსა და ადამიანის ბუნებისა და თვისებების შესახებ. საშუალო საუკუნოებში ქართველების წარმოდგენით მსოფლიო ორ მთავარ ძირითად ნაწილად იყო დაყოფილი: „ხ ი ლ უ ლ და უ ხ ი ლ ა ვ ს ო ფ ლ ა დ“ (ძეგლის წერა ქრ~კბი II, 56); პირველს ეკუთვნოდა ყველაფერი, რაც-კი „ს ა ც ნ ა უ რ თ ა და გ რ ძ ნ ო ბ ა დ თ ა ბ უ ნ ე ბ ა თ ა“ მფლობელი იყო, მეორე რასაც-კი „ზ ე ს თ ა ს ო ფ ლ ი ს ა ძ ა ლ თ ა ბ უ ნ ე ბ ა დ ჰ ჰ ო ნ და (ibid). ღმერთის მიერ შექმნილი ადამიანი ამ ორისავე „სოფლის“, „ყოვლისავე აგებულისა ბუნებისა“ შემაერთებელი იყო (ibid. 56 და 60): მას ჰქონდა „საცნაურ და გრძნობად ბუნების“ მექონე სხეული და უხილავი, „ზესთასოფლისა ძალთა“ ბუნებოვანი სული (ibid).

ამგვარად იგი იყო ვითარცა პატარა მსოფლიო („მიკროკოსმოს“-ი) დიდს მსოფლიოში („მაკროსმოს“ში). კაცის ბუნების შინაგანი აგებულება განხილული და განმარტებული ჰქონდა ბერძნულ მწერლობაში გრიგოლ ნოსელს თავის წერილში „Περὶ χαχασχευήσ ἀνδρώπιος“ „პერი კატასკეუეს ანთროპუ“, რომელიც ლათინურად იყო ნათარგმნი VI საუკუნეში (ორივე ტექსტი დაბეჭდილი Migne Patr. graeca). ეს თხზულება IX-X ს. ქართულადაც საუცხოვოდ გადმოუთარგმნიათ და დიდი სახელიცა ჰქონდა ჩვენს მწერლობაში მოხვე-

ჭილი; ამ წერილს ეძახდნენ „კაცისა შესაქმე“, ხოლო მისი § 30 შეეხება „ასოთა გუამთა კაცთასა დაბადებასა“. ეს თხზულება გა-

– 131 –

მოსცა ბ. მ. ჯანაშვილმა ავტორის სახელის დაუსახელებლად იმის აღუნიშვნელად, რომ ნაწარმოები თარგმანია და არა ქართული ორიგინალური გამოკვლევა, თავის კრებულში „მწერლობა მე-IX-X საუკუნისა“ (ტფილისი, 1891 წ.). გრიგოლ ნოსელის თხზულება დამყარებული ძველ ბერძნულ ფილოსოფიურსა და საბუნებისმეტყველო მწერლობაზე; მისი აზრები ქართულმა მწერლობამაც შეითვისა და მთელ საშუალო საუკუნოების განმავლობაში უტყუარ ჭეშმარიტებად ჰქონდა მიმცნეული. გრიგოლ ნოსელის შეხედულებით, რომელიც ამასთანავე მთელი განათლებული საზოგადოების შეხედულება იყო საშუალო საუკუნოებში როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე აღმოსავლეთშიაც, სახელდობრ არაბეთსა და სპარსეთში, ადამიანის ბუნებაში მსოფლიოს სტვიქიონები სუფევდნენ: „ცხად არს ყოველთათვის, ამბობს ავტორი, ვითარმედ ბუნებასა შინა ჩუენთასა პოვნის არიან სტვიქიონი ამის სოფლისანი“-ო (გვ. 94); ამ სტვიქიონებად მას მიაჩნდა „სიტყოფი“, „ყინელი“, „ნოტიო“ და „სიჭმელი“ (ibid.); ამათს ზომიერს შეზავებაზე იყო ადამიანის სიცოცხლე დამოკიდებული, ისინი „არიან ძალნი, რომელნი განაგებდ სოცოცხლესა“-ო (ibid.). ამას გარდა კაცის სხეულის ყველა ასოების სამ უმთავრეს მიზნისათვის არსებობენ: „რომელიმე სიცოცხლისათვის“ – მასოთა ჯგუფს ეკუთვნიანი თავი, გული და ღვიძლი, – „რომელიმე სიმდიდრისათვის სიცოცხლისა“ – ამასოთა ჯგუფს შეადგენს ის „ჭურჭერი, რომელსა შინა არიან საგრძნობელი“, ამასოთა ქონება ადამიანს სიცოცხლისათვის კი არა სჭირია, „რამეთუ თვნიერ ამათსაცა შესაძლებელ არს ცხორებად ჩუენი“, მაგრამ მაშინ „ცხოვრებად ჩუენი გემოდვნიებითი“ აღარ იქნებოდა.

ასოთა მესამე ჯგუფს ეკუთვნიანი ისინი, რომლისაგან „იქმნების დადგრომად შვილიერებისა და დამტკიცებად ნათესავობისა“ (ibid. 92). როგორც აღნიშნული იყო, იმასოთა ჯგუფში, რომელნიც კაცს სიცოცხლეს ანიჭებენ, თავიც ითვლებოდა; ხოლო უმთავრესად ტვინი, იგი არ „არს მიზეზი სიცოცხლისა“ (ibid.99); ეს იმითა მტკიცდება, რომ „ოდეს იგი ეცის რადმე აკვასა ტვინისასა წყლულებად, მწრაფლ მოიწიის სიკვდილი“-ო (ibid); ამიტომ ჭეშმარიტად ტვინი არს მომცემელი სიცოცხლისა“ (ibid.) ამავე დროს „აკვად თავისად არის სწორედ, რომელზედაც ადამიანის სახსრებისა, კუნთებისა და სხეულის მოძრაობაა დამოკიდებული, ანუ როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე, „რომლისაგან არს ძრავად ყოველთა იოგთად, შეოჭვად და განმარტებად ლართად, რომელი ძრავს ყოველთა ასოთა გუამისათა.“ (ib.108).

– 132 –

ამგვარად ადამიანი სულდგმული, მოზრავი, თავისუფალი არსებაა, „არს კაცისა ჭური თვთმომრავისულითა ჯელმწიფებებასათვის“-ო (ib. 97.). სულდგმულ არსებად მარტო ადამიანი

არ ითვლებოდა: ყველაფერს „რ ო მ ე ლ ს ა ა ქ უ ნ დ ე ს ნ ა წ ი ლ ი ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ი ს ა დ და ძ ვ ი რ ი ს ა დ, ა რ ა ე რ ქ უ მ ი ს მ ა ს უ ს უ - ლ ო“-ო (ib. 115), როგორც მაგალითად „მ ც ე ნ ა რ ზ თ ა მოზარდ-თათვის ვიტყვით, ვითარმედ ც ხ ო ვ ე ლ ა რ ი ა ნ“, მაგრამ მათ მხოლოდ ერთი ნაკლი აქვსთ, სახელდობრ „ვერ მიწევნულ [არიან] საქმესა გრძნობისასა“ (ibid.). ამგვარადვე ავტორი ამტკიცებს, რომ „პ ი რ უ ტ ყ უ თ ა შ ი ნ ა ა რ ს ს უ ლ ი პ ი რ უ ტ ყ უ ე ბ რ ი მ გ რ ძ ნ ო - ბ ე ლ ი“, მხოლოდ იგი „ვერ მიწევნულ არს ს ის რ უ ლ ე ს ა, რომელ არს მაღლი მეტუელი და გულის ხმის მყოფელი“-ო. ibid. 115-116). ერთი სიტყვით ყველა ცოცხალი არსებანი ერთისა და იმავე სული პატრონები არიან, მხოლოდ სხვადასხვა სახით წარმოდგენილი.

იმის დასამტკიცებლად, რომ ერთისადაიმავე ადამიანის სულიერი თვისება შეიძლება სხვადასხვა სახით გამოიხატოს, თუმც მისი სული ერთიდაიგივე რება, ავტორს პავლე მოციქულის აზრი მოჰყავს, რომელიც მან თავის ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ გამოსთქვა: „ოდეს ყრმა ვიყავ, ვიტყოდი ვითარ ყრმად, ხოლო ოდეს ვიქმენ მამაკაც დაუტევე სიყრმისად იგი“. (ib. 115); ცხადია, რომ ამ შემთხვევაში სული-კი არ იცვლება, არამედ მისი გამოსახულება, „რამეთუ არა სხუად სრული არს ყრმისად და სხუად მამაკაცი-სად, არამედ უსრულ არს ყრმასა შინა და სრულ მამაკაცსა შინა“-ო (ib. 115). ადამიანის სულიერი ბუნება უსრულობისაგან სისრულეს აღწევს, ანუ როგორც ავტორი ამბობს: „გამოთლად ბუნების მის ჩუენისად სულისა – არს პ ი რ ვ ე ლ ა დ და წ ე ე ბ ა დ უ ს რ უ ლ ა დ, გ ა ნ ს რ უ ლ ე ბ ა ს ა – ს რ უ ლ“ (ibid. 114). ერთს დროს კაცი „იყოცა სრულ“, მაგრამ ადამის ცოდვის გამო კაცობრიობის სულიერი ბუნება „დაებრკოლა მაღლისა მისგან სრულისა“-ო (ibid.), ხოლო მას შემდგომ მარტო თანდათანობით განვითარებითა და მოღვაწეობით ღვთაების შეწევნით ადამიანმა კვლავ სულიერს სისრულეს მიაღწია და „შ რ ო მ ი თ ა და მ ო გ ზ ა უ - რ ო ბ ი თ მ ი მ ა ვ ა ლ ი ს უ ლ ი კ ა ც ი ს ა დ მ ა ს ვ ე ს ის რ უ ლ ე ს ა“ ეღირსაო (ib. 114-115). ასე აქვს წარმოდგენილი გრიგოლ ნოსელს ადამიანის სულიერი განვითარების სრბოლა.

შემოქმედმა პირველს ადამიანს და მის ჩამომავლობას „ნივთად თვთმფლობელისა“ მისცა „სჯული“ (ძეგლის წერა, ქრ~კბი II, 56

და 60); ეს იყო „ბ უ ნ ე ბ ი თ ი ს ჯ უ ლ ი“ (ibid. 57 და 61) !; მაგრამ რაკი უკვე პირველმ ადამიანმა მიცემული ბუნებითი სჯული დაარღვია და „წინაუკმოდ საღვთოძსა ნებისა იჯუმია“ (ibid. 56) და შემდეგშიაც ვერც შემოქმედის მრავალგვარ სასჯელმა მოაქცია კაცობრიობა სწორე და წესიერ გზისაკენ, ამიტომ ღმერთმა მოსე წინასწარმეტყველის ხელით „და წ ე რ ი ლ ი ს ჯ უ ლ ი“ (ibid. 57 და 61) მისცა; ეს იყო „ს ჯ უ ლ ი წ ი გ ნ ი ს ა დ“ (დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“, ქრ~კბი II, 105). ერთი სიტყვით იმ დროინდელ შეხედულობის თანახმად ჩვენ კაცობრიობას „მოგუწცნეს პ ი რ ვ ე ლ ა დ ბ უ ნ ე ბ ი თ ი და მ ე რ მ ე და წ ე რ ი ლ ი ს ჯ უ ლ ი“ (ძეგლის წერა, ქრ~კბი II, 61).

მაგრამ კაცობრიობას ვერც მოსეს ჩაწერილმა სჯულმა უშველა: „ვერცა ერთი რაჲ... შემძლებელ იქმნა კურნებად ბუნებად (ადამიანისა), გინა თუ მტანჯველობითა და საშინელებათა, ანუ ქველის მოქმედებითა სიტკბოებათაგან (ibid. 57), კაცობრიობის განსაკურნებლად საჭირო იყო ღვთის განკაცება, რომელმანც „წიგნის სჯულის“ მაგიერ ისევ „ბუნებითი სჯული“ დაამკვიდრა, მაგრამ ეს იყო „ახალი ბუნებითი სჯული“ (დღით აღმაშენებელის სინანული, ქრონიკები, II, 105). რომ ადამიანის ბუნება განსპეტაკებულიყო და „თანამოქალაქე მყვნეს წმინდათა და სახლეულ ღთისა“ (ძეგლის წერა, ibid. 61) სხვათა შორის „ამისთვის იქმნნეს... მეფეთა მიერ ჟამად-ჟამადი კრებანი ღთისმოყუარეთა ეპისკოპოზთა და ღთისა სათნო ყოფილთა მამათანი“ (ibid.); ეს კანონმდებლობა ადამიანის სულიერ მხარეს შეეხებოდა, ხოლო რაკი ხორციელი სამოქალაქო საქმეები მეფეებს ეკითხებოდათ იმიტომ, რომ გრიგოლ ხანძთელის სიტყვით „კელმწიფენი უფალჰყვნა ღმერთმან ქვეყანასა განგებასა“ (ცდგლხმ, ივ), ამიტომ საერო, სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესი და სამართალი მათგან მომდინარეობდა.

¹⁾ ამგვარი შეხედულება დასავლეთს ევროპაშიაც არსებობდა იხ. H. Icken. Geschichte d. System d. Mittelalt. Weltanschauung 1887 წ. გვ. 548-549.

კარი მესამე

საქართველოს სახელმწიფო და სოციალური წესწყობილება

I ს. ქ. წ. – VII ს. ქ. შ.

თავი I.

წყაროების ზოგადი დახასიათება.

§ 1. ლეონტი მროველის თხზულების და სხვა წყაროების ღირსება.

საკითხი საქართველოს უძველეს სახელმწიფო სოციალური წესწყობილების შესახებ, როგორც ცნობილია, ქართული საისტორიო მწერლობაში პირველად ლეონტი მროველმა აღძრა და თავისებურად გააშუქა კიდევ. მასზე უწინარეს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატთანე ამაზე არაფერს ამბობს (იხ. ჩემი „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“, 1921 წ. გამ. გვ. 173-184). ლეონტი მროველს თავისი თორია აქვს მეფობის წარმოშობის შესახებ საქართველოში. მისი სიტყვით ისე გამოდის, რომ უკვე ქართველთა პირველი მამამთავარი ქართლოსი იყო თავის ძმების „გამგე და უფალ“ და მის მერმინდელ მემკვიდრეთა ყოველ თაობაში უხუცესი შვილი უზენაესი უფლებით იყო მოსილი. მხოლოდ როდესაც მცხეთოსი გარდაიცვალა და მის მაგიერ უნდა მისი უფროსი ძე უფლოსი

გამეფებულიყო, მაშინ მას აღარ დაემორჩილნენ და არეულობა დამყარდა. ამ დროს, ლეონტი მროველის სიტყვით, ქართლში მეფის ხელისუფლება მოისპო. უმეფობა ვითომ ფარნავაზამდე გაგრძელდა, რომელმაც მეფის ხელისუფლება კვლავ აღადგინა და საქართველოში მტკიცე სახელმწიფო წესწყობილება შექმნა.

ამნიარად ქართველი ისტორიკოსის თეორიის თანახმად საქართველოში მეფობა დასაწყისიტაგანი დაწესებულება ყოფილა, ერთ

ცოლ-ქმრიანი ოჯახის საფუძველზე აღმოცენებული და პირმშობისა და პირდაპირი მემკვიდრეობის კანონზე დამყარებული. როგორც უკვე გარმოკვეული მაქვს, მთელი ეს თეორია და სქემა ისტორიული ცხოვრების სინამდვილის ანარეკლს-კი არ წარმოადგენს, არამდე იმ დროს აღმოსავლეთში გაბატონებული თეორიების მიხედვით არის ლ. მროველის შეთხზული და ყალბ ეფრემ ასურის თხზულების „განძთა ქვაბის“ მომზადებულობას წარმოადგენს. ამიტომ ჩვენი ისტორიკოსის ეს ცნობები საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების სურათის აღსადგენად გამოსადეგი არ არის (იხ. ჩემი „ისტორიის მიზანი“ I. გვ. 178-182).

ლ. მროველის სიტყვით ფარნავაზ მეფემ გაბატონებისათნავე „განაწესნა ეწნი რვანი და სპასპეტი ერთი. ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით გადაგებდის ევთა ზედა. ხოლო ამათ ევთა ქუეშე ადგილთა და ადგილთა განაჩინნა სპასალარნი და ათასისთავნი და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფო და საეროსთაო. ესრეთ განაწესა ესე ყოველი ფარნავაზ მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“-ო (ცა მეფეთა * 129 და 130, გვ. 20 და 21). სულ 8 ერისთავი და ერთი სპასპეტი დაადგინაო.

ჩვენი ისტორიკოსის ცნობა იმ მხრივ არის სწორე, რომ სპარსეთის, სახელდობრ სასანიანთა სამეფოში ზემოდასახელებული თანამდებობანი მართლაც არსებობდა: სპასპეტი უდრის უეჭველია „ერან სპაჰპატ“-ს, სპასალარი „სიფაჰსალარ“-ს და ათასისთავი წარმოადგენს „ჰაზარაპატ“-ის ქართულ თარგმანს. ეს ტერმინი ბერძენ ისტორიკოსებსაც აქვთ აღბეჭდილი ἀζαπααλεις „აზარაპატელს“-ის სახით (იხ. Spiegel Eranische Alterthimskunde III, 635). მაშასადამე თვით ძირითადი ცნობა რომ სწორე ყოფილიყო და ფარნავაზი ზღაპრულ პიროვნებად არ ყოფილიყო ლ. მროველის თხზულებაში და ცოცხალი, ხორცშესხმული ადამიანის თვისებების მქონებულად ყოფილიყო წარმოდგენილი, მას ვითარცა სპარსული სახელმწიფოებრივობის საქართველოში გადმომწერველს, სწორედ ასეთი დაწესებულებები უნდა შეექმნა. მაგრამ ლ. მროველის ფარნავაზ მეფეს რეალური პიროვნების თვისებები აკლია და ის წესწყობილებაც, რომელიც მას ვითომც უნდა საქართველოში შემოეღოს, უფრო სასანიანთა სამეფოს შეჰშვენის, ვიდრე იმ ხანას, როდესაც ფარნავაზი ჩვენ ისტორიკოსს ეგულებოდა. ამიტომ სანამ სხვა უფრო ძველი და უფრო სანდო წყარო არ აღმოჩნდება, მანამდე ლ. მროველის ამ ცნობების ქრონოლოგიურად განსაზღვრაცა და სინამდვილი სისწორის შემოწმებაც შეუძლებელია. ამის გამო

ამ ცნობაზე დამყარებაც სახიფათოა. ისე სჯობია სტრაბონისა და მე-V-VI სს. ქართული ძეგლების თუნდაც მცირე, მაგრამ უეჭველი ცნობებით დავეყვაროთ.

საქართველოში წოდებრივობის გაჩენის საკითხიც პირველად ლეონტი მროველს წამოუყენებია. მას სცოდნია, რომ წოდებრივი დანაწილება და უთანასწორობა მერმინდელი და არაპირველადი მოვლენაა. მთელი ქართველი ერი, „ქართველოსიანნი“ მას თანასწორად მიაჩნდა, აზნაურობა შემდეგშია გაჩენილი, ამასთანავე ლ. მროველის სიტყვით საქართველოს ცხოვრებაში უცხო ძალის შეჭრის შემდგომ. მისი თეორიით აზნაურნი იმ 1000 ბერძენი მხედრის შთამომავალნი არიან, რომელნიც ვითომც ალექსანდრე მაკედონელმა აზონს მცხეთაში დაუტოვა. როდესაც ფარნავაზი აზონს განუდგა, მაშინ ეს 1000 კაცი ფარნავაზს მიემხრო და მათი დახმარებით ფარნავაზმა აზონი დაამარცხა. ამის წყალობით ფარნავაზმა ეს მხედარნი დააწინაურა და დასაჩუქრა: „ განყუნა ჳევთა და ქუეყანათა შინა“, ე. ი. უძრავი ქონება, მამული და სამფლობელი მისცა, „იპყრნა იგინი კეთილად“ და „უწოდა მათ სახელი აზნაური“, რომელიც ამგვარად ქართველი ისტორიკოსს პირვანდელ „აზონაური“-ს ფორმისაგან წარმომდგარად ეგულებოდა. მხოლოდ როდესაც საურმაგი ამ აზნაურთა დახმარებით გამეფდა, ამ დოღუთგან მოყოლებული მათ სოციალურ ცხოვრებაშიც განსაკუთრებული უპირატესობა მოიპოვეს. საურმაგმა „დაამდაბლნა ქართლოსიანნი და წარჩინებულ-ყუნა აზნაურნი“. წოდებრივობის ჩანასახი და წარმოშობაც ლ. მროველს აქ და ამ ხანითგან ეგულეზობდა. ჩემ მონოგრაფიაში: ისტორიის მიზანი“ (I წიგნი, იხ. ლ. მროველი) აღნიშნული მაქვს, რომ ქართველი ისტორიკოსის ეს თეორია საქმის ვითარებისა და წოდებრივი უთანასწორობის გენეზისის გამოსარკვევად გამოსადეგი არ არის. იგი დამახასიათებელია და საგულისხმო მხოლოდ იმ ეპოქისათვის, როდესა ლ. მროველი მოღვაწეობდა.

ასეთი სათუო ღირსების და უძველეს დროისათვის გამოუდგარობის გამო მკვლევარმა უმთავრესი თავისი ყურადღება იმ მშვენიერ აღწერილობას უნდა მიაპყრას, რომელიც ბერძენთა განთქმულ გეოგრაფს სტრაბონს მოეპოვება თავის თხზულებაში. მართალია მისი ცნობა სახელმწიფო წესწყობილების შესახებ აღმოს. საქართველოს, იბერიის სამეფოს ეხება და დასავლ. საქართველოზე ამ მხრივ მას თითქმის არაფერი აქვს ნათქვამი, მაგრამ ეს აღწერილობა ერთად-ერთი დაღაგებული და საკმაოდ ვრცხელი ცნობაა ამ საკითხის შესახებ. არსად სხვაგან არაფერი ამის ოდნავაც მაინც ბადალი არ მოგვეპოვება და

ეს გარემოება მით უფრო ძვირფას განმადა ჰხდის ამ ცნობას. მის დიდ ღირსებას ისიც შეადგენს, რომ ქრონოლოგიურად კარგად განსაზღვრულ ხანას ეკუთვნის და I საუკუნეს დამლევს ეხება ქ. წ.

სტრაბონის აღწერილობის გარდა მე-V-VI სს. აღმოს. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების შესასწავლად ძვირფასი ცნობები იაკობ ხუცესის თხზულებაში და ევსტათე მცხეთელის მარ-

ტვილობაშიც მოგვეპოვება. ამ ძეგლის ისტორიული ღირსების შესახებ ჩემ მონოგრაფიაში „ისტორიის მიზანი“-ს I წიგნში მაქვს საუბარი და აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

დასასრულ ფრიად მნიშვნელოვან მასალას აგრეთვე საღმრთო წერილის ქართული უძველესი თარგმანი, მეტადრე მისი ხანმეტური რედაქცია გვაწვდის.

მართალია ჯერ სრული სურათის აღსადგენად ბევრი აუცილებელი საჭირო ცნობები გვაკლია, მაგრამ ყველა ამ წყაროების ცნობათა შედარებითი სესწავლა და შმოწმება მკვლევარს მანც საშუალებას აძლევს ძირითადი საკითხები წამოაყენოს და გააშუქოს. ქართული სამართლის ამ I წიგნის შინაარსი მხოლოდ I ს. ქ-წ. ხანით იწყება და მე-VII ს.ქ.შ. თავდება. ამაზე უძველესი ხანის შესახები მდგომარეობის გასათავლისწინებლად არც სანდო და საკმაო წერილობითი ცნობები მოგვეპოვება და აქ, ამ წიგნში არც იმ ფრიად საგულისხმოდ მასალების გამოყენება შეიძლება, რომელსაც ენის ტერმინოლოგიის ანალიზი გვაწვდის, რათგან ამისთვის ყოველი აზრისა, თუ დებულების დასასაბუთებლად იმოდენა წმინდა ლინგვისტური საკითხების წამოყენება-გაშუქება იყო საჭირო, რომ ქართული სამართლის ისტორია მაშინ წმინდა ისტორიულ ფილოლოგიურ გამოკვლევად იქცეოდა, რაც სრულებით შეუძლებელი იყო. რათგან ეს საკითხები ისტორიის წინა დროის ხანას ეხებიან და ამ პრობლემის განხილვას ჩემ ახალ სპეცილურ გამოკვლევაში ვაპირებ, ამიტომაც წინამდებარე თხზულების ქრონოლოგიური საზღვრები ზემოაღნიშნული საუკუნეებით მაქვს შემოფარგლული.

§ 2. სტრაბონის ცნობა

სტრაბონის აღწერილობა იბერიის სახელმწიფო და სოციალური წესწყობილების ძირითადი საკითხების შესასწავლად პირველი საუკუნის დამლევს ქ.წ. მკვიდრსა და სრულებით მკაფიო ცნობებს გვაწვდის. ამის წყალობით მკვლევარ სანდრო დასაყრდნობი აქვს, რომელიც მას საშუალებას მისცემ რეტროსპექტიურად უფრო

- 138 -

უძველესი ხანის მეგომარეობაც გაითვალისწინოს და ამავე სფეროში მოვლენათა მერმინდელი ცვლილების შესაფერებლადაც გამოადგება.

სტრაბონის სიტყვით მაშინდელ იბერიაში, ანუ აღმოსავლეთ საქართველოში ოთხგვარი მოსახლეობა ყოფილა. მოსახლეობის პირველ წრეს შეადგენდა ის, რომლისგანაც მეფეებს სვამდენ, სახელდობრ გარდაცვლილი მეფის შემდგომ წლოვანობითა და მახლობლობით უხუცესს წევრს. ხოლო მეფის შემდგომ მეორე, ალბათ ამავე ჰასაკისა და მახლობლობის თვალსაზრისით, უფროსი წევრი მოსამართლეობდა და სარდლობდა. მოსახლეობის მეორე წრეს ქურუმნი შეადგენდნენ, რომლთაც მეზობელ ერებთან საცილობელი საქმეების ე.ი. საერთაშორისო საქმეების მოწესრიგებაც ებარათ. მოსახლეობის მესამე წრეს ისინი შეადგენდნენ, რომელნიც სამხედრო საქმეებსა და მიწათმოქმედებას მისდევენ. დასასრულ მოსახლეობის მეოთხესა

და უკანასკნელ წრეს ის ხალხი შეადგენე, რომელნიც მეფის მონები არიან და ყველაფრით, რაც საცხოვრებლად საჭიროა, მეფეს ემსახურებიან. ხოლო ქონება იბერებს საერთო აქვთ საგვარეულოების მიხედვით, რომელსაც საგვარეულოს უხუცესი წევრი განაგებს (Geographica, Lib. XI, cap. III).

რასაკვირველია ეს აღწერილობა მეტად მოკლეა. ამის გამო უეჭველია იგი სრულ სურათსაც არ უნდა შეიცავდეს. მაგ. ვისაც სტრაბონის აღწერილობა აქვს წაკითხული იბერიის შესახებ და ის ცნობაც ახსოვს, რომლის მიხედვით მაშინდელი აღმოს. საქართველო საქალაქო დაწესებულებითა, მშვენიერი შენობებითა და სავაჭრო მოედნებით, გზებითა და ხიდებით მოფენილი ყოფილა, გაკვირვებული უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ გამოჩენილ ელლინთა მეცნიერს იბერიის არც ქალაქების მცხოვრებთა და არც ვაჭრობა-მრეწველობის მიმდევართა წრეების შესახებ არ მოეპოვება რაიმე ცნობები. რაკი მისი აღწერილობა ამ წრეების მაშინდელ იბერიაში არსებობას უცლობელჰყოფს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამის აღნიშვნა სტრაბონს გამორჩენილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ. მაგრამ სტრაბონის ამ სისრულეს მოკლებულ აღწერილობასაც მეცნიერებისათვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს და ძირითად წყაროს წარმოადგენს.

– 139 –

თავი II.

მიწაწყლის ერთეულები.

მიწაწყლისა და მოსახელობის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიაში ქართულ სახელმწიფო და სამწერლობო ენაში დროთა განმავლობაში დიდი ცვლილება მომხდარა: არა ერთ სიტყვას სრულებით შესცვლია მნიშვნელობა იმისდა მიუხედავად, რომ მისი ბგერითი შემადგენლობა და გარეგნული სრულებით უცვლელი დარჩენილა. ეს გარემოება განსაკუთრებულ სიფრთხილეს გვიკარნახევს, რომ ძველი ძველის შინაარსი შეცდომით მერმინდელი და თანამედროვე მნიშვნელობა არ გავიგოთ.

თუ ეხლა ამ თვალსაზრისით მივუდევით საკითხს და მიწაწყლისა და მოსახელობის ერთეულების ტერმინების მნიშვნელობის შესწავლას შევუდგებით, უნდა აღინიშნოს, რომ სრულებით შესცვლილია ტერმინის „სოფელი“-ს მნიშვნელობა, რომლსაც ეხლა და უკვე დიდი ხანია დაბის მნიშვნელობა აქვს. უძველეს ქართულ მწერლობაში „სოფელი“ ქვეყანასა და კნიშნავდა. იაკობ ხუცესის მე-V ს. თხზულებაში მაგ. ნათქვამია: შუშანიკის სანახავად „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“-ს (წამებად შუშანიკისი, ს. გორგამის გამ. 20 33-35). ევსტათე მცხეთელის მე-VI ს. მარტვილობაშიც სპარსეთის მარზპანი ევსტათეს ეკითხება: „რომლისა სოფლისა ხარ, ანუ რომლისა ქალაქისა“. ამას საპასუხოდ „წმინდანი ევსტათი ჰრქუა მას: „მე სოფლისა სპარსეთისა ვიყავი, [ვევისა არშაკეთისა, ქალაქისა განძაკისა ვიყავ.“ (იხ. ხელთ-

ნაწერის მიხედვით აღდგენილი ტექსტი, შეად. საქართველოს სამო-
თხეს 314, სადაც საგეოგრ. სახელები დამახინჯებულია). მეორე და-
კითხვის დროსაც ევსტატეს მოსამართლესთვის ასე უპასუხნია: „მე
ვიყავ ქვეყანასა სპარსეთისა, ჳევისა არმაკეთისა, ქალაქისა
განძაკისა“-ო(იქვე, საქართ. სამოთხე, 316)

სწორედ ამ უკანასკნელი წინადადებათგანა ჩანს, რომ პირველი
პასუხის გამონათქვამი „სოფლისა სპარსეთისა“ უდრის „ქვეყანა-
ნისა სპარსეთისა“-ს, ე. ი. „სოფელი“ ქვეყანას ჳნიშნავდა
და არა დაბას, როგორც შემდეგში დაეხლაცა ამიდე-
ბული. ასეთივე მნიშვნელობა იაკობ ხუცესის ნაწარმოებთგან
ზემო მოყვანილ ამონაწერშიაც და „აზნაურნი და უაზნონი სოფ-

ლისა ქართლისანი“ ჳნიშნავს ქართლის აზნაურებსა და უაზ-
ნონებს.

ამ ტერმინის სწორედ ასეთი მნიშვნელობა სრული უეჭველობით
სადმართო წერილის ძველი ქართული თარგმანითაც მტკიცდება. მაგ.
ბ შჯულის 3 4-5, და 14 ნათქვამია: „სამეოცი ქალაქი დავიპყარი
სოფლებითა მათითა“ და „ყოველი იგი გარემო სოფლები
არგობისა“ და „დაიპყტო ყოველი იგი სოფლები არგობისა“. ბერ-
ძნულად შესატყვისად ნახმარია περιχαρα“ და „περιχαρα“, სომხუ-
რად գաւառն, რაც მართლაც სანახებსა და ქვეყანას ჳნიშნავს.

ამ ტერმინს „სოფელი“ ქვეყანის აღმნიშვნელობა
თვით მე-VIIIს. დამლევა დმდეცა აქვს შენარჩუნებული
და იოანე საბანის ძესაც ნათქვამი აქვს; „ვდღესასწაულობდეთ
ხსენებასა ახლისა ამის წმინდისა მოწამისასა, რომელი ყოველსა ამას
სოფელსა ჩუენსა ქართლისასა მეოხ ჩუენდა ქრისტემან
მოგვანიჭა“-ო (წამებად ჳაბოდსი, საეკ. მუზ. გამ № 3, გვ. 35), –
ან კიდევ: „ქრისტჳს მიერთა სიყვარულითა შემიყურე მე ვიდრე
იყავ-და სოფელსა ამას შინა ჩუენსა“-ო (იქვე 36). ამის გა-
მო, როდესაც იგივე იოანე საბანის ძე მოგვითხრობს, რომ ხაზა-
რეთში „მრავალ არს ქალაქები და სოფლები ქვეყანასა მას ჩრდი-
ლოისასა“ (იქვე 17) რომ ჳაბო ტფილელი „სამისა წლისა ჟამთა
იქცეოდა ქალაქსა მას შინა (ტფილისში) და გარემო ეს ყოველსა
სოფლებსა განცხადებულად ქრისტიანედ“ (გვ. 22), უნდა ვიფიქ-
როთ, რომ ჩვენ ავტორს სოფლებად დაბები-კი არა, არამედ სანა-
ხები, თემები, ქვეყანა უნდა ჳქონდეს ნაგულისმები.

მე-IX-X ს-ით განმოყოლებული „სოფელი“ უკვე
წინანდებურად ქვეყანასა და სანახებს აღარ აღნიშ-
ნავს, არამედ დაბას.

ამგვარადვე უძველეს ხანაში სოფლის მერმინდელი და თანა-
მდედროვე მნიშვნელობის შესატყვისად ტერმინი „დაბა“ იხმარე-
ბოდა, რომლის პირვანდელი ფორმა უნდა „დაბანი“ ყოფილიყო. ამ
სიტყვას თავდაპირველად დაუმუშავებელი მიწისა და ნახნავის მნიშ-
ვნელობა უნდა ჳქონოდა და სვარურში „დაბ“ ეხლაც ხნულსა ჳნიშნავს.
იაკობ ხუცესს ნათვამი აქვს: „მოვიდა მონაჲ იგი დაბასა,
რომელსა სახლი ჳქონდა ცურტავ“ (გვ.2, II, 18-19),- „მივაწიე
დაბასა მას, რომლსა იყო ნეტარი შუშანიკ“ (გვ. 3, III, 29-30)

ევსტათე მცხეთელის მარტვილობაშიაც გვხვდება ეს ტერმინი (იხ. საქართ. სამოთხე 314-318) და აქვს ნათქვამია: „ჩუენი მ და ბ ი უ რ ი არს“-ო (გვ. 316), ე.ი. ჩვენი სოფლელი არისო. საღმრთო წე-

რილის ქართულ თარგმანში „დაბაა“ ბერძნულ $\chi\acute{\alpha}\mu\eta$ -სა და სომხურ $\eta\epsilon\lambda\eta$ ან $\zeta\epsilon\acute{\nu}$ უდრის ხოლმე (მათე 9³⁵, 10¹¹, 14¹⁵ და მარკოზ 8²³, 26, 27 და სხვაგანაც). აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ „დაბაა“ ბერძნული ტექსტის $\acute{\alpha}\gamma\iota\omicron\varsigma$ -სა და სომხურის $\alpha\delta\alpha\mu\alpha\varsigma\kappa$ -ს უდრის (მარკოზ 5¹⁴). ეს გარემოება იმის დასამტკიცებელი, რომ ამ სიტყვას თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა სამწერლობო ქართულშიაც ჯერ კიდევ მე-V-ს ქ. შ-აც შენარჩუნებული ჰქონდა.

მოსახლეობის ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინად სიტყვა „ს ა - ხ ლ ი“-ც იხმარებოდა. ი ა კ ო ბ ხ უ ც ე ს ს მ ა გ. დასახელებული ჰყავს „ეპისკოპოსი იგი ს ა ხ ლ ი ს ა დ მის პ ი ტ ი ა ხ შ ი ს ა დ (გვ. 3, III, 17-18). შუშანიკზე ნათქვამი აქვს, რომ გარდაცვლის წინ „მოუ-წოდა ე პ ი ს კ ო პ ო ს ს ა მ ი ს ი ს ა ს ა ხ ლ ი ს ა ს ა“-ო (გვ. 21, XVIII, 26) ამ ისტორიკოსის თხზულებითგანვე ჩანს, რომ ეს პიტიახშის „სახლი“-ს ეპისკოპოზი ცურტავის, ანუ ჰერეთის ეპისკოპოზო ყოფი-ლა. აქეთგან ცხადი ხდება, რომ ქართლისა პიტიახშის სამფლობე-ლოს გარკვეულ ერთეულს „სახლი“ ჰრქმევია. 506 წ. ბაბგენ სომეხ-თა და გაბრიელ ქართლისა კათალიკოზების თავმჯდომარეობით შე-კრებილი ჯრების ძეგლის წერიშ ხელრთვაშიაც იხსენიება « $\kappa\alpha\chi\eta\lambda\iota\sigma\tau\alpha\iota$ $\mu\epsilon\tau\alpha$ $\mu\alpha\delta\alpha\mu\alpha\tau\omicron\mu\lambda\iota\sigma\tau\alpha\iota$ $\tau\omicron\upsilon\alpha\iota\sigma\iota\varsigma$ », „სამეფო სახლის ეპისკოპოსი“ (Գիլք $\mu\eta\lambda\omicron\mu\eta\gamma$, 182-183). ამ შემთხვევაშიაც აღმოს. საქართველოს მეფის პირადი, მისი კარის ეპისკოპოზი-კი არ იგულისხმება, არამედ იმ მიწა-წყლის მღვდელმთავარი, რომელიც მის უშუალო სამფლობე-ლოს შეადგენდა.ამავე მნიშვნელობის მქონებელია ეს სიტყვა გამო-თქვამში „მ ც ხ ე თ ი ს ა ს ა ხ ლ ი“, რომელიც საქართველოს აღსა-ნიშნავად იხმარებოდა.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთა-ვართა სამწყსოების საზღვრების აღწერილობის შემცველ ძეგლში მაწყვერელის სამრევლოდ დასახელებულია „სადგერი, სულ აწყუერი, დ ი ა ს ა მ ი ძ ი ს ს ა ხ ლ ი, ახალციხე და ახალციხის წყლის გაღმართი და გურიის წარდგომამდის“, – ხოლო წურწყაბელის კუთვნილებად იხსენიება „ხ უ რ ს ი ძ ი ს ს ა ხ ლ ი ს უ ლ ა, ბოცოთ-ჰევი ხერთვისის ქვეით მისია“-ო. (იხ. დ. ბაქრაძის АПГАдж. გვ. 81). ცხადია ამ ცნობაში „დიასამიდის სახლი“ და „ხურსიდის სახლი“ დიასამიძეან-თა და ხურსიძიანთ საკუთარ სახლსა და სამოსახლო ადგილს-კი არა, არამედ მიწა-წყლის ერთეულს აღნიშნავს. ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ს ა ც თავის საისტორიო თხზულებაში ნათქვამი აქვს: „ოდეს განუყო აფ-რიდონ ყოველი ქვეყანა სამთა ძეთა მისთა, მაშინ რომელსაცა ძესა მისცა ს ა ხ ლ ა დ სპარსეთი, მასვე ხვდა წილად ქართლი“-ო (ც^ა მე-

ფეთა* 111, გვ. 10. ამ წინადადებაშიაც „სახლი“ სამფლობელოს, საბრძანებელს ჰნიშნავს.

ყოველი ზემომაცვანილი მაგალითებითგან ცხადადა ჩანს, რომ „სახლი“ ძველად მარტო ოჯახის საცხოვრებელ ადგილს-კი არ ერქვა, არამედ მიწაწყლისა და ადმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინადაც იხმარებოდა. რაკი გვარსაც, როგორც დავრწმუნდებით, ძველად „სახლი“ ჰქმევია, ამიტომ ადმინისტრაციულ ერთეულთა ტერმინოლოგიაში ეს სიტყვა უეჭველია გვაროვნული წესწყობილების დროს უნდა შესული და სწორედ ამ ხანის უკვე მცირეოდენ ნაშთთან-ლა უნდა გვეკონდე საქმე ყველა ზემომაცვანილი მაგალითებში.

ტერმინი „ქუეყანა“ უძველეს ქართულ სამწერლო ბოენაში მიწასა და დედამიწას აღნიშნავდა. ამიტომ არის რომ სახარების თარგმანში მთესველის შესახებ იგავში ნათქვამის, რომ ერთი თესლითაგანი „დავარდა ქუეყანასაკეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა“-ო, ე. ი. კარგ მიწაზე, ნიადაგზე დავარდაო. იოანეს თავის სახარებაშიაც 96 სწერია: „ჰნერწყუა ქუეყანასა და შექმნა თიჯამ ნერწყვსაგან“, ე. ი. დედამიწას დააფურთხაო. ამ სიტყვას ასეთი მნიშვნელობა მე-X საუკუნდემდისაც-კი შერჩა და გ. მეჩულს აღნიშნული აქვს, რომ გრიგოლ ხანძთელი პირველ მეუღაბნოეთაგან ისწავლებდა „ქუეყანასა ზედა წოლასა“-ო (ც~გ~გ~ხნ~თლსა გვ. ზ. 43), ე. ი. მიწაზე წოლას შეეჩვიაო.

მაგრამ ასეთი მნიშვნელობის გარდა „ქუეყანა“ იმ მნიშვნელობითაც იხმარებოდა, როგორც ეს სიტყვა ეხლა გვესმის. იაკობ ხუცესს მაგ. ვარსქენ ქართლისა პიტიახშის შესახებ ნათქვამი აქვს, რომ სპარსეთის მეფისაგან გამომგზავრებული „მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასას მას ჰერეთისასა“-ო (გვ. 2, II, 12-13). ჰერეთის იმ თემის შესახებაც, სადაც შუშანიკი იყო საპყრობილეში ჩამწყვდეული, ჩვენ ისტორიკოსს ნათქვამი აქვს, რომ იქური ჰავის მავნელობის გამო „მოხუცებულნი არავინ არს მათ ქუეყანათა“-ო (გვ. 17, XIV, 29-30). ევსტათე მცხეთელის ჩვენებაშიაც ნათქვამია: „მე ვიყავ ქუეყანისას სპარსეთისა“-განაო (საქართ. სამოთხე, 316). შემდეგში მეტადრე მე-IX ს-ითგან მოყოლებული, რაკი „სოფელი“ უკვე დაბის აღმნიშვნელად იქცა, „სოფლის“ პირველადი მნიშვნელობა განსაკუთრებით სიტყვა „ქუეყანა“-ზე გადავიდა, რომელმაც თავის მხრით თავისი პირველადი მიწისა და დედამიწის აღმნიშვნელობა

დაკარგა და ჩვეულებრივ მხოლოდ იმ მნიშვნელობით-ლა იხმარებოდა, როგორც ეს სიტყვა ეხლაც გვესმის.

მიწაწყლის ერთეულის აღმნიშვნელ ჩვეულებრივ ტერმინად „ვევი“-ც იხმარებოდა. ევსტათე მცხეთელის მარზპანისათვის დაკითხვის დროს განუცხადებია: „მე ვიყავი ქუეყანისა სპარსეთისა, ჯევი-სა არშაკეთისა, ქალაქისა განძაკისა“-ო. (საქართ. სამოთხე 316).

ცხრათა ძმათა კოლაელთა მარტვილობაშიც ნათქვამია: „ოყო სოფელი ერთი დიდი თავსა-ზედა დიდისა მის მდინარისა, რომელსა ჰრქვან მტკუარი, ჯევის რომელსა ჰრქვან კოლა“ (ნ. მარის

გამ. TP V, 55). ქვეყნის ხეცებად დაყოფვა გეოგრაფიულ თვისებებ-

ზეა დამყარებული და საქართველოს მომეტებულ ნაწილისათვის ამიტომ ჩვეულებრივი იყო.

მიწაწყლისა და მოსახლეობის ცალკე ერთეულს შეადგენდა რასაკვირველია „ქ ა ლ ა ქ ი“-ც. ევსტათე „ცხეთელის მარტვილობაში ნათქვამის, რომ სპარსეთითგან ევსტათე „მოვიდა იგი ქ ა ლ ა ქ ა დ მ ც ხ ე თ ა დ“, ხოლო როდესაც თანამემამულეთაგან დასმენილი და მამპაპეული სარწმუნოების დალატისათვის შპყრობილ იქმნა მცხეთისა ციხისთავთაგან, წინსწარი გამოძიების შემდგომ ციხისთავს გადაუწყვეტია: „წარუძღუნაო ეგე ტ ფ ი ლ ი ს ს ა ქ ა ლ ა ქ ს ა არვანდ გუშნასპს ქართლისა მარზპანსა“-ო. (იხ. ყოფ. საეკ. მუზ. ხელთ. №№ 130 და 170).

III თავი

მოსახლეობის ერთეულები

მოსახლეობის ერთეულების აღმნიშვნელ ტერმინებად უძველეს ქართულ ნათარგმნსა და ორიგინალურ ძეგლებში „თ ე ს ლ ი“, „ნ ა - თ ე ს ა ვ ი“, „ტ ო ჰ მ ი“ და „ე რ ი“ გვხვდება.

„თ ე ს ლ ი“ საღმრთო წერილის თარგმანებშია ნახმარი ბერძნული σῆμα და სომხური սեմի-ის შესატყვისად (მაგ. შესაქმეთაჲ 21^{12,13} და სხვაგან). ი ა ვ ო ბ ხ უ ც ე ს ს ნახმარი აქვს გამოთქვაში „თ ე ს ლ - ტ ო მ ი“. მას აღნიშნული აქვს, რომ ცოლზე გულმოსული ვარსკენ პიტიახში „აგინებდა . . . თ ე ს ლ - ტ ო მ ს ა მის-სა და სახლისა მახრებლად სახელ-სდებდა“ (გვ. 8, VI, 12-13).

უცხო შთამომავლობისა და ეროვნების აღმნიშვნელი ტერმინიც ამავე სიტყვითგან ნაწარმოებ სიტყვას წარმოადგენდა. დაბადების ქართულ თარგმანში ამ ცნების გამოსახატავად „უ ც ხ ო - თ ე ს -

- 144 -

ლ ი“ -ა ნახმარი, რომელიც ბერძნულს ἀλλότριος-ს და სომხურს օտարևի-ს უდრის .

„ნ ა თ ე ს ა ვ ი“ თესლის შთამომავალსა ნიშნავდა და შემდეგ ტომის მნიშვნელობაც ჰქონდა. მაგ. შესაქმეთა 105 ნათქვამია: „ამათგან განიყუნეს... თვთეული ენად-ენად ტ ო მ თ ა შ ი ნ ა მათთა და ნ ა თ ე ს ა ვ თ ა შ ი ნ ა მათთა“. ამავე წიგნის 2729 სწერია: „გმსახურებდენ შენ ნ ა თ ე ს ა ვ ნ ი“, ხოლო გამოსვლათა 61^{4,16} აღნიშნულია: „ესე არიან ნ ა თ ე ს ა ვ ნ ი რუნბენისნი“, ნ ა თ ე ს ა ვ ი ს ა ე ბ რ მათისა“-ო. ამ ამონაწერებში „ნათესავი“ ბერძნული τὸ εἶνος-ის და ἡ συγγενία-ს, ხოლო სომხური տղւմ-ისა და ազգ-ის შესატყვისად არის ნახმარი.

„ტ ო ჰ მ ი“, ანუ „ტ ო მ ი“ სპარსული სიტყვაა. სპარსულში „ტუხმ“ თესლსა ჰნიშნავს. სპარსულითგან ეს ტერმინი ასურელებსაც აქვთ „ტუჰმა“-ს სახით შეთვისებული და სომხურშიც არის տղւմ-ის სახით. აღსანიშნავია, რომ დაბადების ქართული თარგმანის შესაქმეთა 105, „ტომთა შინა მათთა“ უდრის ბერძნულს φυλαίσαυτῶν და სომხურს ազգս იმ დროს, როდესაც ამავე მუხლის „ნათესავთა“ სომხ. Տղւմ-ის შესატყვისობად გამოდის. გამოსვლათა 616-ში „ტომნი“ ბერძნულს

αὐτῶν -ს და სომხურს ցելქ-ს უდრის. ეს ტერმინი იაკობ ხუცესის ნაწარმოებში არის ნახმარი „თესლ-ტომი“-ს სახით (გვ. 8, VI,12-13).

ტომი და ნათესავი იმით განსხვავდებიან ერთიმეორისგან, რომ პირველი უცხო სიტყვაა და მერმინდელი შენათვისებია, მეორე-ვიწინამდელი ქართული და ძველი ტერმინი არის. ამას გარდა ნათესავი ნათესაობას აღნიშნავდა და უფრო ფართო მნიშვნელობითაც, ეროვნების აღსანიშნავდაც იხმარებოდა, – ტომს - კი ასეთი ფართო მნიშვნელობა არ ჰქონია და გვარს, ან გვართა ჯგუფს აღნიშნავდა.

მთელი მოსახლეობის სქესისა და ჰასაკის და მიუხედავად შემკრებელობით აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად ძველ ქართულ მწერლობაში „ერი“ იხმარებოდა. იაკობ ხუცესს აღნიშნული აქვს, რომ როდესაც შუშანიკის მის ქმარს ქართლისა პიტიახშს ციხეში დასამწყვდევად მიჰყავდა, მას თურმე მისდევდა „ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისა, სიმრავლეს ურიცხვს, რამეთუ უკანა შეუდგეს, ჳმა აღმალა და ტიროდეს“. მაშინ „შუშანიკ უკმოხედნა ერსა მას და ჰრქუა მათ: „ნუ სტიროთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შვილნო

ჩემნო“-ო. როდესაც პიტიახშმა იხილა „ტირილი მამათა და დედათა, მოხუცებულთა და ყრმათა“, დაედევნა და ყველანი გაფანტაო (გვ. 124-19). ამ ამონაწერითგან ჩანს, რომ ორთავე სქესისა და ყოველივე წლოვანობის ხალხის სიმრავლე „ერი“-ს ზოგადი სახელით იყო ცნობილი.

მე-V ს-შიაც ქ. შ. „ერი“ ორ მთავარ ნაწილად იყოფებოდა: ერთს შეადგენდენ სასულერო პირნი, მეორეს საერონი, ანუ ერისკაცნი. პირველი ჯგუფის აღსანიშნავ ტერმინად იხმარებოდა „მდეღელთაგანი“, მეორე ჯგუფის წარმომადგენელს „ერისკაცი“ ეწოდებოდა. იაკობ ხუცესის სიტყვით წა შუშანიკს გამწარებითა და საყვეურით უნდა ეთქვას: „არცა მდეღელთაგანი ვინ იპოვა მოწყალე, არცა ერისკაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას, არამედ ყოველთა მე სიკუდილდ მიმითუალეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენს“ (გვ. 7, V 10-14).

უკვე სტრაბონის დროს მოსახლეობაში ქურუმნი და მიწის მოქმედნი განცალკევებულ წრეებად იხსენიებიან. იბერიის მოსახლეობის განსაკუთრებულ და მეორე წრეს ქურუმნი შეადგენდენ, რომელთაც თავიანთი პირდაპირი მოვალეობის, მღვდელთმსახურების, გარდა საერთაშორისო საქმეებიც ჰპარებიათ. სტრაბონის ცნობის მეტისმეტი სიმოკლის გამო, არა ჩანს, წარმოადგენდა თუ არა ქურუმთა წრე სრულებით გამოცალკევებულ სოციალურ ერთეულს, ჰქონდა თუ არა მას წოდებრივობის თვისებები. უეჭველია მხოლოდ, რომ ქურუმობა ალბათ მემკვიდრეობითი პატივი უნდა ყფილიყო ამა-თუ იმ საგვარეულოებში. მაგრამ თვით ქურუმობის მიღებისა და დამკვიდრების წესის შესახებ, ცნობების უქონლობის გამო, ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება. უძველეს დროითგან ქართველთა შორის გავრცელებული

მნათობთა-თაყვანისცემა მის მღვდელმსახურთაგან ვარსკვლავთმრიცხველობის ცოდნას მოითხოვდა. თვით ქურუმთა შემადგენლობა უეჭველია რამდენიმე უფროს-უმცროსობაზე დამყარებული ხარისხის მქონელები უნდა ყოფილიყო, სხვადასხვა მოვალეობის აღმსრულებელი საფეხურების წარმომადგენელი უნდა ყოფილიყვნენ. ამიტომ ქურუმთა წრეს უეჭველია თავისი შინაგანი ორგანიზაცია უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამის შესახებ ჯერ-ჯერობით არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება.

მოსახლეობის მთავარ ნაწილს, რომელიც სტრაბონის აღწერილობის თანახმად მესამე წრედით ვლავდა, მთელი ხალხი შეადგენდა, რომელიც მიწისმოქმედებასა და მოლაშქრეობას მისდევდა. აღსანიშნავია, რომ ამ

- 146 -

ორი ხელობის მიმდევარი ცალ-ცალკე, განსაკუთრებულ სოციალურ ერთეულს არ შეადგენდენ, არამედ ერთ ოდენობად ჰყავს სტრაბონს დასახელებული. საფიქრებელია, რომ ეს იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ დღევანდელი მიწისმოქმედი ხვალ, თუ ქვეყანას გასაჭირი დაადგებოდა, ან სახელმწიფოს ინტერესი ამას მოითხოვდა, მეომრად გახდებოდა. ეს რომ სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო, ამას ერისა და მეომრის აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინიც ამტკიცებს. საღმრთო წერილის უძველეს ქართულ თარგმანებში ხალხის აღმნიშვნელ სიტყვად იხმარება „ერი“, რომელიც სათანადო ადგილას ბერძნულ ἄχλις, ან λαός-ს უდრის და სომხურს արմუ, ან ძողიძიძი (მათე 2647,55,-მარკოზ 14⁴³, ლუკა 84, 19⁴⁷ და იოანე 11⁵⁰). ამავე დროსა და ხანაში „ერი“ ჯარსაც აღნიშნავდა. მაგალითად მესუკავეთა მარტვილობის ქართული თარგმანის წინადადება „ამიერითგან ერის კრება ყო“ (ხახანაშვილი. MΓAr. 127) სომხური დედნის „այնուღեսის ცირი კონარესა“ (Մովսես Գաղ 19, 34), ხოლო ამავე ძეგლის ცნობა, „ესამარ არესა“ (იქვე 39) ქართულად ნათარგმნია „ადრიცხვა ყო ერისა“ (იქვე 14⁴⁵). ამგვარად ქართული ერი სომხურ ცირ „ზორ“-ს, ანუ ჯარს უდრის. სახარების ქართულ თარგმანშიაც ჯარისკაცის აღმნიშვნელ ერთად-ერთ ტერმინად „ერისაგანი“ იხმარება და ბერძნულს στρατιωტიც-ს და სომხურს ცირაკან-ს, ან ცხისანი-ს უდრის (მათე 8⁹, 28¹², იოანე 192,32,34). ამავე დროსა და ამავე ძეგლში „ერისაგანი“ ხალხისაგანსაც ჰნიშნავს და ბერძნულს ἕκ τῶν ἄχλις და სომხურს ძողიძიძი-ს უდრის (ლუკა 1213). ამგვარად ირკვევა, რომ ძველ ქართულ სამწერლობო ენაში ხალხისა და ჯარისათვის ერთი და იგივე სიტყვა იხმარებოდა და ეს გარემოებაც იმის დამადასტურებელია, რომ სტრაბონის დროს აღმოს. საქართველოში გაცალკევებული სამხედრო და მიწისმოქმედთა სოციალური ერთეულები არ უნდა ყოფილიყო ¹. რაკი იბერიაში გაჭირვების დროს სა-

¹) პროფ. გ. ადონცის ნათქვამი აქვს: სტრაბონის ცნობა ისე უნდა იქმნეს გაგებული, რომ რათგან ბარის მცხოვრებნი უფრო მიწისმოქმედებას მისდევდენ და მშვიდობიან ცხოვრებას ეტანებოდენ, მთის მცხოვრებნი-კი უფრო მოლაშქრეობას რჩებოდენ, თუმცა არც მათთვის იყო მიწისმოქმედება უცნობი, ვითომც

ამიტომ იხსენიებს სტრაბონი მესამე წრეში მიწისმოქმედებისა და მოლაშქრეობის მიმდევართ (იხ. Армения в эпоху Юстиниана. 1908 წ., გვ. 407, შენ. 1). ამგვარად ისე გამოდის, თითქოს სტრაბონი მიწისმოქმედებად ბარელებს ჰგულისხმობდა, მოლაშქრეებად-მთიელებს. მაგრამ ეს სრულებით მცდარი აზრია. ს ტ რ ა -

- 147 -

ლაშქროდ ყველა სრულჰასაკოვანს შეეძლო გამოსვლა, ამიტომ არც გასაკვირველია, რომ აღმოს. საქართველოს ს ტ რ ა ბ ო ნ ი ს ცნობით ალბანელთა 60000 ქვეითობისა და 22000 მხედრობაზე ნაკლების გამოყვანა შესძლებია (Geographica lib. XI, cap. IV, 5).

გ ვ ა რ ი ს ა ღ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ი თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ი ტ ე რ მ ი ნ ი უძველეს ქართულ ძეგლებში არ გვხვდება, მაგრამ უ ე ჭ ვ ე ლ ი ა „ს ა ხ - ლ ი“ უ ნ დ ა ყ ო ფ ი ლ ი ყ ო. ამისი კვალი როგორც სხვადასხვა ტერმინებში ჩანს, ისევე მე-IX-XI სს. ძეგლებშიც. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ს მატთანეში მაგ. ნათქვამია, რომ აზომ ქართველთა ამიერკავკასიაში გადმოსახლებისას თავდაპირველ სამშობლოთგან „წარმოიყვანა რ ვ ა დ ს ა ხ ლ ი და ათნი სახლნი მამამშუპეთანი“ (ე. თაყაიშვილის Опис. II, 709). ცხადია, რომ აქ 8 „სახლი“ 8 მთელ გვაროვნებას უნდა ჰქონებოდა, რათგან მარტო 8 ოჯახს ქვეყნის დაპყრობა და დამკვიდრება არ შეეძლო.

ამას გარდა ერთი გვარის მქონებელ პირებს, თუნდაც მათ შორის არავითარი ნათესაობაც-კი აღარ ყოფილიყო, „სახლისკაცები“ ეწოდებოდა. უეჭველია ეს ტერმინიც იმის მომასწავებელია, რომ ყოველი ცალცალკე გვარის აღსანიშნავად „ს ა ხ ლ ი“ იხმარებოდა. ამ გარემოების დამამტკიცებელი მაგალითების უქონლობა მე-V-VI სს. ძეგლებში იმით აიხსნება, რმ ამ დროისათვის გვაროვნული წესწყობილება უკვე დარღვეული იყო და ამას გარდა სპარსული ტერმინები იყო უკვე შემოხიზნული.

თავი მე-IV-ე.

გვაროვნული წესწყობილება.

§ 1. საგვარეულო წესწყობილება I ს. ქ. წ.

უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ლ. მ რ ო ვ ე ლ ს ქართველი ერის უძველესი სოციალური წესწყობილება ერთ ცოლქმრობაზე დამყარებული ოჯახის სახით ეხატებოდა, მაგრამ ეს სურათი საქმის ნამდვილ ვითარებას რომ სრულებით არ შეეფერება, ამას ს ტ რ ა - ბ ო ნ ი ს აღწერილობაც ამტკიცებს. მართალია გამოჩენილი გეოგრაფის ცნობა I ს. ეკუთვნის ქ. წ., ლ. მ რ ო ვ ე ლ ი-კი ქართველი ერის

ბ ო ნ ს თუმცა აღნიშნული აქვს აღმოს. საქართველოს ბარელთა და მთიელთა მიდრეკილება, მაგრამ არსად ნათქვამი არა აქვს, რომ ჯარს მარტო მთიელები შეადგენდენ. პირიქით მას გარკვევით აქვს აღნიშნული ბარელთა შეიარაღების წესი. ამნაირად ა დ ო ნ ც ი ს განმარტება ს ტ რ ა ბ ო ნ ი ს ცნობითგან არ გამომდინარეობს და მის სიტყვებს ეწინააღმდეგება კიდევ.

უძველესი ხანის წესწყობილების დახატვასა ლამობდა, მაგრამ მაინც სოციალური ცხოვრების მიმდინარეობა არ შეიძლება მთლად უკულ-მა მოტრიალებულიყო.

ს ტ რ ა ბ ო ნ ი ს აღწერილობაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსი მაშინდელ აღმოს. საქართველოში საგვარეულო მიწისმფლობელობის არსებობის შესახები ცნობაა. მისი სიტყვით, ქ ო ნ ე ბ ა ი ბ ე რ ე ბ ს ს ა ე რ თ ო ჰ ქ ო ნ ი ა თ ს ა გ ვ ა რ ე უ ლ ო თ ა მ ი ხ ე - დ ვ ი თ და ა მ ს ა ე რ თ ო ს ა გ ვ ა რ ე უ ლ ო ქ ო ნ ე ბ ა ს გ ვ ა რ ი ს უ ხ უ ც ე ს ი წ ე ვ რ ი გ ა ნ ა გ ე ბ და. მ ა შ ა ს ა დ ა მ ე კ ე რ ძ ო ს ა - კ უ თ რ ე ბ ა მ ა შ ი ნ, უ მ რ ა ვ ი მ ა ი ნ ც, ა რ ყ ო ფ ი ლ ა. უ მ რ ა ვ ი ქ ო ნ ე ბ ა გ ვ ა რ ი ს ს ა ე რ თ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა ი ყ ო და თ ვ ი თ ა მ ქ ო ნ ე ბ ი ს მ ო ვ ლ - გ ა მ გ ე ო ბ ა ც ს ა ე რ თ ო ვ ე ყ ო ფ ი ლ ა, რ ა - თ ვ ა ნ მ ის ი მ ა რ თ ვ ა - გ ა მ გ ე ო ბ ის უ ფ ლ ე ბ ა გ ვ ა რ ი ს უ ხ უ ც ე ს წ ე ვ რ ს ა ჰ ქ ო - ნ ი ა ხ ე ლ თ ა.

რა უნდა ჰრქმეოდა სახელად ამ გვარის უხუცესს, რომელიც სა-გვარეულოს უზენაესი ბატონპატრონი ყოფილა? თუ იმ გარემოებას ანგარიშს გაუწევთ, რომ ტერმინი „გვარი“ მე-XI ს-ზე უწინარეს ქართულ სამწერლობო ენაში არა ჩანს და „ტომი“-ც უცხო სიტყვაა და სპარსულისგან არის შემოსული და უძველესი ქართულისათვის აგრეთვე უცნობი სიტყვა იყო, მხოლოდ ორი სიტყვა „ნათესავი“ და „სახლი“-ა გვრჩება, რომელიც გვარის აღსანიშნავად შესაძლე-ბელია მიღებული ყოფილიყო. ხოლო რათგან ერთიდაიმავე სა-გვარეულოს წევრს და ერთიდაიმავე გვარის მქონებელ ადამიანს ქართულად „ს ა ხ ლ ი ს კ ა ც ი“, ან „ს ა ხ ლ ი ს შ ვ ი ლ ი“ ეწოდებო-და და ეხლაც ეწოდება, აქეთგან ცხადი ხდება, რომ გვარს, რო-გორც დავრწმუნდით, უძველეს დროს „ს ა ხ ლ ი“ ჰრქმევია.

ამის შემდგომ ადვილი მისახვედრია, რომ ს ტ რ ა ბ ო ნ ი ს დ რ ო - ი ნ დ ე ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა გ ვ ა რ ე უ ლ ო ს ი მ უ ხ უ ც ე ს წ ე ვ რ ს, რ ო მ ე ლ ს ა ც გ ვ ა რ ი ს ს ა ე რ თ ო ქ ო ნ ე ბ ი ს მ ა რ თ ვ ა -

გ ა მ გ ე ო ბ ა ჰ ქ ო ნ ი ა ჩ ა ბ ა რ ე ბ უ ლ ი, „მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი“ უ ნ დ ა ჰ რ ქ მ ე ო და ს ა ხ ე ლ ა დ.

თუმცა იმ დროინდელი ქართული წყაროების უქონლობის გა-მო ამ დებულების სიმართლისა და სისწორის დასამტკიცებლად პირ-დაპირი ცნობები არა გვაქვს, მაგრამ არაპირდაპირი არა ერთი მოიპოვება. ამ თვალსაზრისით მაგალითად მკვლევარისათვის მეტად საგულისხმო და მნიშვნელოვანი გარემოება ირკვევა, თუ ქართული სახარების უძველესი, ხანმეტი თარგმანის მ ა თ ე ს თ ა ვ ის X²⁵ ტექსტს ჩაუკვირდებით, მე- X ს. რედაქციით ეს მუხლი ასეა წარმოდგენილი:

- უკუეთუ ს ა ხ ლ ი ს ა უ ფ ა ლ ს ა ბ ე ლ ზ ე ბ უ ლ ი თ ჰ ხ ა დ ო დ ე ს, რ ა ო დ ე ნ უ ფ რ ო მ ს ს ა ხ ლ ე უ ლ თ ა მ ის თ ა - ო. აქ „ს ა ხ ლ ი ს უ ფ ა ლ ი“ არის ბერძნული ὁ οἰκὸδεσπότης-ისა და სომხური տանուտէր-ის შესატყვისო-ბა, ხოლო „ს ა ხ ლ ე უ ლ ნ ი“ ბერძნულ ὁ οἰκιοῦ-ს და სომხურს ըն-տանիք-ს უდრის. მართლაც ქ ა რ თ უ ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ი ს „ს ა ხ -

ლის-უფალი“ ბერძნულს οἰκονομία და სომხურს տնտես-
տեղ-ს ზედმიწევნით გამოჰხატავს, რათგან οἰκονομία და
տეղ სწორედ რომ უფალსა ჰნიშნავს.

მაგრამ ეს მუხლი ჩვენს პირველ მთარგმნელებს ასე
არ გადმოუთარგმნიათ: პალიმფესტად დაცულ ხან-
მეტსახარებაში სახლის უფლის მაგიერ სწერია „მა-
მასახლისა“ და ასევე ეს ადგილი ჰადიშის მე-IX ს. სახარე-
ბის ხელთნაწერში დაცული. ქართველმა პირველმა მთარგმნელებმა
რასაკვირველია კარგად იცოდენ, რომ οἰκονομία და თეღ ქართულად
„უფალი“-ა. ეს სიტყვა მათ არა ერთხელ აქვთ თავიანთ თარგმანში
ნახმარი. მაშასადამე მათაც შეეძლოთ ეს ტერმინი „სახლისუფალი“-ად
გადმოეთარგმნათ, ან ნამდვილი ქართული სიტყვა „მამფალი“ ეხმა-
რათ, მაგრამ ისინი ასე არ მოქცეულან. ტერმინ „მამფალი“-ში სახ-
ლის უფროსობის ცნების გამომხატველი სიტყვა წარმოდგენილი არ
არის და ამიტომ გამოსადეგი არ იყო. ხოლო თუ „სახლისუფალი“-
ს მაგიერ „მამასახლისი“ იყო ნახმარი, უეჭველია
იმითომ, რომ მაშინ ეს სიტყვა ერთად-ერთი ჩვეულებ-
ბრივი ზოგადი ქართული ტერმინი უნდა ყოფილიყო
სახლის უფროსისა და უხუცესი წევრის აღსანიშნავ-
ად. შემდეგ საუკუნეებში, როდესაც ძველი გვაროვნული წესწყო-
ბილება უკვე დარღვეული იყო, სახარების ქართული თარგმანის
ბერძნულთან შეწამების დროს მიუქცევიათ ყურადღება, რომ ძველი
ქართული ტერმინი „მამასახლისი“ ბერძნული οἰκονομία-ის ზედ-
მიწევნითს შესატყვისობას არ წარმოადგენს და ამის გამო სამართ-
ლიანად უფრო სწორედ „სახლისუფალი“ მიიჩნიეს.

ესეც არის კიდევ აღსანიშნავი, რომ იმ ფაქტის გასათვალის-
წინებლად, თუ რამდენად ძლიერი ყოფილა გვაროვნული წესწყობი-
ლების ნიადაგზე წარმოშობილი ადმინისტრაციული ტერმინი „მამა-
სახლისი“, ის საგულისხმო გარემოებაც ამტკიცებს, რომ როდესაც
საქართველოში მეუდაბნოეობა და სამონასტრო დაწესებულებები გაჩნ-
და, მონასტრისა და ბერმონაზონთა სათავეში მდგომ თანამდებობის
პირსა და უფროსს „მამასახლისი“-ვე ეწოდა, თუმცა იქ გვარის მსგა-
ვსი არაფერი იყო და მონაზონთა მთელ მისწრაფებას ხორციელ ნათე-

საობასთან და ნათესავებთან ყოველივე კავშირის შეწყვეტა და
უარყოფა შეადგენდა.

§ 2. სოფლების გვაროვნებათა მიხედვით დასახლე- ბულობა.

საგვარეულო წესწყობილების მნიშვნელობის საკითხის გამო-
რკვევის შემდგომ საქართველოს სოციალური ცხოვრებისათვის უძვე-
ლეს ხანაში, თავისდა თავად იზადება აზრი, რომ მოსახლეობაც
საქართველოში გვაროვნობათა მიხედვით უნდა ყო-
ფილიყო დაშენებული. უძველესი ხანისათვის ამის დამამტკიცე-
ბელი საბუთების მოყვანა წერილობითი ძეგლებითგან რასაკვირველია
შეუძლებელია და შემდეგშიაც მხოლოდ იმ დროითგან, რა დროსაც

ხალხის აღწერის დავთრებია გადარჩენილი, მკვლევარს საშუალება აქვს ამ საკითხის შესასწავლად სანდო ცნობები ხელთ იქონიოს. სამწუხაროდ მე-XVIII ს-ზე უწინარესი დროის ამგვარი ძეგლები ჯერ აღმოჩენილი არ არის და ამ დროისაც საქართველოს მხოლოდ ზოგიერთი თემისა და ხეობის აღწერილობა მოგვეპოვება, მთელი საქართველს მთლიანი სურათის აღსადგენად-კი მასალები ჯერ არ არსებობს. ამისდა მიუხედავად მაინც არაგვისა და ქსნის ხეობათა მე-XVIII ს. ხალხის აღწერის დავთრებიც ფრიად საგულისხმო დასკვნის გამოყვანის საშუალებას გვაძლევს.

ამ 1774 და 1781 წ. წ. დავთრებითგან ჩანს, რომ მე-XVIII ს. მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ შ ი ა ც ა რ ა ე რ თ ი ს ო ფ ე ლ ი ყ ო ფ ი ლ ა, რომლის მთელი მოსახლეობა მხოლოდ ერთ გვარეულობას ჰკუთნებია. მაგ. არაგვის ხეობის: ს. ქვემო მლეთის ყველა მცხოვრებნი ბურდულები ყოფილან, სეთურთკარში ყველანი სეთურიძეები იყვნენ, ჯალუმანთ-კარში ყველანი ჯალუმიძეები, კაიშაურთ-კარში – კაიშაურნი, ქოროლოს – წამალაიძენი, სვიანანთ-კარში – სვიანაიძენი, ციხიანთ-კარში – ციხიაურნი, როროს – ბედოიძენი, გვიდაქეს – ბუჩუკურნი, ჩონჩოს – ნარიმანიძენი, ბექიანთ-კარს – ბექიაურნი, ჩოქურს – ჩოქურნი, კობიანთ-კარს – კობაიძენი, ძმიანთ-კარს – ქავთარაძენი, რომელთაც ბატაკიანთ-კარშიაც მთელი სოფელი უკავიათ, ამირთ-კარს – ამირიძენი, ჩოხს – ჩოხელნი, ჩობაურთ-კარს – ჩობანაურნი, ლიდას – თლოშიაურნი, გოგონაურთას – ბექაურნი, რომელთაც კიტოხშიაც მთელი სოფლის მოსახლეობა ეკუთვნით, მაქართას – თლოშიაურნი, წინამხარს – აფ-

– 151 –

ციურნი, ფხაეთს იგრიაულნი, ჭოჭოხს ჩოხელნი, ვეშაგურთ-კარს ვეშაგურნი, ზენუბანს გიგაურნი, პავლეურთ-კარს პავლეურნი.

ქსნის ხეობაში 1781 წ. დავთრის მიხედვით შემდეგი სოფლების მოსახლეობა მთლად ერთ საგვარეულოს ეკუთვნოდა: ილურთ-კარში ყველანი ილურიძენი იყვნენ, დორეულთ-კარს – დორეულნი, შველიეთს შერმადინნი, რომელთა საგვარეულოს ეკუთვნოდა ს. მოჭალიათი და საქორეთი, ხორბალს – ქენქაძენი, რომელთაც ქარჩოხის მოსახლეობაც (ერთის გარდა) ეკუთვნოდა, მიდელაანთ-კარს – მიდელაანნი, თინიკანთ-კარს თინიკანნი, რომელთაც კორინთის მთელი მოსახლეობაც ეკუთვნოდათ, – და ჩიტკიანთ-კარს ჩიტკიანნი.

ბ ე ვ რ ი ს ო ფ ე ლ ი ა, რომლებშიაც მოსახლეობა მხოლოდ ერთს საგვარეულოს ეკუთვნის და მხოლოდ თითო ან ორი, სამი სხვა გვარის მოსახლეარის ხოლმე, ხშირად სხვაგნითგან შემოხიზნული, როგორც ეს დავთარში ხშირად აღნიშნულიც არის. ს ო ფ ლ ე ბ ი ს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს პ ი რ ვ ა ნ დ ე ლ ე რ თ-გ ვ ა რ ო ვ ნ უ ლ ო ბ ა ს ს წ ო რ ე დ ე ს ხ ი ზ ნ ო ბ ა და შ ი შ ი ა ნ ო ბ ი ს დ რ ო ს ბ ა რ ი თ გ ა ნ მ თ ა შ ი შ ე ხ ი ზ ნ ვ ა და ჩ ა ს ა ხ ლ ე ბ ა ა რ დ ვ ე ვ და, ბ ა რ ა დ-კ ი მ ტ რ ი ს შ ე მ ო ს ე ვ ა-ა ო ხ რ ე ბ ი ს ა გ ა ნ ს ო ფ ლ ი ს მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ა მ ო ვ ა რ დ ნ ა-და წ ი ო კ ე ბ ა.

საქართველოში რომ სოფლის მოსახლეობა გვარეულობებად ყოფილა თავდაპირველად დაშენებული და შემდეგშიაც საგვარეულო

წესწყობილების დარღვევის და პატარა ოჯახების გაჩენისდა მიუხედავად ერთსადაიმევე სოფელში ერთსადაიმევე გვარის მეკომურები ცხოვრობდნენ, ეს გარემოება უფრ მეტი სიცხადით წარმოგვიდგებოდა, ხალხის აღწერის დავთრებში რომ თანდათან საგვარეულო სახლების მაგიერ მამისშვილობის სახელების ჩაწერა არ დაეწყოთ და ამით ჩვენთვის მეკომურთა ნამდვილი გვარის გაგების საშუალება არ მოესპოთ. ჩვენამდის მოაღწია ორმა ერთიდაიმევე ხეობის დავთარმა, რომელთაგან ერთში მოსახლეობის გვარი, მამისშვილობისა და საკუთარი სახელები სრულად არის შეტანილი, მეორეში-კი გვარები გამოტოვებულია და მხოლდ მამისშვილობისა და საკუთარი სახელებია შეტანილი. ამ უკანასკნელი დავთრის მიხედვით რომ გვემსჯელა და სრული აღწერილობა ხელთ არ გვქონოდა, სოფლების მოსახლეობა მთლად სხვადასხვა გვარეულობის წარმომადგენელთაგან დასახლებულად გვეჩვენებოდა. ბარად, რაკი იქ შედარებით უფრო ინტენსიური ცხოვრება იყო, ძველი წესებიც მათზე გაცილებით უფრო ადვილად ქრებოდა და საგვარეულო სახელებს უფრო სწრაფადაც ივიწყებდნენ.

– 152 –

§ 3. საქართველოს იმდროინდელი საგვარეულო წესწყობილების პირველადობის საკითხი.

ამ ნაირად გამოირკვა, რომ სოფლები საქართველოში გვარეულობებად ყოფილან დასახლებულნი და მთაში ამისი კვალი მე-XVIII ს. დამლევამდისაც მკაფიოდ ჩანდა. ცნობილია, რომ დიდ საგვარეულოებს მეტადრე აღმოს. საქართველოში მე-XIX ს-შიც-კი კარგა ხანს საგვარეულო მამულები გაუყოფელი და საგვარეულო მიწისფლობელობა ჰქონდათ. ბუნებრივად იბადება საკითხი, ეს ხომ ძველისძველი მდგომარეობის ნაშთი არ იყო და ქართველობამ პირვანდელი საგვარეულ წესწყობილება ხომ არ დაიცვა მე-XIX ს-მდე?

უკვე დიდი საგვარეულობის მე-XVI-XVIII სს-ის ბლომად შენახული გაყრილობის წიგნებითა მტკიცდება, რომ საქართველოში გინდ დიდი საგვარეულოების განუყოფელობა-გაუყრელობაზე და ამ გზით პირვანდელი წესწყობილების დაცულობაზე მსჯელობა და ლაპარაკი შეუძლებელია. ხოლო, როგორც „შუშ. წამებ“-ითგან ცხადადა ჩანს (გვ. 13, X - 18, XVI), უკვე მე-V ს-ში მაღალი წოდების ღვიძლი ძმები ერთ სახლად არ ცხოვრობდნენ და საერთო მეურნეობაც საეჭვოა რომ ჰქონოდათ, ამის გამო დაუჯერებელია ის საგვარეულო მიწისმფლობელობა, რომელიც საქართველოში მე-XVI-XIX სს-ში იყო, სტრაბონის-დროინდელი წესწყობილების ნაშთად ვიცნათ.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ უძველესს დროს საქართველოში სუფევდა საგვარეულო წესწყობილება: იგი გაბატონებული იყო სახელმწიფო ცხოვრებაშიაც, საზოგადოებრივშიაც. ზემონათქვამის შემდგომ აქაც უნებლიედ გვებადება საკითხი, თავდაპირველი, პირველადი მოვლენა არის ეს საგვარეულო წესწყობილება, თუ არა? ამგვარი ეჭვი სრულებით ბუნებრივი იქმნება თუ გავიხსენებთ, რომ ქართველი ერი ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობდა ისტორიულად, ვითარცა განვითარებული და წარმატებული

მოქალაქეობის მქონებელი ეროვნება. საგვარეულო წესწყობილება-კი კაცობრიობის განვითარების თითქოს პირველ საფეხურთაგანია.

ჯერ-ჯერობით ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა არ შეიძლება, მაგრამ არის ერთი საყურადღებო გარემოება, რომელიც უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია სტრაზნის დროინდელი საგვარეულო წესწყობილება პირველადი-კი არ იყოს, არამედ მეორადი, ან მესამეგზისიც.

საზოგადოდ ირკვევა და ქართული სამართლის წყაროებითგანა ჩანს, რომ საგვარეულოსა და ოჯახის გაყრის შემდგომაც გვაროვ-

ნობითი ერთობა შეიძლება კვლავ განახლდეს. ეს გარემოება რომ ჩვენთვის ცხადი გახდეს, უნდა ერთს საგულისხმო დაწესებულებას შევხვით, რომელსაც ქართულ იურიდიულ მწერლობაში „შ ე ყ რ ი ლ ო ბ ა“ ეწოდებოდა. ამის შესახებ ცნობები ქართული სამართლის წიგნებში რასაკვირველია არა მოიპოვება რა; იგი კერძო ცხოვრების მოვლენა იყო და ამის გამო მხოლოდ საბუთებშია აღნუსხული. როგორც გვარისა და ოჯახის დაყოფა გაყრის საშუალებით წარმოებდა, ისევე შეერთების პროცესიც ყოფილა, რმელსაც თავისი წესები ჰქონია. ამ მეტად საყურადღებო და აქამდე უცნობი დაწესებულების შესასწავლად ჯერ „შ ე ყ რ ი ლ ო ბ ი ს წ ი გ ნ ე ბ ი“-ს სახელით ცნობილი საბუთების ცნობები მოვისმინთ. 1717 წ. საბუთში ნათქვამია:

„ნებითა და შეწევნითა ღთისათა... ესე ძ მ ო ბ ი ს წ ი გ ნ ი მოგვართვით თქვენმა ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ მ ა დათუნამ და პაატამ თქვენ ბ ი -ძ ა ჩ ვ ე ნ ს იესეს, შ ვ ი ლ ს ა თ ქ ვ ე ნ ს ა ოთარსა და გერმანოზს, ასე და ამა პირსა ზედა: გ ა ყ რ ი ლ ნ ი ვ ი ყ ა ვ ი თ და ი ს ე ვ ე რ თ მ ა ნ -ე თ ი ს თ ა ვ ი მ ო ვ ი ნ დ ო მ ე თ და ი ს ე ვ ძ მ მ ა თ შე ვ ი ყ ა რ ე ნ ი თ. ეს პ ი რ ო ბ ა და ვ ზ დ ე ვ ი თ (sic), რომ ძ ა მ ი ს ძ ა მ უ ლ ი და ბ ი -ძ ი ს და ო თ ა რ ი ს ა ც და რ ა ც ჩ ვ ე ნ ი ძ ა მ ა -ჰ ა ჰ ა თ ძ ა მ უ ლ ი ი ყ ო ს, ნ ა ს ყ ი დ ი ც ა და უ ს ყ ი დ ი ც ა, ყ ვ ე ლ ა გ ა გ ვ ი ე რ თ ე ბ ი ა; რ ა ც ე რ თ ო ბ ა შ ი შ ე ვ ი მ ა ტ ო თ, საერთო იყოს, რაც დაგვეკარგოს ისიც საერთო იყოს. ... ჩვენ რომ ვ ა ლ ი გუმართებს ოცი თუმანი, ს ა ე რ თ ო დ გ ა დ ა ვ ი ხ ა დ ო თ, და სხვა, რაც დარჩეს, თავ-თავისთვის გარდავიხადოთ. თ ქ ვ ე ნ და უ კ ი თ ხ ა ვ ა დ ა რ ც მ ა მ უ ლ ი გ ა ვ ს ც ე, ა რ ც და გ ი რ ბ ი ო კ ა ც ი, ა რ ც გ ა მ ო ვ ი ყ ვ ა ნ ო მ ს ა -ხ უ რ ი და მ ხ ლ ე ბ ე ლ ი; თუ პური და ღვინო გადაგურჩეს, საერთოთ მოვიხმართ, ან მამული ვიქრთამოთ, ან ვიყიდოთ, ყველა საერთოთ იყოს“-ო (ს~ქს სძ~ვლნი I, 445).

1675-1685 წ. საბუთში სწერია: „სახელითა სახუერისა არსე-ბა-დაუსაბამოსა - ღ-თისა, მამისა, ძისა და წმინდისა სულისათა... ესე ფ ი ც ი და პ ი რ ო ბ ა მ ო გ ე ე მე ს ა რ და ლ ძ ა ნ თ ა მ ა ზ თ ქ ვ ე ნ, ჩ ე მ ს ა ძ მ მ ა ს ა, მ დ ი ვ ა ნ ბ ე გ ს ვ ა ხ ტ ა ნ გ ს ასე და ამა პირსა ზე-დან: ძ მ ო ბ ი ს ა და სახლის კაცობის პირობაზე ვიყო შე ნ თ ვ ი ნ კარგი და კარგის მდომი... ჩვენს სახლი არ მოიშალოს და არ გაი-ყაროს, -თვარადა, ღ-თან ნუ ქნას, ერთობა არ მოჰდეს, ჩ ვ ე ნ ე რ თ -ძ ა ნ ე რ თ ს ა რ მ ო ვ ე შ ო რ ო თ და ერთნი ვიყენეთ, რაც ან ღ თ ი თ ა და ან ბ ა ტ ო ნ ი თ, მომეცეს და ვიშოვო, ნასყიდს გარ-და, საერთო იყოს, ა რ ც ჩ ე მ ს ქ ა მ შ ი მ ო გ შ ო რ დ ე და გ ა -

1779 წ. საბუთში ნათქვამია: „ნებითა და შეწევნითა მღლისა-
 თა... ესე ამიერთ უკუნისამ დიჟამთა და ხანთა მტკიცე და
 შეუცვალეზელი და საბოლოოდ გასათავებელი წიგნი და
 პირი დავდევი თუმანიშვილმა ფირან და ჩემმა შვილ-
 ღმა ბეჟანმა, ასე რომე მოვედით და თქვენ, ჩემს
განაყოფს, მანუჩარის-შვილს გორჯასპის **შემოგეყარეთ**
 ასე რომ მანამ დი ცოცხალი ვიყოთ, **შენ არ გაგეყაროთ**,
 ჩვენის სასახლითა და ყმითა და მამულით, თუ რამ
 გვაქვს ქონებითა და ამპირობითა. რომ მანამ დი ცოცხალი
 ვიყოთ, არ მოგშორდეთ, და ჩვენს უკან ჩვენი მამული და სასახლე
 და თუ რამ გვაქვს, ისიც სულ შენი იყოს... **მე თუმანიშვილის ბე-
 ჟანის შვილს გოგიას ამ კურთხეულის პაპის ჩემისაგან მოცემუ-
 ლის შეყრილობის წიგნის ყაბული მაქვს**. დღე «მა» სიცოცხლე
 და სიკვდილიც თქვენთან მომცეს“ (სქს სძვლნი III, 506).

1778 წ. ქრისტიანობის დღეს შედგენილს საბუთშიც სწერია:
 „ესე სამმო და ერთობის წიგნი მოგე მე გოსტაშაბის -
 შვილმა დავითის შვილმა ერასტიმ და სახლისა ჩემისა მო-
 მავალმა შენ ჩემს ბიძაშვილს ბეჟანის შვილს ზურაბს და
 სახლისა შენისა მომავალს ასე და ამა პირსა ზედა, რომ ავის დროს
 მიზეზით პაპა ჩემი და მამა შენი ერთმანეთს დაშორებულ-
 ყვნენ და გაყრილიყვნენ და მას უკან ძმობისა და სახლის კა-
 ცობის სიყვარულით ძმათ შეყრილიყვნენ... რომ მაშინდელი
 იმათი შეყრილობის წიგნი დღესაც არის, მას უკან კიდევ
 გაყრილიყვნენ და ახლა ჩვენ ერთმანეთის სიყვარულით მო-
 ვინდომებთ ძმათ (sic) შეყრა და ერთათ ყოფნა... რომ
 რაც პაპას ჩემს თავისი საუფროსოთი სახლის კაცე-
 ბი დამ წილი გამოჰყოლია სამკვიდრო, თუ ნასყიდობა
 და თუ მას უკანდელი შემატებული ყმა და მამული,
 დღეს რისაც მქონებელი ვარ ამ წიგნის მოცემაში
 ყმისა თუ მამულისა ამით ძმათ შეგყრივარ, რომ დღეის
 უკან... მე ჩემის მამულით და ყმით და შენ შენის მამუ-
 ლით და ყმით ერთათ ძმურებ სიყვარულით უნდა ვიყვ-
 ნეთ... იმ მამულის გამოსავალიც ერთავ ერთობაში
 უნდა მოვიხმაროთ და სხვა რიგათ სამამულთ შენ ზურაბს ბე-
 ბია ჩემის ნასყიდობასთან საქმე არა გაქვს, ამას გარდა შენი წი-
 ლი ნასყიდი, თუ უსყიდი ყმა და მამული და აგრეთვე
 ჩემი ნასყიდი თუ უსყიდი ყმა და მამული ლხინში თუ
 ჭირში სამმოთ უნდა მოვიხმაროთ“... (სქს სძვ I, 102-103).

1777 წ. საბუთშიც სწერია: „ეს წიგნი მოგართვი მე ელიზ-
 ბარსლო და შვილმა ქაიხოსრს შვილმა შენ, ნათე-
 სავსა ჩემსა, ხოლო დღეითგან ძმასა ჩემსა შიომს სო-
 ლო და შვილს და შვილებსა შენსა იესეს, მანუჩარს და იორამს,

სამსავე ერთად და არა სათითაოდ ასრე და ამა პირსა ზედა, რომე თქვენი დიდი სიყვარული მქონდა და მაქვს იმიტომ-კი არა, რომ ჩვენ ნათესავეები ვართ, არამედ იმიტომ რომ ნებითა ღვთისათა შე-ვერთდით თითქოს ერთი მამის და ერთი დედისა შვილები ვყოფილიყავით: შენი შენი შვილებით ერთი ძმა ხარ, მე-კი მეორე ძმა, მე უფროსი ძმა ვარ, შენ-კი უმცროსი. რაც გვაბადია და მომავალშიც გვექმნება ჩვენ თანასწორად უნდა გვეკუთნოდეს და ყველაფერი უნდა საერთო შეთხმებით გავაკეთოთ და გადავწყვიტოთ ხოლმე და რასაც შევიძენთ, საერთო უნდა იყოს“-ო (დ. ფურცელაძე Kp. რამ.-28).

განსაკუთრებით საყურადღებოა და აღსანიშნავი, რომ ეს შეყრილობა-შეერთების პროცესი მარტო მაღალ წოდებას, თავად-აზნაურთა შორის-კი არ წარმოებდა, არამედ სხვა წოდებათა წიაღში მყოფ ერთეულებსაც ემჩნევა ამ წრის შესახები ცნობები უფრო საგულისხმოა თავიანთი გულახდილობით: შეერთების ნამდვილი მიზეზი იქ პირდაპირ არის დასახელებული და ნათქვამი. აი მაგ. ერთ ასეთს 1797 წელს შედგენილ საბუთში რა სწერია: „აღა-მაჰმედ-ხანის ტფილისში შემოსევის დროს სპარსელებმა ჩვენი სახლითგან რამოდენიმე კაცი ტყვედ წაასხეს და ამას გარდა დიდი ზარალი და დანაკლისიც შეგვემთხვა. ჩვენი ტყვეების გამოსყიდვისა და ჩვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ჩვენ ურთიერთის თანხმობით ერთად შევიყარეთ: ამიერთგან ჩვენ ყველანი ძმანი ვართ, თითქოს ერთი დედ-მამისა შვილები და რაც გვაქვს და რასაც მომავალში შევიძენთ უნდა საერთო იყოს“-ო (დ. ფურცელაძის Kp. რამ.-65-66).

ამაზე უფრო საინტერესო ცნობები სოციალური ცხოვრების ამ საინტერესო მოვლენის შინაგანი წესებისა და მოწყობილობის შესახებ ერთს 1798 წ. საბუთში მიპოვება, რომელშიაც ნათქვამია: „ტფილისის აოხრების შემდგომ ჩემმა ძმამ ყიზლართიგან ჩემი რძალი გამოისყიდა და მე იმის ჩამოსაყვანად ყიზლარში წავედი და ჩამოვიყვანე. თუმცა მე და ჩემი

ძმა და რძალი გაყრილები ვიყავით და ცალ-ცალკე ვცხოვრობდით, მაგრამ ჩვენი საერთო კეთილდღეობის გულისათვის ერთ ოჯახად შევიყარეთ. ჩვენ უნდა ერთი ერთმანეთს ვუშველოთ, ვიმუშაოთ და ვაჭრობა ვაწარმოვოთ და ყველაფერი გავაკეთოთ, რაც ჩვენი სახლისთვის სასარგებლო იქმნება და ჩვენ შორის სიტყვები „ჩემია“, ან „შენია“ არ უნდა იყოს, არამედ ყველაფერი რაცა გვაქვს და რაც გვექმნება, ყველას თანასწორ წილად უნდა გვეკუთნოდეს. ვინც ჩვენგან გამოყოფას მოისურვებს, ჩვენი სახლითგან უარაფროდ გავიდეს, სახლში შემოსულ ჩვენ პატარძალს ჩვენი სახლის უფროსმა უნდა მისი მზითევი ჩამოართვას და მას ამის ხელწერილი მისცეს. თუმცა ფულები ექმნება, ჩვენი სახლის უფროსმა საერთო სათავ-

ნოს მიუმატოს. ჩვენი სახლის ქვრივს გათხოვება შეუძლიან და თუ გათხოვდა, უნდა მზითევიც დაუბრუნდეს და სამარხავიც მიეცეს სოფლური წესით. სახლში ყველაფერს ჩვენი სახლის უფროსი (მამასახლისი?) განაგებს: იმის დაუკითხავად ვერავინ თავის დანიშნულ საცოლო საც-კი ვერაფერს აჩუქებს. ქალებს უფლება არა აქვთ თავიანთთვის თავისით რაიმე იყიდონ. მათ ეძლევათ ყველ კვირა წმინდა სანთელი და რაც-კი ეკლესიისათვის არის საჭირო. ყველა იმათ უნდა ერთნაირად ჩაიცვან და დაიხურონ: ქალებს უფლება არა აქვთ სხვადასხვანაირი და ძვირფასი ტანისამოსები ჩაიცვან, ხოლო თუ ვინმე მათგანი დიდ კაცობას მოინდომებს, უნდა ჩვენი სახლითგან ხელცარიელი გავიდეს. მთელ ჩვენ სახლელ ობაში ყველას ერთი მომღვაწი უნდა ჰყავდეს და ერთი ნათლია. თუ ნათლია ხელმოკლე იქნება, ნათლობის ხარჯს ჩვენი სახლივე კისრულობს“-ო (იქვე 68).

ზევით განგებ მოვიყვანეთ საბუთებითგან ბლომად ამოღებული ამონაწერები. ამ საბუთებითგან ჩანს, რომ შეყრილობისადმი მისწრაფება და პროცესი ქართველი ერის ყველა წრეში იყო უმაღლესითგან მოყოლებული სოფლელებამდე. ცხოვრების უშიშროების შესაქმნელად გაყრილ დამორებული წევრები საერთო გასაჭირის დასაძლევად შეერთება-შეკავშირებაზე ზრუნავდენ. ამნაირად გაყრილი და დაშლილი ოჯახი, ან საგვარეულო კვლავ ერთდება. მამულს აერთებს და საერთო მეურნეობის წარმოებას იწყებს. ამასთანავე სახლის, ან გვარის უფროსს ირჩევს, რომელიც ძველი დროის მამასახლისის მსგავსად საერთო საქმეებს ხელმძღვანელობს და არი-

გებს. სწორედ ასეთ პირობებში და ამ გზით გვაროვნული წესწყობილება ერთხელ დაშლილი შეიძლება კვლავ განახლდეს და სოციალური ცხოვრების ისევ ძირითად მოვლენად და ქვაკუთხედ დაწესებულებად იქცეს. ამისთვის საკმარისი იყო მხოლოდ, რომ ის გაჭირვება და გვაროვნობის დაყოფის პროცესის შემაფერხებელი გარემოება შედარებით ხანგრძლივი ყოფილიყო. ასეთ მდგომარეობაში-კი ჩვენი ერი არა ერთხელ ყოფილა: საქართველოს პოლიტიკური ბედის ტრიალი მრავალჯერ ყოფილა უკუღმართი და სწორედ ამიტომაც გაყრილობის პროცესიც შეფერხებულა და შეყრილობა დაწყებულა. თუ ეხლა იმ გარემოებასაც გავიხსენებთ, რომ ძველადვე მაღალი კულტურის მქონებული ქართველი ერი იძულებული იყო თავის წინანდელ სამშობლოთგან დაძრულიყო და ახალი მიწაწყალი დაეპყრა, ადვილად წარმიდგენთ, რომ ქ. წ. საუკუნეებშიც ჩვენი ერი შესაძლებელია არა ერთხელ იძულებული ყოფილიყო გაყრილობის პროცესი შეყრილობის პროცესზე შეეცვალა და თავდაცვის გულისათვის გვაროვნული წესწყობილება განეახლებინა. ამის შემდგომ ვგონებ უფლება უნდა გვქონდეს ვთქვათ, რომ ადვილი შესაძლებელია სტრაბონის დრინდელი საქართველოს გვაროვნული წესწყობილება პირველადი არ იყოს ¹.

¹) აღსანიშნავია, რომ შეყრილობის პროცესი ჩვენ დროშიაც ყოფილა და შეყრილობის წიგნის წერა სოფლად ეხლაც ცოდნიათ. გ. ჩ ი ტ ა ი ა მ ერთი ამნა-

ირი საბუთის პირი 1926 წელს გადმომცა, რომელიც ამ მხრივ საგულისხმოა და აქვე სრულად მომყავს. გ. ჩ ი ტ ა ი ა ს ამ პირობის წიგნის გარდმონაწერისათვის დიდ მადლობას მოვასხენებ. აი თვით ეს თანამედროვე შეყრილობის წიგნი სიტყვა-სიტყვით:

„ვლებთ

პიროვნების ხელწერილს ჩვენ გორის მაზრა ახალქალაქის თემის ამავე თემის სოფელ გრაკალში მცხოვრებნი ნინიკა სუარისძე და მისი შვილები ვანო და ნიკო და სვიმონი ესე მამა შვილიანათ ოთხივე პირნი მაზედა ე ხ ლ ა შ ა ვ ე რ თ დ ი თ 1924 წ. ი ა ნ ვ რ ი ს 3 დ დ ე ს ა რ ო გ ო რ ც ყ ო ფ ი ლ ა მ ვ ე ლ ა თ ა და ა მ ი თ ა ვ დ ე ბ თ პ ი რ ო ვ ნ ო ბ ი ს ხ ე ლ წ ე რ ი ლ ს ა ო რ ი ვ ე პ ი რ ნ ი ვისაც ოჯახში ამოგვანდეს სიმყუენე და დალატი ეს მტყუანი პირნი გავიდეთ ცარიელზედა წილიდანა და მტყუანს პირს არ გაგვივიდეს საჩივარში რაზედაც ვემოწმებით ერთი მეორეს ჩვენის საკუთარის ხელის მოწერითა.

1. ვანო სუარისძე
2. + + + ნინიკა სუარისძე
3. + + + ნიკო სუარისძე
4. + + + სიმონ სუარისძე

§ 4. ცოლქმრობისა და ქორწინების წესები საქართველოში.

ამ საყურადღებო საკითხის შესასწავლად უძველეს ძეგლებში ჯერ მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება; მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი და სხვადასხვა წყაროებში გაფანტული ცნობები არსებობს. ამასთანავე ცნობები სხვადასხვა დროისაა და ამიტომ ცოლქმრობისა და ქორწინების წესების განვითარებისა და ისტორიის სხვადასხვა საფეხურებს ეხება. ამის გამო მთლიანი სურათის აღდგენა ამ მასალების მიხედვით შეუძლებელია.

ზოგმა მათგანმა თავისი ველურობით შეიძლება სიძველისა და პირველყოფილობის შთაბეჭდილებაც მოახდინოს, მაგრამ ნამდვილად ზოგჯერ პირველყოფილი იქ არაფერია. მაგ. მე-XV ს. დამდეგს აღმოსავლეთში და საქართველოშიაც ნამყოფი გერმანელი ტყვედ ჩავარდნილი მეომარის *ჰანს შილტბერგერ*-ის მოგზაურობის აღწერილობაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ ქართველებსა (*die Georigiter Kurtzy*) და ოსებს (*die Jassen Ass*) იმგვარადვე როგორც სომხეთში (*in Armenia*) ასეთი ქორწინების წესები აქვთ: როდესაც მშობლებს თავის შვილისათვის საცოლოდ ქალწულის მოყვანა სურდათ, მაშინ საცოლოს დედას პირობას ადებინებდენ, რომ მისი ასული მართლაც ქალწული იყო. ქორწილის დროს ქალიშვილებს საცოლო სიმღერით საქორწილო ოთახში მიჰყავთ. ამის შემდგომ საქმრო ყმაწვილი კაცებითურთ მოდის ამოწვდილი ხმლით, იქვე მაყრიონითურთ ჯდება და დიდი ლხინითა, ცეკვითა და სიმღერით ჭამა-სმას შეექცევინან. ასე რომ დროს გაატარებენ, მერმე საქმრო საცოლოსთან შეჰყავთ და ყველანი დანარჩენნი გადიან. შემდეგ მისი ძმა, ან ერთი მახლობელ მეგობართაგანი ოთახის კარებს ხმალამოწვდილი სდარაჯობს, სანამ საქმრო აღდება. თუ საცოლო ქალწული არ გამოდგა, მაშინ დედას აცნობებს. საქმროს დედა რომ თავის მეგობრებითურთ სარეცელთან მოვა, ზეწარს გაშინჯავენ და თუ იქ არავითარ ისეთ ნიშანს არ შეამჩნევენ, რომელიც ქალწულს უნდა ჰქონდეს, მაშინ ყველანი დაღონდებიან. მეორე დღეს რომ საცოლოს დედამა ქორწილში მოვლენ, საქმროს დედა ერთ ძირგახვრეტილ სასმისს დაამ-

ზადებს და როცა ღვინის დაღვევის ჯერი დადგება, ამ სასმისში ღვინოს ჩაასხამს ისე-კი, რომ ნახვრეტი ქვეითგან თითით აქვს დაცო-

ვადგენთ ამ პირობის ხელწერილს პეტრე ქავთარაძის თანადასწრებითა მიხეილ ქავთარაძის დასწრებითა რაზედაც ვამოწმებთ ჩვენის საკუთარის ხელის მოწერითა მიხეილ ქავთარაძე
+++ პეტრე ქავთარაძე“.

- 159 -

ბილი და საცოლოს დედას გამოსაცლელად მიაწვდის. ამ დროს, რაკი სასმისის გახვრეტილ ძირს თითი მოშორდება და ღვინო დაიღვრება, საქმროს დედა საცოლოს დედას მიაძახებს: შენი ასულიც ასე მთელი აღმოჩნდაო. ეს რასაკვირველია საცოლოს ყველა მახლობლებისათვის მეტად სასირცხვილო იყო და საცოლოც ასეთ შემთხვევაში თავის მშობლებს უბრუნდებოდა ხოლმე (იხ. H a n s S c h i l t - B e r g e r s Reisebuch, გამოც. Dr. Walentin Langmantel-ის მიერ 1885 წ. -Tübingen-ში, Bibliothek des litterarischen Vereins in Stuttgart CLXXII, - გვ. 98-99).

მთელი ამ ჩვეულების ველურობისდა მიუხედავად რასაკვირველია იგი ძველი არ უნდა იყოს. პირველყოფილ მდგომარეობაში ქალწულების ასეთი შემოწმება წარმოუდგენელი რამეა. აღსანიშნავია, რომ კორ. ბოროზდინს ამ ნაირი ჩვეულება სამეგრელოს ებრაელთა შორის მე-XIX ს-ში აღწერილი აქვს და იმასვე მოთხრობილი აქვს, რანაირი გაუგებრობა შიძლება მომხდარიყო ასეთი უცნაური შემოწმების დროს და როგორ შეიძლებოდა სრულებით უმანკო ქალწული ტყუილუბრალოდ და სრულებით დაუმსახურებელიც გაწბილებულ-შერცხვნილი ყოფილიყო. საცოლოს ქალწულების შემოწმების ჩვეულება და წესი ებრაელთა შორის მიღებული ყოფილა და მეორე მჯუღლთა 22¹³⁻²¹-შია აღწერილი, მაგრამ იქ ნათქვამია რომ, როდესაც საქმროს მხრით ბრალდება იყო ხოლმე წამოყენებული, თვით საცოლოს ფიზიკური მდგომარეობის შემოწმება მოხუცებულთა და მოსამართლეების წინაშე უნდა მომხდარიყო. რათგან ზემომოყვანილი ცნობის გარდა სხვაგან არსად ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება და პირვანდელიც იგი შეუძლებელია ყოფილიყო, გამოსარკვევია საითგან, სახელდობრ ებრაელთაგან, თუ არა, და როდის უნდა ყოფილიყო შეთვისებული ეს უცნაური ჩვეულება. ჰანს შილტბერგერის აღწერილობა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ის, რაც ბოროზდინს მე-XIX ს. შუაწლებში სამეგრელოს ებრაელთა შორის უნახავს, უკვე მე-XIV-XV ს. ყოფილა საქართველოში, ოსებსა და სომხეთშიაც.

ყველა ცნობები ქორწინების წესების შესახებ ჩვენ მხოლოდ იმ დროითგან მოგვეპოვება, როდესაც საქართველო უკვე გაქრისტიანებული იყო. ქრისტიანობამ-კი ბევრი წარმართობის წესები ამოფხრა და თავისი შემოიღო. სხვათა შორის ცოლქმრობისათვის ქრისტიანობამ საეკლესიო ლოცვა-კურთხევა, გვირგვინთა კურთხევა აუცილებელ პირობად გაჰხდა. ამ გარემოებამ ქორწინების ზოგი ძველი წესები შესცვალა და ამით მათ პირვანდელი თვისებები დაუკარგა.

- 160 -

მაგრამ ხალხი დიდ ხანს საეკლესიო გვირგვინთა კურთხევას ცოლ-ქმრობისათვის თავისთვის სავალდებულოდ არ სთვლიდა.

საეკლესიო ქორწინება და ჯვრისწერა რომ ქართველ ხალხს ქრისტიანობის ხანაშიაც აუცილებელ წესად არ მიაჩნდა. ეს სამთავნელის სარგოს გარიგების 1459 წ. და წილკნელის სარგოს გარიგების 1669 წ. წიგნებითგანა ცხადადა ჩანს. სამთავნელის სარგოს გარიგების წიგნში მაგ. ნათქვამია: „უკ⁻თუ ჯ⁻რ და უ⁻წერელად კაცმა ცოლი და აორსულოს, გ (3) ძროხა მიართვას“ სამთავნელს ამ დანაშაულობის საზღაურადო, ხოლო „უ⁻კთუ მღდელმან ორსულს ჯ⁻ი და სწეროს, გ (3) ძროხა მიართვას, თუ იცოდეს, – თუ არ იცოდეს: ა: (1) და მექორწინებ: გ: (3) ძროხა მიართვას“-ო.

წილკნელის სარგოს გარიგების 1669 წ. განახლებულ წიგნშიაც სწერია: თუ ვინმე „ჯვარ და უწერელი ცოლთან დაწვეს, საკანონო ცხვარი ორი და ხარი ორი აძეს“-ო (საისტ. მოამბე 1925 წ. II, 15¹⁰⁻¹¹). ქვემოთ ახალუბის შესახებ დებულებაში ეს ცნობა ამნაირად არის გამოთქმული: „თუ ჯვარ და უწერელს და უწვეს, საკანონო ძროხა ერთიო“-ო (იქვე 17³⁵⁻³⁶).

მაგრამ ქრისტიანობის გავლენით შეცვლილ ქორწინების ზნე-ჩვეულებებსა და წესებში ბევრი რამეა შენახული, რაც შორეული წარსულის ნაშთს წარმოადგენს და ცოლქმრობის დამყარების ძველის-ძველი წესების ისტორიის ერთ-ერთი საფეხურის დამახასიათებელია. ამიტომ მკვლევარი ვალდებულია ყველა, მცირეოდენი ცნობებიც-კი გამოიყენოს, რომელიც ამ საკითხის გაშუქებას ცოტად თუ ბევრად ხელს შეუწყობს. ისტორიულად ცნობილ ხანაში ქალის წაგვრით, ანუ მოტაცებით ცოლად შერთვა უწესობადა და უკანონობად ითვლებოდა და ქართული სამართალი ასეთ მოვლენას ებრძოდა ხოლო მეტვით ისეთ ხანაშიაც-კი, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ დასუსტებას ქვეყნისა და ხალხის კულტურული დაქვეითება მოჰყვა. სამთავნელის სარგოს გარიგების წიგნის უძველესს, 1459 წ. დაწერილ ნაწილში ნათქვამია: შევიყარენით ჩუჴნ ცხრაზმის ჴევისა სამისავე ჴევის კრებულნი და მამასახლისნი და ესე პირი მოვაჴსენეთ სამთავნელსა და ჯა ომფორსა: დღეს ამას უკანით რამანცა ხუცესმან ანუ სჯნდიკინოზმანთა ანუ მეყვისთა ანუ უწესოდ მოტაცებულთა ანუ გვირგვინი აკურთხნეს, ანუ ჯ⁻ი და სწერნეს, ანუ სარჯულო დაუმალოს, რაც ეპრიანებოდა და აურვებინოს, და შუა ვერცა პატრონი შემოლუვიდეს, ვერცა ქვეყანა“-ო. ამავე ძეგლში

ამ საგანზე ქვევითაც არის ორჯერ საუბარი და იქ ასე სწერია: „უკ⁻თუ უქრმო (sic) დედა კაცი მოიტაცოს ცოლად, ბ (2) ძროხა მიართოს“ სამთავნელს დანაშაულობის საზღაურადო, ხოლო „უკ⁻თუ მღდელმან ამგვარად მოქმედს (sic) კაცთა ჯ⁻ი დასწეროს, განიკუჭთოს“-ო. მაგრამ ამ ცნობებითგანაც ჩანს, რომ წაგვრის წესი ოდესღაც ქართველ ერსაც უნდა სცოდნოდეს, როგორც სრულებით ბუნებრივი ჩვეულება.

მე-V ს. ქართველ ისტორიკოსს იაკობ ხუცესს ერთი ფრიად საგულისხმო ცნობა მოეპოვება, რომელიც ქორწინების მაშინდელი ქართული ზოგი წესის აღდგენის საშუალებას გვაძლევს. მას სახელდობრ აღნიშნული აქვს, რომ, როდესაც ვაზრქენსა და მისი მეუღლის შუშანიკის შორის სარწმუნოებრივ ნიადაგზე მომხდარი განხეთქილების გამო საცოლქმრო მყუდრო ცხოვრება შეირყა, შუშანიკმა ქმრისგან განშორებისათვის ვაზრქენის სახლი მიატოვა და სხვაგან გადავიდა, ქმარმა, რაკი დაწმუნდა რომ მათი ცოლქმრობა უკვე შეუძლებელი იყო, შუშანიკის მოძღვარს იაკობ ხუცესს მოუწოდა და თურმე შემდეგი უთხრა: „უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა? და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო, ოდეს იგარა ჩემი ცოლი არს: იპოოს ვინმე რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართუ იგი ყოველივე რააცა რაა არს“-ო (წამებად შუშანიკის 10, § VII, 6-10). ვაზრქენის ამ სიტყვებითგან ჩანს, რომ მას თავის დროს ცოლისათვის სამკაული და სხვაც ბევრი რამე („ყოველივე რააცა რაა არს“) მიურთმევია, რომელიც მის ცოლს შეიძლება ჰქონოდა, სანამ მის ცოლობას სწევდა, ხოლო როდესაც საცოლქმრო კავშირი დაირღვეოდა, ქმარს შეეძლო იგი ჩამოერთვა. აქ რომ უბრალო სამკაულზე არ იყო საუბარი, არამედ საქმროს საცოლისთვის მისართმევნივთებს ეხებოდა, ვაზრქენის დართული სიტყვებითგანაც ჩანს: მას უთქვამს, რომ სხვა ვინმე აღმოჩნდება, რომელიც ამ ნივთებს მოიხმარებსო. ცხადია აქ მეორე საცოლო იგულისხმება, რომლის შერთვასაც ვაზრქენი აპირებდა და რომლისათვისაც მას წესისაებრ საჩუქრები უნდა მიერთმია. ამ გარემოებას იაკობ ხუცესის მომდევნო მოთხრობაც ადასტურებს. როდესაც მოძღვარს შუშანიკისათვის ყველა ეს ნივთები გამოურთმევია და ვაზრქენისათვის მიუტანია, – „მან მიიღი ჩემგან, აღიხილა და იპოვა ყოველი გებულად და კულად თქუა: „მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს“-ო (იქვე 10, § VII, 14-16). აქეთგან ცხადი ხდება,

– 162 –

რომ ეს ის ნივთებია, რომელიც საცოლოსა და ცოლს უნდა მიჰრთმეოდა.

იაკობ ხუცესის ზემომოყვანილი ცნობის მთელი შინაგანი მნიშვნელობის გასაგებად ქართული ძველი ქორწინების წესების ცოდნა საჭირო, რომელთა დალაგებული აღწერილობა ერეკლე მეფისძეს ვახტანგ ბატონიშვილსა აქვს. მისი სიტყვით ოდეს დაამტკიცებდენ ვინმე სისასმე სასძლოდ თვისად მოყვანად, წარუგზავნიდიან ქალსა მას შემღებისაებრ ნიშნად სამკაულთა ძვირფასთა... და მიტანისა ჟამსა დასდებდიან ოქროსა ანუ ვერცხლისა სინსა ზედა სამკაულსა სასძლოსა და ეგრეთ მართვიან ქალსა მას“ (გვ. 11).

თვით ქორწილის დროსაც, როცა ჯვარის წერთგან სახლში დაბრუნებული მეფე-დედოფალი და მექორწილენი დალოცვასა და სადღეგრძელოებს მორჩებოდენ, „ადგების ეჯიბი მეფისა ორისა შიშვლისა წმლითა და მდივანმან ანუ მწიგნობარმან ვინმე წარუკითხის ნუსხა ქალსა მას ქრმისათვისისაგან მიცე-

მ უ ლ თ ა ს ო ფ ე ლ თ ა ნუსხა პირბადის ასახდელად. შემდგომად მივი-
დის ეჯიბი, დაუჩოქის წრმლებითა და აჰხადის პირბადე სძალსა მას.
შ ე მ დ გ ო მ ა დ წარმოდგების საშუალ მდივანი ანუ მ წ ი გ ნ ო ბ ა რ ი
ვ ი ნ მ ე და წ ა რ ი კ ი თ ხ ი ს, რ ა ს ა ც ა ქ ა ლ ს მ ა ს გ ა ა ტ ა ნ დ ი ა ნ
ზ ი თ ა დ“ (ბატონიშვილი ვ ა ხ ტ ა ნ გ. ისტორიები აღწერა 15).

ქორწინების წესის ამ აღწერილობაში ის გარემოებაა საყურა-
დღებო, რომ საცოლოსთვის პირველად სწორედ საქმროს უნდა მიე-
რთმია სამკაული-საჩუქარი, ისევე ქონება და მხოლოდ ამის შემდ-
გომ საცოლოს მზითევსაც ჩამოსთვლიდენ ხოლმე. ამგვარად პ ი რ ვ ე ე -
ლ ა დ ს ა ქ მ რ ო ს მ ი ჰ ქ ო ნ დ ა ს ა ც ო ლ ო ს ო ჯ ა ხ შ ი ქ ო ნ ე ბ რ ი -
ვ ი ს ა ჩ უ ქ ა რ ი ქ ა ლ ი ს ა თ ვ ი ს. „ქართველი ერის ისტორიის“ მე-IV
წიგნის პირველ ნაწილში ბიზანტიის უკანასკნელი კეისრის მოციქუ-
ლის ცნობა მაქვს მოყვანილი, რომელშიაც ჩვენი საკითხისათვის სა-
ქართველოს მეფის გიორგის ერთი საყურადღებო განცხადებაა აღბე-
ჭდილი მისი ასულის ბიზანტიის მეფისათვის საცოლოდ მთხოვნელ
დესპანისათვის გიორგი მეფეს განუცხადებია: ჩ ვ ე ნ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს ზ ნ ე -
ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი ს თ ა ნ ა ხ მ ა დ ს ა ქ მ რ ო ს მ ო ა ქ ვ ს ს ა ც ო ლ ო ს თ ვ ი ს
ქ ო ნ ე ბ ა და არა საცოლოდ ს ა ქ მ რ ო ს თ ვ ი ს, ამიტომ მე ჩემს
ასულს მზითევს ვერ გამოვატან. მაგრამ სხვაფრივ ქონებრივად უზ-
რუნველვეყოფო (იხ. გვ. 44-45). აქაც მამასადამე გარკვევით არის
ნათქვამი, რომ ქართული ქორწინების წესი პირველად სწორედ საქ-
მროს ავალებდა საცოლოსათვის ქონების მიტანას. მზითევი საქართ-

ველოში მე-IX ს-შიც უკვე იხსნება და თვით ტერმინი უკვე დაბა-
დების ქართულ თარგმანში გვხვდება, მაგრამ მაინც ჯერ საქმრო
იყო მოვალე, რომ ქალისათვის საჩუქარი მიეტანა და ალბათ სწო-
რედ ამასვე გულისხმობდა გიორგი მეფე, როდესაც ქართულ ზნე-ჩვე-
ულებზე
ლაპარაკობდა.

ეს გარემოება არ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი ს ა ც აქვს მე-XVII
ს. სამეგრელოს აღწერილობაში აღნიშნული. მისი სიტყვებით სამე-
გრელოში, ევროპაში მიღებული წესის მსგავსად, ცოლის შერთვის
დროს მზითევს არ დაეძებენ: „კოლხიდაში ასე როდია, იქ ქ ა ლ ს
ა რ ა ვ ი თ ა რ ი მ ზ ი თ ე ვ ი ქ მ რ ი ს ა თ ვ ი ს ა რ მ ო ა ქ ვ ს... ს ა მ ა -
გ ი ე რ ო დ ს ა ს ი ძ ო მ უ ნ და მიუტანოს ქალის მშობლებს
დიდი საჩუქრები და მდიდრული ძღვენი... ეს ვალდე-
ბულებზეა სასიძოსი, რომ მშობლებს უნდა მიუტანოს
იმდენი საჩუქარი, თითქოს სასძლო მონა არისო და მის
ფასს იხდის. ჩვეულებრივ საჩუქრად მოყავთ ხოლმე ძროხები და
ხარები, ან ცხენები, ან ყმები ან და სხვა ამისთანები“ ო (სამეგრე-
ლოს აღწერა, ალ. ჭ ყ ო ნ ი ა ს თარგ. 90).

ქორწილის ყოველივე ხარჯი სამეგრელოში სასიძოს უნდა გაე-
წია (იქვე 91). მხოლოდ ახალ ჯვარდაწერილთა ქმრისა და სიძის
სახლში გასტუმრებისას ქალის მშობლები თავიანთ ასულს თან მოძ-
რავ ქონებასაც ატანდენ (იქვე 92-93), უეჭველია მზითევის მსგა-
ვსად.

არ ქ ა ნ ჯ ე ლ ო ლ ა მ ბ ე რ ტ ი ს თ ა ვ ი ს მ ო თ ხ რ ო ბ ა შ ი წ ა მ ო ს ც დ ე -

ნია ის აზრი, რომელიც ადამიანს ამ ჩვეულების განხილვის დროს შეიძლება დაებადოს: საქმრო ამით „თითქოს ფასს იხდის“ საცოლისთვის. დიახ, ის სწორედ ურვადი იყო. ქალის წამოყვანისათვის მირთმეული ქონებრივი საზღაური და **იაკობ ხუცესის** ცნობაშიაც ამავე ურვადის კვალი და ნაწილი **უნდა ვიგულისხმოთ**.

ამას გარდა ქართული ქორწინების წესს დაცული ჰქონდა დანაწილობრივ ეხლაც შენარჩუნებული აქვს ზოგიერთი ფრიად საგულისხმო ჩვეულებანი, რომელიც უძველესი დროის პირობების არანაკლად უნდა მივიჩნიოთ. ბატონი შვილი ვახტანგის სიტყვით ჯვარის წერისათვის საცოლოს სახლში მიმავალ სასიძოს „მიუძლოდიან მოხელენი და მაგლობელნი მაყრულისა თქმითა და კარგად შეკაზმილნი. და თვითცა და თანამყოლნიცა ისხდებოდნან ცხენთა ზედა ვითა შორს მიმავალნი, ეგრეთახლოს“ (ისტორიებრი აღწერა 12). ეკლესიაში მიმავალ მეფე-დედოფალს „წა-

რუძღვიან ყოველნი ქვეითად და ეგრეთვე მაგლობელნი თქმითა მაყრულისათა. ქალსა მას გაყვის მდადი ქალნი მრავალნი და მაყარი და ნათესავნი“ (იქვე 13). მეფე-დედოფალი რომ ჯვარის წერის შემდგომ „გამოვლენ ეკლესიით, მაშინ ეჯიბი სიძისა და მაყარი სძლისა ორნივე ამოიღებდენ ხმალთა და მიაბჯენდენ კარსა ეკლესიისასა და მის ქვეშ განვლიდენ სიძე და სძალი“ (იქვე 13-14).

აღსანიშნავია, რომ საქმროს საჩუქრისა და პირბადის ასახდელად ძღვენის ნუსხის წასაკითხად „ადგების ეჯიბი მეფისა ორისა შიშვილისა ჯმლითა“ და ნუსხის შინაარსის გამოცხადების შემდგომ „მივიდის ეჯიბი, და უჩოქის ჯრმლებითა და აჰხადის პირბადე სძალსა მას“ (იქვე 15).

უეჭველია ამ საქორწინო ზნე-ჩვეულებაში დაცულია ცოლის წაგვრისა და მოტაცების ძველი წესები. აქ უკვე მხოლოდ სიმბოლური გამოხატულება იყო იმ ხანის სურათის, როდესაც საქმრო თავის საცოლოს მოტაცებით ირთავდა, როცა ის მართლაც იძულებული იყო ცხენოსანი და შეიარაღებული თანამებრძოლებითურთ შორს გზა გასდგომოდა, რომ ცოლი მოეყვანა, როდესაც ამოწვიდილი ხმლები მშვიდობიანი ქორწილის მართო მხატვრული ფერადოვნების სამკაული-კიარ იყო, არამედ მართლაც აპრიალეზული ხმლების ტრიალი სწარმოებდა. ჰანს შილტბერგერის ზემომოყვანილი აღწერილობითგანა ჩანს, რომ ხმალამოწვილი მაყრონის თანხლების წესი უკვე მე-XIV ს-ში და რასაკვირველია ამაზე მრავალი საუკუნით უწინარესად მშვიდობიანი ქორწინების მხოლოდ უბრალო ჩვეულება-ლა იყო. ამგვარად, თუმცა ქართველმა ერმა მაღალლი კულტურული წარმატების წყალობით წაგვრის წესის განვითარების საფეხური დიდი ხანა განვლო, მაგრამ იმ დროინდელი წესების ნაშთი და კვალი ქორწინების მერმინდელ ზნე-ჩვეულებებში მაინც შერჩა.

პეტრე ქართველის ასურულ ცხოვრებაში ქარ-

თველ მეფეთა შესახებ მოყვანილ ცნობებით განაჩანს, რომ სამეფო საგვარეულოში მახლობელ ნათესავთა შორის ქორწინება აკრძალული არა ყოფილა და ეს „ენდოგამია“ ალბათ სპარსული მაზდეანობის გავლენის შედეგი უნდა იყოს: იქ როგორც ვიცით, და-მმათა შეუღლება ც-კი ნებადართული და ასე გასინჯეთ ღვთისნიერ საქციელადაც-კი იყო აღიარებული. რომელი ისტორიკოსი ტ ა ც ი ტ უ ს ი მოგვითხრობს, რომ ფარ-

სმანს (ფარასმანეს) იბერთა მეფეს ძმა ჰყავდა მიჰრდატი (მითრიდატეს), რომელმაც რომაელთა დახმარებით სომეხთა სამეფო ტახტი დაიპყრა, და ამ მიჰრდატს ცოლად თავისი ძმისწული, ფარსმანის ასული ესვაო (Annales, XI, 44, 46) და ამ ცნობითაც მტკიცდება, რომ იბერიაშიც შესაძლებელი ყოფილა და ნებადართული ასეთ მახლობელ ნათესავთა შეუღლება, როგორც არიან ბიძა-ძმისწული. კონსტანტინე პორფიროსანის (912 - 959) მოწმობითაც ქორწინება სახლისკაცთა შორის საქართველოში დიდებულითა საგვარეულოში იმის დროსაც-კი ჩვეულებადა ჰქონიათ (De administrando imperio, cap. 45, ed. Bonnæ p. 197).

იოანე საბანის ძესაც ერთი საგულისხმო ცნობა მოეპოვება. მისი სიტყვით ნერსე ერისთავის ქართლითგან გაქცევის შემდგომ „წარმოავლინა მაჰდი ამირა-მუმმან ბრძანებითა ღმრთისადათა სტეფანოზ-მე გურგენისი, დისწული ნერსესი, ნაცვლად დედის ძმისა თვისისა ნერსესა ერთისმთავრად ქუეყანასა მას ქართლად. მაშინ მხიარული ქმნა ნერსე, რამეთუ უფლებად იგი სახლისა მისისა განარაგანა შორა ღმერთმან“-ო (წამებაჲ ჰაზოფსი, 20). და ეს ცნობაც იმავე ზემოაღნიშნული დებულების დამადასტურებელი უნდა იყოს.

მაგრამ ენდოგამია მხოლოდ წარჩინებულ საგვარეულოებში იყო ხოლმე, საერთო მოვლენად იგი არ ყოფილა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს აღმწერელს ერთი საყურადღებო ცნობა მოეპოვება, რომელიც სწორედ ამ საერთო და უძველესი მოვლენის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს. მისი სიტყვით, როდესაც აზომ არან ქართლისა მეფის ძემ ვითომც ალექსანდრე მაკედონელისგან მცხეთა და მთელი ქართლი მიიღო, „ესე აზომ წარვიდა არან ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძემეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას“ (ე. თაყ. Опис. II, 709). ჯუანშერს კიდევ ნათქვამი აქვს, რომ ვახტანგ გორგასალის მამამ „მისცა ძემისი ვახტანგ საურმაგს სპასპეტსა საზრდოდ, რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მთავართანი წარჩინებულთა სახლსა აღზარდიან“-ო (ც-ამ-ფსა ვხ-ტნგსი *301, გვ. 121). ამავე თხზულებაში ავტორს აღნიშნული აქვს, რომ „მოკუდა საურმაგ სპასპეტი მამა-მძუძე ვახტანგისი (იქვე *303. გვ. 123).

რაჟდენის წამებაშიც მოთხრობილია: „წესი იყო სპარსთა შორის, ვითარცა ჩუენ ქართველთა შორის, რომელსა მამა-მძუძედ უკმობდეს... მეფემან ვახტანგ... მოითხოვა ცოლად

ასული იგი (სპარსთა მეფისა), რომლისადა მამამ დედის ქმნილიყო სანატრელი იგი“ რაჟდენ (მ. ჯანაშვილის Опис. III, 152 და 153).

როგორ უნდა გავიგოთ ზემომოყვანილი ცნობები და რას უნდა ჰნიშნავდეს „მამა-მძუძე“ ტერმინი „მამა-მძუძე“ საბა ორბელიან-საც მოეპოვება ლექსიკონში და განმარტებული აქვს როგორც „კაცი გამზოდელი“ და ამის დამამტკიცებელ საბუთად 4 მეფეთა X, § 1-ს ასახელებს. მაგრამ შესატყვის ადგილას ბატ. ბაქარის გამოცემაში „მამა-მძუძე“ არ არის, არამედ „მზრდელი“-ა. საბას როგორც ეტყობა დაბადების თარგმანის ისეთი რედაქცია ჰქონია, რომელშიაც ამ ადგილას ტერმინი „მამა-მძუძე“ ყოფილა ნახმარი.

მამა-მძუძეობის არსებობას საქართველოში მე-V ს. ისტორიკოსის იაკობ ხუცესის სიტყვებიც ადასტურებენ. მისი სიტყვებით შუშანიკმა სიკვდილის წინ „მოუწოდა ეპისკოპოსსა მისისასა ხლისასა აფუცს და მადლსა მისცემდა მის მიმართ მოწლებისა მისისათვის ვითარცა მამას და მამამ დედისა“ (21²⁶⁻²⁸). ამავე ავტორს ნახმარი აქვს მეორე ტერმინიც, რომელიც ამავე აღზრდილობის წესთან არის დაკავშირებული. იაკობ ხუცესი ამბობს, რომ „პიტიახშიან გამოარჩია დედის მტე მისი (ე. ი. შუშანიკისა) საკუთარი, რადთა მოიყუანოს იგი ტაძრად“ (16⁴⁻⁵).

ტერმინი „მამა-მძუძე“-ს არსებობა „დედამ დედის“-ს არსებობას გვაგულისხმებინებს, რათგან ამ სიტყვის შინაარსი რასაკვირველია დედაკაცს შეჰშენის და არა მამაკაცს. საისტორიო ძეგლებში „დედამ დედის“ ჯერ არსადა ჩანს, მაგრამ საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს ეს სიტყვა და ასე აქვს განმარტებული: „დედამ-მძუძე მზრდელი ქალი“ არ და ამის საბუთად დასახელებულია 4 მეფეთა XI, 2. ბატონიშვილ ბაქარის გამოცემაში ნათქვამია: „იოსაბეს ასული მეფისა იორამისა და ოქოზიასი შეერთო იორია, მისა ძმისა თვისისა და მოიპარა იგი საშუალისაგან ძეთა მეფისათა მოწყუედილთა იგი და დედის-მტე მისი“-ო (4 მეფეთა XI, 2). ამგვარად დედამძუძეს მაგიერ იქ „დედის-მტე“ სწერია, რომელსაც სულ სხვა მნიშვნელობა აქვს და როგორც ს. ორბელიანის ლექსიკონში განმარტებულია „სმის მოზიარე“, ანუ ერთი ძუძუს გამოზრდილ პირებს აღნიშნავდა. დაბადების ბერძნულ თარგმანში შესატყვის ადგილას ητροφος „ჰეტროფოს“-ისა, ხოლო სომხურ თარგმანში դասეს „დადეაკ“-ის ხარება ცხად-ჰყოფს, რომ ჩვენი სახელოვანი ლექსიკოგრაფის ცნობა სწირეა და ქართულ თარგმანშიაც აქ თავდაპირველად მართლაც „დედამ ძუძუ“ უნდა ყოფილიყო და არა

„ძუძუს-მტე“, რათგან ზემომოყვანილი ბერძნულიცა და სომხური სიტყვები აღმზრდელსა და მისას ნიშნავს.

ეხლა რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ზემომოყვანილ ცნობას დავეზრუნდეთ, მისი დედაზრის გაგება გავგიადვილდება. უცნობი მემატიანის სიტყვით ქართველთა თავდაპირველ სამშობლოთგან ამიერ-კავკასიაში „რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამ დედისთან“ წამოსულან და საქართველოს მთელი მერმინდელი მკვიდრი

მოსახლეობა მათგან წარმომდგარა. მოსახლეობის ამ ორ ჯგუფს შორის მჭიდრო დამოკიდებულებაა: რვა სახლს, ანუ საგვარეულოს ჰყავს თავისი „ათნი სახლნი მამამძუძეთანი“. ეს იმას ნიშნავს, რომ როგორც ისტორიკოსი ჯ უ ა ნ შ ე რ ი ს სიტყვით ვახტანგ გორგასლის დროინდელ საქართველოში „წესი იყო, რომელ შვილნი მთავართანი წარჩინებულთა სახლსა აღზარდიან“ და ასეთი აღმზრდელი სახლის უფროსს „მამა-მძუძე“ ეწოდებოდა, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ს აღმწერელს ამიერ კავკასიაში გადმოსახლებული მკვიდრი საგვარეულოების შორის არსებული დამოკიდებულება ამ გვარადვე ჰქონდა წარმოდგენილი. მაშინდელსა და ვახტანგ გურგასალის დროინდელ მდგომარეობას შორის ამ ორ ისტორიკოსთა შეხედულობით ის განსხვავებაა, რომ რ ა ც მ ე -V ს-ში მ ხ ო ლ ო დ მ თ ა ვ ა რ თ ა და წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ თ ა სა ხ ლ ე ბ ი ს უ რ თ ი ე რ თ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ა ხ ა -ს ი ა თ ე ბ და და მ ა მ ა -მ ძ უ ძ ე ო ბ ა მ ა ღ ა ლ ი წ ო დ ე ბ ი ს წ რ ი ს ფ ა რ გ ლ ე ბ შ ი -ღ ა ი ყ ო მ ო ქ ც ე უ ლ ი და მ ი ს ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს ა ს პ ა რ ე ზ ი მ ა რ ტ ო ი ქ -ღ ა ი ყ ო შ ე რ ჩ ე ნ ი ლ ი, „მ ო ქ ც ე ვ ა ჲ ქ ა რ თ ლ ი ს ა ჲ“-ს ა ვ ტ ო რ ს ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ თ ე ლ ი ძ ვ ე ლ ი მ ო -ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ წ ე ს წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს ს ა ე რ -თ ო მ ო ვ ლ ე ნ ა დ ჰ ქ ო ნ და მ ი ჩ ნ ე უ ლ ი: მაშინ მარტო მთავრის შვილები-კი არა, არამედ რვა-ვე საგვარეულოს ყველა შვილები ათი სხვა საგვარეულოს სახლში უნდა ყოფილიყვნენ აღზარდილნი, რომელთაც სახელად „სახლნი მამა მძუძეთანი“ ჰქმევია.

ამ ქართველი ერის სოციალური ცხოვრების საერთო მოვლენას ღრმა ფესვები უნდა ჰქონოდა გადგმული, თუ რომ მერმინდელ ისტორიკოსსაც მისთვის გვერდი ვერ აუქცევია და მისი აღბეჭდვა აუცილებლად დაუნახავს. უნდა ვიფიქროთ, რომ ამის შესახებ მას რაღაც საგულისხმო ძველი წერილობითი, თუ ზეპირი წყარო უნდა ჰქონოდა.

ამ მამა-მძუძეობის ჩვეულებას მაინც ჩაკვირება და განმარტება სჭირდება. რამდენადაც მემატთანე 10 „მამა-მძუძეთა“ საგვარეულო სახლზე ლაპარაკობს, აქ რასაკვირველია პირვანდელი ცხოვრების ამ

მოვლენის უკვე მკრთალ ანარეკლთან გვაქვს საქმე, რათგან თითქოს უფრო ბუნებრივიცა და სწორეც იქმნებოდა ამ სახლებს „დედა-მძუძეთა“ სახლების სახელი რქმეოდა: გაბარებული ბავშვები ძუძუს ამ სახლის დედისას სწოვდენ. მაგრამ ამისდა მიუხედავად „მამამძუძეთა სახლი“ ძველია და რეალური შინაარსის მქონებელიც არის.

ამ დროს, როგორც ეტყობა, უკვე მხოლოდ ჩვეულებად ქცეული ძველი სოციალური ცხოვრების ძირითად მოვლენასთან ჰქონდა საქმე მე-VIII ს. მემატთანეს, მაგრამ ჩვეულებაშიაც მისი პირვანდელი სახეობის დანიშნულების განჭვრეტა შეიძლება. მ ა მ ა -მ ძ უ ძ ე ო -ბ ი ს წ ე ს ი ი მ მ თ ა ვ ა რ დ ე ბ უ ლ ე ბ ა ზ ე ა დ ა მ ყ ა რ ე ბ უ ლ ი, რომ მამის ღვიძლი-შვილი თავის მამის ოჯახში და საგვარეულო სახლში არ შეიძლება ყოფილიყო, გაზრდილიყო და თვით ძუძუც-კი ეწოვა. ის უეჭველად სხვა საგვარეულოს სახლში სწოვდა ძუძუს, იქ იზრ-

დებოდა და როდესაც წამოიზრდებოდა, მხოლოდ მას-
შინ შედიოდა თავისი ღვიძლი-მამის საგვარეულოსა
და სახლში. აღსანიშნავია, რომ თუმცა მას დედა აწოვებდა ძუ-
ძუს, მაინც ამ აღმზრდელ სახლს დედა-მძუძე სახლი-კი არა, არამედ
„მამა-მძუძეს სახლი“ ეწოდებოდა. ამ გვარად სოციალური ცხოვრე-
ბის ამ ინსტიტუტის აღმნიშვნელი ტერმინის მთავარი საკითხი და
აზრი ბავშვის მამისადმი (და არა დედისადმი) დამოკიდებულების
გამოხატვაა.

ამ ტერმინის უკანასკნელი ჩამონაკვთილობის ხანაში უკვე ისეთი
მდგომარეობა უნდა ვიგულისხმოთ, როდესაც ბავშვი იქ იმყოფება,
სადაც მამაა: სახლი და მამა ერთი მეორისაგან განუყრელი ცნებაა,
მაგრამ პირვანდელი ცხოვრების ამ მერმინდელ გამოხატულებაში ისე
არ იყო, არამედ ყოფილა ხანა, როდესაც ისეთი ჩვეულება სუფევდა
რომ ბავშვი ცხოვრების აქ აუცილებელი წესისდა თანახმად თავის
ღვიძლ-მამასთან არ იზრდებოდა, არამედ სხვა საგვარეულოში და იქ
მის აღმზრდელს „მამამძუძე“ ეწოდებოდა.

ებლა რომ მამა-მძუძეთა სახლების წესის წარმოშო-
ბის საფუძვლის გამორკვევას შევუდგეთ, ჯერ უნდა ამ
ჩვეულების დედააზრს მივაქციოთ ყურადღება. ხოლო თუ მამა-მძუძე-
ობას ამ თვალსაზრისით მივუდგებით, მაშნ როგორც უკვე აღნი-
შნული გვქონდა, ცხადი გახდება, რომ ეს წესი აღმოცენებულია იმ
ძირითად რწმენაზე, რომ ბავშვი თავის მამის საგვარეულოსა და სახ-
ლში არ სწოვს ძუძუს და არც იზრდება. ის მხოლოდ შემდეგში, უკ-

ვე წამოზრდილი, შედის თავისი საკუთარი მამის სახლსა და საგვა-
რეულოში.

მართლის გარემოებაც, რომ მამა-მძუძეობა სახლო-
ბრივ, ან უსაგვარეულოებს ეწოდებოდათ და „მოქ-
ცევა ძე ქართლისაჲ“-ს აღმწერელს იგი მთელი ქარ-
თველი ერის სოციალური ცხოვრების ბუნებრივ გა-
მოხატულებად ჰქონია წარმოდგენილი, ამ მამა-მძუ-
ძეობის წესის უადრეს მნიშვნელობასა და სიძველეს
ცხად-ჰყოფს. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს წესი თავდაპირ-
ველად ცხოვრების იმ უცილობელ კანონად ყოფილი
მოვლენის ანარეკლს წარმოადგენს, როდესაც ბავშვი
თავისი ღვიძლი მამის სახლსა და საგვარეულოში არამც თუ არ
იზრდებოდა, არამედ არც იზადებოდა აქ მას ღვიძლი
მამა გვერდით არ ჰყავდა, არამედ დედა, რომელიც
მაშინ აგრეთვე ჯერ კიდევ თავისი ქმრის ოჯახში არ
იმყოფებოდა, არამედ თავისსავე საგვარეულოში
რჩებოდა.

რაკი მაშინ ბავშვს ძუძუს მისივე დედა აწოვებდა, ამიტომ მას
რასაკვირველია „დედა-მძუძე“ არც ესაჭიროებოდა და ამგვარი ტერ-
მინი მაშინ არც შეიძლება ყოფილიყო, სამაგიეროდ, ასეთ პირობებ-
ში, როდესაც ბავშვი დედის საგვარეულოში იზრდებოდა, მისი აღ-
მზრდელი და მფარველი მამა-კაცი დედის მახლობელი მამრობითი
სქესის ნათესავები, დედის ძმა და სხვები იყვნენ, ისინი ამ ბავშვს

აღზრდა-მზრუნველობის მხრივ მამობას უწევდენ და სწორედ ამიტომ ღვიძლი მშობელი მამისგან განურჩევად მას „მამა-მძუძე“ ეწოდება. ამგვარად ტერმინი „მამა-მძუძე“ მეორე ტერმინ „დედა-მძუძე“-ზე აღრინდელი უნდა იყოს იმ ნაირადვე, როგორც მერმინდელი მოვლენაა, როდესაც შვილს ძუძუს უკვე საკუთარი დედა აღარ აწოვებდა, არამედ სხვა, რომელსაც მშობელი დედისგან განსარჩევად „დედა-მძუძე“ ეწოდა.

როგორც აღნიშნული გვქონდა, მამა-მძუძეობის წესი ცოლქმრობის ამაზე უწინარესი ხანისა და ისეთი წესის არსებობას გვაგულისხმებინებს, როდესაც მართო ბავშვი-კი არ იზრდებოდა თავის მამის საგვარეულოსა და სახლის გარეშე, არამედ როდესაც თვით მისი დედაც, ქმრის ცოლი ჯერ კიდევ ქმრის საგვარეულოსა და სახლში შესული არ იყო და ცოლად ქცევის შემდგომაც ისევ თავის საგვარეულოს წიაღში რჩებოდა. ამ გვარი ცოლქმრობის წესი კი იმ ძირითად მოძღვრებაზეა დამყარებული, რომ

მამაკაცს თავისი საცოლო და ცოლი უეჭველად სხვა საგვარეულოში უნდა მოეძებნა და სხვა საგვარეულოთგან უნდა ჰყოლოდა. ასეთ ცოლქმრობის წესს, როგორც ცნობილია, ექსოგამიის წესი ეწოდება და ქართველი ერის ეს დაწესებულება უძველეს ხანაში მაშასადამე ექსოგამიის წესზე ყოფილა დამყარებული.

ნათესაობის აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინების აგებულობისა და პირველადი მნიშვნელობის ანალიზი ამაზე უფრო შორსა და საუკუნეთა სიღრმის წყვდიადში განჭვრეტის საშუალებას გვაძლევს, თანაც ცოლქმრობის ა და ქორწინების წესების უძველესი საფეხურის გათვალისწინებას გვიადვილებს, მაგრამ ამისთვის მეტად რთული ლინგვისტური წინასწარი კვლევა-ძიებაა საჭირო, რომ ამ საკითხზე აქ მსჯელობა შესაძლებელი იყოს, მით უმეტეს, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვანი პრობლემის შესახებ განსაკუთრებულ მონოგრაფიაში გვექნება საუბარი.

თავი V.

სახელმწიფო წყობილება.

§ 1. მეფე და მეფის ხელისუფლების საფუძველი.

ამ საკითხის შესასწავლად ჩვენ ხელთ თითქმის მხოლოდ აღმოს. საქართველოს შესახებ მოგვეპოვება საკმაო ცნობები, რომ საფუძვლიანი მსჯელობა შესაძლებელი იყოს. დასავლეთი საქართველოს აღწერილობა ამ პრობლემის შესასწავლად სანდო მასალებს არ გვაძლევს, მაგრამ, რის შესახებაც ცნობებია, ის ქვემოთ მოყვანილი იქნება.

სტრაბონის აღწერილობითგან ჩანს, რომ აღმოს. საქართველოს მთელი მოსახლეობითგან განირჩეოდა და გამოყოფილი იყო ის

წრე, რომლითგანაც მეფეს ირჩევდენ, ან სვამდენ ხოლმე. ხოლო რადგან ამავე ავტორს ნათქვამი აქვს, რომ მეფედ ისეთ პირს ირჩევდენ ხოლმე, რომელიც გარდაცვლილი მეფის შემდგომ მახლობელობითა და წყოვანობით ყველაზე უფროსი იყო, აქეთგან ცხადი ხდება, რომ მახლობელობა ნათესაობის თვალსაზრისით უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი, მაშასადამე ის წრე, საითგანაც იბერიის მეფეს ირჩევდენ, უნდა იმ სოციალურ ერთეულად ვიგულისხმოთ, რომელიც ნათესაობას წარმოადგენდა და ნათესაურ კავშირზე იყო დამყარებული-

- 171 -

ლი. უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ეს წრე და ნათესაური კავშირი ერთი გარკვეული საგვარეულო უნდა ყოფილიყო, რომელიც ეგების რამოდენიმე შტოდ იყო დაყოფილი. მაშასადამე საფიქრებელია, რომ იბერიის, ანუ აღმ. საქართველოს სათავეში სამეფო საგვარეულო მდგარა.

მეფის ხელისუფლების დამკვიდრების წესი სტრაბონს მკაფიოდ აქვს აღწერილი:

მეფედ იმასა სვამენ, ვინც საგვარეულოში წინანდელი მეფის ყველაზე მახლობელი იყო ნათესაობითა და წლოვანობით კიდევ უხუცესი. მაშასადამე მეფის ხელისუფლება არ შეიძლება რომ მამის შემდგომ მის უფროს, ან რომელიმე სხვა შვილს მიეღო, რათგან ის საგვარეულოში ყველაზე უფროსი არ იქნებოდა. ამგვარად მეფის ხელისუფლების მემკვიდრეობის წესი აღმოს. საქართველოში პირდაპირი მემკვიდრეობის წესი კი არ ყოფილა და პირმშობის კანონზე-კი არა, არამედ უხუცესობის კანონზე ყოფილა დამყარებული.

რა წოდებულება უნდა ჰქონოდა საქართველოს მეფეს? თუ გავიხსენებთ, რომ იგი მეფის საგვარეულოს უხუცესი იყო, საფიქრებელია, რომ მას იგივე სახელი უნდა ჰქონოდა, რომელიც გვარის უფროსს ეწოდებოდა, ე. ი. მამასახლისი. რასაკვირველია, ჩვეულებრივ გვარის უფროსთა და სხვა ხელისუფალთაგან განსარჩევად მის წოდებულებას ამას გარდა რაიმე განმასხვავებელი დანართი სახელიც უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლეონტი მროველსაც სცოდნია, რომ საქართველოს უზენაესს საჭეთმპყრობელს და მმართველსა და საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფლებსაც ქართულად წინათ „მამასახლისი“ ეწოდებოდათ. ეს ცნობა მას რომელიღაც ძველი ქართული წყაროთგან უნდა ჰქონდეს ამოდებული, მხოლოდ ქრონოლოგიურად ეს მოვლენა შეცთომით მერმინდელად და ვითომც არეულობის დროინდელად მიუჩნევია. მას სხვათა შორის ნათქვამი აქვს: „არა-ვინ იყო მათ (ე. ი. ქართლოსიანთა) შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილითი-ადგილად თავადნი (ე. ი. მეთაურნი) იჩინიან. ხოლო, რომელიც იყვის მცხეთას, იგი იყვის ყოველთა მათ სხვათა ზედა და არცა სახელდებოდა მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდა და იგი იყვის მაზავებელ და ბჭესხუათა ქართლოსიანთა, რამეთუ ქალაქი მცხეთა

განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა და უწოდდეს დედა-ქალაქად“-ო (ც^ა მეფეთა *107, გვ. 8, სადაც ტექსტს 1^{1/2} სტრიქონი აკლია, შეად. ქ^ა ზ. ჭიჭ. 24).

მცხეთის მამასახლისი, ვითარცა ქვეყნის უზენაესი ბატონ-პატრონი, ჩვენ ისტორიკოსს მოხსენებული ჰყავს თურქთა აღმოს. საქართველოში დასახლების შესახებ ცნობაშიაც: ისინი „მოვიდეს მცხეთას სახლი რვა და ეზრახნეს მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ს ა მ ც ხ ე თ ი ს ა ს ა, აღუთქუეს შეწევნა სპარსთა ზედა. ხოლო მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს მ ა ნ მ ც ხ ე თ ე ლ მ ა ნ ა უწყა ყოველთა ქართუელთა და ინებეს მეგობრობა მათ თორქთა“ ო (იქვე *125, გვ. 12).

მაგრამ, როგორც ლ. მ რო ვ ე ლ ი ს ცნობითგან ჩანს და შემდეგში სხვა წყაროების მოწმობითაც დავრწმუნდებით, მამასახლისი მარტო მეფეს-კი არა, არამედ თემისა და თემის, ქალაქისა, დაბისა და საგვარეულოს მმართველსაც ეწოდებოდა სახელად. ბუნებრივად იბადება საკვითხი, თუ როგორ უნდა გაერჩიათ ქვეყნისა და სამეფოს უზენაესი გამგე საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებისაგან. ლ. მ რო ვ ე ლ ი ს ს ი ტყვევით საქართველოს სამეფოს საჭეთმპყრობელს „მცხეთის მამასახლისი“ უნდა ჰრქმეოდეს და თითქოს სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მისი სხვებისაგან გამარჩეველი წოდებულება. ეს ცნობა რომ მთლად უსაფუძვლო არ უნდა იყოს, ამას ერთი ანალოგიური მოვლენაც გვაფიქრებინებს. ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელსაც ქართლისა კათალიკოზის სახელის გარდა მცხეთისა კათალიკოზიც ეწოდებოდა. მაგრამ მაინც დაუჯერებელია, რომ მცხეთისა მამასახლისის სახელის გარდა აღმოს. საქართველოს უზენაეს გამგეს თავისი განსაკუთრებული წოდებულება არ ჰქონოდა. ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელის მსგავსად შეუძლებელია მას ქართლისა მამასახლისი ჰრქმეოდა, რათგან იბერიის სამეფოში ქართლი თუმცა უდიდეს, მაგრამ მაინც ერთად-ერთ შემადგენელ ნაწილს არ წარმოადგენდა. საკუთრივ ქართლის გარდა ჰერეთი და მესხეთიც იყო. ამიტომ არის რომ „ქართლისა მამასახლისი“ ქართლის საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფლის სახელი იყო.

სრულუფლებიანი ხელისუფლების მქონებელს ქართულად „კ ე ლ მ წ ი ფ ე“ ეწოდებოდა და შემდეგში, მაგ. XI-XIII სს-ში საქართველოს მეფესაც მართლად ხელმწიფეს ეძახდენ. იქნებ იბერიის მეფეს „მცხეთისა მამასახლის“-საც ხელმწიფეს უწოდებდენ? საეჭვოა, რათგან უძველეს ქართულ ძეგლებში, მათ შორის საღმრთო წერილის უძველეს თარგნამშიც, „ველმწიფე“ არას დროს მეფეს არ ჰწინავს. „ველმწიფე“, როგორც თვით ამ ტერმინის აგებულობითგა-

ნა ჩანს, ისეთ პირსა ჰწინავს, რომელსაც „ველი“, ე. ი. უფლება „მწიფე“ ანუ სრული აქვს. ამგვარად „ველმწიფე“ სრულუფლებიანს, უფლების მქონებელს უდრის იმისდა მიუხედავად, თუ ვინ იყო ეს პირი. მაგ. ი ა კ ო ბ ხ უ ც ე ს ი ს ს ი ტყვეთ, როდესაც ვარსქენ პიტიახშის გამაზდიანების გამო მისმა ცოლმა შუმანიკმა წარმართ ჰქმარ-

თან ერთად ყოფნა აღარ მოისურვა და სხვაგან გადავიდა, ვარსკენს უთქვამს: „რახსა ჯ ე ლ ი წ ი ფ ა ჩემზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ“-ო (გვ. 5, IV, 12-14), ე. ი. ჩემ ცოლს რა უფლება ჰქონდა ესრე მოქცეულიყო? ევსტათე მცხეთელის მარტვილობის ავტორის ცნობითაც მცხეთაში მცხოვრებ სპარსელს ხელოსნებს მცხეთის ციხისთავისათვის უთქვამთ: „აქ არის კაცი ერთი ჩუენისა რჯულისაგანი... აწ შენ მოუწოდე და ჰკითხე, რამეთუ ა მ ა ს ქ ა ლ ა ქ ს ა შ ი ნ ა ჯ ე ლ მ წ ი ფ ე ხ ა რ“-ო (საქართ. სამოთხე 313), ე. ი. ამ ქალაქში შენ სრული ხელისუფლება გაქვსო, ხოლო როდესაც ამ მცხეთის ციხისთავს დასმენილი პირი დაუბარებია და საქმე გამოუძიებია, მას თურმე განუცხადებია: „ამის კაცისა პატიჟი (ე. ი. დასჯა) მე არა რად ჯ ე ლ მ ე წ ი ფ ე ბ ი ს არცა აღბმა ძელსა, არცა პყრობილება“-ო (იქვე 314), მისი არც ციხეში ჩასმისა და არც ჯვარზე აღბმის უფლება არა მაქვსო. ზემონათქვამითგან ცხადი უნდა იყოს, რომ „ჯელმწიფედ“ იბერიის მეფის განმასხვავებელ წოდებულებად შეუძლებელია ყოფილიყო.

ეხლა თუ გავიხსენებთ, რომ ქვეყნის უზენაესი გამგისა და ბერძნული βασιლევს „ბაზილეუს“-ისა და სომხური Թագաւոր „თაგავორ“-ისა და არქა-ს ერთად-ერთ აღმნიშვნელ ტერმინად და შესატყვისობად „მ ე ფ ე“ იყო, რომელიც თავდაფირველად „მ ე უ ფ ე“დ გამოითქმოდა და იწერებოდა (იხ. მათე 18²³, 21⁵, 22², 25^{34,40} 27^{11,37,42}, – მარკოზ 15^{2,9,26,32} – ლუკა 19³⁸, 23^{2,38}, – იოანე 12¹⁵, 18³⁷, 19^{3,12,19}), ხანმეტ ტექსტებში ამ სახითვე გვხვდება, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ იბერიის მეფეს თავდაპირველად საქვეყნოდ გამრიგე მოხელე და გვარის უფროსი მამასახლისებისაგან განსარჩევად ალბათ „მეუფედ მამასახლისი“ ერქმეოდა, რომლისგანაც შემდეგში მარტივად „მეუფედ“ და შემდეგ მეფე წარმოსდგა. აღსანიშნავია, რომ შემდეგ ხანაშიაც, მაგ. XI ს-ში, როდესაც საქართველოს მეფის ხელისუფლება, როგორც „ქართველი სამართლის ისტორიის“ II წიგნში დავრწმუნდებით, სულ სხვა ნიადაგზე აღმოცენდა, საქართველოს მეფე ვითარცა სამეფო სახლობისა და საგვარეულოს უფროსი, იმავე დროს მამასახლისადაც ითლებოდა. ამ გარემოებას ბაგრატ IV საკუთარი სიტყვები ცხად-ჰყოფენ, რომელიც მას ოპიზის სიგელში

აქვთ ნათქვამი: თუმცა დავა მიჯნადოროელებმა მოიგეს, მაგრამ ოპიზარნიც რომ გულნატკენი არ დარჩენილიყვნენ, ამიტომ „რათამცა ოპიზარნიცა გულსავსე ვყვენ... თავსავე ჩემსა დავათმინე: ავიღე ს ა მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ო ი ს ა ს ა მ ს ა ხ უ რ ე ბ ე ლ ი ს ა ჩ უ ე ნ ი ს ა გ ა ნ სოფელი ბარევანი და მივეც ოპიზართა“-მ (სქს⁻ სძვ⁻ლნი II, 4) მასანადამე ამგვარად, როგორც სამეფო სახლობის წევრებს „უ ფ ლ ი ს - წ უ ლ ე ბ ი“ ეწოდებოდათ და მათ სამფლობელოს „ს ა უ ფ ლ ი ს - წ უ ლ ო“ ერქვა, ისევე უნდა დავასკვნათ, რომ რაკი მეფის პირად კერძო საკუთრებას „ს ა მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ო დ სამსახურებელი“ ჰქრქმევია, თითონ ისიც მამასახლისად ყოფილა მიჩნეული.

§ 2. მეფის ხელისუფლების უხუცესობით დამკვიდრების წესის დამადასტურებელი ცნობები

სტრაბონის საუცხოვო აღწერილობა იმ დროინდელი იბერიისა, რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი, ძვირფასს ცნობებს გვაძლევს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესრიგის შესახებ. იქ, როგორც ვიცით, ნათლად არის აღნიშნული, რომ მემკვიდრეობის რიგი პირდაპირი-ვი არ იყო, მამის შემდგომ მეფობის უფლება შვილზე პირმშობის წესით ვი არ გადადიოდა, არამედ წლოვანობასა, უფროსობაზე და მხცოვანებაზე, უხუცესობაზე იყო დამყარებული: განსვენებული მეფის შემდგომ ვინც სამეფო საგვარეულოში ყველაზე უფროსი იყო ხნიერებით და ყველაზე მახლობლად ითვლებოდა, იმას ეკუთვნოდა კიდევ იბერიის სამეფო ტახტი.

ფრიად საყურადღებო საგანია, გამორკვეულიყო, რამდენად ადასტურებენ სტრაბონის ამ ცნობას ქართული საისტორიო წყაროები? ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი ს თხზულება ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭირო მასალებს არ გვაძლევს „მქ-ცმქ“ს მატიანეში – ვი მოიპოვება ბერძენთა გამოჩენილ გეოგრაფის სიტყვები სიმართლის დამამტკიცებელი ცნობები. სამწუხაროდ ამგვარი ცნობები მატიანეს თავითგანვე არ იწყება, დასაწყისში მეფეთა ნუსხა მეტად მოკლეა და სიტყვა ძვირი, ისე რომ იქ მეფეთა ჩამომავლობა – ნათესაობაზე მემატიანეს ერთი სიტყვაც არ წამოსცდენია. მხოლოდ მირიანის შემდგომ არის აღნიშნული ისიც მხოლოდ ხუთი მეფის ნათესავობა და სწორედ ეს ცნობებია ჩვენთვის საყურადღებო. „მქ-ცმქ“ს მატიანე ამტკიცებს, რომ მირიან მეფის გარდაცვალების შემდგომ „დაჯდა მეფედ ბაკურ ძე რევისი“ (Описю II. 719) ჩვენ ვ ი ც ი თ შატბერდისეული წ-ა ნინოს ცხოვრებით, რ ო მ მ ი რ ი ა ნ ს ჰ ყ ა ვ და შ ვ ი ლ ი, მ ა გ რ ა მ მ ა ი ნ ც ს ა მ ე ფ ო ტ ა ხ ტ ზ ე ი ს-ვ ი ა რ ა ს უ ლ ა, ა რ ა მ ე დ „ბ ა კ უ რ ძ ე

რ ე ვ ი ს ი“. დასახელებულს შატბერდისეულ ცხოვრებაში მირიანის შვილი იწოდება რევად, (Опис. II, 804), მაგრამ ჭელიშისეულში იგი „რევასად“ (ibid.), ესე იგი რევაზად, არის მოხსენებული. თუნდაც რომ ამ შემთხვევაში შატბერდისეული ცხოვრების ცნობა უფრო სწორე იყოს, მაინც მგონია ეს ბაკური მირიანის შვილის შვილი-ვი არ უნდა იყოს, - იმიტომ რომ მაშინ გაუგებარი იქნებოდა რატომ არ ავიდა სამეფო ტახტზე მირიანის ძე, თუ რომ მის შვილისშვილს გამეფება შეეძლო, - არამედ მირიანის ძმა უნდა ყოფილიყო, რევისი (ან როგორც „მქ-ცმქ“ს მატიანეში ალბათ შეცდომით სწერია ლევისი „ლევ მამაჲ კ-ზ“ (27 მეფის) მირიანისი“ ძე.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ როცა „მ ო კ უ და რ ე ვ“, მ ი ს მ ა გ ი ე რ ტ ა ხ ტ ზ ე „დაჯდა მეფედ მამა მისი თრდატ“ (Опис. II, 720) და არა ძე მისი. უფრო მეტი მნიშვნელობა შემდეგს ცნობასა აქვს, რომ „შ ე მ დ გ ო მ ა დ მისა (ესე იგი თ რ და ტ ი ს ა) და დ გ ა ვ ა რ ა ზ ბ ა კ უ რ მ ე ფ ე დ“ (იქვე II, 720) და არა შ ვ ი ლ ი მ ი ს ი, რომელიც სამეფო ტახტს ეღირსა მამის შემდგომ-ვი არა, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა ვარაზბაკური მიიცვალა. სწორედ „მისა შემდგომად მეფობდა ბაკურ ძე თ რ და ტ ი ს ი“ (იქვე II, 720). დასასრულ ბაკურის „შემდგომად მეფობდა ფარსმან დ ი ს წ უ ლ ი (მ მ ი ს წ უ ლ ი ?) თ რ და ტ ი ს ი“ (იქვე II, 721). სამწუხაროდ აქა სწყდება

მემატიანეს ცნობები მეფეთა ნათესავობრივობაზე, მაგრამ ზემო მოყვანილი მაგალითებიც ნათლად ამტკიცებენ, რომ მეფობის უფლება პირდაპირი მემკვიდრეობის წესრიგით-კი არ გადადიოდა მამისაგან შვილზე, პირმშობის წესით კი არა, არამედ ყოველთვის წლოვანობით უფროსზე ანუ უზუცესობით, მაგალითად განსხვავებულ მეფის ძმაზე. როგორც ქვემოთ გამორკვეული იქნება „მქ-ა ქ-ა“ს მატიანეს მეფეთა ნუსხა სწორე და სრული არ არის, მაგრამ მაინც მატიანეს ზემოაღნიშნულს ცნობებს მეფეთა ნათესაობაზე დიდი მნიშვნელობა აქვს: საართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესრიგი იმდენად შეთვისებული და ძვალ-რბილში ჰქონია გამჯდარი, რომ მაშინაც კი, როცა მეფეთა ჭეშმარიტის ნუსხის შესადგენად ღირსეული მასალები არ მოეძებნებოდა, მას სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესი არ დაჰვიწყებია.

სტრაბონის სიტყვების სრულს ჭეშმარიტებას ამტკიცებს მეტადრე მე-VI-ე საუკ. დაძვეს ასურულად დაწერილი პეტრე იბერის ანუ ქათველის ცხოვრება (იხ. რ. რ ა ა ბ ე ს გამოცემული Petrus der Iberer გვ. 10). ეს თხზულება ასურულად როგორც ამ ცხოვრების ქართულ თარგმანითგან ჩანს (ნ. მ ა რ რ ი. ცხოვრება პეტრე ი ვ ე რ ი ს ა, Палест.

- 176 -

сборник. № XVI, в. II, гв. XXXV და 51) პეტრე ქართველის მოწაფის ზაქარია ქართველისავე მიერ ყოფილა დაწერილი: „მე გლახაკი მოწაფე მისი ქართველითგანვე უკანა შეუდექ წმიდასა მას, ვიდრე მიცვალებადმდე მისა; ამისთვისცა აღვწერე ცხოვრება მისი და სასწაულნი თვალითა ჩემითა ხილული და ყურითა სმენილი“-ო, ნათქვამია იქ (იქვე 51). მაშასადამე ჩვენ ხელთა გვაქვს თანამედროვეს მიერ დაწერილი ნაწარმოები, რომელსაც თუმცა რ. რ ა ა ბ ე ს მიერ გამოცემულს ასურულს ცხოვრებაში სამწუხაროდ უკვე თავდაპირველი სახე შეცვლილი აქვს (ნ. მ ა რ რ ი, იქვე გვ. XXII – XXIII და XXXII – XXXVI), მაგრამ მაინც შიგ მვირფასი საისტორიო ცნობები არის შენახული. ცხოვრების პირველ ნაწილში მოთხრობილია და ჩამოთვლილი პეტრე ქართველის ჩამომავლობა და ნათესავობა, ხოლო რაკი იგი სამეფო საგვარეულოს წევრი იყო, ამიტომ იქ აღნუსხულია ქართველ ივერთა მეფეთა სამი თავობა. სამწუხაროდ, ასურულ დედანში სახელები ცოტა არ იყოს დამახინჯებულია და ბოლოშიაც თვითეულ სახელს ბერძნული დაბოლოება „ოს“ აქვს მიმატებული. პეტრე ივერის, ანუ ქართველის ერისკაცობის სახელად თურმე ყოფილა „ნბრნვგოს“ (ც-ა, გვ. 4) „ნბრვზგოს“ (იქვე, გვ. 86), რაც შეიძლება სხვადასხვა ნაირადაც იყოს წაკითხული: ან „ნაბარნავგოს“ (გერმან. თარგ. 14), ან „ნაბრონუგოს“ (იქვე), ან ნიბარნავგოს, ნიბრანუგოს და სხვ. ქართველ მთარგმნელს ამის მაგიერ „მორვანოზი“ უწერია (გვ. 5). რომელია სწორე, ჯერ ამის თქმა არ შეიძლება იმიტომ, რომ თუმცა ნ. მ ა რ რ ი ს ა არ იყოს, იქნებ ასურელ გადამწერს მისთვის უცნობი სახელი „მორვანოზ“, ანუ „მურვანოზი“ დაემახინჯებინა (ცხოვრება პეტრე ივერისა, XXVIII-XXIX), მაგრამ ესეც-კია რომ სამაგიეროდ ქართულ თარგმანშიაც, რომელიც პავლე ხუცესსა და დეკანოზს შესწორებია (ც-ა, 53-54), სწორედ შესავალი და მეტადრე მეფეთა საკუთარი სახელები გადაუკეთებია. ამასთანავე მას თვით შესავალიც-

კი იმდენად გადაუსწორებია, რომ მეფე მირიანისა და წა ნინოს შესახები ცნობები ჩაურთავს: ასურულ დედანში-კი არც ერთი, არც მეორე მოხსენებული არ არის (შეად. ასურული ც^ა, 4-16, გერმ. თარგმ. 14-24 ქართულ ც^ას, გვ. 3-10) ამიტომ იქნებ სწორედ ასურულში იყოს შენახული პეტრე ქართველის ერის კაცობის სახელის მართლწერა. მაინც და მაინც სხვათა სახელები ასურულში უკეთესად არიან შენახული, ვიდრე ქართულში. რაკი პეტრე ქართველის ყმა-

¹⁾ სახელების ასურული ტრანსკრიპცია ვერ მოგვყავს, რადგანაც სტამბაში სათანადო შრიფტი არ აღმოჩნდა.

წვილობის სახელი ჩვენი კვლევის საგნისათვის არა გვჭირდება, ამიტომ მისი მართლწერის საკითხს აღარ გამოვეკიდებით.

პეტრე ქართველის მამა ყოფილა „ბუსმრიოს“ (ასურ. ც^ა, გვ. 5, 15 და 16), ან „ბუსმურიოს“ (ასურ. ც^ა, გვ. 86). თავდაპირველად იქნებოდა: „ბუსმჰრიოს“. თუ ბერძნულ დაბოლოვებას „ოს“-ს მოვაკვეცთ, დარჩება „ბუსმირი“, ან „ბუსმიჰრი“ ბუზმიჰრი, სპარსული საკუთარი სახელია, რომელიც საქართველოშიც მიღებული ყოფილა; ეს სახელი ჰრქმევია მაგ. ქართლის მთავარს (𐌌𐌔𐌌𐌔𐌌𐌔𐌌, 134). „ბუზმილ“-ადვე იწოდება ევსტათე მცხეთელის ერთი მეტომეთაგანი. პეტრე ქართველის მამა ბუზმიჰრი იბერთა მეფედ ყოფილა (ასურული ც^ა, 5, 16; თარგმ. 15,24). პეტრეს მამის მამას, პაპასაც, თურმე „ბუზმიჰრი“ რქმევია (იქვე ასურ. ც^ა, 5 და 86; თარგმ. 15 და 84), მაგრამ ის მეფედ არ იხსენიება. პეტრე ქართველის მამის მამას ბუზმიჰრს ცოლად ცოლად ჰყოლია ქალი, რომლის სახელის ასურული დაწერილობა (ც^ა, გვ. 5, 15) შეიძლება წაკითხული იყოს სხვადასხვა გვარად: „ოსდუკტია“-დაც და ასე კითხულობს რ. რ ა ა ბ ე (თარგმ. 15), „ევსდუკტია“-დაც, „ავსდუკტია“-დ, „ავასდუკტია“-დ და სხვა-ნაირადაც იმის მიხედვით, თუ რა ხმოვნები უნდა მისდევდეს თანხმოვნებს. ამ სახელის მეორე ნაწილი უდრის სპარსულს „დუხტ“, რომელიც ფაჰლავურში ქალიშვილსა ჰნიშნავდა და ფაჰლავური დედათა საკუთარი სახელების მეორე შემადგენელ ნაწილად იყო ხოლმე, როგორც მაგ. აზარმიდუხტ ორმიზდუხტ, პეროზდუხტ და სხვა. ქალთა ამგვარად ნაწარმოები საკუთარი სახელები საქართველოშიც იყო მიღებული, როგორც მაგ. მიჰრანდუხტი, ვახტანგ გურგასალის და მეფე არჩილის ასული და გურანდუხტ დედოფალი.

პეტრე ქართველის დედას და ბუზმიჰრ მეფის თანამეცხედრესა ჰრქმევია „ბაკურდუკტია“ (ასურ. ც^ა, 5 და 12, თარგმ. 15 და 20), ანუ ბაკურდუხტი. როგორც ცხოვრებაში აღნიშნულია, ბაკურდუხტი ყოფილა ბაკურ მეფის ასული (ასურ. ც^ა 5, თარგ. 15) რაც თვით სახელშივე არის გამოთქმული. დედის მხრივ პეტრე ქართველის პაპა ყოფილა მეფე „ბაკურიოს“ (ასურ. ც^ა 5, 7 და 8, თარგ. 15, 16 და 17) ანუ ბაკური, რომლის თანამეცხედრესა რქმევია „დუკტია“ (ასურ. ც^ა 5 და 7, თარგ. 15 და 16) ანუ დუხტი. ბაკურ მეფეს ჰყოლია ძმა „არსილიოს“ (ასურ. ც^ა 5, 8,-თარგ. 15 და 18) არჩილი, რომელიც აგრეთვე მეფეთა მჯდარა. ნუსხა რომ სრული იყოს, უნდა კიდევ

გავიხსენოთ, რომ პეტრე ქართველის მამის მამის ბუზმიძრის თანამეცხედრეს ძმა ჰყოლია, რომლის სახელი ყოფილა „ფ ა რ ს მ ა ნ ი“

– 178 –

(„ფარსმანიოს“ ასურ. ც^ა 5, თარგ. 15). ეს ფარსმანიც სამეფო ტახტზე ასულა (იქვე).

ეხლა გამოსარკვევია, თუ ვინ როდის და ვის შემდგომ მეფობდა. როგორც თვით ცხივრებითგანა ჩანს, ყველაზე უწინ ბაკურს, „დიდს ბაკურს“ (ც^ა 5, 7 და 8.-თარგ. 15, 16, 17) უმეფნია. ბაკურის მეფობის დროს განსაზღვრა დაახლოებით შეიძლება: ის პირველი მეფე იყო ივერიაში, რომელმაც თითონაც ქრისტიანობა მიიღო და მთელი ერიც ქრისტიანობისადმი მოაქციაო, ნათქვამია ასურულს ცხოვრებაში. (გვ. 5, თარგ. 15).¹ ხოლო ა მ მ ი ა ნ ე მ ა რ ც ე ლ ი ნ ი ს თხულებით ჩვენ ვიცით, რომ 361 წ., როდესაც ჰრომადელებს სპარსთა მეფის ლაშქრობის შიში ჰქონდათ და ამისგამო მეზობელი მეფეების გულის მოგებას, განსაკუთრებით-კი სომეხთა და ივერთა მეფეების თავიანთკენ მიმხრობასა სცდილობდნენ ბრწყინვალე სამოსლებითა და მრავალგვარი საჩუქრებით, მაშინ ივერთა სამეფო ტახტზე თურმე უკვე მ ი რ ი ჰ ა ნ ი (ლათინურად მერმინდელ გადამწერთა შეცთომით სწერია „მერიბანეს“) იჯდა (Rerum gestarum libri quae supersunt, lib. XXI, cap. 6, § 7; В. Латышев. Известия etc. II, 324). მაშასადამე ყოველ შემთხვევაში 360 წ. მოყოლებული შეუძლებელია ბაკური იბერიაში ისევ მეფედ ყოფილიყო. ყურადღების ღირსია, რომ პეტრე ქართველის ცხოვრების აღმწერი, თვით ქართველივე, მირიჰანს სრულებით არ იხსენიებს. შესაძლებელია, ამგვარი უცნაური დუმილი იმით აიხსნებოდეს, რომ ავტორი ცნობებს ყველა მეფეებზე კი არ მოგვითხრობს, არამედ მარტო პეტრე უფლისწულის პირდაპირ ნათესავობაზე, და იქნებ მირიჰანი ამ შტოს არ ეკუთვნოდა. მირიჰანის მეფობამ, როგორც სჩანს დიდ ხანს არ გასტანა, 368 წელს იბერიის ტახტზე მეფედ საურმაგი მჯდარა (A m m i a n u s M a r c e l i n u s Res gestae L. XXVI, 21,-ლათინურ II, 332), საურმაგი ვგონებ 374 წ.-საც მეფედა ყოფილა, მაგრამ ა მ ი ა ნ ე მ ა რ ც ე ლ ი ნ ი ს სიტყვით ამ დროს იბერია უკვე ორად ყოფილა გაყოფილი (იხ. ქართ. ერის ისტორია).

არკადი კეისრის დროს (395-408) იბერიაში სამეფო ტახტზე ასულა ფარსმანი, რომელსაც ჯერ არკადი კეისარი თურმე დიდს პატივს სცემდა, მას პირველი ადგილი ეკავა და სპასალარად იყო, მაგრამ მერმე, როცა გამოაშკარავდა, რომ კეისრის თანამეცხედრეს ევდოქსიას ჰყვარობდა, და დედოფლის მრუშება გამომჟღავნდა, გაი-

¹) საკითხი პირველი ქრისტიანი ქართველი მეფის შესახებ დაწვრილებით „ქლ ერის ისტორიის“ I წიგნის ახალ გამოცემაში იქნება განხილული.

– 179 –

ქცა თავის სამშობლოში და შემდეგ იბერიაში გამეფდა. იგი რომადელებს ჰმტრობდა, და ამისთვის მან თეთრი ჰონნები გამოიყენა და მიუსია რომადელების ქვეშევრდომებს (ასურ. ც^ა 5, თარგ. 15). რაკი ევდოქსია 404 წ. გარდაიცვალა, ამიტომ ფარსმანის დაბრუნება სამშო-

ბლოში და გამეფება დაახლოვებით 395-404 წ. შუა უნდა მომხდარიყო. როდემდის იმეფა ფარსმანმა, არც ეს ვიცით.

თევდოსი II კეისრობის დროს-კი (408-450) იბერიის მეფედ უკვე პეტრე ქართველის მამა ბაკურ მეფის სიძე, მისი ასულის ბაკურდუხტის მეუღლე ბუზმიჰრი იყო (ასურ. ც^ა 16, 5 და თარგ. 24 და 15). როდის გამეფდა იგი არა ჩანს, მხოლოდ ცხოვრებაში ნათქვამია, რომ თევდოსი კეისარი მრავალგზის სთხოვდა მეფე ბუზმიჰრს თავისი მცირე წლოვანი შვილი მისთვის მძევლად გამოეგზავნა და ბოლოს მეფე იძულებული იყო კეისრის დაჟინებული თხოვნა აესრულებინა და თავის თორმეტი წლის შვილი თევდოსი II-ისა და მის თანამეცხედრე ევდოქსიასთვის გაეგზავნა კონსტანტინეპოლში (ასურ. ც^ა 15-16, თარგ. 23-24). რაკი თევდოსი II-ემ ევდოქსია მხოლოდ 421 წ. შეირთო, ხოლო მელანიას ქართველი უფლისწული 424 წ. ბიზანტიაში დახვდა (ასურ. ც^ა 29, თარგ. და შესავალი 10, შენ.) მაშასადამე 421-424 წ. ბუზმიჰრი მეფედა მჯდარა. ხოლო ამ დროს კეისართან მძევლად მოყვანილი პეტრე ქართველი 12 წლისა ყოფილა და რაკი ცხოვრებაში აღნიშნულია, რომ თევდოსი მრავალგზის სთხოვდა შვილს მძევლადო და ამასთანავე შეუძლებელია სამის წლისაზე ადრე განეზრახა კეისრის ბავშვის მძევლად წაყვანა, ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ ბუზმიჰრი, თუ უფრო ადრე არა, ყოველ შემთხვევაში დაახლოვებით 413-416 წ. უკვე მეფედ უნდა ყოფილიყო. შვილის მძევლად გასტუმრების შემდგომ როგორც ჩანს დიდხანს აღარ დასცლია სიცოცხლე.

როდესაც პეტრე ქართველი მონაზონად შემდგარა, მაშინ იბერიაში მეფედ უკვე მისი დედის მამის ბაკურის ძმა მოხუცებული არჩილი ყოფილა. თავის ძმისწულის შვილის განთქმული ასკეტიკური მოღვაწეობით გახარებულმა არჩილ მეფემ ეპისტოლე გაუგზავნა და მისი სულისთვის მეოხება სთხოვა (ასურ. ც^ა 10, თარგ. 19). ხოლო პეტრე ქართველის მოალაქეობის აღმწერი ამბობს, რომ ქართველ უფლისწულს მონაზონობა ო ც ი ს წ ლ ი ს ა ს მიუღია (იქვე 33 და თარგმ. 37), ქართულ თარგმანში „ო ც და ხ უ თ ნ ი წ ე ლ ნ ი“ არის მოხსენებული (ნ. მარრის გამოც. გვ. 14), მაგრამ ეს მისი აღკვეცის თარიღი-კი არ არის, არამედ მისი გულმოდგინე მონაზონური მოღვაწეობისა: მამასახლისმა „აკურთხნა მონაზონად ...და უწოდა...

- 180 -


სახელი პეტრე... და წარიყუანნა მონასტერადვე და იღუწიდეს... ვიდრემდის წარუდეს ოცდახუთნი წელნი წმინდა პეტრეს ცხოვრებისანი და ესოდენ ტანჯნა ხორცნი თვისნი წმინდამან პეტრე ვიდრემდის დაშთეს ძუალნი ოდენ და ტყავნი“ (იქვე, 14 – ასურ. ც^ა 34). ამგვარად ქართული თარგმანის მიხედვითაც გამოდის რომ პეტრე ქართველი უფრო წინათ აღკვეცილა და ამიტომ ბერად შედგომის ასაკად 20 წ. უნდა ვიცნათ, ხოლო 25 წლისა შესრულებულა, როცა მისი ასკეტური მოღვაწეობა უკვე განთქმული ყოფილა. სწორედ ამ ხნის განმავლობაში იქმნებოდა დაწერილი არჩილ მეფის ეპისტოლეც. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 421-424 წ. პეტრე ქართველი 12 წლის ყმაწვილი ყოფილა მაშასადამე დაახლოვებით 409-412 წ. უნდა დაბადებულიყო. ამიტომ პეტრე

ქართველი ბერად დაახლოებით 429-432 წ. უნდა შემდგარიყო, ხოლო განთქმულ განდევნილად იგი იქნებოდა 434-437 წ. ამგვარად შეიძლება დავასკვნათ, რომ 429-437 წ. დაახლოებით იბერიაში მეფედ იჯდა არჩილი. პეტრე ქართველის მამა ბუზმიჰრი გარდაცვლილა და მისი დაქვრივებული მეუღლეც ბაკურდუხტი შვილთან აპირებდა იერუსალიმში წასვლას, მაგრამ პეტრემ განდევილური სიმკაცრითა და გულქვაობით დედის გულის ნატვრა უარჰყო (ასურ. ც^ა 12, თარგ. 20). აქეთგანა სჩანს, რომ არჩილი გამეფებულა ბუზმიჰრის მეფის გარდაცვალების შემდგომ. ზემომოყვანილი გამოანგარიშების შემდგომ იბერიის IV-V ს.ს. მეფეთა ნათესაური დამოკიდებულება აქვე დართული შტოს სახით წარმოგვიდგება (იხ. შტო).

როგორც ამ შტოთაგანა ჩანს მეფობის უფლების მემკვიდრეობის წეს-რიგი მართლაც პირდაპირი არ არის, არამედ გადადის მთელი სამეფო საგვარეულოს ამა თუ იმ წევრზე უფროსობის მიხედვით. ამ მხრივ ყურადღების ღირსია, რომ ასურული ცხოვრების დამწერს აღნიშნული აქვს, არჩილი მოხუცებული იყო როცა მეფობა მიიღო (ასურ. ც^ა 5 – 6, 8, – თარგ. 15 – 16, 18), და როცა თევდოსი მცირემ პეტრე უფლისწულის ბერად აღკვეცის სურვილი შეიტყო წინააღუდგა ჭაბუკს, ერმა, რომელმაც ეს ყმაწვილი მძევლად ჩამაბარა, რომ უკან მომთხოვოს, რაღა პასუხი გავცეო (ასურ. ც^ა 20, თარგ. 27). ამ სიტყვებითაგანა ჩანს, რომ თუმცა უფლისწული მეფის-ძე იყო, მაგრამ მეფობა მამის შემდგომ მაინც და მაინც მას არა ჰკუთნებია და სამეფო ტახტზე მართლაც მისი პაპის (დედის მხრივ) ძმა არჩილი ასულა.

დასავლეთი საქართველოს, ე.წ. ლაზიკის სამეფოს მეფის ხელისუფლებისა და სოციალური წესწყობილების შესახებ ს ტ რ ა ზ ო ნ ს

იბერიის IV-V ს.ს. მეფეთა გვაროვნობითი შტო (იხ. გვ. 180).



პეტრე ქართველი, მისი ნახევარდა „ბუმირუსფარდა“

სამწუხაროდ არაფერი აქვს ნათქვამი და ამისგამო ამ საკითხზე იმ დროისათვის არაფრის თქმა არ შეიძლება. მხოლოდ მერმინდელ ავტორს პრისკოს პანიელს აღნიშნული აქვს, რომ ლაზიკაში შესაძლებელი იყო მამსაცა და შვილსაც ერთსა და იმავე დროს ემეფნა (Ἱστορία Γοτθική IV, 26. – ლატიშევის Scyt. et. Caucasica 840 – 1).

მამსადადამე თანამოსაყდრეობის წესი ყოფილა. საფიქრებელია, რომ მოვლენა უხუცესობაზე დამყარებული ტახტის მემკვიდრეობის წესის დასარღვევად და პირმშობის კანონის განმტკიცებისათვის ლაზთა მეფეთაგან გამოყენებული საშუალება უნდა იყოს. საეჭვოა, რომ იგი ძველი ჩვეულება ყოფილიყო.

დასავლეთ საქართველოშიაც, ლაზიკაში რომ სამეფო ტახტის დამკვიდრების კანონი პირმშობის პრინციპზე არ მყოფილა დამყარებული და უხუცესობას ეყრდნობოდა, ამის დამტკიცება ისტორიული ცნობების საშუალებითაც შიძლება. მგ. ბიზანტიელ ისტორიკოსთა ცნობით მე-VI ს. მეორე ნახევარში ლაზიკაში მეფობდა წ ა თ ე, რომელიც გაქრისტიანდა (იხ. ქ~ლი ერის ისტ. I) შემდეგ პ რ ო კ ო პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი ლაზთა მეფეს იხსენიებს ო ფ ს ი ტ ე-ს გუბაზის ბიძას, ე.ი. წათეს ძმას („Οφιτης Γουβλαζος θείος, Ααζω Βασιλεύς“, de bello Goth. I, 4, 9), მერმე გ უ ბ ა ზ ი გამეფებულა, წათეს შვილი (Agathias I, 3, გვ. 74-76 და Дестунис Прокоп. Кесар. II, 117 შენ.)

შემდეგ სამეფო ტახტზე წ ა თ ე ადის, გ უ ბ ა ზ ი ს უ მ ც რ ო ს ი ძ მ ა (Agathias I, 3, გვ. 81-89). ამ ლაზთა მეფეთა სიითგან ცხადადა ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოშიაც მამის შემდგომ სამეფო ტახტზე მისი შვილი-კი არ ადის, არამედ ძმა. მამსადადამე იქაც მემკვიდრეობის კანონი უხუცესობის პრინციპზე ყოფილა დამყარებული და ამის გამო უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოშიაც მეფის ხელისუფლება საგვარეულო წესწყობილების ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული.

რაკი აღმოსავლეთიცა და დასავლეთი საქართველოც I ს-ით ქ. წ. რომაელების პოლიტიკური გავლენის სფეროდ იქცნენ, მათი მფარველობის ქვეშე იმყოფებოდნენ, მათ ყმად-ნაფიც სახელმწიფოებად გახდნენ. ხოლო შემდეგ მათი ადგილი ბიზანტიამ დაიკავა. მე-IV ს-ითგან მოყოლებული სპარსეთი თანდათან აღმოს. საქართველოში გაბატონებას ცდილობს ჯერ ვითარცა მფარველი, შემდეგ როგორც დამპყრობელი, ამიტომ როგორც რომაელები და ბიზანტიელები, ისევე მათი მეტოქე სპარსელები, თავიანთი პოლიტიკის განსამტკიცებლად ცდილობდნენ, რომ საქართველოს სამეფო ტახტზე მათი მომხრე მჯდარიყო, ამ თავიანთი წადილის განსახორციელებლად ისინი არავი-

თარ საშუალებას არ ზოგავდნენ, სხვათა შორის უფლისწულებიც მძევლად მიჰყავდათ და შემდეგ მათ გამეფებას ცდილობდნენ (ამის შესახებ ცნობები იხ. ქლ~ი ერის ისტ. I-ში). ცხადია, რომ ასეთ პირობებში მემკვიდრეობის კანონის უხუცესობის პრინციპი არა ერთხელ დაირღვეოდა და პირმშობის პრინციპის განმტკიცებას ყოველნაირად ხელი შეწყობილი ექნებოდა.

ქართული სამართლის ისტორიის შემსწავლელს უნდა კარგად

ჰქონდეს გათავლისწინებული ის ძირითადი განსხვავება, რომელიც I-VI სს-ისა და IX-XIII სს-ის საქართველოს სამეფოს შორის იყო: თუ I-VI სს-ში სამეფოს მთელი ესწყობილება და მეფისა და საქვეყნოდ გამრიგებლობის ხელეების ხელისუფლება გვაროვნულ წესწყობილებიდან დაგზე იყო აღმოცენებული და მამასახლისობით განწარმოიშვა და განვითარდა, IX-XIII სს. მეფის ხელისუფლება ერის მთავრობის ნიადაგზე აღმოცენდა და აღორძინდა. ამ გვარად აქორი სხვადასხვა სამყაროა, ცხოვრების სხვადასხვა პირობებით წარმოშობილი.

§ 3. მთავარსარდალი და უზენაესი მსაჯული

სტრაბონის სიტყვით მეორე პირი, ალბათ მეფის შემდგომ, მოსამართლეობდა და სარდლობდა, ე. ი. მართლმსაჯულებასა და სამხედრო საქმეს განაგებდა. საფიქრებელია, რომ მეფის შემდგომ მეორე პირად მიჩნევის საკითხი ამ შემთხვევაშიაც იმავე პრინციპის თანახმად იქნებოდა გადაწყვეტილი: აქაც უზუცესობასა და მახლობელობას უნდა ჰქონოდა გამამწყვეტი მნიშვნელობა. ამანაირად ისე გამოდის, რომ რაოგან იბერიის უზენაესი მოსამართლე და სარდალი მეფის შემდგომ მეორე პირი იყო და იმავე დროს მეფის შემდგომ ყველაზე უზუცეს წევრადაც ითვლებოდა. მეფის გარდაცვლის შემდგომ იბერიის მეფედ უზუცესობაზე დამყარებული მემკვიდრეობის კანონის ძალით სწორედ ეს მეორე პირი, უზენაესი მართლმსაჯული და მთავარსარდალი უნდა დაესვათ.

გამოსარკვევია, თუ რა უნდა ჰრქმეოდა ამ მეფის შემდგომს მეორე პირს. ამის გამოსაცნობად შეიძლება ის გარემოება იქმნეს გამოყენებული, რომ ამ პირის უფლება მოვალეობის უზენაესი მოსამართლეობა და მთავარსარდლობა შადგენდა. რა ეწოდებოდა მერმე მაშინ ჯარის უფროსს? ამაზე მხოლოდ დაახლოვებით პასუხის მოცემა შეიძლება, რათგან სტრაბონის-დროინდელი ქართული ძეგლები ჯერ არ მოგვეპოვება და ამ საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ საღმრ-

თო წერილის უძველესი თარგმანის ტერმინოლოგიის საშუალებით შეიძლება.

დაბადების ქართულ თარგმანში ჯარის უფროსის აღსანიშნავად და ბერძნული ὁ ἀρχιστάτης, ხოლო სომხური սպարապետ სპარაპეტ-ის შესატყვისობად „ერისმთავარი“ არის ნახმარი (იხ. შესაქმეთად 21²² და 32). ეს რასაკვირველია ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ჯარის აღმნიშვნელ ტერმინად მაშინ „ერი“ იხმარებოდა (იხ. აქვე „მოსახლეობის ერთეულები“).

რაკი გამოირკვა რომ ჯარის უფროსის, სპასპეტის აღსანიშნავად მე-V-VI სს. ქართულ ძეგლებში „ერისმთავარი“ იხმარებოდა, თავისდათავად სწყდება საკითხი იმ სახელის შესახებ, რომელიც მეუფე-მამასახლისის მომდევნო ხელისუფალს, აღმოსავლეთი საქართველოს სამეფოს სარდალს, უნდა ჰრქმეოდა. მისი თანამდებობის აღმნიშვნელ ტერმინად, თუ იგი ქართული იხმარებოდა, უნდა „ერისმთა-

ვარი“, ან უკეთ რომ ვსთქვათ „ერისმთავართ-ერისმთავარი“ ყოფი-
ლიყო, რათგან საფიქრებელია, რომ ერთი უხენაესი მთავარსარდ-
ლის გარდა თვითთოეული თემის ჯარის უფროსებიც იქმნებოდნენ და
სწორედ მათი თანამდებობის აღსანიშნავად უფრო მოსალოდნელია
„ერისმთავარი“, ხოლო მთელი სახელმწიფოს ჯარის უფროსის წოდე-
ბულად ალბად „ერისმთავართ-ერისმთავარი“ უნდა ყოფილიყო.

§ 4. საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალნი

გვაროვნული წესწყობილებისა და მეფის ხელისუფლების შესა-
ხები საკითხების განხილვის დროს უკვე გვქონდა მოყვანილი ლ. მრო-
ველისგან დაცული ცნობა, რომ ოდესღაც საქართველოში ქვეყნის
საჭეთმპყრობელსა და საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებს მეფე და ერის-
თავები-კი არ ეწოდებოდათ, არამედ მამასახლისი. მეფის შესახებ ეს
ცნობა რომ მართალი უნდა იყოს, ამაზე თავის ადგილას უკვე იყო
საუბარი. ეხლა გამოსარკვევი გვაქვს, რამდენად მართალი უნდა
იყოს ეს ცნობა საქვეყნოდ გამრიგე მოხელეთა შესახებაც.

ამის გამოსარკვევად, ერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვება.
სახელდობრ სომეხთა ისტორიკოსს ლ ა ზ ა რ ე ფ ა რ ჰ ე ლ ს აღნიშნუ-
ლი აქვს, რომ იეზდიგერდ სპარსთა მეფესთან გაემგზავრნენ

„Багъуаарѣхъ цъагъ ерѣхъ მხომუაჲ ს აჲლ თასომოსთაჲჲ აჲუაარქჲ“ (Պատմ. Չալոխ. იხ. Պատմագիրք չալոց I, ტფი- ლისი 1904 წ. გვ. 47).	„ქართველთა ქვეყნითგან არ- შუშა პიტიახში და სხვანი მ ა - მ ა ს ა ხ ლ ი ს ნ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს ა - ნ ი“-“ ო.
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------------------------------------------------------------------------------------------------------

- 185 -

როგორც ქართლისა პიტიახში საქვეყნოდ გამრიგე მოხელის,
ჰერეთის მთავრის, თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინი იყო, ისევე
„მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ნ ი ქ ვ ე ყ ნ ი ს ა ნ ი“ აღმოს. საქართველოს
სამეფოს სხვადასხვა თემთა საქვეყნოდ გამრიგე
ხელისუფალთა აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი უნდა
ყოფილიყო.

მართლაც ევსტათე მცხეთელის მე VI ს. მარტვილობაში აღმოს.
საქართველოს მმართველთა წრეში არშუშა ქართლისა პიტიახშის გა-
რდა, რომელიც ნამდვილად ჰერეთის მთავარი იყო, იხსენიება „გრი-
გოლ ქ ა რ თ ლ ი ს ა მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი“-ც (საქართ. სამოთხე 315).
საფიქრებელია, რომ ამავე წყაროს ცნობაში ზოგადად დასახელებუ-
ლი „ქართლის მთავარი“-ც ალბათ სხვადასხვა თემის საქვეყნოდ
გამრიგენი, მამასახლისნი უნდა ყოფილიყვნენ.

ლეონტი მროველის „მცხეთის მამასახლისი“-ს შესახები
ცნობითგან ცხადი ხდება, რომ ძველ საქართველოში უძველეს ხანა-
ში ქალაქის უფროსსაც მამასახლისი ჰრქმევია. ეს თანამდებობა და
სახლი შემდეგშიც არსებობდა, მაგრამ უკვე ჩამომცრობილი და
გარკვეული ხანითგან არაბულ-სპარსულ ტერმინთან „მელიქ“-თან
შეერთებით მელიქ-მამასახლისის სახით. მაგრამ ეს მერმინდელის,
არაბთა ბატონობის დროინდელი ნაშთია და წინათ-კი ქ ა ლ ა ქ ი ს

თავის აღმნიშვნელ ტერმინადაც „მამასახლისი“ ყოფილა.

რაკი ქართულ უძველეს საისტორიო ძეგლებში დაბა-სოფლების ყოფა-ცხოვრება და მეტადრე წესწყობილება, ჯერ აღმოჩენილი არ არის, ამიტომ მე-XI ს ზე უწინარეს სოფლის მამასახლისის ხსენება ჯერ არ მოგვეპოვება, მაგრამ უეჭველია მე-XI-XIII და მერმინდელ საუკუნეებში გავრცელებული ეს ტერმინი იმ უძველესი ხანის წესწყობილების ნაშთი უნდა იყოს, როდესაც დაბა-სოფლის მოსახლეობა მომეტებულ ნაწილად ერთი რომელიმე გვარის, ანუ „სახლის კაცთა“ გან შესდგებოდა და როდესაც დაბა-სოფლის უფროსი მართლაც ამ გვარის მამასახლისი უნდა ყოფილიყო.

ამ ნაირად ცხადი ხდება, რომ უმცირესი სოციალური და ადმინისტრაციული ერთეულითგან, დაბა-სოფლიტგან, მოყოლებული ყველა ერთეულების (ქალაქის, ხევისა, თემისა და თვით მთელი სამეფოს) უფროს ხელისუფალთა აღმნიშვნელ ტერმინად „მამასახლისი“ ყოფილა. ეს იმ უცილობელი ფაქტის მომასწავებელია, რომ უძველეს საქართველოში გვაროვნული წესწყობილება მართო სოციალურის კი არა,

- 186 -

არამედ სახელმწიფო წესწყობილების საფუძველიც ყოფილა.

აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის 523 და 532 წ. წ. მოსპობის შემდეგომ მეუფე-მამასახლისის ხელისუფლებაცა და წოდებულებაც უნდა გამქრალიყო. მაგრამ რაკი სპარსეთის მთავრობა ჩვეულებრივ დაპყრობილი ქვეყნების შინარ მართვა-გამგეობაში არ ერეოდა ხოლმე და უმთავრესად გადასახადების წესიერად მიღებიტა და პოლიტიკური ერთგულებით იყო დაინტერესებული, ამიტომ წინანდელი ადმინისტრაციული აპარატი აღმოს. საქართველოშიაც მთლიანად არ მოიშლებოდა და მოისპობოდა, არამედ მომეტებული ნაწილი ტავის უფლებას შეინარჩუნებდა და მუშაობასაც წინანდებურად განაგრძობდა. სომხეთშიაც სპარსთა ბატონობის ხანაში სპასპეტისა და ტანუტერ-მამასახლისთა თანამდებობანი კვლავინდებურად არსებობდა.

მე-VI ს. ქართველ ავტორსაც აღნიშნული აქვს, რომ ქართლითგან სპარსეთის მარზპანის არვანდ გუშნასპის გამგზავრების დროს „შეკრბეს ქართლისათავარნი“ და „რაჟჟამს ამჟედრდებოდა მარზპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამუელ ქართლისაკათალიკოზი და გრიგოლ ქართლისამამასახლისი და არშუშად ქართლისაპიტიახში და სხუანი სეფეწულნი“ და მარზპანს ევსტათე მცხეთელის საპყრობილეთგან განთავისუფლება სთხოვეს (მარტვლობად ევსტათის მცხ.) ამ ცნობათაგან ჩანს, რომ მე-VI ს. შუა წლებში აღმოს. საქართველოს ადგილობრივი უმაღლესი საერთო ხელისუფლების მქონებელნი „ქართლისა მთავარნი“ ყოფილან. ამ მმართველ წრეს ქართლისა მამასახლისი, ქართლისა პიტიახში და „სხუანი სეფეწულნი“ ჰკუთნებიან. ცხადია, ქართლისა მამასახლისი ამ დროს მხოლოდ საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალია იმ გვარადვე, როგორც ქართლისა პიტიახში,

რომელიც ამ სპარსულ სამოხელეო სახელს მხოლოდ იმიტომ ატარებდა, რომ სანაპირო თემის მმართველი იყო.

საფიქრებელია, რომ გამონათქვამი „მთავარნი ქართლისანი“ სრულად არ არის წარმოდგენილი და ეს ტერმინი სრულად უნდა ან როგორც „ერისმთავარნი ქართლისანი“ ვიგულისხმოთ, ან როგორც მამასახლისნი. მაგრამ მეორეს მხრით ცხადია, რომ მე-VI ს. ქართველი ისტორიკოსის ზემომოყვანილ ცნობაში მთავარნი ქართლისანი მხოლოდ და მხოლოდ ჯარის უფროსებად არა ჩანან, არამედ, როგორც აღნიშნული გვექონდა, საქვეყნოდ გამრიგე მოხელეებად გვევლინებიან. მაშასადამე პირველი საუკუნის შემდგომ ცვლილება უნდა

მომხდარიყო და ერისმთავართა ხელისუფლება საგრძნობლად გაფართოვებულა და ბუნებითაც არსებითად შეცვლილა: ჯარისუფროსობისა და მოსამართლეობის მაგიერ ის საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფლად ქცეულა, მაგრამ ჯარის მეთაურობაცა და მართლმსაჯულების უფლებაც შეუნარჩუნებია. ამ მხივ ლეონტი მროველს რომელიდაც მასზე შედარებით ძველი წყაროთგან ამოღებული ერთი საყურადღებო ცნობა მოეპოვება, სადაც ნათქვამია: „მეფემან სპარსთამან... მოუწოდა მთავართა სოფლები სთა, პიტიახშთა, და ერისთავთა სოფლები სთა“-ო (ც ̄დ * 171 – 172, გვ. 44). ამ საგულისხმო წინადადებაში გამონათქვამი „მთავარნი სოფლები სანი“ ცხადია სპარსული ტერმინის „პიტიახშნი“-ს ქართულ თარგმანს წარმოადგენს და სპარსული „ხშათრა“, ქვეყანა, როგორც ეს უძველეს ქართულ ენასა და მწერლობაში მე-IX ს-მდე იხმარებოდა (იხ. აქვე „მიწა-წყლის ერთეულები“), „სოფელად“ არის წოდებული. იმიტომ მომდევნო ტერმინიც „ერისთავნი სოფლები სანი“ აქ უნდა ქვეყნის ერისთავებს ჰნიშნავდეს. რაკი „მთავარი სოფლისაჲ“, პიტიახში საქვეყნოდ გამრიგე მოხელის სახელი იყო, ამნაირადვე „ერისთავნი სოფლებისანი“ აქ სპარსული სამოხელეო ტერმინის ქართულ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს.

მაგრამ გამოსარკვევი გავაქვს საკითხი ამ ტერმინის მაშინდელი მართლწერის შესახებ, მთავრისა, ერისმთავრისა და ერისთავის ტერმინების გარეგნული, ფონეტიკური დიფერენციაციის შესახებ: შესაძლებელია, თუ არა, რომ ერისმთავარი და ერისთავი ამ ხანაში და თვით მე-VIII-IX სს-მდე „ერისთავი“-ს ფორმით ყოფილიყო და აქ გარეგან განსხვავებულობაში ფუნქციათა სხვაობაც ხომ არ ჩანს?

იოანე საბანისძე ამ ხელისუფლების აღსანიშნავად ამ ტერმინს ძველი სახეობითვე ხმარობს. ადგილობრივი ხელისუფლების მაშინდელ წარმომადგენელს ის „ერისმთავარს“ უწოდებს: „ერისმთავარი იგი ქართლისაჲ სახელით ნერსე ძე ადრნერსე კურაპალატისა და ერისმთავარისაჲ მოწოდებულ იქმნა ქუეყნად ბაბილოვნისა... ქალაქსა მას დიდსა ბაღდადს“ (წამებაჲ ჰაბოძისი 15). ჰაბო ტფილელმა ბაღდადითგან „ინება წარმოსვლაჲ თვისი აქა ერისმთავრისა მის ნერსეს თანა“ საქართველოშიო (იქვე 15). ნერსეს ქართლითგან გახიზვნის შემდგომ იოანე საბანისძის სიტყვით მაჰდი ამირამ დაადგინა „სტეფანოზ ძე გურგენისი... ერისმთავრად ქუეყანასა ამას ქართლად“ (იქვე 20), რომლის „ერისმთა-

საც ჩვენი ისტორიკოსი მთავარს ეძახის (იქვე 18, 20, 21). ამიტომ ორიოდ სხვა ადგილას ნახმარი ფორმა „ერისთავი“ (იქვე 17, 25) მერმინდელი გადამწერის უნებლიეთ შესწორებად უნდა იქმნეს მიჩნეული.

ამნაირად ირკვევა, რომ მე-IX ს-მდე ამ ხელისუფლებას „ერის-მთავარი“ ჰრქმევია. ამაზე გაცილებით უწინარეს-კი მისი უფლება-- მოვალეობა მართო ჯარისუფროსობით არ ამოიწურებოდა და დიდი ხანი იგი საქვეყნოდ გამრიგე მოხელედ იყო ქცეული, რასაც სხვათა შორის ლ. მროველის თხზულებაში დაცული ტერმინი „ერისთავნი“, ანუ უფრო სწორედ რომ ითქვას „ერისმთავარნი ს ო ფ ლ ე ბ ი ს ა - ნ ი“-ც ხად-ჰყოფს. მაშასადამე ერისმთავრის პირვანელი უფლებების გაფართოებას ამ თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინის ფონეტიკური ცვლილება არ გამოუწვევია და ლ. მ რ ო ვ ე ლ ი ს ზემომოყვანილ ცნობაში „ერისთავნი სოფლებისანი“ უნდა ამ მერმინდელი გადამწერის დამახინჯებული იყოს, ან თვით ლ. მ რ ო ვ ე ლ ი ს მიერ თავის დროის შესაფერისად იყოს ნახმარი.

თავი VI.

წოდებანი. სოციალური უთანასწორობა.

ს ტ რ ა ბ ო ნ ი ს აღწერილობის განხილვის დროს უკვე აღნიშნული გვაქონდა, რომ მოსახლეობის მთელი ერთეულისაგან ცალკე წრედ გამოყოფილნი იყვნენ ქურუმნი. არაფერი ჩანს იმის მომასწავებელი, რომ აქ წოდებრივობასთანა გვაქვს საქმე. საფიქრებელია, რომ მაშინ ქურუმობა გარკვეულ საგვარეულოებში იყო, მაგრამ რა საკვირველია ამ საგვარეულოს ყოველი წევრი ქურუმი არ იქნებოდა. ეგების იმ დროსაც ქურუმთა წრისა და დანარჩენი მოსახლეობის, მთელი ერის ისეთივე დაპირისპირება ყოფილიყო, რომლის გამოხატულებაც ი ა კ ო ბ ხ უ ც ე ს ი ს თხზულებაში გვაქვს და შუშანიკის ერთ-ერთ სიტყვაშია მოქცეული. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია შუშანიკის მწარე საყვედურში ნახმარი გამონათქვამები: „არცა მ ლ დ ე ლ თ ა გ ა ნ ი ვინ იპოვა მოწყალე, არცა ე რ ი ს ა კ ა ც ი ვინ გამოჩნდა შორის ე რ ს ა ამას, არამედ ყოველთა მე სიკუდილდ მიმითუალეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენს“-აო (წამებად შუშანიკისი 7¹⁰⁻¹³). შუშანიკის ამ სიტყვითგანა ჩანს, რომ მაშინ მთელი ერი, ხალხი ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდა, რომლითგან ერთს „მ ლ დ ე ლ თ ა გ ა ნ ნ ი“, ანუ სამღვდელოება ეკუთვნოდა, მეორეს კიდეც „ე რ ი ს კ ა ც ნ ი“. ი ა კ ო ბ ხ უ ც ე ს ი ს თხზულებითგან და ევსტათე მცხეთელის მარტვილობით-

განაც არა ჩანს, რომ მე-V-VI სს-შიც სამღვდელოების წოდება ყოფილიყო.

ქართული ეკლესიის სათავეში იდგა „თ ა ვ ი ეპისკოპოსთა“

(ი ა კ ო ბ ხ უ ც ე ს ი, წ~მზდ შუშანიკისი 20²⁷). ქართველი მატიანეების ცნობით ვახტანგ გურგასლის დროს ამ ქართლის მთავარეპისკოპოსს „კათალიკოზის“ წოდებულება მიენიჭა და ამით თითქოს ქართული ეკლესიის თვითმწყობა იწყება. მთავარეპისკოპოსს, ან კათალიკოზს ყველა სამწყსოების ეპისკოპოზები ემოჩილებოდნენ. ამ დროს და კიდევ მე-IX ს-მდე ქართულ ეკლესიაში ყველა ეპისკოპოსნი „ც ო ლ ო ს ა ნ ნ ი“ ანუ ცოლშვილიანი იყვნენ. ი ა კ ო ბ ხ უ ც ე ს მართლაც აღნიშნული აქვს, რომ შუშანიკის სანახავად მივიდნენ „თავი იგი ეპისკოპოსთაჲ სამოველ და იოვანე ეპისკოპოსი“ და „ს ა ხ ლ ე უ ლ ი თ უ რ თ თანაყოფით იყვნეს“ (წ~მზდ შუშანიკისი 20²⁷~28). ხოლო აფოც ეპისკოპოზზე ნათქვამი აქვს, რომ შუშანიკი მას მადლობას უხდიდა „ვითარცა მამასა და მ ა მ ა მ მ უ მ ე ს ა“ (იქვე, 21²⁶~28).

ეპისკოპოზებს „ ხ უ ც ე ს ნ ი“ ექვემდებარებოდნენ და „დ ი ა კ ო ნ ნ ი“ (იქვე 5⁷, 9²³, 10⁶, 11²⁶, 13²⁴ და სხვაგანაც). ევსტათე მცხეთელის მარტვილობაში იხსენიება „ა რ ქ ი დ ი ა კ ო ნ ი“, რომელიც „ს ჯ უ ლ ი ს ა მ ე ც ნ ი ე რ ი“ იყო და, როგორც ეტყობა, ამ თანამდებობის პირთა მოვალეობას სწორედ საღმთო სჯულის სწავლება შეადგენდა (იხ. საქართ. სამოთხე გვ. 316). ი ა კ ო ბ ხ უ ც ე ს ი ს სიტყვებითგან და ევსტათე მცხეთელის მარტვილობითგან ჩანს, რომ ეპისკოპოზსა, ხუცესსა და დიაკონს შორის დამოკიდებულება მარტივი და სათნოებით აღსავსე სუფევდა.

„მატიანე ქართლისაჲს ავტორს ერთი ფრიად საგულისხმო ცნობა მოეპოვება. მას ნათქვამი აქვს: „მეფობდა ფარსმან სხუად და კათალიკოზი იყო დასაბია მკვდრი მცხეთელი და ა ქ ა მ თ გ ა ნ ო რ თ ა სახლთა ა ღ ი ღ ე ს კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ო ბ ა მ ცხეთელთა მ კ ვ დ რ თ ა“ (Опис. II 723). ამ ცოტა არ იყოს ბუნდოვანი წინადადებითგან ცხადადა ჩანს, რომ განსაზღვრულ დროითგან ქართლისა კათალიკოზობა მცხეთელ „მკვდრთა“ სახლს ანუ საგვარეულოს ჩაუგდია ხელში და ალბად ერთ-ერთი ამ ორი საგვარეულოს შვილთაგანი ჯდებოდა ქართული ეკლესიის საკათალიკოზო საყდარზე. თუმცა ამ შემთხვევაში პირდაპირი მემკვიდრეობის წესის არსებობა არ შეიძლება ვიგულისხმოთ, მაგრამ დასავლეთი ევროპის საშუალო საუკუნისას მაინც მოგვაგონებს და საგვარეულო მემკვიდრეობისას მაინც უახლოვდება. სამწუხაროდ ამ ადგილას „ მ ქ ც მ ქ ა“მატიანეს ცნობები ქრონოლოგიურად არეული

აქვს, მაგრამ მოთხრობის შემდგომითი შემდგომადობით ცხადი ხდება, რომ ეს ამბავი მე-VI ს. დამდეგს არის ნაგულისხმევი. თუ ეს ცნობა სწორეა, მაშინ ირკვევა, რომ მე- VI ს-ში გვაროვნულ პრინციპს ქართული ეკლესიის წესყობილებაში გზა გაუკაფია და ქართლისა კათალიკოზობა „მცხეთელთა მკვიდრთა“ ორ „სახლს“ ანუ საგვარეულოს ჩაუგდია ხელში. შესაძლებელია ამ დროს სამღვდელეობა წოდებად ყოფილიყო ქცეული.

ს ტ რ ა ბ ო ნ ი ს აღწერილობითგან ჩანს, რომ I ს. ქ. წ. სოციალური უთანასწორობის მხოლოდ მცირე ჩანასახი იყო. მარტო მეფესა ჰყოლია მონები, რომელნიც მას ემსახურებოდნენ ყველაფრით, რაც ცხოვრებისათვის საჭირო იყო. ამ უკანსაკნელი ცნობის მიხედვით უნ-

და ვიფიქროთ, რომ ეს მეფის მონები (βασιλικοί δούλοι) მეფეს სასოფლო და ხხვა გვარი მეურნეობის ყველა იმ ნაწარმოებს აწვდიდნენ ხოლმე, რომელიც ადამიანის არსებობისათვის საჭიროა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ისინი მიწაზე ისხდნენ და მიწისმოქმედებასა და სასოფლო მეურნეობის სხვა დარგებსაც მისდევდნენ. მოსავლის გარკვეულ გადასახადს იხდიდნენ მეფის სასრგებლოდ, თუ სხვა ნაირად იყო საქმე მოწყობილი, არა ვიცით რა.

ცხადია რომ რაკი მართო მეფეს ჰყოლია მონები და დანარჩენი მთელი მოსახლეობისაგან მონათა-მფლობელობის შესახებ სტრაბონი არაფერს ამბობს, მონები მაშინ აღმოს. საქართველოში მრავალრიცხოვანნი არ უნდა ყოფილიყვნენ. ამგვარად სოციალური უთანასწორობის მხოლოდ ჩანასახი ყოფილა და მთელი იბერიის მოსახლეობა თავისუფალი და თანასწორუფლებიანი ყოფილა.

სულ სხვა სურათი გვეშლება თვალწინ მე-V და მე-VI ს. ს. ქ. შ. ქართული საისტორიო ძეგლების მიხედვით. იაკობ ხუცესის სიტყვებით 472 წელს მომაკვდავი შუშანიკის სანახავად „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“ (წამებად შუშანიკისი 20³³⁻³⁵). მაშასადამე „სოფლისა ქართლისა“, ანუ ქართლის სამეფოს მოსახლეობა ორ მთავარ ჯგუფად ყოფილა ამდროს დაყოფილი: ყოფილან „აზნაურნი და უაზნონი“. მარტოს გარემოება, რომ „უაზნო“ წარმოადგენს „აზნაურ“-ის უარყოფით წარმოებას, ცხად-ჰყოფს, რომ ამ შემთხვევაში „აზნაური“ წოდებრივობის აღმნიშვნელი ტერმინი არ უნდა იყოს. ეს დაკვირვება რომ სრულებით სამართლიანია, ამას იაკობ ხუცესის ნაწარმოების ძველი სომხური თარგმანიც ამტ-

კიცებს (ამ სომხური ტარგმანის შესახებ იხ. ჩემი „ისტორიის მიზანი“, წიგნი I, მე-2 გამ. გვ. 20-24), სადაც ზემომოყვანილი წინადადების შესატყვისად ნათქვამია: „აպაყოფი სანაპაყოფი ქუჩაჲნი ქაჲგ“ (Մովսէսէ Գլխ. Թ გვ. 52), რაც ისევ ქართულად, მაგრამ თანამედროვე ენით ნათარგმნი იქნება: თავისუფალნი და არა თავისუფალნი (უთავისუფლონი) ქვეყნისა ქართლისანიო. მაშასადამე „აზნაური“ იმდროს თავისუფალსა ჰნიშნავდა.

ასეთი მნიშვნელობით არის ქართული „აზნაური“ სომხურითგან ნათარგმნი თხზულებებშიაც. მაგ. ატომისა და მოყვასთა მარტვილობაში ნათქვამია: „ქვეყანით სომხითით მოწევნულ არიან აქა აზნაური“ (გვ. 233 ხ), რაც უდრის სომხური დედნის «յաշխարհէն չայոց Իսսեսալ են ազատք» (Մով. չայկ. XIX, გვ. 71), – ან კიდევ „მონათა ჩემთა, აზნაურთა და ჩინებულთა მკვდართა მართ ქვეყანისა სომხითისაო“ (იქვე გვ. 234a). რომლის შესატყვისად დედანში სწერია: «առ... ծառայս մեր, առ ազատս նամիկ ճեծեսալ չայոց աշխարհի» (იქვე გვ. 72). მაშასადამე ტერმინი „აზნაური“ ჯერ კიდევ მე-V-VIII სს-ში თავისუფალსა ჰნიშნავდა, „უაზნო“ უთავისუფლოს. მაგრამ ამ სიტყვის ძირითადი და პირველადი მნიშვნელობის გამორკვევა მისი აგებულობის ანალიზის

საშუალებით შეიძლება. ჯერ კიდევ აკად. მ. ბ რ ო ს ს ე მ აღნიშნა, რომ ქართულ ტერმის „აზნაური“ უნდა სომხურ აզნ „აზნ“--თან კავშირი ჰქონდეს (იხ. Description géographique de la Géorgie. 7) პროფ. ნ. მ ა რ რ მ ა – კ ი ე ს ტერმინი სომხური აզნ აზნ-ისა, რომელიც გვარსა ჰნიშნავდა, და „ურ“, ან „ვერ“--ისაგან წარმომდგარად მიიჩნია. ური, ან ვერი შვილსა ჰნიშნავსო (физиолог. ТР VI, 81). ამგვარად აზნაურის პირველადი მნიშვნელობა გვარის შვილი, გვარიანი უნდა ყოფილიყო.

ნ. მ ა რ რ ი ს ეტიმოლოგია, მნიშვნელობის განმარტების მხრით, დაახლოვებით სწორე უნდა იყოს და აზნაური თითქოს მართლაც გვარის შვილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად, მაგრამ ამ ტერმინის პირველი ნაწილი მართლა „აზნ“--ისგან არის წარმომდგარი, როგორც მ ა რ რ ი ფიქრობდა? მაშინ საითგან გაუჩნდა მას ბოლოში „ა“-ნი (აზნ--ური)? ამას გარდა, ი ს გ ა რ ე მ ო ე ბ ა, რ ო მ ა მ „აზნ“ მ ი რ ი ს ა გ ა ნ ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი წ ო დ ე ბ ი ს აღმნიშვნელი ტერმინი თვით სომხურში არ არსებობდა, ამ აზრს საექვეო და ჰხდის. „აზნ“--ის ეტიმოლოგიაც სომხურში გამოურკვეველია და არც პროფ. ჰ ჰ ბ შ მ ა ნ ს, არც პროფ. ნ. მ ა რ რ ს მისი განმარტება არ მოეპოვებათ.

– 192 –

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მეგრულში ეს ტერმინი წარმოდგენილია „ზ ი ნ ო -ს ქ უ ა“-ს, „ჟ ი ნ ო -ს ქ უ ა“-ს ა და „ჯ ი ნ ო -ს ქ უ ა“-ს სახით (იხ. ი ო ს. ყ ი ფ შ ი მ ი ს Грам. мингр. языка, 393, სქუას ქვეშე). ამ სამ ფორმათაგან უეჭველია პირველი „ზ ი ნ ო -ს ქ უ ა“ უძველესი უნდა იყოს. ეს სიტყვა აზნაურს აღნიშნავს, მაგრამ აგებულებით „ზინო-ს შვილსა“ ჰნიშნავს, ე. ი. აქაც სამწერლობო ქართულის მსგავსად ბოლოში ხმოვანია, „ო“-ნი, რომელიც ალბათ უკუქცევითი ასიმილაციის წყალობით არის პირველადი „ა“-ნისგან წარმომდგარი. ამნაირად ამ ტერმინის პირველად სახედ უნდა „ზინა-ს შვილი“ ვიგულისხმოდ. ქართული სამწერლობო ენის „აზნაური“--სგან ის თავისი შუა ხმოვნით „ი“-ნითა და ბოლოკიდური „ური“-თ განსხვავდება. ამას გარდა მეგრულ ტერმინს თავკიდური „ა“ არ აბადია. იქნებ შემთხვევითი მოვლენა არ იყოს და მართო თავისი ხელოვნურად შეთხზული თეორიის გამართლების სურვილით არ აიხსნებოდა ის გარემოება, რომ ლ. მ რ ო ვ ე ლ ს „აზნაური“ აზონაური-სგან წარმომდგარად მიაჩნდა, იქნებ ხალხურ გამოთქმაში მართლაც არსებობდა აზონაურის მსგავსი ფორმა, მაგ. აზანა--ური, ან აზინა--ური. მეგრული „ზინო--სქუა“ ამნაირად ძველი ფორმის ნაშთი იქნებოდა.

ეხლა საქმე ამ ტერმინის ეტიმოლოგიაზე მიდგეს, საფიქრებელი ხდება, რომ ამ სიტყვის პირველი ნაწილი „აზანა“, ან „აზინა“ უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ იგი სპარსულში, ახემენიანთა დროითგან გავრცელებულ ტერმინ „ზანა“--სთან იყოს დაკავშირებული, სდაც ეს ტერმინი გვაროვნობათა კავშირსა და ერსა ჰნიშნავდა. თუ ეს აზრი მცდარი არ არის, მაშინა „აზან“--ას თავკიდური „ა“-ნის პირველადობისა და ბუნების საკითხი გამოსარკვევია, ამ ტავკიდურ ხმოვანს მოკლებული მეგრული „ზინო--სქუა“--ს

ფორმა ხომ უფრო ძველს სახეს არ იცავს, ან აზნაური პირველად საზანო-ური-საგან არ არის წარმომდგარი, რომელშიაც საზანო სა-გვარეულო-ს მსგავსი წარმოება იყო?

ამნაირად „აზნაური“ თავდაპირველად გვაროვნობათა კავშირის, ერის შვილის (ე.ი. „ჰეროვანის“ მსგავსი ტერმინია). ან გვარის შვილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და ამასთან დაკავშირებით თავისუფალის მნიშვნელობაც ჰქონია. აქეთ განცხადი ხდება, რომ მაშინ თავისუფალი მხოლოდ ის იყო, რომელიც რომელიმე საგვარეულოს შვილად, ან წევრად ითვლებოდა. ხოლო ვინც უაზნო, ე. ი. უგვარო იყო, უცხო ქვეყნით განშემოხიზნული, თუ ტყვედ

წამოყვანილი, ის თავისუფალი არ ყოფილა. მაშასადამე თავისუფლებისა და უთავისუფლობის შესახები ცნება მთლიანად გვაროვნული წესწყობილების ცნებათა ნიადაგზეა დამყარებული და თვით ტერმინიც „აზნაური“ და „უაზნო“ იმავე ხანას უნდა ეკუთვნოდეს. იმ დროს უაზნოთა წრეს ალბათ ის მეფის მონები ეკუთვნოდნენ, რომელთა შესახებაც სტრაბონსა აქვს ცნობა.

მაგრამ იაკობ ხუცესის ზემომოყვანილ ცნობას თუ ჩავუკვირდებით, ცხადი გახდება, რომ ტერმინს „აზნაური“ მე-V ს-ში მმართველთა ასეთი ზოგადი მნიშვნელობა აღარ უნდა ჰქონოდა, არამედ უკვე სპეციალური ცნების აღმნიშვნელიც უნდა ყოფილიყო. ამ გარემოებას გამონათქვამი „აზნაური დიდ-დიდნი“ ცხადჰყოფს, რათგან დიდი აზნაური თავისდათავად ჩვეულებრივი, ან მცირე აზნაურის არსებობასაც ჰგულისხმობს და ამნაირად თვით თავისუფალი მოსახლეობაც ერთნაირ და ერთიან სოციალურ ერთეულად აღარ გამოდის, არამედ უფროს-უმცროს ერთეულებად დაყოფილი ჩანს. ამის გამო უეჭველი ხდება, რომ „აზნაური“ მე-V ს-ში დარასაკვირველია ამაზე გაცილებით უწინარესაც უკვე წოდებრივობის აღმნიშვნელი ერთი ტერმინთაგანნიც იყო.

მე-V ს-ში დიდი აზნაურს მრავალრიცხოვანი ამალა, აზნაურნი, საკუტარი მსახურნი და მონებიცა ჰყავს. იგი უფალია, მისი მეუღლე დედოფალი. აი მაგ. რაცნობები აქვს იმის შესახებ იაკობ ხუცესს.

მისი სიტყვით ქართლისა პიტიახში „უფალი“ იყო და ასევე უწოდებენ მას ყველა ხელქვეშეთნი, მათ შორის სამღვდელო პირნიც. იაკობ ხუცესის სიტყვით ერთმა მღვდელმა ვარსკენს უთხრა: „უფალო, რადასა ეგრე იქმ და იტყვ ეგრწ ბოროტსა“-ო (10³²⁻³³).

ქართლის პიტიახშის ვარსკენის მეუღლეს, შუმანიკსაც იაკობ ხუცესი ყველგან „დედოფალს“ უწოდებს (18²⁵). შუმანიკისათვის მას მაგ. უტქვამს: „ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შვილთა გუხედევდ“ (48-10). ამავე ავტორს მოთხრობილი აქვს: მოციქული „შევიდა წინაშე შუმანიკისა დედოფლისა ჩუენისა“ (2²⁰). თავის თავზეც მისი

მოდღვარი ამბობს: „მეცა ხუცესი დ ე დ ო ფ ლ ო ს ა შუშანიკისი“ (320-21). შუშანიკის სასახლესაც მისი მაზლი ჯოჯიკი „ს ა ხ ლ ს ა მას ს ა დ ე დ ო ფ ლ ო ს ა“-ს ეძახის (628-29).

- 194 -

დიდი აზნაურის სახლობის წევრებსაც მე-V ს-ში თავიანთი განსაკუთრებული სახელი ჰქონიათ: ქალეზის სახელად, როგორც ეტყობა, ყოფილა „ს ე პ უ რ ნ ი დ ე დ ა ნ ი“, და „ს ე ფ ე ქ ა ლ ი“, რომელთაგან პირველი შემდეგში „ზეპურ“-ად დამახინჯდა, ვაჟებს კიდევ „ს ე ფ ე წ უ ლ ი“ ეწოდებოდათ. ევსტათე მცხეთელის მარტვილობის ავტორს სხვათა შორის აღნიშნული აქვს, რომ მე-VI ს. შუა წლებში სპარსეთში მიმავალი ქართლისა მარზპანის გასაცილებლად მისულან „ქართლისა მთავარნი... და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პიტიახში და სხუანი ს ე ფ ე წ უ ლ ნ ი“ (საქართ. სამოთხე 315).

რას ჰნიშნავდა „ს ე ფ ე“? როგორც პროფ. ნ. მარრს გამორკვეული აქვს, ამის მსგავსი ტერმინი სომხურშიაც არსებობდა, რომელიც „სეპუჰ“-ად (սեպուհ) გამოითქმოდა. თავის მხრით სომხური „სეპუჰ“ სპარსულითგან შთვისებულ სიტყვას წარმოადგენს. სპარსულად „ვ ი ს ო - პ უ თ რ ა“, ან „ვ ი ს პ უ რ“ სახლის შვილსა ჰნიშნავდა (იხ. ნ. მარრის წერილი ЗВОРАО6. ტ. V, გვ. 286-9 და ტ. XI, გვ. 165-170). სომხურსა და ქართულში ამ სპარსულ ტერმინს თავკიდური „ვი“ მარცვალი აქვს ჩამოცილებული.

ნ. მარრი ფიქრობდა, რომ ქართულს ეს ტერმინი სპარსულითგან სომხურის საშუალებით უნდა ჰქონოდა შთვისებული. მაგრამ რაკი მე-V ს. ქართველ ისტორიკოსს ი ა კ ო ბ ხ უ ც ე ს ს ამ ტერმინის „ს ე პ უ რ ი“ ფორმა აქვს მოყვანილი, რომელიც სპარსულ „ვი-სპურ“-ს თავის დაცული ბოლოკიდური „რ“-ასეთი სომხურ սեպուհ „სეპუჰ“-ზე მეტად უახლოვდება, ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ტერმინი ქართულს სპარსულითგან უნდა ჰქონდეს ზეპირად შთვისებული.

ეხლა თვით ამ სიტყვის მნიშვნელობა გვაქვს გამოსარკვევი. პროფ. ნ. მარრის აზრით სომხური „სეპუჰ“-ი და ქართული „სეფე“ სახლის მხოლოდ უფროსი შვილის აღმნიშვნელი იყო (იქვე). მაგრამ მისი სპარსული აგებულობის მიხედვით საფიქრებელია, რომ „ს ე პ უ რ ი დ ე დ ა ნ ი“, ან „ს ე ფ ე - ქ ა ლ ი“ და „ს ე ფ ე - წ უ ლ ი“ ს ა გ ვ ა - რ ე უ ლ ო ს ყ ო ვ ე ლ ი წ ე ვ რ ი ს, ყ ო ვ ე ლ ი გ ვ ა რ ი ს შ ვ ი ლ ი ს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამ ტერმინის უცხო ენი-თგან შეთვისებულობის გამო ეს სიტყვა უეჭველია დიდ აზნაურთა გვარისშვილების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

მარტოს გარემოებაც, რომ აღმოს. საქართველოში „ზეპურნი დ ე დ ა ნ ი“ ყოფილანი და „სეფექალები“ იყვნენ, ცხად-ჰყოფს

- 195 -

ნ. მარრის აზრის მცდარობას, რათგან ქალთა ურთიერთშორის უფროსობას სოციალურ ცხოვრებაში არავითარი მნიშვნელობა არ

შიძლება ჰქონოდა. სომეხთა ისტორიკოსსაც მოსე ხორენელს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოში სეფეწულები მეფეთა ნათესაობის, შთამომავლობის წევრებს ეწოდებოდათ («ի գամիქ ἰαყαυαυ-
 რაყაυაყაυაυ. որაჟა ხაჟამ ἰ ქრაყ აჯქაჟარქინ ნრ სეჰიბიონ
 კიქი» (Պատմ. չ. II, ს). მასასადამე სომეხთა ისტორიკოსის ცნობით მეფეთა შთამომავლობის წევრების აღმნიშვნელი ტერმინი ყოფილა მოსე ხორენელის დროს. ამისდა მიხედვით ტერმინი „სეფეწულ-
 ლი“ უდრის „უფლისწულ“-ს. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ მეორე მთლად ქართული ტერმინია, პირველი-კი სპარსულ-ქართული. მასასადამე ქართულში ამ სპარსულ ტერ-
 მინს თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა დაუკარ-
 გავს და „სეფე“ სახლიშვილისაკი არა, არამედ უფ-
 ლის აღმნიშვნელი გამხდარა. ამ დებულებას ტერმინი „სე-
 ფისკვერი“-ც ამტკიცებს, რომელიც უფლის კვერსა ჰნიშნავს რა-
 საკვირველია და არა სახლისუფროსი შვილის კვერს, როგორი მნი-
 შვნელობაც ამ სიტყვას უნდა ჰქონოდა, ნ. მარრის განმარტება რომ სწორე ყოფილიყო¹.

პირველად როდის უნდა ქცეულიყო „აზნაური“ წოდებრივობის აღმნიშვნელ ტერმინადაც, დანამდვილებით თქმა ძნელია, მაგრამ დიონ კასიოსის სიტყვით იბერიის მეფე ფარსმანი თანამეცხედრითურთ რომ ადრიანე კეისარს სწვევია სტუმრად, კეისარს მარბის ჰიპოდრპმზე ამ ქართველთა მეფის, მისი შვილისა და „სხვა პირველ იბერთა“ (τῶν τε ἄλλων πρώτων Ἰβήρων) ჯირითი და იარაღით ვარჯიშობა უნახავს (Epit. LXIX. 15 – ლატიშევ. Scy et Caucasia 622). მარკოზის სახარების 621 ქართულ თარგმანში ბერძნული πρώτοι-ს, „პირველთა“ და სომხური մեծամեծք-ის შესატყვისად ნახმარია „აზნაური“. ამიტომ იზადება საკითხი, დიონ კასიოსის ზემომოყვანილ ცნობაშიც იბერიის პირველთა შესახებ ხომ აზნაურნი არ იგულისხმებიან. მაგრამ საკითხი საქართველოში წოდებრივობის წარმოშობისა და განვითარების საფეხურების შესახებ I-VII სს-ში მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.

დიდ აზნაურთა ხელქვეშეთ აზნაურთ გარდა მე-V-VI სს. ძეგლებში იხსენიებიან კიდევ „მსახურნი“, „საკუთარნი“ და

¹) ნ. მარრი შემდეგაც (იხ. Ж. М. Н. Пр. 1908 წ., მაისის № გვ. 219-220) თავისი აზრის სიმართლეს იცავდა, მაგრამ სომხურის შესახებ ამის საწინააღმდეგო საბუთები იხ. ნ. აღონციის Армения в эпоху Юстиниана 472-473.

„მონა-მკეველი“. აი მაგ. იაკობ ხუცესს რა ცნობები აქვს თავის თხზულებაში:

ვარსქენ პიტიახში რომ „მოიწია... საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა ყო რადთა აუწყოს და წინამოეგებნენ მას აზნაურნი და მისი ძენი და მსახურნი მისნი... და წარმოჰმართა სადისპანოეთა ცხენითა მონაეთსნი“ (იაკობ ხუცესი. წამებად შუშანიკისი 212-16). ქართლისა პიტიახშის ამალისა და მახლობელთა წრის შესახებ რომ სრული ცნობები გვქონდეს, უნდა ვიცოდეთ, რომ მას ჰყავდა აფრეთვე „საკუთარნი“. ისტორიკოსის სიტყვით განრისხებულ პიტიახშის გაბოროტე-

ბული გული თურმე სწორედ მან დაამშვიდა, როდესაც „ჰრქუა ვინ-
მე პიტახშა ს ა კ უ თ ა რ მ ა ნ მისმან“, რომ დიდ მარხვის დროს შუ-
შანიკის დევნისათვის თავი დაენებებინა.

ვარსქენის ძმის ჯოჯიკის შესახებ ნათქვამია, რომ შუშანიკის
აღსასრულის მოახლოებისთანავე „წარვიდა და თანა წარიყვანა
ცოლი და შვილნი და მონა-მკევეალნი მისნი“ შუშანიკის სანა-
ხავად ციხეში (1823-27). როცა მას უნახავს თავისი რძალი, ჯოჯიკს
თურმე შუშანიკისათვის უთხოვინა: „მაკურთხე მე და ცოლი ჩემი,
მკევეალნი შენი, და შვილნი ჩემნი და მონა-მკევეალნი ჩემნი“
(19¹⁷⁻¹⁸). მას თავის მაზლის ეს თხოვნა აუსრულებია კიდევაც და
„აკურთხნა ჯოჯიკ და ცოლი შვილნი მისნი და მონა-მკევეალ-
ნი მისნი და ყოველი ეზოდ და პალატი მისი (20¹⁷⁻¹⁸).

აღსანიშნავია, რომ მონა-მკეველები მე-VI ს. შუა წლებ-
ში საქართველოში მართლაც უნაურეებს-კარჰყო-
ლიათ, არამედ უფრო დაბალი წოდების წარმომადგენ-
ლებსაც, მაგ. ხელოსნებსაც-კი.

ევესტათი მცხეთელის მარტვილობაში ნათქვამია, რომ როცა
„წარმერთებოდეს ევესტათი და სტეფანე ტფილისს, ჰრქუა ევესტათი სი-
დედრსა თვსსა და მონა-მკევეალთა თვსთა“, გმორდებით სა-
მუდამოდ. ტფილისისაკენ გამგზავრებულ ევესტათეს თურმე „სახლე-
ულნი, ნათესავნი და თვსნი მისტიროდეს უკანა“.

როგორც ზემომოყვანილი ამონაწერებითგან ჩანს, სოცია-
ლური ცხოვრებისა და უაზნოთა ჯგუფის უმდაბლეს
საფეხურზე „მონა-მკეველები „იდგენ. „მკევეალი“ იგივე
მონაა, მხოლოდ ქალი. აღსანიშნავია, რომ უაზნოთა, ანუ უთავის-
უფლოთა ჯგუფში, არსად მე-V-VIII სს. ძეგლებში „ყმათა“ ხსენება
არ არის. თვით სიტყვა „ყრმა“ მაშინაც იხმარებოდა, მაგრამ იმ
დროს ეს ტერმინი მხოლოდ ბავშვს აღნიშნავდა. იაკობ ხუცესის

სიტყვით სამოელ ეპისკოპოსსა და იაკობ ხუცესს რომ თათბირი
ჰქონიათ, „მოვიდა ყრმა ერთი და თქუა: «იაკობ მინდა არსა?»
და მე ვარქუ ვითარმედ „რა გინებს?“ და მან მრქუა: „უწესს პი-
ტიახში“ (წამებად შუშანიკისი 9-10). „იხილა პიტახშმან ამბოხი
იგი ტირილი მამათად და დედათად, მონუცებულთა და ყრმა-
თა“ (წამებად შუშანიკისი 1217-18). ამ წინადადებითგან ნათლად
ჩანს, რომ იაკობ ხუცესს „ურმა“ ყმაწვილის მნიშვნელობით აქვს
ნახმარი ყველგან მის ნაწარმოებში. ამსვე ადასტურებს შუშანიკის
პასუხიც, რომელიც მას ცოდვათა მიტევების მოთხოვნელი ჯოჯიკისა-
თვის მიუცია: თუ შენ სხუად სახედ ყრმებ არა-რად ჰქმენ, ღმერთ-
მან მოგიტევენს შენ“-ო (19⁶⁻⁸). ე. ი. რაც შენ ბავშვობით, ანუ
ყმაწვილობის დროს ჩაგიდენია, იმის ცოდვები გეპატიოსო, რათ-
გან „ყრმებრ“ ჩადენილი ცოდვა ისედაც ცოდვად არ შეერაცხებო-
და ადამიანს.

ამაზე უფრო საყურადღებო გარემოებაა, რომ „ყრმა“, ან
ყმაწოდების აღმნიშვნელ ტერმინად არც მერმინ-
დედ მე-VIII-IX სს-ის ძეგლებში გვხვდება. მაგრამ იმავე დროს
ამ ხანაში საქართველოში მონების არსებობის შესახები ცნობები

ჯერ მეტად იშვიათი ხდება, ხოლო მერმე სრულებით ქრება კიდეც.

ეს გარემოება ხადი იქნება, თუ ადამიანი მე VIII-X სს. საისტორიო ძეგლებს გადაიკითხავს. მაგ. იოანე საბანისძის თხზულებაში ჰაბო ტფილელის შესახებ ნათქვამია, რომ ნერსე ერისმთავრის ქ. ბაღდათში ყოფნის დროს „შეეყო ი გ ი მ ს ა ხ უ რ ა დ მისა“ და იქითგან საქართველოში წამოჰყვა (გვ. 15) ალბათ ვითარცა „მენელსაცხებლც კეთილად შემზადებული სუნელთა მათ საცხებელთა“ (გვ. 28). ნერსე ერისმთავარი რომ არაბთა დევნას გაჰქცევია, თან ხაზართა ქვეყანაში წაუყვანია „ე რ ი ს ა გ ა ნ მ ი ს ი ს ა ე ვ ი თ ა რ ს ა მ ა ს - ო დ ე ნ მ ა მ ა კ ა ც“, რომელთა შორის ჰაბო ტფილელიც ყოფილა უქველია როგორც მსახური (გვ. 17). ხოლო „დედაა და ცოლი და შვილნი და მოანაგები და ყ ო ვ ე ლ ნ ი ს ა ხ ლ ი ს ა მ ი ს ი ს ა ნ ი“ ნერსეს აფხაზეთში გაუგზავნია ხიზნად (გვ.18). „მონა-მჭევლები“ აქ არა ჩანან, იმ გვარადვე როგორც ყმები.

გრიგოლ ხანძთელი წოდებრივად დიდებული აზნაურის შვილი იყო და როდესაც მისი დედა თავის ძეს, ამ დროს უკვე განთქმულ სამონასტრო მოღვაწესა და კლარჯეთის უდაბნოთა არქიმანდრიტს ეწვია, ის თურმე „წამოვიდა საკედრითა და თანა იყვნეს მ ს ა ხ უ რ ნ ი მ ი ს ნ ი, მ ა მ ა ნ ი და დ ე დ ა ნ ი“ (გ. მ ე რ ჩ უ ლ ი გვ. ლდ.). გრიგოლის დედამ თავის ძეს „თ ა ნ ა მ ო ს რ უ ლ ნ ი ი გ ი ს ა ხ ლ ე უ ლ ნ ი

თვსნი შეჰვედრნა“ და სთხოვა: „ჩემდა მსგავსად ესენი გვედიან შვილო, რომელთა გულმოდგინედ მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ე ჩემი თავს იდევს“-ო. ამის საპსაუხოდ ხანძთელ მამას ტიმოთეს I ეპისტოლეს 5,8 დაუმოწმებია: „უკუეთუ ვინმე თვსთა და უფროდს ს ა ხ ლ ე უ ლ თ ა არა ილუწიდეს ეგვეიტარსა მას სარწმუნოებად უვარ-უყოფიეს“-ო (ც~ე გვ~ლ ხ~ნძთლსა გვ. ლე).

მხოლოდ აშოტ დიდი კურაპალატის სატრფოს, გ. მ ე რ ჩ უ ლ ი ს სიტყვით, „მჭევალნი“ უნდა ჰყოლოდა არტანუჯის ციხეში. როდესაც გრიგოლ ხანძთელი იქ მივიდა და მისი ნახვა მოისურვა, აშოტის სატრო გრიგოლთან „ო რ თ ა თ ა ნ ა მ ჳ ე ვ ა ლ თ ა თ ვ ს თ ა“ თანხლებით მოვიდა. როგორც მოთხრობის შემდეგი მიმდინარეობიდან ჩანს, ეს ორი მჭევალი მისი „მ ს ა ხ უ რ ნ ი დედანი“ ყოფილან (ც~ე გრგ~ლ ხნძ~თლსა გვ. ნვ). როცა კურაპალატის ამ სატრფოსთან მოლაპარაკების შემდგომ, იგი დედათა მონასტერში შესვლაზე დაიყოლია, გრიგოლ ხანძთელმა „უბრძანა მჭევალთა მათ მისთა წარსალვად ციხედვე“ (იქვე ნზ.).

ზემოაღნიშნული გარემოება საქართველოს სოციალური ისტორიისათვის ფრიად მნიშვნელოვანია. ს რ უ ლ ი ს ი ც ხ ა დ ი თ ი რ - კ ვ ე ვ ა, რ ო მ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი I-VII სს-ში მ ხ ო ლ ო დ მ ო - ნ ო ბ ა ი ყ ო, პ ა ტ რ ო ნ ყ მ ო ბ ა მ ა შ ი ნ ა რ ა რ ს ე ბ ო ბ და . მე-X ს-ის მეორე ნახევრით გან-კი საქართველოში მარტო პატრონყმობა - და იყო, მონობა, როგორც საზოგადო მოვლენა, უკვე აღარ არსებობდა. ამ მხრივ I-VII სს-ის საქართველოსა და მე-X-XIII სს. საქართველოს სოციალურ წესწყობილებას შორის არსებითი განსხვავებაა, რაც ყველას კარგად გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს. მე-XII-IX სს-ში მ ო ნ ო ბ ი ს ხ ს ე ნ ე ბ ა

ქრება, მაგრამ კატრონეობა ჯერ არ არის. ამ ხანას გარდამავალი ხანის თვისებები აქვს და ჯერ კიდევ გამოსარკვევია, რანაირი სოციალური დამოკიდებულება სუფევდა მაშინ უფალთა და იმ მსახურთა, ან სახლეულთა შორის, რომლნიც ამ დროს ძეგლებში მოხსენიებული არიან. ძეგლების სიმცირე ამ საგულისხმო საკითხის გაშუქებას ამ ჟამად აძნელებს, მაგრამ მომავალში იმედია ახალი მასალები აღმოჩნდება და ამასაც შუქი მოეფინება.

ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი.

პირთა-სახელების საძიებელი.

აბირონი 54	აფრიდონ 141
აბრაამ სომეხთა კათალიკოზი 21, 27	აფციაური 151
Авруга 105	ალა-მაჰმედ-ხანი 75, 125, 175
ადარნესე კუროპალატი 187	ალბულა 8, 104-112, 116
ადონცი გ. პროფ. 146-147	აშოტ კურაპალატი 12
ავგინოსი 29	ბაბგენ სომეხთა კათალიკოზი 141
ავსდუკტოა, ევსდუკტია 177	ბაგრატ მეფეთა-მეფე 124
აზარმიდუხტ 177	ბაგრატ კურაპალატი 7, 9, 16, 82, 83, 89, 91-92, 107, 112
აზო 147, 165	ბაგრატ I-ლი აშოტ კურაპალატის ძე 59, 85, 88
ალექსანდრე მაკედონელი 136, 165	ბაგრატ II-ე რეგვენი 83
„ მეფე 58-60, 92	„ III-ე 13, 17, 84, 93
ამირიძენი 150	„ IV-ე 84
ამიანე მარცელინი 178	„ დიდი 59, 84
ამფილოქე იკონიელი 29	„ მეფე 38
ანდრია კრიტელი 23	ბადაგონ 33
ანტონ საღირისძე ქუთათელი 68	Бакрадзе Д. З. 123
აპოლოს 33	ბაკურ ძე რევისი 175
არვანდ გუმნასკ ქართლისა მარ- ზპანი 143	„ მეფე 177, 178, 180
არისტოტელი 11	ბაკურდუხტი 177, 180-81
არკადი კეისარი 178	ბასილი 17
არსენი იყალთოელი 10, 20-24, 26, 28, 30	„ ბიზანტიის კეისარი 84
„ მონაზონი 40-43	„ კათალიკოზი 58-59
არტემოს 33	„ კესარიელი 32
არქანჯელო ლამბერტი 163	„ ჭყონდიდელ უჯარმელი 49
არშუშა პიტიახში 184	ბასხაროვი 39
არჩილ მეფე 71, 177, 180, 181	ბატონიშვილი ბაქარი 166
	ბაქრამე დ. 81, 94, 118, 141
	ბედლიძენი 150
	ბენედიქტე წმ. 16

- ბენეშევიჩი, ვ. 20, 24, 28, 31, 36, 39
- Бенешевич, В. Н. 20
- ბეჟანიშვილი ზურაბ 154
- ბერძენიშვილი, ნ. 69
- ბექა ათაბაგი 8
- ბექა, 104, 106-110, 112, 115
- ბექა-აღბულა 104, 110-113, 116-117, 119
- ბექა და აღბულა 81-83, 85-87
- „ მანდატურთ უხუცესი 107-108
- ბექაურნი 150
- ბექიაურნი 150
- Blastari Matthaei 120
- ბოროზდინი, კორ. 159
- ბოჩო 33
- ბროსე მარი 51, 105, 120
- Brosset, M. 123
- ბრუნსი და ზახაუ 120
- Brunns K. G. Dr. 120
- ბურდულები 150
- ბუსმიჭრი, ბუზმილი 177, 179, 180
- ბუჩუკურნი 150
- გაბრიელ მღუდელი 128
- „ ქართლისა კათალიკოზი 141
- გაცი 33
- გედევანიშვილი, ვ. 58, 59
- გენადი პატრიარქი კოსტანტინე-პოლეელი 6, 29
- George V 104
- გერმანოზი 153
- გვარამ მამფალი 2, 14, 17, 24-26, 87
- გიგაურნი 151
- გიორგი ბრწყინვალე 67, 79-82, 93-96, 97-100, 104, 108, 109, 113-115, 117, 119
- „ მეფე 162, 163
- გიორგი XI-ე 116-117
- „ XII-ე 124
- „ XIII-ე 124-125
- „ ლაშა 59
- „ ბაგრატის ძე 90
- გიორგი მერჩული 2, 7, 8, 24, 26, 38, 60-61, 72
- „ დავით ულუს ძე 47
- „ აფხაზთა მეფე 17
- „ ამარტოლი 48
- „ მთაწმიდელი 3, 12-17, 23, 25, 30, 34, 61, 84
- „ მონაზონი და მწიგნობართ-უხუცესი 42
- „ III-ე 93
- „ ხუცეს-მონაზონი 61
- გოზალიშვილი, გ. 46-47, 50
- გოსტაშაბისშვილი დავით 154
- გრიგოლ ხანძთელი 2, 7, 12, 14-16, 24-26
- „ ეპისკოპოსი ნეოკესარიელი 6, 29
- „ ნოსელი 29, 60, 130, 133
- „ ხუცესი 6, 29
- „ ჩახრუხაისძე 20, 22, 24
- „ ღვთისმეტყველი 29
- „ ბაკურიანი 61
- გუბაზი 182
- გურანდუხტი 177
- გუმნასპი 186
- დავით აღმაშენებელი 14, 23, 29-40, 42-43, 60-61, 86-87, 93, 113
- დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი 7, 40, 41
- დავით გიორგის ძე 97
- „ საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე 127-129
- „ კახთა მეფე 60

– 201 –

- დავით ებრაელთა მეფე 48
- „ გიორგი ლაშას ძე 47, 48
- დათან 54
- დათუნა 153
- დარეჯან დედოფალი 59
- დიმიტრი თავდადებული 69
- დიოსკორე 54
- ვახტანგ ერეკლე მეფის-ძე 125
- ვახტანგ მდივანბეგი 153
- ვახუშტ ბატონიშვილი 51, 99, 100, 107, 108, 117
- ვეშაგურნი 151
- ვლასტარი 120
- ზაოზერსკ ნ. 35, 36, 37

დიოდორე 6, 29
 დიოს 33
 დორეულნი 151
 ევდემოს აფხაზეთის კათალიკოსი 51
 ევდოქსია 178, 179
 ევსევი ეკზარხოსი 39
 ევსტათე მცხეთელი 137, 139, 140, 142, 143, 185, 186, 188
 ერეკლე მეფე 57, 58, 59, 60, 124, 125
 ეფთვმე მთაწმიდელი 3, 9, 12, 13, 14, 15, 17, 20, 21, 22, 23, 25, 26, 30, 32, 33, 34, 35, 36, 61
 ეფთვმე ქართლისა კ~ზი 96
 ეფრემ ასური 135
 ეფრემ მცირე 23, 34, 43, 44
 ვარაზ ბაკურ 175
 ვარსკენ ქართ. პიტიახში 142, 143, 145, 161, 173, 188
 ვახტანგ II 67
 ვახტანგ VI 8, 12, 52, 68, 73, 74, 76, 77, 78, 79, 80, 81, 85, 89, 94, 103, 104, 105, 106, 109, 110, 111, 112, 116, 117, 118, 119, 120, 12, 121, 123
 ვახტანგ ბატონიშვილი 162, 163
 ვახტანგ ბაგრატი-ძე 90
 ვახტანგ გორგასალი 92, 165, 167 177, 189

ზაქარია ქართველი 176
 Sachau Ed. Dr. 120
 თაბიანე 54
 თამაზ სარდალი 153
 თამარ მეფე 60, 62, 68, 72, 93, 115, 116
 თამარ მეფის ისტორიკოსი 68, 95, 115
 თარხნიშვილი გ. 123
 თაყაიშვილი ე. 58, 59, 60, 62, 63, 65, 66, 67, 72, 80, 94, 100, 121, 125
 თევდორე კენტერბერიის არქიეპისკოპოზი 37
 თევდოსი II 179
 თევდოსი მცირე 180
 თინიკანნი 151
 თლოშიაურნი 150
 თრდატ 175
 თუმანიშვილი ბექან 154
 „ გოგია 154
 „ ფირან 154
 იაკობ ხუცესი 137, 139, 140-144, 145, 161-163, 166, 173, 188, 189, 190
 იბერია 145, 146, 165, 170, 172, 174, 178, 179, 180, 183
 იგრიაულნი 151
 იესე 153
 იესე მელიქიშვილი 75, 76, 77
 იესო ქრისტე 12

ილურიძენი 151
 ინასარიძე მწიგნობარი 66
 იოანე ბატონიშვილი გიორგის ძე 125, 126, 127
 იოანე დამასკელი 34
 იოანე ქ. კ~ზი 41-42
 „ კოსტანტინეპოლელი 36
 „ მთაწმიდელი 15, 17
 „ მმარხველი 4, 30, 33, 34, 35, 36
 „ მონაზონი 35, 36
 „ პეტრიწი 23
 Иоанн Постник 35
 იოანე საბანის-ძე 140, 165, 187
 „ სქოლასტოკოსი 21

კვრილე ალექსანდრიელი 29
 ლაზარე ფარპელი 184
 ლარაძე 124
 ლეონ აფხაზთა მეფე 16
 ლეონ ბატონიშვილი 59, 125
 ლეონტი მროველი 134-136, 141, 147, 171, 172, 174, 185, 188, 192
 მაკარი არხ. 39
 მალაქია კ~ზი 51, 52
 მანოელ ნიკორწმიდელი 89, 91
 მანუჩარის შვილი გორჯასპი 154
 მარკოზ მახარებელი 141
 მარრი ნ. აკად. 23, 35, 71, 143, 176, 191

იოვანე ღვთისმეტყველი 9
„ ქუთათელი 67, 70
იოველ ალექსიძე 75
იოსელიანი პლ. 106, 107
იუდა 54
იუსტინიანე დიდი 11
კაენი 54
კაიშაურნი 150
კაკაბაძე ს. 50, 51, 52, 57, 60, 62,
69, 88, 89, 90, 91, 92, 93,
97, 104, 107, 108
კეკელიძე კორნ. პროფ. 20, 21,
22, 23, 25, 26, 27, 28, 29,
32, 34, 44, 50, 51, 52, 69
კიზირია პ. 123
კირიონ ქ. კუზი 21, 26, 27
კლიმენტოს დიდი 28
კობაიძენი 150
კონსტანტინე 17, 67
კონსტანტინე მეფე ბიზან. 9
კონსტანტინე დიდი 4
კონსტანტინე პორფიროსანი 165
კრისკენტი 54

მაქსიმე აღმსარებელი 32, 34
მაჰდი ამირა-მუმნი 165
მელიქსეთ-ბეგი ლეონ დოც. 120,
121
მელიქსედეკ კუზი 22, 25, 26
მერჩული გ. 60, 61, 72, 142
მიდელაანი 151
Migne 130
მირიან მეფე 174, 175
მირიჰანი 178, 181
მიქელ ქართლისა კუზი 71
მიჯნამოროელნი 174
მიჰრანდუხტი 177
მიჰრდატი 165
მორვანოზი 176
მორინი 36
მოსე წყელი 117, 118, 133
მცხეთოს 134
მხითარ გომი 121
ნაბარნუგიოს 176
ნარიმანიძენი 150
ნერსე ერისთავი 165, 187
ნერსეს ლამბრონი 121

– 203 –

ოთარი 153
ოლივერ უორდროპ 104
ოპიზარნი 174
ორმიზდუხტი 177
ოფსიტე 182
პაატა 153
პავლე მოციქული 5, 28, 132
პავლეურნი 151
პავლე ხუცესი 176
Павлов А. 37
პაფნოტე საფარის მოძღვარი...
Пейкришвили 105
პეროზდუხტი 177
პეტრე ალექსანდრიელი 28, 29
პეტრე მოციქული 5, 28
პეტრე ქართველი 164, 175, 178,
177, 178, 179, 180, 181
პილატე 12
პლატონი 11
პრისკოს პანიელი 182
პროკოპი კესარიელი 182
Пурцеладзе Д. 1233, 125
ქამთააღმწერელი 47, 48, 49, 50

საურმაგ სპასპეტი 165
სვიანაიძენი 150
სვიმონ მეფე 8, 124
სოკოლსკი ვ. პროფ. 120
სოკრატე 11
სოლონი 11
სოლომინი 49, 50
სოლომინ ბრძენი 48
სოლოღამვილი ელიზბარ 155
„ შიომ 155
„ იესე 155
„ მანუჩარ 155
„ იორამ 155
სოფრომიძე 66
სტეფანოზ ძე გურგენისი 165, 187
სტრაბონი 136, 137, 138, 145,
148, 152, 157, 171, 174,
175, 180, 183, 188, 190
სუარის-ძე ნინიკა 157
„ ვანო 157
„ ნიკო 157
„ სვიმონი 157
სულხან მდივანი 74, 75, 76, 77,

ჟორდანია თ. 6, 39, 42, 43, 44,
46, 47, 58, 59, 61, 68, 71,
105, 109, 124
რააბე რ. 176, 177
რაჟდენი 165, 166
Rachid ed-din 123
რევი 175
რუბენი 144
რუსთველი 60
რუსუდან მეფე 67, 69
საბა ორბელიანი 98, 117, 166
საბინინი 39
სამთავნელი 160, 161
სარგისი 108
საურმაგი მეფე 136, 178

78, 79
სვმონ მესვეტე 15
ტაციტუსი 164
ტიმოთე მთავარეპისკოპოზი ალექ-
სანდრიელი 7, 29
ულო დავით 47-48, 49, 50
უმეკაშვილი პეტრე 73-75, 77,
79-80
ურბნელი, ნ. 46, 51, 81, 94, 106-
107
უფლოს 134
უხტანესი 26-27
ფარნავაზი მეფე 134, 136
ფარსმანი 165, 175, 178-180
ფებრონია დედა 12

– 204 –

ფეიქრიშვილი, ა. 105, 119
ფილოთეოს ალექსანდრიელი 29
ფონ ლინგენტჰალი ცახარიე პროფ.
120
ფოტიოს პატრიარქი 22
ფრენკელი 52
Френкель 123
ქავთარაძე მიხეილ 158
„ პეტრე 158
ქავთარაძენი 159
ქართლოს 134
ქარჩოხი 151
ქვაულიძე ამირეჯიბი 66
ქენქაძენი 151
ქრისტე 54
ქსნის ერისთავი 97
ყაზან ყაენი 108
ყაუხჩიშვილი სვ. დოც. 48
ყვარყვარე ბექას ძე 108
შალვა ბექას ძე 108
„ ქუენიფნეველი 124
შაშია 108, 111
შაშია არტანუჯელი, სარგისის შვი-
ლი 108
შერმადინნი 151
შმიცი 37
Schnitz 37

Spiegel 135
შუმანიკი 139-142, 144-145, 161,
166, 173, 188
ჩიტაია, გ. 157
ჩიტაიანი 151
ჩოზაურნი 150
ჩოქურნი 150
ჩოხელნი 150, 151
ჩუბინაშვილი, დ. პროფ. 88, 117,
118, 122
ცაგარელი, ალ. პროფ. 71, 72
Zahn Th. 4
ციხიაურნი 150
წათე 182
წამალაიძენი 150
წილკნელი 160
ხახანაშვილი, ალ. 30, 31, 35
ხეთურიძეები 150
ჯავახიშვილი გომფარ 124
ჯავახიშვილი ივანე პროფ. 123
ჯანაშვილი მ. 130
ჯალუმიძეები 150
ჯუანშერი ისტორიკოსი 165, 167
ჰაბო (ტფილელი) 140, 187
ჰანს შილტბერგერი 158, 159
ჰომიროსი 4
ჰუმბანი, პროფ. 191

ათონი 3, 16
 - ის მონასტერი 61, 15
 - ის მთა 16
 ალი ს. 66
 ამიერ-კავკასია 147
 „ საქართველო 66, 72
 ამირთ-კარი 150
 ანასტას-წმიდა 27
 ანკურია 2, 4, 29
 ანჩა 66
 ანჩისხატი 128
 არაბეთი 131
 არაგვის საერისთაო 125
 „ ხეობა 96, 97, 125, 150

– 205 –

არანისი 100
 არგობისა სოფლები 140
 არმაზ 33
 არშაკეთი (კევი) 139, 143
 აფხაზეთი 57
 აღმოსავლეთი საქართველო 70,
 72, 75, 122, 172, 185, 136,
 137, 138, 141, 147, 148,
 152, 170
 აწყვერი 82, 141
 ახალქალაქის თემი 157
 ახალციხე 141
 ახალციხის წყალი 141
 ბატატიანთ კარი 150
 ბედია 66
 ბექიანთ კარი 150
 ბიზანტია 20, 27, 162
 ბოდორნის ქვაბნი 100
 ბოლნისი 62
 ბოცოთ კევი 141
 ბრიტანია 37
 ბურდული 99
 განძაკი 139, 143
 გვიდაქე 150
 გელათის მონასტერი 20
 Georgia 104
 გოგონაურთა 150
 გორის მაზრა 157
 გორი 97
 გრაკალი 157
 გურია 57, 141
 დარიალანი 99, 100
 დარიელი 95
 დასავლეთი საქართველო 66, 90,
 116, 136, 180, 182
 „ ევროპა 131
 დიასამიძის სახლი 141
 დორეულთ კარი 151
 ევროპა 163
 ეფესოსი 5
 ვაჰანის მონასტერი 15, 61
 ვეშაგურთ-კარი 151
 ზანდუკის კევი 100
 ზანდუკლის კევი 100
 ზენ უბანი 151
 თინიკაანთ კარი 151
 იბერია 136, 137, 138
 იერუსალიმი 22, 27, 60
 იერუსალჴში 14
 ივერია 178
 ილურთ-კარი 151
 იმერეთი 66, 67
 იმერეთის სამეფო 57, 59
 იმიერ საქართველო 66
 ინგლისი 37
 ირლანდია 37
 იშხანი 66
 კაიშაურთ-კარი 150
 კავკასი 99
 კართაგენი 28, 29
 კახეთი 67
 კიბენი 99
 კიბურა 99
 კიტონი 150
 კლარჯეთი 20, 61, 111
 კობიანთ კარი 150
 კოლაჲ (კევი) 143
 კოლხიდა 163
 კოსტანტინეპოლი 2, 5, 19, 20,
 29, 25, 36, 179
 კორინთი 151
 Крестовой перевал 99
 ლაზიკა 182
 ლარგვისის მონასტერი 124

ლიდა 150
 ლიხთ იმერი 68, 92
 ლომისი 99, 100, 102, 103
 მაჭართა 150
 მენესო 99
 მესხეთი 108, 111
 მთიულეთი 99
 მიდელაანთ კარი 151
 მოქვი 16
 მოჭალიათი 151
 მტკვარი 124
 მტკუარი 143
 მუხრანი 96, 100
 მცხეთა 136, 165, 171, 173, 143,
 „ 39, 71
 ნეოკესარია 24
 ნიკეა 4, 5, 27-29
 ოპიზა 173
 ოკერ-ჯიდი 100
 პავლეურთ-კარი 151
 პარიზი 105
 პეტერბურგი 122, 126
 პეტრიწონის მონასტერი 61
 ჟინვანი 95, 100
 რაჭა-არგვეთი 89, 90
 რომი 18, 37
 რორო 150
 რუისი 41
 რუის-ურბნისი 56, 2, 3, 4, 6, 7,
 8, 9, 21, 22, 26, 28, 29,
 39, 40, 41, 42, 43, 44
 საბა-წმიდის მონასტერი 16, 60
 საბერძნეთი 4, 19
 სადგერი 141
 სამეგრელო 159, 163, 57
 სამცხე 20, 111
 „ საათაბაგო 86, 106, 141
 სარდიკია 29

საფარა 82
 საქართველო 1, 9, 18, 38, 39,
 41, 42, 47, 68, 72, 81, 82,
 86, 87, 89, 90, 91, 94, 105,
 108, 111, 112, 115, 116,
 117, 118, 119, 122, 124,
 125, 126, 127, 128, 129,
 134, 136, 141, 148, 149,
 150, 151, 157, 158, 159,
 160, 185, 165, 167, 172
 საქორეთი 151
 სვეტიცხოველი 25
 სვიანანთ-კარი 150
 სეთურთ-კარი 150
 სინას მთა 22
 სიონი წმ. 27
 სომხეთი 32, 158
 სპარსეთი 143, 131, 135, 139,
 141, 142
 სრულიად საქართველო 71
 ტაო 20, 111
 ტბეთი 66
 ტრული 29
 ტფილისი 96, 98, 120, 123, 126,
 140, 143, 155
 ურბნისი 41
 ფრიგია 29
 ფხოეთი 151
 ქალკიდონი 5, 29
 ქართლი 13, 17, 38, 59, 140, 139,
 134, 141, 142, 165, 172
 ქართლის სამეფო 122, 125
 ქვემო მღეთი 150
 ქოროლო 150
 ქსნის ხეობა 150, 151, 124
 ქუთაისი 66, 89
 ღანილი 28
 ღრტილა 39

ყელი 99
 შავშეთი 20, 67, 111
 შველიეთი 151
 შიომღვიმის მონასტერი 61, 14, 15

წინამხარი 150
 ხარბალი 151
 ხანძთა 14
 ხანძთის მონასტერი 15, 16

ჩობაიტო კარი 150
ნონჩო 150
როქური 150
ჩობი 150
ჩიტინთ კარი 151
ციხიანთ კარი 150
ცურტავი 140, 141
ცხრაზმის კევი 100, 160
ჭოლყევე)თა 111
ჭოჭოხი 151
ძმიანთ კარი 150

ხერთვისი 141
ხურსიძის სახლი 141
კადა-ცხაოტი 98, 99, 100, 94, 95
ჯავახეთი 38, 111
ჯალუმანთ კარი 150
ჯვარის მონასტერი 108, 72, 24
ჯვართა ყელი 94
ჯვარის გარდასავალი 99
ჯუართა ყელი 99, 100
ჯუარის მთა (Г. крестовая) 99
ჰერეთი 141, 142, 185

ტერმინების და გამონათქვამთა საძიებელი

აგებული, ყოველივე ა-ი, ყ ე ა-ისა
ბუნება 130
ადგილი, ა-ი საპატიჟო, ს-ჟოსა
ა-სა მოპარვა 114
ადგილობითი კრება 4-5
აზნაურნი 82, 136, 195, – აზნაურ-
ნი და უაზნონი 190-191, 193
ა – ნი დიდ-დიდნი 190, 193
ათასის თავი 135
აიათალი, ა-ის აწერა 74
ალაყაფის შუა სახლი 76
ამანათი 121
ამიერ, კელი ა-რ 67, ამიერი 66
აპკად თავისად 131
არქიდიაკონი 189
ასაბია 102
ასოთა საქმე, ა-თა ს-ე ასრე გა-
ვაჩინეთ 102
ასონი, ყოველნი ა-ნი გუამისანი 131
ა-ნი სიცოცხლისათჳს, სიმ-

დიდრისათჳს სიცოცხლის და
ჭურჭერნი საგრძნობელნი 131
აღება, საბალახო თუ როგორ აი-
ლონ 74, სამდივანბეგო აიღე-
ბა 74, სარგებლის ა-ა 82
აღესრულების ა-ის წესი და გან-
გება დარბაზობისა 71
აღლესვა ნახვლისა მხილებისა 84
აღმაშენებელნი მეფეთ მეფენი 82
აღყუანა საყდარსა წინაპართასა
125
აღრევით ყოფა ერთმანერთსა ში-
გან 94, 95
აღწერა, ჯერარს ხსენება და ა-ა
78, 79
აღწერა, ელის ა-ა 74, ა-ა სამარ-
თალთა 118, უკლებლად 118,
ქლაქის ა-ა 74
აწერა, აიათალის ა-ა 74, ქართლი-
სა ა-ისა 74

ახალი ბუნებითი სჯული 133
ბასრობით ყოლა 87
ბედიელი 66
ბენედიკტეს კანონი და განგება 16
ბერძნული სამართლის წიგნი 120
ბისონი 70
ბიძა-ძე 111
ბოქაულთ- ხუცეულები, ბ-ის სარგო 80
ბოლო, მდივანბეგის განაჩენის ბ-ო
75
ბომება, მდივანბეგობა ამ წესით
გვიბომებია 80
ბრძანება, მეფეთ-მეფეთა ბ-ითა
გაჩენილი 82

გამოჩენა მოპარვისა 114
განაყოფი 154
განაჩენი 9, 10 მდივანბეგის გ-ი 75
განაჩენნი 118, გ-ის დადება 97,
დაწერა გ-ისა 121
განგება 16-17, გ-მ ბენედიკტესად
16, გ-მ საქმეთად 16-17 ქუე-
ყანისა გ-მ 133
განაგებენ სიცოცხლესა 131
განკანონება 3, მძიმედ გ-მ 3,
გ-ბა წესსა ზედა 15
განკითხვა 86
განკუეთა 161, განიკუეთოს 161
განმარტვად ლართად 131

ბრწყინვალენი თავადნი 125
ბუნება კაცისა 131
ბუნებად ზესთა სოფლისა ძალთადა
130, ბ-მ სულისა 132
ბუნებანი საცნაურნი და გრძნობადნი 130
ბუნებითი სჯული 133, ახალი ბ-ის-ი 133
ბძენი და მონახული 118
ბჭე, ბჭედ დასმა 85
გაგონება, გავიგონეთ 96, 98, გ-ბა
საქმეთა 98
გადახდევა 86
გადახდა ვალისა თავთავისთვის, ან
საერთოდ 153
გაერთება მამულებისა 153
გავლენიანი 113
გამოთლად ბუნებისა ჩუენისა სულისა 132
გამომეძიებლობა 118, აღწერა სამართალთა გ-ითა 118
გამონახვა დაწამებული მიზეზისა 86
გამოყვანა მსახურისა და მხლებლისა 153

განსაგებელი 17
განსაზღვრად კანონთა 17
განჩინება 9, 17
განსრულებად 132
განწესებად, გ-ნი 5, გ-ა წესისა, კანონთა 14, 17, გ-ა ეკლესიის მკრეხველთათვის 53
განწესებული, მეფეთა გ-ი 16
გარდახდევა 97, გ-ას არავისგან მოხსენება 113
გარდახვეწა პატრონისა და ლაშქართაგან 113
გარეშე წესისა 15
გარიგება, სამდივანბეგოს გ-ა 74
გარიგებული, მდივანბეგობა ამ წესით ყოფილიყო გ-ი 80
გარყუნა წერილთა 119
გასაჩენელი 82
გაუჩინეს... სკიპტრა ქუთათელს გ-ს 70
გაყოფილი, ან გაუყოფელი ძმა 113
გაყრა, კარი გ-ისა 121
გაყრილი 153
გაჩენა, გზბრძანა გ-ად 71

– 209 –

გაჩენა ეპისკოპოზთა საქმისათვის 53
გაჩენა, ვალის საქმე ასრე გავაჩინეთ 82, 103, – ნაპარევისა გ-მ ასრე იქნების 110, ასოთა საქმე ასრე გავარჩიეთ 102, ჯევის ბერთა ასრე გავაჩინეთ, ჰეროვანთა ა-ე გ-თ, სალაშქრო საქმე ა-ე გ-თ 101, დამსხმელისა ასრე გ-თ 102, სამეკობროს საქმე ასრე გავაჩინეთ 103
გაჩენა სისხლისა, პატივისა, სასაქმისა 98
გაჩენილა, ნაპარევისა პირველ ასრე გაჩენილა 115
გაჩენილი 9, ერთბაშად გ-ი 82, მეფეთა წინაშე ე-ად გ-ი 82, ძველითგან გ-ი 103
გაცვლილობა 121
გაწესებული 79
გაწყრომა გინდა უსამართლოდ, გინა სამართლითა 86, მეფე ეპისკოპოზს გაუწყრეს 86
გემოდენებითი, ცხორებად გ-ი 131
გერშის საქმე 102, 110
გვარი 148
გინებით ყოლა 87

დადგმა გზრგზნისა, წესი დ-ად გ-ისა 68
დადგრომად შვილიერებისა 131
დადებად სამართლისა 10, პირობის დ-ა 153, დ-ა ძეგლისა განაჩენისა 97, წესისა 15
დადება, დ-ითა სისხლისა 94
დადებული (ძეგლი, სამართალი) 10
დაესრულა დარბაზობის წესი 63
დაიწყების გაჩენილი 82
დამაკლდა ეს ზემოთ 63
დამამტკიცებელი, ქრისტეანეთა სჯულისა დ-ი 86, სასჯელისა დ-ი 85
[დამლოცველი] 66
დამსხმელი 102
დამტკიცება, აგრევე დავამტკიცეთ 82
დამტკიცებად ნათესავობისა 131
დამტკიცებული წესი 15, -დამტკიცებული 80
დარბაზობა, დიდი დ-ა 63
დარბაზი, დ-ის რიგი, ყოველნი ჯელისუფალნი და მოქმედნი დ-ის რ-ისანი 73
დარბაზის ერნი 125
დარბაზობის წესი 15, 63

გლახაკთა ნაწილი 85
გლუხნი, გ-თა ასრე იქმნას 110
გლოვის წესი 16
გრძნობადნი ბუნებანი 130
გუამი, ასონი გ-ანი 131
გულარლო ცხენი 110
გვრგვნი 68, 70
დაბაჲ 140-141
დაგდება, ცოლის და 96
დაგვწერია ზემოთ დაჯდომა და
სხვა წესი 64

დარბაზობა, წესი და განგება
დ-ისა 71, სამეფო დ-ა, წესი
და განგება ს-ოსა დ-ისა 73
დარბევა კაცისა 153
დასაწყისი წიგნისა 118
დასმა, ბჭედ დ-ა 85
დასმა კათალიკოზისა 96
დასნი, სამლუდელონი დ-ნი 125
დასტურლამალი 73
დასხდენ, ვითარ დ-ნ მლუდელო-
მთავარნი 71

- 210 -

დასხდომა, დავსხედით 96
დასხმა კანონთა 10, 17, დასხმა
წესთა 14
დასხმა სასაქმოსა 98
დასხმულნი კანონნი 10
დასხმა ვაზირთა, ეპისკოპოზთა,
მოურავთა 96
დასხმა, ღალატად დ-ა 96, სასა-
ფლაოსა ზედა დ-ა 110
დასხმის წესი 110
დასხმულობა, დ-ისა წესი 110
დაურვება, სისხლი დაუურვოს 113
დაურვება გვარსა ზედა 113, 114,
სრული სისხლის დ-ა 114,
ორკეცი სისხლის დ-ა 113
დაუწერია 65, 66
დაქცევა ციხეთა 96
დამოვრება, ერთმანეთის დ-ა 121
დაწამება, მიზეზი დასწამონ 86
დაწერა განაჩენისა 121
დაწერილი სჯული, ანუ წიგნისაჲ
133
დაწვა ორთავე თვალთა 114, 115
დაწინდულობისა წესი 110
დაწყებაჲ უსრულად 132
დაჭერა, გულთა შიგან ღ-თის ში-
შის დ-ა 82
დაჭრა ხელფეხისა 114
დაჯდომა და სხვა წესი 64
დედა 82
დედა-მძუძე 166-169
დედოფალი 193
დიაკონნი 189
დიგესტნი 10-11
დიდებული 118, დიდებულნი 82,
დიდვაჭარი, კარგი დ-ი 85
ეგების, არ ეგების ხელად შეპყრო-
ბა ეპისკოპოზისა 85

ეკლესია 114, ე-ის მკრეფელნი 53
ემატოს სისხლსა 113
ეპისკოპოზი 113, მეორე მეფე ე-ი
არის 86, ე-ის ხელად შე-
პყრობაჲ 85, მეფე გაუწყრეს
ე-ს 86, ე-მან მეფესა შესცო-
დოს 85, ე-ნი 82, 87, 96, 125,
თავი ე-ზთაჲ 189, ე-თა საქ-
მე 53
ეპისტოლე კანონიანი 5-6, ე-ა 6,
მრგულივმოსავლეელი ე-ა 6,
ე-ა საყოველთაოჲ 6
ერთბაშად გაჩენილი 82, მოწმო-
ბის დართვა ე-ად 118
ერთი ზომი სხვის მიცემა 115
ერთსახლი ძმა 113
ერთობა 153, ერთობაში შემატე-
ბა და დაკარგვა მამულეზი-
სა 153, ე-ში მოხმარება მა-
მულის გამოსავლისა 154
ერთმანერთის თავის მონდომე-
ბა 153
ერი 144-146, 197, ერისკაცი 145,
ერისაგანი 146, - ყოველი ე. ი.
85.
ერნი საღმრთონი და სამხედრონი
118
ერისთავნი 96, 135, ე-ნი, ერის-
მთავარნი სოფლებისანი 187-
188
ერისკაცი 188
ერისმთავარი 183-184, 187-188
ერისმთავრობაჲ 187-188
ვაზირი, ე-ის სარგო 80
ვაზირნი 96
ვალის საქმე 82, 103, ვალი, თუ
ვითარ აიღების 121, კარი
ვ-ისა 121, ვ-ის გადახდა 153

- 211 -

ვაჭარი, ვ-ის მოკლვა 83
ვაჟის ჭამა 110
ვინგინდა, სხვა ვ-ა 83
ზემოთი წერილი წესი 76
ზემოთე წერილი წესი 76
ზემოთ დაგვწერია 64, ზემოთ და-
მაკლდა 63.
ზეპურნი დედანი 194
ზესთასოფლისა ძალნი, ზ-ისა ძ-თა
ბუნებად 130
ზითვად გატანება 162-163
ზინო-სქუა 192
ზომი, ერთი ზომი 115
ზრდილი, მეფეთა წინაშე ზ-ი 85
თავადი 118
თავადნი, ბრწყინვალენი თ-ნი 125
თავთავისთვის გადახდა ვალისა
153
თავი ეპისკოპოზთად 189
თავი, აჰკად თ-ისად 131
თანდასწრება, თით 125
თეთრი, თ-ის გარიგება, კარი თ-ის
გისა 121
თესლი 143-144, თესლ-ტომი 143,
უცხო-თესლი 143-144
თვალნი, ორნივე თ-ი დაეწვას
114, 115
თვალთა დაწვის ვინ ღირსა 114
თნევა, არავის სთნიოთ 82
თემი, ხუთივე თემი 111
თვთმოდრავი, ჭური თ-ი 132
თვსნი 196
იმიერ, კელი ი-რ 67
იმიერი, იმ-ით მოვიდეს 61
იოგნი, ძრვად ი-თად 131
იტყვის, უსამართლოს არას ი ის 85
იქნას, არაზიას საქმე ასრე იქნას 102

იშხნელი 70
კადრება, შჯულის მოძღვრებასა
იკ-და, ი-ბდეს 87
კათალიკოზი, ქართლისა კ-ზი 96
კათალიკოზობად, კ-ის აღება
189, 190
კანონი 2-4, კ-ი სიძვისა 3, კ-თა
დასხმა, დადება, შეკრება
10, კ-თა ცუალება 125
კ-თა ნაწილი 11-12
კ-ნნი დასხმულნი 10, კ-ნნი საეკ-
ლესიონი 3, კ-ნი შეცოდე-
ბულთანი 34-35, 37
კანონსა ქვეშე ყოფნა წმიდათა მო-
ციქულთა 112
კანონებრივი იხ. მიგება
კანონიანი, იხ. ეპისტოლე
კარგი დიდვაჭარი 85
კარი 12, კ-ი გაყრისა და ერთმ-
ნეთის დაშოვრებისა, თუ ვი-
თარ უნდა 121, კ-ი ვალისა,
თუ ვითარ აიღების 121, კ-ი
თეთრის გარიგებისა 121, კ-ი
ნასყიდობისა 121, კ-ი პირ-
ველი 74, 78, კ-ი პ-ი ყოვლი-
სა ჯელჯობიანისა და მათის
სარგოსი 74, 78 კ-ი სასახ-
ლების რიგისა 73, 78, კ-ი
კაცის კვლისა 3, კ-ი ქურ-
დობისა 121
კარის მოხელენი 125
კაცი ჭური თვთმოდრავი, სულითა
ჯელმწიფჯ ნებასა თვსსა 132,
კაცი, ნამყოფი კ-ი ვნ
კაცის გამოყვანა, დარბევა 153,
წიგნი სამართლისა კ-თა შე-
ცოდებისა 105
კაცის-კვლისა კანონი 3

- 212 -

კაცის მოკლვა ღალატით 113
კაცისა შესაქმე 130
კაცობრივი ქცევა 13
კეთილი წესი 14
კითხვა-მიგებად 6-7
კითხულობითა და ბრძანებითა 121
კოდიკო 10-11
კოდისპური 74
კრებად კრებანი 4
კ-ე მსოფლიოდ 4-5
კ-ნი ადგილობითნი 4-5
კრებულნი ცხრაზმის ჯევისა სამი-

თოდ მოხმარება 153, მ-ების
გაერთება 153, მ-ის ყიდვა
153, მ-ი ვიქრთამოთ 153
მართებლობა, უთანჯმოება და უწე-
სოება მ-ისა 125
მართებს, პატივი მართებს, ქუთა-
თელსა იშხნელისა სწორი პ-ი
მ-ს 70, შეხვეწა მ-ს ეპისკოპოზ-
სა მეფისა 85
მართებს, რაც მ-ს, მან უყოს 113
მართალი სამართალი 82, მ-ი სა-
ჩივარი 82

სავე კვეისანი 160
კრულ, წყეულ და შერვენებულ
იყავნ 112, 113, 114, 115
კურთხევა მეფეთა 71
ლარი ძრავს ყოველთა ასოთა გუა-
მისათა 131, შოჭვად და
განმარტვად ლ-თად 131
ლაშქარნი 113
ლოცვისა წესი 15
მამა 82
მამაკაცი 132
მამა-მძუქე 165-170, 189
მამაპაპათ მამული 153
მამასახლისი 148-150, 171
მ-ი მცხეთისად 172, 185, მ-ი
მცხეთელი 172, ქართლისა
მ-ი 185, კარგი სოფლისა მ-ი
85, 1-185
მ-ნი ქვეყნისანი 184-185, მ-ნი ცხრა-
ზმის კვეისა 160
მამული მამა-პაპათა, ნასყიდი, უს-
ყიდი, საერთო 153, 154,
სამკვიდრო 154
მამულის გამოსავლის ერთობაში
მოხმარება 154, მ-ის გაცემა
უკითხავად 153, მ-ის საერ-

მასმია, პატრონისაგან არა მასმია 65
მაყარი 164
მაშენებელი ეკლესიათა 84, მაშწ-
ნებელი ე-ა 85
მახვილი მხილებისა, 84
მგრძნობელი, სული მ-ი 132
მდაბიური 146
მდაბლად, უფრო მ-ად კელთა და-
სხმა ნოხთა ზედა 70
მდადი 164
მდივანბეგის განაჩენი 75
მდივანბეგობის წესი და რიგი 80
მეუფე, მეფე 173, მ-ე ეპისკოპოზს
გაუწერეს 86, წარმავალთა
ამათ ჟამთა მ-ე 87
მეფეთა კურთხევა, წესი და გან-
გებად მ-თა კ-ისად 68, მე-თა
კურთხევა 71, მეორე მ-ე 96,
მ-სა შესცოდოს 86, ეპისკო-
პოზმან მ-სა შესცოდოს 85,
მ-ისაგან ხელად შეპყრობა
არ ეგების ეპისკოპოზისა 85,
მეფენი, მორწმუნენი მ-ნი მ
მეუფე, წმიდა მეუფე და ქართლი-
სა კათალიკოზი 96

- 213 -

მეყვისი, ახლოს მეყვისი, მის
მოკლვა 113, მ-ნი 82
მთავარნი სოფლებისანი 187, 188,
ქართლისა მ-ნი 186
მიგებად კანონებრივი 6
მიდრეკა სასწორისა სამართლისა
84
მიზეზი დასწამონ 86, მ-ი სიცოც-
ხლისად 131, მ-ისა გამონახ-
ვა 86
მიმძლავრებულნი საქმენი 94
მიმძლავრებულობა, მ-ა ქმნილიყო
96
მიტაცებულნი, უწესოდ მ-ნი 160
მიყოფა, კელის მ-ა 110
მიცემა უკლებლივ 115
მიწევნული სისრულესა, ვერ--132
მიჰრონი 87
მკვდრნი მცხეთელნი 189
მოკვლევა, მოვიკვლიეთ სასაქმენი
96
მოკითხვის წესი 16
მოკითხული ვქენით 80
მოკლვა ერთსახლი და გაუყოფე-
ლი, ან გაყოფილი ძმისა 113

მოურავნი 96
მოქმედნი დარბაზის რიგისანი 73
მოღება კურაპალატობისა 85
მოშლა, არცა მეფესა მოეშალა 82
მოდღუარი 85, მოძღვარი 86
მოიქცენ, მოკვლენი როგორ უნდა
მ-ენ 74
მოწესე, მ-ნი 15
მოწმობის დართვა ერთბამად 118
მოხელენი, კარის მ-ნი 125
მოხმარება საერთოდ მამულისა 153
მოხსენება, გარდახდევისა არავის-
გან მ-ა 113
მოკვლენი როგორ უნდა მოიქცენ
74
მოკსენება, ვინცა საჩივარსა მოი-
კსენებდეთ, მართლად მ-ბა,
82
მოხუცებულნი 197
მრავალფერნი ულუსობანი 96
მრგულივმოსავლელი ეპისტოლე 6
მსახური 153, მ-ის გამოყვანა 153
მ-ნი 195, 197, 198
მსოფლიოდ კრებად 4
მსუბუქობა, სისხლისა მ-ა 97

მომქმედი, სამართლისა მ-ი 84
მომცემელი სიცოცხლისა 131
მონაზონი 86, მონაზონნი 87
მონა-მკვეალნი 196
მონახული, ბრძენი და მ-ი 118
მოპარვა რეინდარასი 114, 115,
მ-ვა საპატიჟოსა ადგილსა
114, მ-ვა ცხენისა და რაგინ-
დარისა 115
მორიგე ლაშქრის განჩინება 125
მოსაფლავე 66
მოსხმა, მოვასხენით ჳევისბერნი და
ჳეროვანნი 95

მსჯავრნი სამეუფონი 84
მუნებურნი სასაქმენი 96, მ-ნი ჳე-
ვისბერნი და ჳეროვანნი 95
მუქაფა 85
მუშამბის სახლის რიგი 76
მღვდელი 86, 87, 160, 161
მღდელთაგანი 145, 188
მღდელთმომღვარნი 87
მცხეთისა მამასახლისი 185
მხილება, მახული მ-ისა 84
მხლებელი, მ-ის გამოყვანა 153
მკვეალი 196, 198
ნათესავი 144, 145, 196

- 214 -

ნათესავობად, დამტკიცებად ნ-ისად
131
ნამყოფი კაცი, მეფეთა წინაშე ნ-ი
კ-ი 85
ნაპარევი 115, ნ-ის გაჩენად 110
ნ-ისა ასრე გაჩენილა 115, ნ-ის
დაფასება 115, ნ-ის მიყიდვა
115, ნ-ის პატრონი 115, ნ-ის
უკლებლივ მისსა პატრონისა
მიცემა 115, ნ-ის ხელთავე
ქონება 115, ნ-ის ყიდვა 114
ნასყიდი მამული, ან ყმა 153, 154
ნასყიდობა 121, 154
ნაწილი ცხოველებისად და ძვრი-
სად 132
ნაწილი კანონთა 11-12
ნიშანი, ნ-ის წარგზავნა 162
ნებად, სულითა ჳელმწიფჳ ნებასა
თვსსა 132
ნოტიოდ 131
ორკეცი სისხლი 113
ორსულის ჳვარის დაწერა 160
პალატი 70
პატივი, მსოფლიოსა ამის პატივი
98, იშხნელის სწორი პატივი
70, არღარავისაგან გუაქუს
კ-ი 87
პატრონი 82, 113
პირველად, კ-ად ჳერ-არს ხსენება
და აღწერა 78, 79
პორფირი 70
პირობაზე ყოფნა 153, პირობის
დადება 153
პირუტყუნნი 132
პირუტყუებრი 132
ჳურობა, რიგი კ-ისა 78, 79
ჳურობა, უცილებლად ჳურობა ტახ-
ტისა და სკიპტრისად 95

ჳამისა შემოსრულობა, სხვისა ჳ-სა
შ-ა 94, 95
ჳინო-რქუა 192
რაგინდარას მოპარვა 115
რიგი, ალაყაფის შუა სახლის რ-ი
76, დარბაზის რ-ი, ჳელის-
უფალნი და მოქმედნი დ-ის
რ-ისანი 73, მუშამბის სახლის
რ-ი 76, რიგი ჳურობისა 78,
79, სასახლეების რ-ი 76,
წესი და რ-ი, მდივანბეგო-
ბის წ-ი და რ-ი 80, სასახ-
ლეების რ-ი, კარი ს-ის რ-
ისა 73, რ-ი წყალობისა და
რისხვსა 78, 79. სხვათა ქვე-
ყნისა რიგნი 118.
რისხვა, რიგი რ-ვსა 78, 79
რჯულთ არც სძეთ წესად, უწერი-
ათ 82
რჯული, ქართველთა რ-ნი, სხვათა
რ-ნი 82
საბალახო, ს-ოს აღება 74
საბჳოდ ჳდომა 82
საგრძნობელნი 131
საერთო მამული 153
საერთოდ გადახდა ვალისა 153,
საერთოდ მოხმარება მამუ-
ლისა 153
საკანონი ასკეცი 113
საკელარომა წესი 15
საკითხავი სასჯულო 99, 98
საკუთარნი 195-196
სალარო 114
სალაშქრო საქმე 101, ს-ო ს-ის
გაჩენა 101
სამართალი 7-8, 121, მართალი ს-ი
82, სამართალი აღარ იყო 96,
აღწერა ს-თა 118, ს-თა შეც-

- ვლა სხვებზე 119, სამართალი
კათალიკოზთა 51, ს-ით გან-
კითხვად, ყოველისა ერისა
ს-ით გ-მ 85, ს-ისა მართლად
მომქმედი 84 მართალი ს-ის
გაჩენა 82, ს-ის წიგნი 8,
წიგნი ს-ისა კაცთა შეცო-
დებისა 104, ბერძნული, სომ-
ხური 120, სახვეისთავო ს-ის
წ-ი 81
- სამართალნი სამეფონი 84
- სამართალნი, ესე ვითარისა ს-ნი
სხვათა განაჩენთა შინა მოკ-
ლედ იპოების 118
- სამასპინძლო, ს-ოს შეწერა 74
- სამდივანბეგოს აღება 74, ს-ოს გა-
რიგება 74
- სამეკობროს საქმე 103, ს-ოს ს-ის
გაჩენა 103
- სამეფონი, მსჯავრნი და სამარ-
თალნი ს-ნი 84
- სამეფო, უცილებლად ქონება ს-სი
95
- სამეფო დარბაზობა 73
- სამთავნელი 160, 161
- სამკაული 161, ს-ი სასძლო 162,
163
- სამკვიდრო მამული, ყმა 154
- სამამასახლისო სამსახურებელი მე-
ფის 173:174
- სამსახური, ზემოთის წერილის წე-
სით იმსახურებოდენ 76(bis)
- საუფროსო 154
- საღმრთონი, ერნი ს-ნი 118
- სამლუდელონი დასნი 125
- სამხედრონი, ერნი ს-ნი 118
- საპატიყო ადგილი, ს-სა ა-სა მო-
პარვა 114
- სარგებელი. ს-ი სძესთ წესად 82,
104, ს-ის აღება 82
- სარგო, ბოქაულთ-ხუცესის ს-ო
80, ვაზირის ს-ო 80 ჳელჯო-
ხიანის ს-ო 74
- სასაქმენი, მოვიკვლიეთ მუნებურნი
ს-ი 96
- სასაქმო 98-99
- სასაფლაოსა ზედა დასხმა 110
- სასახლეები, ს-ის რიგი 73, 76, 78,
კარი ს-ის რიგისა 73
- სასწორი სამართლისა 84
- სასჯელი, ს-ისა დამამტკიცებელი 85
- სასჯულო საკითხავი 98, ს-ო საქ-
მე და საეკლესიო რისაც გინ-
და სასაქმისა 98-99
- საქართველოს ჩინებულნი 125
- საქმე ეპისკოპოზთა 53, ასაზიას
ს-ე 102, ასოთა ს-ე 102,
ა-თა ს-ის გაჩენა 102, – გერ-
შისა ს-ე 102, 110, გ-ისა ს-ე
ასრე იქნას 102, 110, – ვა-
ლის ს-ე 82, 103, – საღამ-
ქრო ს-ე ასრე გაგაჩინეთ 101,
სამეკობროს ს-ე 102, სას-
ჯულო და საეკლესიო ს-ე
98, ს-ის წარუმართებლობა
125, ს-მე აქვს, არცა ს-ე ა-ს
86
- საქმენი, სხვანი მრავალნი უწესო-
ნი მიმძლავრებულნი საქ-
მენი 94
- საქონლის პატრონი 115
- საფლავსა ჳელის მიყოფა 110
- საყდარი წინაპართა, აღყვანა ს-თა
125
- საყოველთაოდ ეპისტოლედ 6
- საჩივარი, მართალი ს-ი 82, ს-ისა

- მოიჯსენებდეთ 82, – ს-ები
119, ს-ბი არის და მოვა 119
- საცნაურნი ბუნებანი 130
- საწელიწდისთაო ძღვენი 65
- სახვეისთავო სამართლის წიგნი 81
- სახლეულნი 189, 196, 197, 198
- სახლი, მუშამბის ს-ი 76, ს-ი სა-
დედოფლთ 193, ს-ი 141-
142, 147, ს-ი პიტიახშისა,
მცხეთისა ს-ი, დიასამიძის,
- სისხლისა მსუბუქობა 97
- სიტყვად 131
- სიძვისა კანონი 3
- სიცოცხლე, მიზეზი ს-ისა 131, –
ძალნი, რომელნი განაგებენ
ს-ესა 131, სიმდიდრედ ს-ისა 131
- სიცოცხლედ, მომცემელი ს-ისა 130
- სიჯმელე 131
- სვიპტრა. უცილობლად პყრობა ს-სა

ხურსიძის ს-ი 141
სახლისა უფალი 149
სახლის კაცი 148, სახლის შვილი 148
სახლისკაცობის პირობა 153
სახლის მოშლა და გაყრა 153
სახლნი მამა-მძუძეთანი 165-168, ს-ნი მცხეთელთა მკვდრთანი 189, 190
საჯელმწიფო, სჯულისდება ს-ო 73
სეპური 184
სეპურნი დედანი 190, 194-195
სეფე-ქალი 194
სეფე-წული 194, სეფე წულნი 186, 194-195
სიკუდილი 96, 118
სიმდიდრედ სიცოცხლისად 131
სისრულე, მიწევნული ს-ესა, ვერ 132, ს-ე სულისა კაცისად 132
სისხლი, მსოფლიოსა ამის ს-ი 98, ს-ის დადება 94, – სისხლი 118, ს-ის დაურვება 13, სრული ს-ი 114, ორკეცი ს-ი, ორკეცი ს-ის დაურვება 113, ს-ი ორი ნაწილი 114, ს-ი 1/2 114, სისხლსა ემატოს 113

95, ს-ად 70
სოფელი ხილული და უხილავი 130
სტჯქისნი ამის ს-ისანი 131
სოფელი 139-140, ს-ი სპარსეთი-სად, ს-ი ქართლისად 139-140, 190. მთავარნი და ერისმთავარნი, ან ერისთავნი ს-ეზისანი 187-188, ს-ისა მამასახლისი 85, 185
სომხური სამართალი, ს-ი ს-ის წიგნი 120, 121
სპასალარი 135
სპასპეტი 135
სრული სული 132
სტჯქისნი ამის სოფლისანი 131
სული 132, ს-ი სრული და უსრული 132, ს-ი პირუტყუებრი მგრძნებელი 132, ს-ის ბუნება 132
სუფრა, მარცხენის მჯარი ს-აი 64
სძესთ წესად, არც სარგებელი წ-ად სძ-თ 82, 104
სწორი, იმხნელისა ს-ი პატივი 70
სწორი, ს-ის მოკლეა 113
სხვა, ერთი ზომი სხვა მისცეს 115, სხვათა რჯულნი 82
სჯული 8, 87
სჯული 87, ს-ი ბუნებითი 133

– 217 –

ახალი ბ-ი ს-ი 133, ს-ი წიგნისად, ანუ დაწერილი 133. სჯულნი 104
სჯულისდება საჯელმწიფო 73
სჯულისმეცნიერი 189
ტახტი, უცილობლად პერობა ტ-სა 95, წარვედით ტახტით ჩუენით, ქალაქით 95
ტვინი 131, ტ-ი არს მომცემელი სიცოცხლისად 131
ტიტლოსი 11-12
ტოჰმი, ტომი 144
უაზნონი 190-191, 193
უბრალოდ, ცოლის უ-დ დაგდება 95
უთანჯმოება მართებლობისა 125
უკადრისი 118
უკლებლად აღწერა სასამართლო წიგნებისა 118
უკლებლივ მიცემა ნაპარევისა 115
ულუსობანი 96, მრავალფერნი უ-ი უმართლე, უ-ა 70
უმეფო და უდიდებულესი კაცი

უცილებლად პერობა ტახტისა და სკიპტრისა 95, უ-ად ქონება სამეფოსი 95
უწერია, ასრე უწერია 65, – არც სხუათა სჯულთ უწერია 104
უწესობა 125, უ-ა მართებლობისა 125
უწესონი საქმენი 94
უხილავი სოფელი 130
ფიცება 115
ქალაქი, 143 ქალაქი სოფლებითა 140, ქ-ის აღწერა 74
ქართველთა რჯულნი 82, ქ-თა წესნი და ქცევანი 118, ქართლ-ისა კათალიკოზი 96, ქ-ისა მამასახლისი 185, ქ-ლისა მთავარნი 186
ქედთა გარეთ ყოფა 113
ქვეყნისა რიგნი და ქვეულებანი 118
ქმნა უსამართლობა, მიმძლავრებულობა ქმნილიყო ერთმანერთსა ზედა 96, იქმნას, გერ-

114, 115
უნდა განკითხვა, გამონახვა, გადა-
ხდევა 86
უპატიოდ ყოლა 87
უსამართლო, უ-ოს არას იტყვის 85
უსამართლო[ბა], დიდი უ-ა ქმნი-
ლიყო 96
უსრულო სული 132
უსულო 132
უსყიდი მამული, ან ყმა 153, 154
უფალი 193
უფლება 9
უფლისწული 125, 195
უქრმო დედაკაცის ცოლად მოტა-
ცემა 161

შისა საქმე ასრე იქნას 102,
110, – გლეხთა ასრე ი-ს 110,
გულარლოს ცხენისა ასრე
ი-ას 110, შუა მისრულისა
ასრე ი-ნას 110, ნაპარევისა
გაჩენად ასე იქნების 110.
ქონება, გუაქუს პატივი, არ – 87
ქორეპისკოპოზნი 87
ქუეყანად 142-143, ქ-ე სპარსეთი-
სად 139, ქ-ისა განგე-
ბად 133
ქუთათელი 66, 70
ქურდობა, კარი ქ-ისა 121
ქცევა კაცობრივი 13, ქცევანი,
ქართველთა ქ-ნი 118

– 218 –

ქვეულებანი, სხვათა ქვეყნისა ქ-ნი
118
ღალატი 118, ღ-ად დასხმა 96,
ღ-ის ქმნა 114, ღ-თ მძის, ან
სხვა კაცის მოკვლა 113
ყინელი 131
ყრმა 132, 196 197
შემოყრა 154
შეოჭვად ლართად 131
შეკაზმა 85
შეკრება კანონთად 10
შემდგომი, ამისი შ-ის ძიება 75
შემზადებულ არს 118
შემოტანა, შემოვიტანეთ ერისთავ-
ნი, ჳევისთავნი, ჳევისბერნი,
ჳეროვანნი 96.
შეპყრობა, ხელთა შ-ა არა ვისგან
შეიპყრობის 86
შეურაცხად ყოლა 87
შეურაცხებად, შჯულისა და
მღდელთ-მოდღვართა შ-ე 87.
შეყრა, ძმათ შევიყარენით 153
შეყრილობა 153, შ-ის წიგნები
153-156, 154.
შეცვლა სამართალთა სხვებრ 119
შეცოდვა, მეფესა შესცოდოს 85.
მეფესა, ეპისკოპოზსა, სჯულ-
სა, ეკლესიასა შ-ოს 86.
შეცოდება ყოველივე, წიგნი სა-
მართლისა კაცთა შეცოდე-
ბისა 104
შეწერა, სამასპინძლოს შ-ა 74
შეწყნარება, შეიწყნარენ 86
შეწყნარება მკვლელისა 113
შეხვეწა 85
შველა მკვლელობაში 113

შიშველი ჳმალი 162, 164
შიში, გულთა შიგან შ-ი უნდა და-
იჭიროთ 82
შუამისრული 110
შჯული 8
ჩვეულებად 12-13
ჩინებულნი, საქართველოს ჩ-ნი 125
ჩნდა, ადვილად ჩნდა 97
ციხე, დაქცევა ც-თა 96
ცოლად მოტაცება უქრმო დედა-
კაცისა 161, ც-ის დაორსუ-
ლება 160, ც-ის უბრალოდ
დაგდება 96, ც-ის წაგურა 96.
ცოლოსანნი ეპისკოპოზნი 189
ცულება კანონთა 125
ცხენის მოპარვა 115
ცხოველებად, ნაწილი ც-ე 132
ცხოველი 132
ცხორებად გემოდენებითი 131
ძალნი, რომელნი განაგებენ სი-
ცოცხლესა 131, ჳესთასოფ-
ლისა ძ-ნი 130
ძეგლი 9, ძ-ი განაჩენი 97, ძ-ი გა-
ნაჩენი დავდევით 97, ძ-ის
დადება 9-10, 81, 93 და
შემდევნი.
ძეგლის წერად 9
ძველადგან 79
ძველითგან გაჩენილი 103, ძ-ითგან
ყოფილიყო 82
ძვრად, ნაწილი ძ-ისად 132
ძიება, ამისი შემდგომი... ბოლოს
იძიეთ 75
ძმა ერთსახლი და გაუყოფელი 113,
ძმა უფროსი, უმცროსი 155
ძმათ შეყრა 153, ძმანი 82, ძმის

ძრვად იოგთად 131, ძ-ა ასოთა
გუამისათად 131
ძუძუს-ძტე 166-167
ძღვენი საწელიწდისთაო 65
წაგურა, ცოლის წ-ა 96
წარმავალნი ჟამნი, წ-თა ამათ ჟ-თა
მეფე 87
წელიწდისთავის დღე 64
წერა, უწერიათ, არცა სხვათა
რჯულთა უ-იათ 82
წესი 13-14, წესი დამტკიცებული
15, წ-სი გლოვისა 16, წ-ის
დადება 15, სარგებელი წ-დ
სძესთ, არც წ-ად სძესთ, - წ-სი
დარბაზობისა 15, 63, - წ-სი
დადგმად გვრგუნისა 68, წ-სი
ეკლესიისა და მონასტრისა
14, ზემოთი წერილი წ-ი 76,
დასხმის წ-ი 110, დასხმულო-
ბისა წესითა 110, დაწინდუ-
ლობისა წ-ი 110, წ-ი კეთი-
ლი 14, წ-ი ღოცვისა 15,
წ-ი ქრისტეანობისა 14 -
წ-ი მოკითხვისა 16, წ-ი სა-
კლაროდსა 15, წ-ი სახლი-
სა საჯელმწიფოსა 15, წ-ი
ჯდომისა და დგომისა 15.
წესთა დასმა წერით და უწერე-
ლად 14
წესნი, ქართველთა წ-ნი 118, გა-
რეშე წესისა 15
წესი და განგება დარბაზობისა 71.
წესი და განგება მეფეთა
კურთხევისა 68, წესი და
განგება სამეფოსა დარბაზო-
ბისა 73, წესი და რიგი, მდი-
ვანბეგობის წ-ი და რ-ი 80,
ამ წ-ით ბოძება 80, ამ წ-ით

გარიგებული 80, ზემორე წე-
რილი წ-ი 76.
წიგნი სამართლისა 8, წ-ი ს-ის
კაცთა შეცოდებისა 104, დასა-
წყისი წ-ისა 118, სახევისთა-
ვო სამართლის წ-ი 81, შეყ-
რილობის წ-ები 153, ძმობის
წ-ი 153, წ-ნნი სასამართ-
ლონი 118.
წილის გამოყოლა სახლისკაცები-
საგან 154
წყალობა, რიგი წ-ისა 78, 79
ჟამა, ვაჟში ეჟამოს 110
ჰკვიანნი კაცნი 82
ჰური თვთმოდრავი 132
ჰურჰერი 131, ჰ-ი, რომელსა შინა
არიან საგრძნობელნი 131.
ხელად შეპყრობა 85
ხელთავე აქვდეს ნაპარევი 115
ხელფეხის დაჭრა 114, 115
ხილული სოფელი 130
ხსენება და აღწერა, ჯერ-არს ხ-ა
და ა-ა 78, 79
ხუცესი 160, ხ-ნი 87
ჰევი 143
ჰევისბერნი 95, 96, 101
ჰევისთავნი 96
ჰელეყავით 71
ჰელთა დასხმად ნოხთა ზედა 70
ჰელი ამიერ და იმიერ 67
ჰელის მიყოფა, სასაფლაოს ჰ-ის
მ-ა 110
ჰელისუფალნი დარბაზის რიგისა-
ნი 73
ჰელმწიფედ, სული ჰ-მ ნებასა
თვსსა 132
ჰელმწიფე 172 173

ჰელჯოხიანი, კარი ყოვლისა ჰ-ისა
და მათის სარგოსი 74, 75
ჰდომა, საბჰოდ ჰ-ა სჯდებოდეთ
82
ჰერ-არს ხსენება და აღწერა 78, 79
ჰვარდაუწერელი კაცი 160
ჰვარდაუწერელი ცოლი, ჰ-ი ც-თან
დაწოლა 160

ჰვარის დაწერა 160, 161
ჰინო-სქუა 192
ჰოგი 114
ჰეროვანნი 95, 96, 101, 192
ჰნებავს, არა ჰ-ს 87
ჰპრიანებოდათ აღრევით ყოფნა
94, 95.
ჰსწრებოდეს, ვერ ჰ-ს გაჩენასა 94.

შემჩნეული კორექტურული შეცდომების გასწორება

გვ. და სტრ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
1,3-4	ისტოტორიის	ისტორიის
5,10	ადილობითნი	ადგილობითნი
44,5	მცირესეული	მცირისეული
46,28	გარემოების, გამოა,	გარემოების გამოა,
52 შენ,	ვახტანგ	ვახტანგ
62,9	ჰ 1	ნაწილი I
70,1	საქსრთველოს	საქართველოს
70,2	ორგანი	ორგანო
81,14	თავი II	ნაწილი II
82,18	კუროპალატის	კურაპალატის
83,32	უზნელის	ურზნელის
104,29	დედების	დადეების
110,15	იქმნას	იქმნას
112,4	ვახტანგ	ვახტანგ
118,15	სასჯელითა	სარჯელითა
122,11	საიდგანაც	საითგანაც
150,3	გვაროვნებათა	გვაროვნობათა
159,31	ოსებსა	ოსეთსა
160,16	ახალუბის	ახალუბნის
165,33	ან“-ო)	ან“-ო(
166,23	„დედა-მძუძე“ ჯერ არ- სადა ჩანს	„დედამძუძე“ „მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანე“-ს გარდა (Опис. II, 711 დ 746) ჯერ არსადა ჩანს
168,29	აქ	ამ
175,21	ნათესავობრივობაზე	ნათესავობაზე
176,17	ყოფილან „ბრნვგოს“	ყოფილა „ნბრნვგოს“
176,32-33	ასურულში	ასურულში
